ჟურნალისტიკა საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის – სასწავლო პროგრამა

დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლისთვის

IREX-ის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება

სახელმძღვანელო ქართულად ითარგმნა 2012 წელს, პროგრამის „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) ფარგლებში. G-MEDIA ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სახელმძღვანელოს შინაარსი და აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ამერიკის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის შეხედულებებს.

მთარგმენლი: ქეთევან თოდაძე

რედაქტორი: თამარ წილოსანი

სარჩევი

შესავალი

გაკვეთილების ზოგადი მიმოხილვა

გაკვეთილი 1	რა არის ახალი ამბავი?
გაკვეთილი 2	სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე
გაკვეთილი 3	ინტერვიუ
გაკვეთილი 4	კითხვა-პასუხი
გაკვეთილი 5	ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები
გაკვეთილი 6	ლიდი
გაკვეთილი 7	ფოტოსურათების შეფასება
გაკვეთილი 8	თემატური რეპორტაჟი
გაკვეთილი 9	ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურა
გაკვეთილი 10	ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება
გაკვეთილი 12	გაზეთის რედაქციის ორგანიზება
გაკვეთილი 13	გვერდის დიზაინის ძირითადი საკითხები
გაკვეთილი 14	გაზეთზე მუშაობის პროცესი და მისი გამოშვება
გაკვეთილი 15	სარედაქციო სტატია
გაკვეთილი 16	ლოგიკის მცდარობა
გაკვეთილი 17	სარედაქციო სტატიის შეფასება
გაკვეთილი 18	ბუნებრივი ფოტოგრაფია და წარწერა ფოტოს ქვეშ
გაკვეთილი 19	პიროვნების პორტრეტი
გაკვეთილი 20	ლიდის ნაირსახეობები
გაკვეთილი 21	პიროვნების პორტრეტის შეფასება
გაკვეთილი 22	ფოტოგრაფია: მოქმედება
გაკვეთილი 23	სპორტზე წერა და ამ სფეროს გაშუქება
გაკვეთილი 24	ციფრებით რეპორტაჟის გაუმჯობესება
გაკვეთილი 25	სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 26	როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 27	მიმოხილვა
გაკვეთილი 28	რეკლამა და ბიზნესის მხარე

დანართი	1. გაკვეთილების შემოთავაზებული თანმიმდევრობა (პირველი ვარიანტი) 2. გაკვეთილების შემოთავაზებული თანმიმდევრობა (მეორე ვარიანტი) 3. გამოსაცემად მომზადება (სახელმძღვანელო კვირიდან კვირამდე) 4. „ამერიკული საშუალო სკოლის ჟურნალისტიკა“ 5. „ეთიკის კოდექსი“ 6. ცხრილის, ფოტოების და ტექსტის ჩასმის ნიმუში 7. დასაწყვილებელი სურათები
პაუერპოინტის პრეზენტაციები	1. „რა არის ახალი ამბავი?“ 2. „სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე – რას გააკეთებდით?“ 3. „ფოტოგრაფია: ძირითადი პრინციპები და ტერმინები“ 4. „გაზეთების ვებგვერდები: 10 ნაბიჯი დასაწყებად“ 5. „ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა“ 6. „მოქმედების ფოტოგრაფია: კადრის გაქვავება“
ვიდეო	1. „თემატური რეპორტაჟი“ 2. „როგორ ვხატავ სარედაქციო კარიკატურებს“

შესავალი

„საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო“ („აირექსი“/IREX) საერთაშორისო არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ლიდერობის და ინოვაციური პროგრამების საშუალებით ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და კულტურათა შორის დიალოგს. 1968 წლიდან IREX მუშაობს ცალკეულ ინდივიდებთან, დაწესებულებებთან და მთავრობებთან მთელ მსოფლიოში, რათა უფრო ხელმისაწვდომი გახადოს განათლება და გააუმჯობესოს მისი ხარისხი. 1990-იან წლებში IREX-მა თანამშრომლობა დაიწყო ჩინეთთან, თავიდან - ჩინელ, ყოფილი საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების მეცნიერებს შორის დიალოგის წამოწყებით, შემდეგ ჩინეთის უნივერსიტეტების ადმინისტრაციას მიეცა უნიკალური შანსი, გამოცდილება მიეღო აშშ-ში კვლევის სტიპენდიებით. ახლა, ამ ახალგაზრდული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით, IREX იმედოვნებს, რომ კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს და განამტკიცოს მეგობრობა ჩინელ ხალხთან.

საშუალო სკოლის ჟურნალისტიკის პროგრამა ჩინეთის სკოლებთან პარტნიორობით აპირებს სკოლის გაზეთების გამოშვებას. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის კომპლექსურ განვითარებას მათი კომუნიკაციის უნარის, ჯგუფური მუშაობის და თანამშრომლობის, ანალიტიკური აზროვნების უნარის და პასუხისმგებლობის მძლავრი გრძნობის ჩამოყალიბების გზით. პროგრამაში ჩართულნი არიან ჩინელი განათლების მუშაკები და საზოგადოება, რათა ხელი შეუწყონ ახალგაზრდობის განვითარებასა და განათლებას. პროგრამა, ასევე, ხელს უწყობს ჩინელი და ამერიკელი მოსწავლეების დაახლოებას, რათა დამყარდეს კულტურათშორისი ურთიერთობა და გაგება. ეს საფუძველს ჩაუყრის მომავალ გაცვლებსა და მეგობრობას.

კვლევამ[1] აჩვენა, რომ საშუალო სკოლის ჟურნალისტიკას სასიკეთო გავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მონაცემებსა და ლიდერობის უნარზე. იმ მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობენ სასკოლო ჟურნალისტიკის პროგრამებში, უფრო მაღალი ნიშნები აქვთ,

[1] „სკოლის ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანია“, „ამერიკის გაზეთების ასოციაციის ფონდი“ (Newspaper Association of America Foundation), 2008.

უკეთეს ქულებს იღებენ მისაღებ გამოცდებზე და კოლეჯში გამოირჩევიან წერისა და გრამატიკის უკეთესი ცოდნით იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას სასკოლო გაზეთის მომზადებაში.

სკოლის ჟურნალისტიკა ხელს უწყობს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც თანამედროვე კონკურენტულ ეკონომიკურ ბაზარზე ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას აწმყოსა და მომავალში, აუმჯობესებს მათ კითხვის, წერის, ანალიტიკურ და კვლევის უნარებს.

IREX-ი აფასებს თანამშრომლობას სკოლის ხელმძღვანელობასთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან, რაც ხელს უწყობს იდეების და კულტურულ გაცვლებს და ახალგაზრდობის ჰარმონიულ განვითარებას. მასწავლებლები ამ კურიკულუმს გამოიყენებენ, სახელმძღვანელოდ, რათა შეასწავლონ მოსწავლეებს ჟურნალისტიკის საფუძვლები და წარმართონ მათ მიერ სკოლის გაზეთების გამოშვება. ამგვარი, ახალ ამბებზე ორიენტირებული პუბლიკაციები არსებული სასკოლო ჟურნალების იდეალური დამატებაა და კარგად წარმოჩენს მოსწავლეთა მხატვრულ და ლიტერატურულ ნაშრომს. სკოლის გაზეთები დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად გაეცნონ დანარჩენ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლისა თუ ნებისმიერ ადგილობრივ თემს.

ჯოის უორნერი

ვიცე-პრეზიდენტი განათლების დარგში

IREX-ი

გაკვეთილების მიმოხილვა

ჟურნალისტიკის შესავალი 14-კვირიანი კურსია, რომელიც გამიზნულია საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის. რადგან დამატებითი მეცადინეობების ჩატარება მოსახერხებელია კვირაში ორჯერ ან სამჯერ, სასკოლო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ. შინაარსი ისეა სტრუქტურირებული, რომ სწავლება 40-წუთიან მეცადინეობებში ჩაეტიოს.

ჩინური სკოლის ჟურნალისტიკის პროექტის პირველი 14 კვირის განმავლობაში მასწავლებლებს მოეთხოვებათ, რომ:

- ჩაატარონ კვირაში საშუალოდ ორი გაკვეთილი, რომლებიც მოიცავს ახალი ამბის წერის და მსჯელობის სწავლებას, სარედაქციო წერილის წერას, ძირითადი სტატიის წერას (კითხვა-პასუხის ფორმატი და პიროვნების პორტრეტი პრესკონფერენციაზე დაყრდნობით), სპორტული მიმოხილვა, ფოტოგრაფია, გვერდის მაკეტის შექმნა და პროგრამა InDesign-ის გამოყენება. ეს გაკვეთილები დაწერილია 40-წუთიანი სასწავლო პროგრამების სახით, რომლებსაც ერთვის რამდენიმე შესაძლო აქტივობა იმ შემთხვევისთვის, თუ მასწავლებლებს მეტი დრო აქვთ გაკვეთილზე.

კურიკულუმში ჩართულია დამატებითი გაკვეთილები მიმოხილვის წერის, სარედაქციო შარჟის, ბიზნესისა და რეკლამის შესახებ. მე-11 გაკვეთილი გვაწვდის ინფორმაციას, როგორ კეთდება მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდი. მოცემულია აგრეთვე მასალები რედაქციის თანამშრომლებისთვის სახელმძღვანელოს მოსამზადებლად.

ყველა გაკვეთილშია ჩადებული საშინაო დავალების მიცემის შესაძლებლობა. მასწავლებლებმა უნდა მოითხოვონ საშინაო დავალების შესრულება ყველა იმ გაკვეთილისთვის, რომლებსაც შეფასების გაკვეთილი ახლავს.

სწავლება ამ გაკვეთილებით არ სრულდება. მასწავლებლებმა უნდა განაგრძონ სწავლება პირველი 14 კვირის შემდეგაც, რადგან გაზეთის ყოველი ახალი გამოცემა წარმოშობს ახალ კითხვებს და კრიტიკულად განსასჯელ თემებს, თხზულების წერის უნარს და ახალი ამბების შესახებ მსჯელობას. მოსწავლეებს ექნებათ არაერთი შესაძლებლობა, რომ გაავარჯიშონ

ახალი ამბების და სპორტული მიმოხილვის უნარი, საკუთარი მოსაზრებების და ძირითადი სტატიების წერა, ფოტოგრაფია, სარედაქციო კარიკატურები, გვერდის მაკეტის კეთება და დიზაინი. მოსწავლეები განივითარებენ წერის უნარს და ლიდერობის ჩვევას, რადგან გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ.

- შექმნან გაზეთის გამოცემის განრიგი, ჩამოაყალიბონ მოსწავლეთა სარედაქციო კოლეგია და ურჩიონ მათ ორი ნაბეჭდი გაზეთის გამოცემა პირველი სემესტრის განმავლობაში.
- სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან ერთად შექმნან და განათავსონ მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდი, სადაც იქნება დამატებითი ახალი ამბები, სპორტი, მიმოხილვები, კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილი ინტერვიუები, პორტრეტები, სარედაქციო სტატიები და ფოტოსურათები.
- ხელი შეუწყონ Skype/QQ ან სხვა სახის ურთიერთობას ჩინელ და ამერიკელ საშუალო სკოლის ჟურნალისტიკის მოსწავლეებს შორის. მესამე კვირისთვის პროგრამაში მონაწილე სკოლები უნდა გახდნენ ამერიკელ მოსწავლეთა პარტნიორები. ინტერნეტის და ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით ეს მოსწავლეები გაეცნობიან ერთმანეთს, ჩამოართმევენ ინტერვიუებს, იმსჯელებენ საკუთარ ჟურნალისტურ ნაწერებზე და ითანამშრომლებენ წერისას.

გაკვეთილი 1

რა არის ახალი ამბავი?

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა, მარკერები, ქაღალდის 15 დიდი ფურცელი, პატარა ფერადი წებოვანი ქაღალდები, შესაძლებელია პაუერპონტის პრეზენტაციაც („რა არის ახალი ამბავი?“)

დასარიგებელი მასალა: „ახალი ამბავი არის...“ „ახალი ამბის ღირებულება და ნიმუშები“ და „არის თუ არა ეს პირველი გვერდის მასალა?“

ცნობები მასწავლებლისთვის

ახალი ამბავი არის ინფორმაცია, რომელიც ახალია და ახლა ხდება. ზოგიერთი ახალი ამბავი პირადია, ზოგი კი ოჯახისა და ახლო მეგობრების წრეს არ უნდა გასცდეს. თანამედროვე ეპოქაში, როცა გავრცელებულია ბლოგები, მესიჯები და სოციალურ ქსელებში წერა, ზღვარი პირად და საზოგადო ახალ ამბებს შორის ბუნდოვანი ხდება.

კურსის განმავლობაში მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, იფიქრონ ისე, როგორც ჟურნალისტებმა, რომ განსაზღვრონ ახალი ამბები და დაადგინონ, რისი დაბეჭდვაა საჭირო მათი საზოგადოებისთვის. ისინი შეეხებიან ახალი ამბების ღირებულებას და სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სიცხადის ძირითად პრინციპებს.

ყოველდღიურ მოვლენებს, დასკვნებს და მოქმედებებს შორის ჟურნალისტებმა უნდა გაარჩიონ, რომელი მათგანი იმსახურებს ახალ ამბებში მოხვედრას – ეს უნდა იყოს საინტერესო, მნიშვნელოვანი და მედიაში გამოსაქვეყნებლად შესაფერისი შინაარსის. გაზეთები მკითხველს აწვდის საჭირო ინფორმაციას და უჩენს მას მოვლენებში მონაწილეობის განცდას, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სტუდენტურმა მედიამ უნდა გაუჩინოს მკითხველებს ადგილობრივი მიკუთვნებულობის განცდა.

მიზნები

- მოსწავლე ჟურნალისტები გაეცნობიან თვისებებს, რაც მოქმედებებს და მოვლენებს ახალ ამბებად აქცევს.

- მოსწავლე ჟურნალისტები შეძლებენ, განასხვაონ პიროვნული და საზოგადო ახალი ამბები.
- მოსწავლე ჟურნალისტები შეაფასებენ ახალ ამბებს მათი პოტენციური მკითხველების გათვალისწინებით.
- მოსწავლე ჟურნალისტები ისწავლიან ახალ ამბებში გამოსაქვეყნებლად ღირებული ელემენტების გარჩევას, რაც მოამზადებს მათ საკუთარ მედიანამუშევარში ახალი ამბების შესაფასებლად.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილის დაწყებამდე

თითოეულ ქაღალდის დიდ ფურცელზე დაწერეთ სათაური. იხილეთ „არის თუ არა ეს პირველი გვერდის მასალა?“ სათაურების მაგალითებისთვის. თითოეული სათაურის ქვემოთ დატოვეთ საკმარისი ადგილი პატარა ფერადი ქაღალდების მისაწებებლად. თუ მასწავლებლები გადაწყვეტენ ჩამოთვლილი სათაურების განახლებას ან შეცვლას, მათ დასჭირდებათ მოსწავლის სამუშაო ფურცელში ცვლილების შეტანაც. აგრეთვე, თუ არ გვაქვს ფერადი წებოვანი ქაღალდები, აქტივობის დროს მოსწავლეებმა შეიძლება დიდ ქაღალდებზე საკუთარი ინიციალები მიაწერონ (მეხუთე ეტაპი ქვემოთ).

საკლასო ოთახის კედლებზე გააკარით 15 ბანერი. ქაღალდის დიდი ფურცლები თვალის სიმაღლეზე უნდა იყოს გაკრული, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდეთ მათი წაკითხვა და ხელით მიწვდომა აქტივობისას, რომელსაც მას შემდეგ შეასრულებენ, რაც გაეცნობიან საინფორმაციო ახალი ამბის ცხრა ფაქტორს, ანუ მახასიათებელს.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

გაკვეთილის დასაწყისში სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ თანამედროვე ახალი ამბების მაგალითები. შემოთავაზებული მაგალითები დაწერეთ დაფაზე. რომ წაახალისოთ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა არის ახალი მათ სკოლაში? თემში? ან ჩინეთში? ანდა საერთაშორისო მასშტაბით? მასწავლებლებს თავადაც უნდა ჰქონდეთ მომზადებული რამდენიმე მაგალითი, რომ წამოიწყონ დისკუსია.

მესამე ეტაპი

დრო: 9 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „ახალი ამბავი არის...“ მასალა. ამ ცხრა ფაქტორს სხვანაირად ახალი ამბის ღირებულებას უწოდებენ. თუმცა მათ შეიძლება სხვა ღირებულებებიც დაემატოს, გააცანით მოსწავლეებს მხოლოდ ეს ღირებულებები, როცა ისინი ჯერ მხოლოდ იწყებენ ინფორმაციის, როგორც ახალი ამბის გააზრებას. წაიკითხეთ დარიგებული მასალა მოსწავლეებთან ერთად. ამის გაკეთება სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი: შეიძლება მასწავლებელმა წაიკითხოს მთლიანად, შეიძლება მასწავლებელმა წაიკითხოს ახალი ამბის თვისება და მოსწავლემ წაიკითხოს მაგალითი, ან მოსწავლეებმა რიგრიგობით წაიკითხონ ახალი ამბის თითოეული თვისება მაგალითთან ერთად.

მეოთხე ეტაპი

დრო: 5 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „ახალი ამბის ღირებულება და ნიმუშები“. ისინი ამ ფურცელს საკუთარი მაგალითების ჩასაწერად გამოიყენებენ. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ რაიმე ცნობილი ახალი ამბავი, რომელიც ახალი ამბის ღირებულების, ანუ თითოეული ფაქტორის მაგალითად გამოდგება. ეს აქტივობა დროის მოკლე პერიოდში შეჯამდება. მასწავლებლებს მზად უნდა ჰქონდეთ საკუთარი მაგალითები.

1. ცხრა ფაქტორიდან თითოეულის შესაბამისი მაგალითის მისაღებად გადახედეთ ახალი ამბების ჩამონათვალს, რომელიც გაკვეთილის დაწყებიდან პირველი ხუთი წუთის განმავლობაში შეადგინეთ. (მეორე ეტაპი) ახალი ამბის რომელ მახასიათებელს მიაკუთვნებენ მოსწავლეები იმ მაგალითებს, რომლებიც გაკვეთილის დასაწყისში მოიყვანეს? ჩამონათვალიდან რომელი თვისება აქცევს მას ახალ ამბად? რედაქტორმა ახალი ამბის შეფასების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ეს ინფორმაცია მკითხველებს და მსმენელებს უნდა სცოდნოდათ.
2. მოსწავლეებმა ზეპირად უნდა დაამატონ მაგალითები თითოეული მახასიათებლისთვის, რომლის შესაფერი მაგალითიც ჩამონათვალში არ აღმოჩნდება. როცა მასწავლებელი განიხილავს „სიახლოვის“ და „მნიშვნელობის“ ფაქტორებს, შეიძლება შეახსენოს მოსწავლეებს, რომ ის, რაც ახალი ამბების თემაა ერთ საზოგადოებაში, შეიძლება არ წარმოადგენდეს ასეთ თემას მეორეში. მეორე მხრივ,

ზოგიერთ მოვლენას იმდენად დიდი გავლენა, მასშტაბურობა და განსაკუთრებულობა ახასიათებს, რომ ასეთი ინფორმაცია ადგილობრივ საზღვრებს სცილდება.

მოუყვანეთ მოსწავლეებს მაგალითი ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ. ერთი მაგალითი შეიძლება იყოს: დაბადება არის ახალი ამბავი. ის ძალიან პირადი მოვლენაა. ის განსაკუთრებული მოვლენაა მამაკაცის და ქალისთვის, რომლებიც მშობლები ხდებიან. ზოგიერთ საზოგადოებაში ამ მოვლენას აღნიშნავს არა მხოლოდ ოჯახი და სანათესაო, არამედ მთელი თემი. ბიზნესები შეიძლება დაინტერესდნენ ამ ამბის ეკონომიკური გავლენით. ეს ბავშვი, სხვა ახალშობილებთან ერთად, ქმნის თუ არა ტენდენციას? ხომ არ უნდა აწარმოონ მეტი ბავშვის საფენები, ტანსაცმელი და სათამაშოები? სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ჩართული, რომ პირადი ახალი ამბები ეროვნული ინტერესის საგნად აქციოს. სჭირდება თუ არა ადგილობრივ თემს, დაგეგმოს ახალი დაწყებითი სკოლის გახსნა? ექნება თუ არა სახელმწიფო პოლიტიკას გავლენა ოჯახზე?

მნიშვნელობის, მასშტაბურობისა და გავლენის სხვა მაგალითები შეიძლება იყოს მიწისძვრები, წყლის ნავთობით დაბინძურება და დიდი წყალდიდობები. მოიყვანეთ ამ ტიპის ახალი ამბის მაგალითი ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ.

მეოთხე ეტაპის ალტერნატიული ვარიანტი

დრო: 4 წუთი

ამ გაკვეთილთან ერთად მოცემულია პაუერპოინტის პრეზენტაცია „რა არის ახალი ამბავი“. თითოეული მახასიათებლის, ან თვისების შემდეგ, რაც ინფორმაციას ახალ ამბად აქცევს, სლაიდზე ნაჩვენებია შეკითხვა. გამოიყენეთ ეს პრეზენტაცია, რათა მოსწავლეებს განუმტკიცოთ ამ თვისებების ცოდნა და მოიყვანოთ თითოეული მათგანის მაგალითები.

აქტივობა

მეხუთე ეტაპი

დრო: 14 წუთი

ცხრა ფაქტორის ჩამონათვალი დაეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ, რა აქცევს ინფორმაციას ახალ ამბად. მათ იმის ცოდნაც სჭირდებათ, როგორ აფასებენ ჟურნალისტები ახალ ამბებს პოტენციური მკითხველების გათვალისწინებით. მაგალითად, ფერმერებს სხვა რამ

აინტერესებთ, ქარხნის მუშებს კი სხვა. ინფორმაცია, რომელიც გაზეთის მკითხველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ახალ ამბად მიიჩნევა, პირველ გვერდზე იბეჭდება.

მასწავლებლებმა იმაზეც შეიძლება ისაუბრონ, რომ ზოგიერთი მოვლენა/საკითხი/ეპიზოდი/მოსაზრება შეიძლება იყოს უნივერსალური, ან თითქმის უნივერსალური, მნიშვნელობის. ესა თუ ის ამბავი შეიძლება ისე იყოს წარმოდგენილი, რომ იმ მკითხველთა ყურადღებაც მიიპყროს, რომლებსაც ეს ახალი ამბავი სხვა შემთხვევაში არ „აინტერესებდათ“. მაგალითად, ამბავი საბუნებისმეტყველო ან ტექნიკური სფეროებიდან, ან ისეთი ადამიანური ამბავი, რომელიც არ შეესაბამება ამ კონკრეტული მკითხველების ინტერესებს.

დაურიგეთ მოსწავლეებს ფურცლები „არის თუ არა ეს პირველი გვერდის მასალა?“ ამ აქტივობაში მოსწავლეები გამოიყენებენ ცოდნას ახალი ამბის ღირებულების შესახებ, რათა განსაზღვრონ, რომელი ახალი ამბების გაგება სჭირდებათ მათ მკითხველებს. ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად ან წყვილებში. შენიშვნა: თუ მასწავლებლებმა ბანერებში ახალი ამბების სხვა მაგალითები გამოიყენეს, მათ აქტივობის ამ ფურცლის შეცვლაც დასჭირდებათ. ჩამოთვლილი სათაურები უნდა შეესაბამებოდეს 15 ბანერს.

მოსწავლეები ოთხ წუთს დაუთმობენ დარიგებული მასალის კითხვას და გარკვევას, ჩამოთვლილი 15 სათაურიდან რომელი ექვსი გამოდგება ადგილობრივ გაზეთში პირველ გვერდზე დასაბეჭდად. სათაურის ქვეშ „ექვსი მნიშვნელოვანი ადგილობრივი ისტორია“ მათ უნდა ჩამოწერონ ის ამბები, რომლებიც საკუთარი საზოგადოებისთვის ყველაზე შესაფერისად მიაჩნიათ. სანამ მოსწავლეები კითხულობენ სათაურებს და იღებენ გადაწყვეტილებებს, დაურიგეთ თითოეულ მათგანს ან მოსწავლეთა წყვილებს ექვს-ექვსი პატარა ფერადი ქაღალდი. სთხოვეთ მოსწავლეებს, ადგნენ და „მონიშნონ საკუთარი არჩევანი“.

გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელმა ოთახში 15 დიდი ქაღალდი გააკრა 15 სხვადასხვა სათაურით. მოსწავლეები ადგებიან, მივლენ იმ სათაურამდე, რომელიც მათი აზრით, გამოდგება პირველ გვერდზე დასაბეჭდად, და შესაბამის ბანერზე მიაკრავენ ფერად ფურცელს. დაახლოებით 5 წუთში სთხოვეთ მათ, დაუბრუნდნენ ადგილებს. მასწავლებელი

წამოიწყებს დისკუსიას იმის შესახებ, რომელმა სათაურებმა მიიღო ხმების უმრავლესობა. აქ მოყვანილია ზოგიერთი შეკითხვა, რომელიც ამ დისკუსიის დროს შეიძლება დაისვას:

- რომელი ახალი ამბავი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ჯგუფისთვის?
- რატომ აირჩიეს [სათაური ყველაზე მეტი ფერადი ქაღალდით] ყველა სხვა ამბავს შორის?
- აქვს თუ არა რაიმე საერთო სამ ამბავს, რომლებსაც ყველაზე მეტი ხმა ერგო? ისინი ახალი ამბის ერთსა და იმავე ღირებულებას ასახავს თუ განსხვავებულს?
- ინფორმაცია ამინდის შესახებ ხშირადაა წარმოდგენილი, როგორც უბრალო პროგნოზი – მომდევნო დღეების მოსალოდნელი ტემპერატურა, იწვიმებს თუ არა და ა. შ. როდის იქნება ამინდის შესახებ ინფორმაცია პირველ გვერდზე გამოსაქვეყნებელი ამბავი?

მეექვსე ეტაპი

დრო: 5 წუთი

თუ მასწავლებლებს 40 წუთზე მეტი დრო აქვთ გაკვეთილისთვის, ან თუ მოსწავლეებმა სწრაფად შეასრულეს მეორე-მეხუთე ეტაპები, შესაძლებელია ამ შემდეგი ეტაპის შესრულება. სთხოვეთ, მოსწავლეებს, ანალოგიურად შეარჩიონ ყველაზე შესაფერისი ამბები საკუთარი სკოლის გაზეთისთვის და მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდისთვის. ამ შემთხვევაში დროის დაზოგვის მიზნით შეგიძლიათ ხმის მიცემა ხელის აწევით გადაწყვიტოთ. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მხოლოდ ექვსჯერ შეუძლიათ ხელის აწევა. თითოეული ბანერის სათაურისთვის დათვალეთ აწეული ხელების რაოდენობა. ეს დამატებითი ეტაპი დაეხმარება მოსწავლეებს, განასხვაონ, რა არის ზოგადად ახალი ამბავი და რა არის მნიშვნელოვანი ახალი ამბავი სკოლის გაზეთის მკითხველებისთვის. ამ განსხვავების მიხვედრა დაეხმარება მათ, განსაზღვრონ, რომელი ამბები შეესაბამება მათი მკითხველების საჭიროებებს ყველაზე მეტად.

შეჯამება

მეშვიდე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ახალი ამბავი ჟურნალისტიკის საფუძველია. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ყველა ინფორმაცია არ არის გაზეთში გამოსაქვეყნებელი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

რადგან ბევრი მოსწავლე აზიარებს ძალიან პირად ინფორმაციას სოციალური ქსელებით (მაგალითად, ბლოგები და მესიჯები). თქვენ უქმნით საფუძველს მოსწავლეებს, რომ იფიქრონ ჟურნალისტიკის თეორეტიკოსთა მსგავსად – მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ ჟურნალისტიკას და საკუთარი მედიის შექმნით მაგალითს აძლევენ სხვებს. ისინი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ახალი ამბების შერჩევას.

რეპორტიორები და რედაქტორები ყოველდღიურად აფასებენ ახალ ამბებს და არჩევენ, რომლები უნდა დაიბეჭდოს. ის, რაც ინფორმაციას ახალ ამბად აქცევს, არის ბალანსი მახასიათებლებს შორის და მკითხველების საჭიროებები. ზოგიერთი ახალი ამბავი იბეჭდება ადგილობრივ გაზეთშიც და მოსწავლეთა გაზეთშიც. მოსწავლეთა გაზეთის რეპორტიორებმა და რედაქტორებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რა დააინტერესებს მათი სკოლის თემს და რის ცოდნაა მისთვის აუცილებელი.

მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ ახალი ამბების შერჩევის პროცესის მთელი მნიშვნელობა:
ახალი ამბავი არის ინფორმაცია,
რომელიც ესაჭიროება ადამიანს
მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული
გადაწყვეტილებების მისაღებად.

შემოთავაზებული საშინაო დავალება

მასწავლებლებმა უნდა სთხოვონ მოსწავლეებს დარიგებული ფურცლების შევსება და იმ ექვსი ამბის არჩევა, რასაც მოსწავლეთა გაზეთის პირველ გვერდზე გამოაქვეყნებენ.

გარდა ამისა, მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ ახალი ამბების წაკითხვა ადგილობრივ გაზეთში. ამოჭრან ახალი ამბის ამსახველი ერთ-ერთი სტატია თანაკლასელებისთვის საჩვენებლად. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ დადგენა, ახალი ამბის რომელი ღირებულებები აქვს სტატიას.

დასარიგებელი მასალა

ახალი ამბავი არის...

არსებობს გარკვეული მახასიათებლები, ანუ თვისებები, რომლებიც ინფორმაციას ახალ ამბად აქცევს. ისინი წარმოადგენს ახალი ამბების შერჩევის საფუძველს. ახალი ამბის ცხრა მახასიათებელია:

დროულობა

ახალი ამბავი უნდა იყოს სიახლე. ადამიანებს აინტერესებთ, რა ხდება დღეს მათ სკოლაში, მათ ქალაქში, მათ ქვეყანაში თუ მსოფლიოში. შეიძლება ზოგადი ინფორმაციის ჩართვაც ზოგადი ფონის შესაქმნელად, ან იმის შესახსენებლად, რაც წინა ახალ ამბებში იყო ნათქვამი მოცემული თემის შესახებ.

სიახლოვე

ადამიანებს აინტერესებთ მოვლენები, რომლებიც მათი სკოლის, სახლის ან სამსახურის ახლოს ხდება.

მნიშვნელობა

მოვლენა შეიძლება არ ხდებოდეს ახლოს, მაგრამ ადამიანებს აინტერესებდეთ, მოახდენს თუ არა ის გავლენას მათ ცხოვრებაზე.

მასშტაბურობა

ის, რაც დიდია, შესამჩნევია. ახალი ამბავია, თუ წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია, თუ წვიმა ხანგრძლივად არ მოსულა და გვალვა დაიწყო; თუ იმატა ავადმყოფობების რაოდენობამ, თუ იზრდება სიკვდილიანობა.

ცნობილობა

ახალი ამბავია, როცა ცნობილი ან გავლენიანი ადამიანები (მაგალითად, ვარსკვლავები, მთავრობის წევრები) სტუმრობენ თქვენს სკოლას, ან ჩაერთვებიან ახალ პროექტში.

ემოციები

ახალი ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ადამიანების შესახებ, ასახავს სიყვარულის, სიძულვილის, შიშის, თანაგრძნობის ან წუხილის ემოციებს.

კონფლიქტი

დაპირისპირებები მეზობელ უბნებს, დაწესებულებებს და ქვეყნებს შორის ყურადღებას საჭიროებს. კონფლიქტები გავლენას ახდენს ჰარმონიაზე, ეკონომიკაზე და ადამიანის ცხოვრების ხარისხზე.

პროგრესი

მეცნიერების, მედიცინის ან ტექნიკის მიღწევები, ან შესაძლო აღმოჩენის შესახებ ცნობა არის ახალი ამბავი.

განსაკუთრებულობა

მოულოდნელი ამბავი, პირველი შემთხვევა, ან უბრალოდ, უცნაური ამბავი შეიძლება გამოდგეს „ცუდი“ ახალი ამბისაგან ყურადღების გადასატანად, ან ასახავდეს ცვლილებას საზოგადოებაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

აქტივობა

ახალი ამბის ღირებულება და ნიმუშები

დროულობა

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

სიახლოვე

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

მნიშვნელობა

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

მასშტაბურობა

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

ცნობილობა

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

ემოციები

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

კონფლიქტი

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

პროგრესი

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

განსაკუთრებულობა

მაგალითი თანამედროვეობიდან: _____

აქტივობა

არის თუ არა ეს პირველი გვერდის მასალა?

თქვენ ხართ ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი. იმუშავეთ ჯგუფებში და ქვემოთ ჩამოთვლილი ამბებიდან შეარჩიეთ ექვსი, რომლებსაც დაბეჭდავდით პირველ გვერდზე. ჩამოთვალეთ, რომელი მახასიათებლები, ანუ „ახალი ამბის ელემენტები“ ახასიათებს იმ ამბებს, რომელთა დაბეჭდვასაც აპირებთ 1-ელ გვერდზე. განიხილეთ ჯგუფებში, რომელი იქნება **მთავარი** სტატია. (აქ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები.)

გაიმეორეთ გადაწყვეტილების მიღების იგივე პროცესი, ოღონდ ამჯერად როგორც მოსწავლეთა გაზეთის რედაქტორმა. ამ 15 ამბიდან რომელ ექვსს დაბეჭდავდით მოსწავლე მკითხველებისთვის?

1. ტოკიოში ჩამოვარდა თვითმფრინავი, დაიღუპა 300 ადამიანი
2. პრეზიდენტი ჰუ ძინტაო 7 დღით დასასვენებლად მიდის ხაინანზე
3. ადგილობრივ დაწყებით სკოლაში ღორის გრიპის შემთხვევა აღმოაჩინეს
4. განათლების სამინისტროს მათემატიკის ახალი სახელმძღვანელოები შემოაქვს
5. საზღვაო კატასტროფის შედეგად სამი ლანჩჟოუელი მოსწავლე დაიღუპა
6. მოხუცმა ქალმა ქურდობის შემთხვევა აღკვეთა, მან მძარცველს თავში ტაფა ჩაარტყა
7. მასწავლებელი 35 წლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ პენსიაზე გადის
8. ადგილობრივი სკოლის მოსწავლემ მიიღო სრული სტიპენდია ჰარვარდის უნივერსიტეტში სასწავლებლად
9. სკოლის ფოტოგრაფიის კლუბის წევრებმა საგზური მოიპოვეს შანხაის გამოფენაზე წასასვლელად
10. ხვალ მაქსიმალური ტემპერატურა 20°C-ს მიაღწევს
11. ყოველწლიურმა კვლევამ დაადგინა, რომ ტრანსპორტის პრობლემა არ გადაჭრილა: ის პრობლემად რჩება ყველგან
12. მოცურავეთა გუნდმა მესამე ადგილი აიღო პროვინციის ჩემპიონატში
13. გამოდის ახალი კომპიუტერული თამაში

14. ადგილობრივი სუპერმარკეტი 30 ახალ თანამშრომელს დაიქირავებს ჩინეთის გაზაფხულის ფესტივალისთვის
15. ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდები 7%-ით ნაკლებს ეწევიან

ექვსი მნიშვნელოვანი ადგილობრივი ამბავი. ახალი ამბის ელემენტები მათში

1.

2.

3.

4.

5.

6.

გაკვეთილი 2

სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: მესამე ეტაპის #2 შესაძლებლობისთვის საჭიროა ჯგუფებისთვის დასარიგებელი სიტუაციის აღმწერი ბარათები; #3 შესაძლებლობისთვის – სიტუაციების ამსახველი პაუერპოინტის პრეზენტაცია („სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე – რას გააკეთებდით?“)

დასარიგებელი მასალა: „საუკეთესო რეპორტაჟის ძირითადი თვისებები: სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე“, „რას გააკეთებდით?“ „ახალი ამბების ლექსიკონი“

ცნობები მასწავლებლისთვის

ახალი ამბების გადმოცემის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპებია სიზუსტე, მიუკერძოებლობა და სიცხადე. პროფესიული პატიოსნებით და მიუკერძოებელი რეპორტაჟებით გაზეთები და სხვა მედია საშუალებები მკითხველთა და მსმენელთა ნდობას მოიპოვებენ.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან სიზუსტის, მიუკერძოებლობის და სიცხადის ცნებებს.
- მოსწავლეები შეძლებენ, გაარჩიონ, როდისაა ეს პრინციპები დაცული.
- მოსწავლეები გამოიყენებენ ამ პრინციპებს საკუთარ ნაწერებში შემდეგში კურსის განმავლობაში.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

1. მიეცით მოსწავლეებს ინფორმაცია, რომელიც აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს, ან სიმართლის მხოლოდ მცირე ელემენტებს შეიცავს, მაგრამ შეიძლება გადაეცემოდეს ერთი ადამიანიდან მეორეს, ვიდრე ვინმე არ გაჩერდება და იკითხავს, მართალია თუ არა ეს. მაგალითად - ასეთი: კოკა-კოლათი სავსე ჭიქაში ჩადებული კბილი ერთ ღამეში მთლიანად გაიხსნება.

სიმართლე: აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს ერთ-ერთია იმ გავრცელებული მითებიდან, რაც მეცნიერულად არ დასტურდება. სინამდვილეში, კბილი გაიხსნება ძალიან მაღალი კონცენტრაციის გაზიან სასმელში, ოღონდ ძალიან დიდი დროის განმავლობაში. რეპორტაჟის გაკეთებამდე აუცილებელია მეცნიერული მონაცემების მოპოვება. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ზუსტი რეპორტაჟის გაკეთება ინფორმაციის წყაროს გადამოწმების გზით.

2. უთხარით მოსწავლეებს, რომ გამოკითხვის თანახმად, პოპულარობის მიხედვით იაო მინმა ჯეკი ჩანს გადაასწრო. რა შეკითხვები გაუჩნდებათ მოსწავლეებს ამ მტკიცებასთან დაკავშირებით?

   როცა ამას მოისმენენ, ადამიანებს უნდა დაებადოთ ასეთი შეკითხვები:

   - ვინ ჩაატარა გამოკითხვა?
   - სად და როდის ჩატარდა ეს გამოკითხვა?
   - რამდენი ადამიანი მონაწილეობდა გამოკითხვაში? იყო თუ არა ეს შემთხვევითი შერჩევა?
   - როგორ იყო დასმული შეკითხვა, რასაც ეს ადამიანები პასუხობდნენ?

   სიმართლე: ეს გამოკითხვა ჩატარდა ჩინეთ-აშშ-ს ბიზნესსამიტზე ლოს-ანჯელესში 2010 წლის აპრილში. დამსწრეებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ „ბიზნესლიდერები ჩინეთში“. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის წყაროს და სფეროს გარკვევა, ვიდრე მასზე დავწერდეთ.

3. გაიგეთ, რომ სინგაპურში ქალმა რვა ბავშვი გააჩინა? თუ ეს ამბავი სიმართლეა, მას აქვს მასშტაბურობის, კონფლიქტის და განსაკუთრებულობის ასპექტები. როგორ დაადასტურებენ მოსწავლეები, რომ სინგაპურული ამბავი სიმართლეა? გამოდგება ეს ამბავი მათი სასკოლო გაზეთისთვის?

   სიმართლე: მედიცინის ისტორიაში ცნობილია რვა ტყუპისცალის დაბადების რვა შემთხვევა; მათ შორის სიცოცხლის ხანგრძლივობით პირველ ადგილზე 2009 წლის 26 იანვარს დაბადებული სულემანები არიან. მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ, ეს ამბავი ნამდვილია თუ არა და მათი მკითხველისთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს თუ არა.

დღევანდელი გაკვეთილი ეხება ჟურნალისტის სამუშაოს, მოიძიოს ახალი ამბავი და დაწეროს მის შესახებ. რეპორტიორის მოვალეობაა, დარწმუნდეს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტია, მიუკერძოებლადაა აღწერილი და გასაგებად ჩამოყალიბებული.

მეორე ეტაპი

დრო: 12 წუთი

წაიკითხეთ „საუკეთესო რეპორტაჟის ძირითადი თვისებები: სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე“ და იმსჯელეთ. ამ მასალაში ახსნილია სიზუსტის, მიუკერძოებლობის და სიცხადის ძირითადი ცნებები. მოსწავლეებთან დისკუსიის დროს გაითვალისწინეთ მოცემული მითითებები:

იყავით ზუსტი.

მიუხედავად იმისა, რომ აქ თავმოყრილი მთელი ინფორმაცია საკვანძოა ჟურნალისტური საქმიანობისათვის, მაინც ხაზგასასმელია შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხები: 1) ფაქტების შეგროვება, 2) რეპორტაჟში სიზუსტის დაცვა, 3) ინფორმაციის გადამოწმება ორ ან, უმჯობესია, მეტ წყაროსთან. არ არის საჭირო, ერთმანეთისგან განასხვაოთ პირველადი და მეორეული წყაროები. ამ განსხვავებას ინტერვიუს შესახებ გაკვეთილში დავუბრუნდებით (გაკვეთილი 3).

მოსწავლე ჟურნალისტების დამახასიათებელი ტენდენციაა, რომ მათ საკუთარ მეგობრებთან საუბარი ურჩევნიათ მოვლენებში ჩართული წყაროსგან (მონაწილეები/ექსპერტები – უცნობი ადამიანები) ინტერვიუს აღებას. ისინი უნდა წავახალისოთ, რომ საუკეთესო წყარო მოიძიონ, განსაკუთრებით, თუ ეს ნიშნავს კომფორტის ზონიდან, ანუ ნაცნობების წრიდან გასვლას.

თუ მოსწავლეებს სურთ საჭირო უნარების განვითარება, უნდა გაიაზრონ, რომ მათი რეპორტაჟის და მთელი პუბლიკაციის სანდოობა დამოკიდებულია მათ სიზუსტეზე.

იყავით მიუკერძოებელი.

როცა მასწავლებელი ამ კონცეფციაზე საუბრობს, მან გარკვევით უნდა აღნიშნოს, რომ აუცილებელია, ჟურნალისტმა მოგვაწოდოს სრული ინფორმაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა იყოს მოცემული ერთზე მეტი თვალსაზრისი და ინტერვიუ უნდა იყოს აღებული სხვადასხვა წყაროსგან. რამდენიმე წყაროს არსებობა ინფორმაციას საჭირო თანაფარდობას შეუნარჩუნებს.

თუ რეპორტაჟი კეთდება შენობის სისუფთავის საჭიროებაზე, მიუკერძოებლობის პრინციპი მოითხოვს ინტერვიუს აღებას სკოლის დირექტორის ან პასუხისმგებელი პირისგან, ვისაც რესურსების მართვა ეხება და დამლაგებლისგან, ისევე როგორც მოსწავლეებისგან, რომლებიც იკრიბებიან ხოლმე ისეთ ადგილას, სადაც სანაგვე ყუთი არ დგას. ჩაატარეთ კვლევა, რომ გაარკვიოთ დანახარჯების რაოდენობა. გამოარკვიეთ, იგეგმება თუ არა ცვლილებები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიუკერძოებელი იყავით მათ მიმართ, ვინც ამ პრობლემაშია ჩართული.

წერეთ გასაგებად.

ჟურნალისტისთვის საჭიროა, რომ მისი ნაწერი გაიგონ მკითხველებმა. ეს ნიშნავს გასაგები, მკაფიო ენით წერას.

ახალი ამბის ამსახველ რეპორტაჟში საჭიროა რთული მეცნიერული, ეკონომიკური ან პოლიტიკური ამბების ახსნა და გასაგებად გადმოცემა.

მესამე ეტაპი

დრო: 15 წუთი

სავარჯიშოში „რას გააკეთებდით?“ მოცემული ხუთი სიტუაცია მოსწავლეებს დაეხმარება, იფიქრონ, როგორ გამოიყენებენ სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სიცხადის ცნებებს სასკოლო ჟურნალისტიკაში. თქვენ შეგიძლიათ, ამ ხუთი სიტუაციის მოსწავლეებისთვის გასაცნობად ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მეთოდი აირჩიოთ:

1. თანმიმდევრობით წაუკითხეთ სიტუაციები კლასს. სთხოვეთ მოსწავლეებს, ასწიონ (დიახ, ამას გავაკეთებდი) ან დასწიონ ცერი (არა, ამას არ გავაკეთებდი). ჯგუფის პასუხების მიღების შემდეგ იმსჯელეთ, რატომ უპასუხეს ასე.

   თითოეულ სიტუაციაზე დახარჯული დრო კონტროლდება მასწავლებლის შეხედულებისამებრ. მასწავლებლებმა უნდა მოისმინონ მოსწავლეთა პასუხები.
2. პაუერპოინტის პრეზენტაცია („სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე – რას გააკეთებდით?“) შეიძლება გამოვიყენოთ კლასისთვის სიტუაციების საჩვენებლად. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაგიზიარონ მოსაზრებები, რას გააკეთებდნენ.

   ისევე, როგორც პირველ მეთოდში, მასწავლებელი აკონტროლებს შეკითხვების და პასუხებისთვის დათმობილ დროს. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს,

თვალნათლივ დაინახონ სიტუაციები და სავარაუდო პასუხები წაიკითხონ და მოისმინონ. პაუერპოინტის გამოყენება შეეძლებათ იმ მოსწავლეებსაც, ვინც გაკვეთილს ვერ დაესწრება.

3. მოამზადეთ მასალა სხვადასხვა სიტუაციის შესახებ კლასისთვის დასარიგებლად. ფურცლის ერთ გვერდზე აღწერეთ სიტუაცია; მეორე მხარეს დაწერეთ პასუხები. მოსწავლეები გაანაწილეთ ჯგუფებში, თითოეულში სამიდან ხუთ წევრამდე. თითოეულ ჯგუფს მიეცით სიტუაციები გასარჩევად. ყოველი სიტუაციის ჯგუფში მიმოხილვის შემდეგ მათ უნდა გადმოაბრუნონ ფურცელი და ნახონ პასუხები. შეიძლება, შემოთავაზებულ პასუხებზე მსჯელობასაც დასჭირდეს დრო.

   ამ მეთოდში მოსწავლეები აკონტროლებენ თითოეულ სიტუაციაზე დროის ხარჯვას. თუ მათი პასუხები დაემთხვევა შემოთავაზებულს, ისინი შემდეგი სიტუაციის მიმოხილვას იწყებენ. კარგი იქნება, თუ თითოეულ ჯგუფში გვეყოლება ერთი უფროსკლასელი ან ლიდერი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა გაიგონ შემოთავაზებული პასუხები.

4. მოსწავლეებს შეიძლება დაურიგოთ „რას გააკეთებდით?“ და მათ თავად უპასუხონ. მოსწავლეებს უნდა მისცეთ დრო, რომ წაიკითხონ და უპასუხონ შეკითხვებს, შემდეგ მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს თითოეული შეკითხვა და შემოთავაზებული პასუხი, შემდეგ მოსწავლეებმა უნდა განიხილონ საკუთარი პასუხები და შეადარონ მოცემულ პასუხს.

   ეს ყველაზე ნაკლებად საინტერესო მეთოდია, რადგან ინტერაქცია აკლია, ბავშვებს არა აქვთ საშუალება, თანაკლასელების პასუხები მოისმინონ და საკუთარი აზრი ისე ჩამოაყალიბონ.

მასწავლებელმა ამ ოთხი შემოთავაზებული მეთოდიდან ერთ-ერთი უნდა გამოიყენოს ხუთი სიტუაციის განსახილველად. აქვეა მოცემული პასუხები, რომლებსაც მოსწავლეებთან მუშაობისას გამოიყენებთ.

სიტუაცია პირველი: სხვა რეპორტიორების ინტერვიუების გამოყენება

თქვენ წაიკითხეთ შესანიშნავი ციტატა, რესპონდენტის ძალიან კარგად ჩამოყალიბებული კომენტარი *Xinhua*-ს რეპორტიორის სტატიაში. თქვენ წერთ იმავე თემაზე. მოგწონთ, როგორ გამოხატა ამ ადამიანმა სათქმელი.

- იყენებთ ციტატას თქვენს სტატიაში?

პასუხი: თქვენ არ მოგისმენიათ, როგორ თქვა ამ ადამიანმა ეს სიტყვები, ამიტომ უმჯობესია, თუ საკუთარ წყაროს მონახავთ. თუ მაინც გამოიყენებთ ამ ციტატას, აუცილებლად უნდა აღნიშნოთ, რომ ეს ადამიანი ციტირებული იყო *Xinhua*-ს სტატიაში.

სიტუაცია მეორე: წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება

თანაკლასელმა დაგირეკათ და გიამბოთ, რომ სკოლის საუკეთესო კალათბურთელი ავტოკატასტროფაში მოყვა და ამ ამბავში ალკოჰოლიც ფიგურირებს. თქვენ ხართ სკოლის გაზეთის ვებგვერდის რეპორტიორი.

- სასწრაფოდ წერთ მოკლე „სენსაციურ სიახლეს“ ვებგვერდისთვის?

პასუხი: არა. რეპორტიორებს აქვთ პასუხისმგებლობა, შეამოწმონ და დაადგინონ სიმართლე. კატასტროფაში შეიძლება სხვა ვინმე მოყვა, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია; ალკოჰოლი შეიძლება განიხილებოდა ერთ ვერსიად, მაგრამ არ დადასტურდა; შეიძლება მთელი ეს ისტორია ტყუილია. მოსწავლის ასაკი კიდევ ერთი ფაქტორია ამ ამბავში. პრაქტიკულად, გაზეთების უმრავლესობა არ ბეჭდავს 18 წლამდე ადამიანების სახელსა და გვარს, რომლებიც ავტოკატასტროფაში ხვდებიან ან რაიმე დანაშაულში არიან ბრალდებული.

მასწავლებლები: ჩინეთის კანონების თანახმად, შეიძლება თუ არა არასრულწლოვანთა სახელების გამოქვეყნება? ჩინურ მედიაში რა სახის გამოცდილება არსებობს ამასთან დაკავშირებით? მოსწავლეთა გაზეთის რედაქციამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციის წესდებაში.

სიტუაცია მესამე: ფინანსებზე წერა და პირადი მოსაზრებები

თქვენ კითხულობთ სტატიის დასაწყისს:

დიდი თანხები დაიხარჯა სკოლის ჩოგბურთის მაგიდების შეკეთებაზე. პროექტმა განსაზღვრულ ბიუჯეტს გადააჭარბა. ზოგიერთი სხვა სპორტსმენი უკმაყოფილოა, რომ მაგიდის ჩოგბურთს ამდენი ყურადღება ეთმობა. მე მათ ვეთანხმები.

- თქვენი აზრით, ეს კარგი რეპორტაჟია?

პასუხი: ამ თემაზე საჭიროა დაწერა, მაგრამ რეპორტაჟში ნათლად არაა ჩამოყალიბებული აზრი (აკლია სიზუსტე) და არაა მოყვანილი კონკრეტული ციფრები თვალსაზრისის

დასასაბუთებლად (აკლია დეტალურობა). განსაზღვრულ ბიუჯეტზე რამდენით მეტი დაიხარჯა? რა მიზეზით? ვინ ან რა იყო ამ ინფორმაციის წყარო? გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალ ამბებში არ იყოს ჩართული რეპორტიორის პირადი აზრი მოცემულ საკითხზე.

სიტუაცია მეოთხე: რეპორტიორების დავალებები

გაზეთის რედაქციაში გყავთ გოგონა, რომელიც სკოლის ფრენბურთის გუნდის წევრიცაა. ის უკვე სამი წელია თამაშობს, იცნობს ყველა მოთამაშეს და მწვრთნელს, იცის თამაშის წესები და შეუძლია გუნდის ოპონენტების ძალების შეფასება.

- შეიძლება მას დავავალოთ ფრენბურთის გუნდის შესახებ რეპორტაჟის გაკეთება?

პასუხი: ის თამაშში სხვებზე უკეთ ერკვევა, ამიტომ ბუნებრივი იქნება, თუ სპორტულ რეპორტაჟს გააკეთებს. მაგრამ იქნება მისი რეპორტაჟი მიუკერძოებელი და დაბალანსებული? თუ ის ამავდროულად თამაშობს კიდევაც, შეეძლება, სხვა გუნდის თამაშებს დაესწროს და ობიექტური რეპორტაჟი გააკეთოს? უმჯობესი იქნება, თუ ინტერესთა კონფლიქტს აირიდებთ. სხვა ვინმეს დაავალეთ თამაშის შესახებ დაწერა. ამ გოგონას კი შეუძლია ტექნიკური ინფორმაცია მოგაწოდოთ, ან მონაცემები გადაამოწმოს.

სიტუაცია მეხუთე: ჭორი

სამი მასწავლებელი თქვენი სკოლის სხვადასხვა კათედრიდან გეუბნებათ, რომ დირექტორი წელს მიდის სამსახურიდან. თქვენ გჯერათ სამივე მასწავლებლის. ისინი არ ავრცელებენ ჭორებს.

- უნდა დაწეროთ და გამოაქვეყნოთ ამის შესახებ? ეს მნიშვნელოვანი ახალი ამბავია თქვენი სკოლისთვის.

პასუხი: მასწავლებლებმა მოგაწოდეს საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც უნდა მიჰყვეთ. თუმცა, ისინი მაინც მეორეულ წყაროებად რჩებიან. პირველწყარო დირექტორია. ვიდრე სტატიას დაბეჭდავთ, ეს ინფორმაცია მან უნდა დაგიდასტუროთ. შესაძლოა, მან მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია და ციტატები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ თქვენი სტატიისთვის.

რომელ მეთოდს გამოიყენებთ ამ სიტუაციების გასაცნობად, სულ ერთია. ყველა შემთხვევაში უნდა უზრუნველყოთ, რომ მოსწავლეებმა გაიგეს მათი ძირითადი კონცეფციები.

მეოთხე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეებს დაურიგეთ აშშ-ს პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების ეთიკის კოდექსის ტექსტი. ის დანართშია მოცემული. ეს კოდექსი დადგენილია პროფესიონალური ბეჭდვითი და სამაუწყებლო მედიის მიერ. ამ კოდექსის საშუალებით რეპორტიორები, ფოტოგრაფები, რედაქტორები და რედკოლეგია იღებენ პასუხისმგებლობას, რათა მკითხველთა და მსმენელთა ნდობა შენარჩუნონ.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 3 წუთი

ჟურნალისტებმა მხოლოდ ის კი არ უნდა დაადგინონ, რომ მათ მიერ მოძიებულ ინფორმაციას ახალი ამბის ღირებულება აქვს, არამედ ისიც უნდა უზრუნველყონ, რომ მათი გაკეთებული რეპორტაჟი იყოს ზუსტი, მიუკერძოებელი და მკითხველებისთვის გასაგები. *სიზუსტე* მოითხოვს ინფორმაციის გადამოწმებას, სანდო წყაროების მოძიებას, გარეშე გავლენებისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. *მიუკერძოებლობა* მოითხოვს, რომ საკითხის ერთზე მეტი მხარე გაშუქდეს და მონაწილე ადამიანებისგან ინტერვიუები ავიღოთ, რომ მათ დეტალურად დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია. *გასაგებობა* მიიღწევა სიტყვების კარგად არჩევით, პირდაპირობით და, ზოგ შემთხვევაში, საინფორმაციო გრაფიკებით.

დაურიგეთ მოსწავლეებს „ახალი ამბების ლექსიკონი“. ამ ფურცელზე მოცემულია სიტყვების და ცნებების განმარტებები, რომლებიც პირველ ორ გაკვეთილში: „რა არის ახალი ამბავი?“ და „სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე“ შეგვხვდა.

შენიშვნა ჟურნალისტიკის იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ინგლისურსაც ასწავლიან: ამერიკული ჟურნალისტიკის დამახასიათებელი ნიშანია წინადადების მარტივი სინტაქსი და ზუსტი ფრაზები. ერნესტ ჰემინგუეი და ჯონ სტეინბეკი ჟურნალისტები იყვნენ. გასაკვირი არაა, რომ ეს მათ მხატვრულ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს - მათი მოკლე წინადადებებითა და პერსონაჟებისა თუ ადგილების მკაფიო აღწერით.

შემდეგ გაკვეთილში მოსწავლეები ინტერვიუს აღების ტექნიკას გაეცნობიან და ივარჯიშებენ.

შესაძლო საშინაო დავალება

ჟურნალისტები უნდა ეცნობოდნენ ახალ ამბებს. იმისთვის, რომ მოსწავლეებს განუმტკიცოთ გაზეთების კითხვის და სანდო საინფორმაციო ვებგვერდების გაცნობის სურვილი, სთხოვეთ, მოძებნონ რეპორტაჟებში სიზუსტისა და სიცხადის მაგალითი. დაავალეთ, ამოიწერონ ახალი ამბის წყარო და რეპორტაჟის თარიღი.

დასარიგებელი მასალა

საუკეთესო რეპორტაჟის ძირითადი თვისებები: სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე

ახალი ამბის გადმოცემის სამი ძირითადი პრინციპია სიზუსტე, მიუკერძოებლობა და სიცხადე. გაზეთები და სხვა მედია საშუალებები პროფესიონალური და მიუკერძოებელი რეპორტაჟების საშუალებით ახერხებენ მკითხველთა და მსმენელთა ნდობის მოპოვებას.

იყავით ზუსტი

რეპორტაჟი ახალი ამბის შესახებ ფაქტებს და ციფრებს უნდა ემყარებოდეს. ზოგიერთი ამბის გადმოცემა უფრო ადვილია, ვიდრე სხვების. მაგალითად, როცა ტარდება მათემატიკის სასწავლო კონკურსი, გამარჯვებულების დადგენა ადვილია; საჭიროა ზუსტად გადმოცემა, ვინ გავიდა პირველ ადგილზე, ვინ – მეორეზე და მესამეზე. კარგად უნდა გადამოწმდეს და სწორად დაიწეროს სახელები, სკოლები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

შეამოწმეთ ინფორმაცია. ნუ დაწერთ ჭორებს.

„იცნობდეთ თქვენს წყაროს.“ ჟურნალისტები უნდა ენდონ წყაროებს, რომლებიც ახალ ამბებს და ინფორმაციას აწვდიან მათ. საზოგადოდ, ორი ტიპის წყარო არსებობს:
პირველწყარო: ის, ვინც უშუალოდ ფლობს ინფორმაციას, თვითმხილველი, ვისაც ძალიან ახლო შეხება აქვს ახალ ამბავთან.
მეორეული წყარო: ის, ვისაც ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული, ვინც არ ყოფილა მოვლენასთან ახლოს.

მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა შეიძლება მოგაწოდონ ინფორმაცია სტატიისთვის, მაგრამ, როგორც წესი, პროფესიონალი ჟურნალისტები არ იღებენ ინტერვიუს მეგობრებისგან. მოსწავლე ჟურნალისტებმაც ისეთი რესპონდენტები უნდა აირჩიონ ინტერვიუსთვის, რომლებიც მათი „კომფორტის ზონის“ ფარგლებს გარეთ არიან.

ორმა ან მეტმა სანდო წყარომ უნდა დაადასტუროს დეტალები, მოგვაწოდოს ფაქტობრივი მონაცემები და გაუზიაროს საკუთარი გადაწყვეტილებები საზოგადოებას. სანდო წყაროებია ის ადამიანები, მეცნიერები, ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ექსპერტებს,

თვითმხილველებს ან თავად არიან მოვლენის მონაწილეები. ეს შეიძლება იყოს სკოლის ხელმძღვანელობა, სპორტსმენები და მწვრთნელები, მშობლები, რომლებიც რაიმე დარგის სპეციალისტები არიან, ან ექსპერტები, მაგალითად, კვების ან გარემოს დაცვის სფეროს მეცნიერები. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც შეუძლია ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდება.

შეადარეთ და დაუპირისპირეთ წყაროები ერთმანეთს სიმართლის მისაღებად.

მკითხველებმა იციან ციტატების წყაროების შესახებ. ეს ინფორმაცია მოცემულია, რადგან ავტორი უნდა ვახსენოთ: ქალბატონმა სიან კემ თქვა, პროფესორმა სტივენ ლიანმა აგვიხსნა, ჩინეთის მთავრობის განცხადებით, ამბობს პეკინის სახალხო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იუ გუომინი.

იყავით მიუკერძოებელი

ჟურნალისტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ სრული ინფორმაცია მიაწოდონ აუდიტორიას. ამისთვის საჭიროა სანდო წყაროებთან დაკავშირება და სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ადამიანებისგან ინტერვიუს აღება.

როცა ახალი ამბავი სკოლის ცხოვრებიდანაა, მეგობრებისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღეთ ინტერვიუ, თუ ისინი პირველწყაროს წარმოადგენენ. იმ სკოლებში, სადაც ჟურნალისტური საქმიანობა ყველაზე წარმატებულია, ბეისბოლის გუნდის წევრებს არ ავალებენ ბეისბოლის თამაშების რეპორტაჟს. ამავდროულად, რეპორტიორებმა, რომლებიც ბეისბოლზე წერენ, აუცილებლად უნდა იცოდნენ თამაშის წესები.

რეპორტაჟში საკითხი ერთზე მეტი მხრიდან უნდა გაშუქდეს. ჩაატარეთ კვლევა და აიღეთ ინტერვიუები, რათა გაიგოთ სხვადასხვაგვარი მოსაზრებები და სხვადასხვა ექსპერტების ანალიზები, როცა უფრო რთულ თემაზე აკეთებთ რეპორტაჟს. მიაწოდეთ მკითხველებს ინფორმაცია, დაეხმარეთ მათ ყველა შეხედულების გაგებაში, რომ მათ ამის საფუძველზე შეძლონ საკუთარი დასკვნების გაკეთება.

რეპორტიორები სკეპტიკოსები არიან. ისინი ყოველთვის ამოწმებენ ფაქტებს და მუდამ ახსოვთ, რომ წყაროს საკუთარი ფარული მოტივები შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხსა თუ მოვლენასთან დაკავშირებით.

წერეთ გასაგებად

მკაფიოდ წარმოიდგინეთ ამბავი, რის შესახებაც წერთ. ჰკითხეთ საკუთარ თავს: რის თქმას ვცდილობ მკითხველისთვის? თუ შეგიძლიათ, ამ კითხვას ერთი ან ორი წინადადებით უპასუხოთ, სტატიის დასაწერად მზად ხართ.

გაზეთების მკითხველები ელოდებიან მოკლე და იოლად წაკითხვად სტატიებს. რეპორტიორებმა ისეთი სიტყვები უნდა შეარჩიონ, რომლებიც აზრს ზუსტად გადასცემს.

წინადადების სტრუქტურა არ უნდა იყოს რთული.

გრაფიკებით გამოსახული ინფორმაციის გაგება შეიძლება უფრო ადვილი იყოს, ვიდრე იმავე ინფორმაციის შემცველი რამდენიმე აბზაცის კითხვა. რუკები, ცხრილები და გრაფიკები ინფორმაციის მოკლედ და ზუსტად გადასაცემად გამოიყენება. გამოიყენეთ მათემატიკის ცოდნა გრაფიკების, სვეტოვანი და წრიული დიაგრამების შესაქმნელად. რუკები, ცხრილები, ნახაზები და გრაფიკები ეხმარება მკითხველს, სწრაფად გაიგოს სტატიის შინაარსი.

დასარიგებელი მასალა

ახალი ამბების ლექსიკონი

სიზუსტე: ინფორმაციის სანდოობა და სისწორე. სიზუსტისთვის საჭიროა, რომ ჟურნალისტმა გადაამოწმოს ინფორმაცია, გამოიყენოს სანდო წყაროები და გარეშე გავლენებისგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს.

ბალანსი: ერთზე მეტი პოზიციიდან საკითხის განხილვა; იმის გაცნობიერება, რომ ყველა არ ეთანხმება ამ მოქმედებას, მოვლენას თუ კონცეფციას. ეს გვეხმარება რაციონალურ მსჯელობაში და ხელს უწყობს ადამიანებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში.

სიცხადე: წარმოდგენილია მკაფიოდ და გასაგებად. ეს მიიღწევა წერის სტილით, წინადადების წყობით, ავტორების მითითებით, ფოტოების და ინფორმაციის გრაფიკული გამოსახვის გამოყენებით.

მიუკერძოებლობა: რეპორტიორი არ ემხრობა არცერთ პოზიციას, სხვადასხვა თვალსაზრისის მიმოხილვის და სრული ინფორმაციის წარმოდგენის საშუალებით ის საკითხს ერთზე მეტი მხრიდან წარმოადგენს. ეს ეწინააღმდეგება ისეთ ჟურნალისტიკას, რომელიც თავს ესხმის ვინმეს.

პირველი გვერდი: გაზეთის პირველი გვერდი; პირველ გვერდზე იბეჭდება ის სტატიები, რომლებიც, რედაქტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭიროა მათი მკითხველისათვის.

ჟურნალისტი: ადამიანი, რომელიც წერს გაზეთისთვის ან მისი რედაქტორია, საინფორმაციო ვებგვერდისთვის, რადიო ან ტელეკომპანიისთვის. ინტერნეტის გავრცელებასთან ერთად გაჩნდნენ მოქალაქე ჟურნალისტები, რომლებიც აქვეყნებენ ახალ ამბებს, ინფორმაციას და საკუთარ შეხედულებებს პირად ვებგვერდებზე.

ახალი ამბავი: ინფორმაცია, რომელიც თანამედროვეა და ახალი ამბის კრიტერიუმებით შეფასებას აკმაყოფილებს. ახალი ამბავი არის ინფორმაცია, რომელიც ადამიანებს სჭირდებათ,

რომ რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღონ. ინფორმაცია, რომელსაც აქვს ახალი ამბის ღირებულება.

ახალი ამბის შეფასება: ახალი ამბების ღირებულების შემოწმება და საკუთარი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იმის გადასაწყვეტად, რომელი ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს.

გაზეთი: ყოველდღიური, ან გარკვეული ინტერვალით დაბეჭდილი გამოცემა, რომელიც აცნობს მკითხველებს ახალ ამბებს, სარედაქციო სტატიას, სტატიებს ძირითად თემებზე და სპორტზე, რეკლამებს და განცხადებებს.

ახალი ამბის ღირებულება: მახასიათებელი ან თვისება, რაც ინფორმაციას ახალ ამბად აქცევს. ასეთი მახასიათებლებია დროულობა, სიახლოვე, მასშტაბურობა, მნიშვნელობა, ცნობილობა, კონფლიქტი და პროგრესი.

გამოქვეყნების ღირსი: ინფორმაცია, რომელიც საკმარისად საინტერესოა და მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ გამოქვეყნდეს.

ობიექტური: ინფორმაციის მოპოვება და ინტერვიუების აღება პირადი ინტერესის გარეშე. ეს აისახება დასრულებული სტატიის ბალანსსა და სიზუსტეზე.

რეპორტიორი: ადამიანი, ვისი სამუშაოც ფაქტების პოვნა და ბეჭდვითი თუ სამაუწყებლო მედიის გამოყენებით საზოგადოებისთვის ამ ფაქტების გადაცემაა. მას აგრეთვე უწოდებენ ჟურნალისტს, რედაქციის თანამშრომელს და კორესპონდენტს.

პასუხის უფლება: ადამიანისთვის ან ორგანიზაციისთვის, რომელზეც დაიწერა სტატია, საშუალების მიცემა, რომ საკითხზე ან მოვლენაზე საკუთარი აზრი გამოხატოს. მიუკერძოებლად უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პოზიციებიც არსებობს. ინტერვიუ ჩაიწერება ციტატების, პარაფრაზების ან აღნიშნული თვალსაზრისის მოკლე შეჯამების სახით.

ახალი ამბების ვებგვერდი: ახალი ამბების ინტერნეტ ან ციფრული წყარო.

აქტივობა

რას გააკეთებდით?

სიტუაცია პირველი: სხვა რეპორტიორების ინტერვიუების გამოყენება

თქვენ წაიკითხეთ შესანიშნავი ციტატა, რესპონდენტის ძალიან კარგად ჩამოყალიბებული კომენტარი *Xinhua*-ს რეპორტიორის მიერ დაწერილ სტატიაში. თქვენ წერთ იმავე თემაზე. მოგწონთ, როგორ გამოხატა ამ ადამიანმა სათქმელი.

- იყენებთ ციტატას თქვენს სტატიაში?

სიტუაცია მეორე: წყაროების მოერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება

თანაკლასელმა დაგირეკათ და გიამბოთ, რომ სკოლის საუკეთესო კალათბურთელი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ამ ამბავში ალკოჰოლიც ფიგურირებს. თქვენ ხართ სკოლის გაზეთის ვებგვერდის რეპორტიორი.

- სასწრაფოდ წერთ მოკლე „სენსაციურ სიახლეს“ ვებგვერდისთვის?

სიტუაცია მესამე: ფინანსებზე წერა და პირადი მოსაზრებები

თქვენ კითხულობთ სტატიის დასაწყისს:

დიდი თანხები დაიხარჯა სკოლის ჩოგბურთის მაგიდების შეკეთებაზე. პროექტმა განსაზღვრულ ბიუჯეტს გადააჭარბა. ზოგიერთი სხვა სპორტსმენი უკმაყოფილოა, რომ მაგიდის ჩოგბურთს ამდენი ყურადღება ეთმობა. მე მათ ვეთანხმები.

- თქვენი აზრით, ეს კარგი რეპორტაჟია?

სიტუაცია მეოთხე: რეპორტიორების დავალებები

გაზეთის რედაქციაში გყავთ გოგონა, რომელიც სკოლის ფრენბურთის გუნდის წევრიცაა. ის უკვე სამი წელია თამაშობს, იცნობს ყველა მოთამაშეს და მწვრთნელს, იცის თამაშის წესები და შეუძლია გუნდის ოპონენტების ძალების შეფასება.

- შეიძლება მას დავავალოთ ფრენბურთის გუნდის შესახებ რეპორტაჟის გაკეთება?

სიტუაცია მეხუთე: ჭორი

სამი მასწავლებელი თქვენი სკოლის სხვადასხვა კათედრიდან გეუბნებათ, რომ დირექტორი წელს მიდის სამსახურიდან. თქვენ გჯერათ სამივე მასწავლებლის. ისინი არ ავრცელებენ ჭორებს.

- უნდა დაწეროთ და გამოაქვეყნოთ ამის შესახებ? ეს მნიშვნელოვანი ახალი ამბავია თქვენი სკოლისთვის.

გაკვეთილი 3

ინტერვიუ

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები.

დასარიგებელი მასალა: „მოემზადეთ ინტერვიუსთვის“, „რჩევები ინტერვიუს ასაღებად: აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა“, „ინტერვიუს ლექსიკონი“, „ივარჯიშეთ ინტერვიუს აღებაში“

ცნობები მასწავლებლისთვის

ინტერვიუ ახალი ამბების, ძირითად თემებზე დაწერილი სტატიების და სარედაქციო სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება საჭირო ადამიანებისგან (მაგალითად, თანამდებობის პირი, მასწავლებელი, მეცნიერი). ინტერვიუს საშუალებით შეგიძლიათ მიიღოთ „ადამიანი ქუჩიდან“ ტიპის მარტივი პასუხები კითხვაზე. ინტერვიუს საშუალებით ვიგებთ მოსაზრებებს და შეხედულებებს, რომელთა გამოყენება შეგვიძლია ციტატებში. შეიძლება გავიგოთ ან დავადასტუროთ ძირითადი ფაქტები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ძალიან რთული თემის შემთხვევაში სწორად შერჩეულ რესპონდენტთან ინტერვიუს შეუძლია რეპორტიორს დეტალების უკეთ გაგებაში დაეხმაროს, რაც გააუმჯობესებს რეპორტაჟს ან ჩაატარებინებს დამატებით ინტერვიუებს.

ეს შეხვედრა დაეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ ინტერვიუების კარგად წარმართვა და ისეთი დეტალების გამოაშკარავება, რაც რეპორტაჟის უკეთ დაწერაში შეუწყობს ხელს.

მიზნები

- მოსწავლეები განიხილავენ ინტერვიუს მნიშვნელობას კარგი სტატიის დასაწერად.
- მოსწავლეები ისწავლიან განსხვავებას ღია კითხვებსა და ისეთ კითხვებს შორის, რომლებსაც მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ უნდა უპასუხო.
- მოსწავლეებს შეეძლებათ, ისე ჩამოაყალიბონ შეკითხვები, რომ მიიღონ საჭირო ინფორმაცია.
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ რესპონდენტები:

    - ადასტურებენ ან გვაწვდიან ინფორმაციას
    - აჩენენ რეპორტაჟის წერისა და კვლევის გაგრძელების ახალ მიმართულებებს
    - გვაწვდიან თვითმხილველის მიერ დეტალურად აღწერილ მოვლენებს
    - გვაჩვენებენ ადამიანის საინტერესო მხარეებს, განსაკუთრებით პიროვნული ისტორიების წერისას
    - ამბობენ ცოცხალ და საინტერესო ციტატებს
    - აყალიბებენ გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს
- მოსწავლეები გაუმჯობესებენ ინტერვიუს აღების უნარს ვარჯიშის საშუალებით

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

გაკვეთილის დაწყებისთანავე სთხოვეთ ორ მოხალისეს, აჩვენონ კითხვა-პასუხის ნიმუში. მათ ერთმანეთს *სამი* შეკითხვა უნდა დაუსვან ინტერესის სფეროების შესახებ. მიეცით დაწერილი ინსტრუქცია, ან გვერდზე გაიყვანეთ მოხალისეები და აუხსენით, რომ პირველი შეკითხვა, რასაც დასვამენ, დიახ-არა ტიპის უნდა იყოს, მეორე და მესამე შეკითხვები კი ღია კითხვები, რასაც სრული პასუხი დასჭირდება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეკითხვებს დაუსვამენ ერთმანეთს, მთელ კლასს ჰკითხეთ ორი შეკითხვა. ჯერ იკითხეთ: „რომელ შეკითხვებს მოჰყვა ყველაზე ინფორმაციული პასუხები?“ მიიღეთ სამი ან ოთხი პასუხი მოსწავლეებისგან.

ჰკითხეთ მათ: რა განსხვავებაა ამ კითხვების პასუხებიდან მიღებულ ინფორმაციას შორის? ინტერვიუერთა პირველი შეკითხვა იყო დიახ-არა ტიპის. ამ ტიპის შეკითხვა ზღუდავს პასუხის შესაძლებლობას. მეორე და მესამე შეკითხვები ღია კითხვების მაგალითებია. ამ ტიპის კითხვებით უფრო მეტი ღირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება.

იგივე შეიძლება ითქვას რეპორტიორებზეც. მათ ავარჯიშებენ ღია შეკითხვების დასმაში. დიახ-არა ტიპის შეკითხვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში სვამენ, როცა რაიმეს სწრაფად დადასტურება, ან ინტერვიუსთვის საუკეთესო ადამიანის პოვნაა საჭირო. მაგალითად: ხართ თუ არა X და Y მოსწავლეებს შორის ჩხუბის მოწმე?

მეორე ეტაპი

დრო: 6 წუთი

უთხარით მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი ივარჯიშებენ შეკითხვების სწორად დასმაში ინფორმაციის მისაღებად, რომელსაც შემდეგ გამოიყენებენ მოკლე პორტრეტის, ახალი ამბების, სარედაქციო სტატიის ან ძირითად თემაზე სტატიის დასაწერად. ამას ეწოდება „ინტერვიუს აღება“. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს საჭირო შეკითხვების დასმას.

მასწავლებლებმა შეიძლება დაიწყონ მოსწავლეებისთვის ორი შეკითხვის დასმით:

1. რისთვისაა საჭირო ინტერვიუ?
2. ვისგან უნდა ავიღოთ ინტერვიუ?

როცა მოსწავლეები ამ კითხვებს უპასუხებენ, მათი პასუხები დაფაზე დაწერეთ. ორივე შეკითხვისთვის გთავაზობთ შესაძლო პასუხებს, რომლებიც შეგიძლიათ დისკუსიაში გამოიყენოთ.

1. **რისთვისაა საჭირო ინტერვიუ?**

მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ ინტერვიუს აღების მიზეზებზე. მათ შორისაა:

- კარგი ინტერვიუ უმნიშვნელოვანესია კარგი რეპორტაჟის დასაწერად. რეპორტიორები მიდიან, სადაც მოვლენები ხდება და ხდებიან მოქმედებათა თვითმხილველნი, იყენებენ იმ ადამიანთა მონაცემებს, რომელთაც სანდო წყაროები შეიძლება ვუწოდოთ. ისინი იღებენ ინტერვიუებს თვითმხილველებისგან, ადამიანებისგან, ვინც მონაწილეობდა მოქმედებებში და ექსპერტებისგან. ყველა ამ შედეგის თავმოყრა ეხმარება ჟურნალისტს მიუკერძოებელი და კარგი რეპორტაჟის გაკეთებაში.
- ინტერვიუს საშუალებით მიღებულ ინფორმაციას შეუძლია სტატიის გაუმჯობესება.
- ინტერვიუებით მიღებული ციტატები რეპორტიორს საშუალებას აძლევს, საკუთარი პირადი აზრის მოშველიების გარეშე აჩვენოს განსხვავებული შეხედულებები. ეს წყაროები საკუთარ გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს გვაწვდიან.
- ინტერვიუს მეშვეობით შესაძლებელია ცოცხალი და საინტერესო ციტატების მიღება.

- რეპორტიორებს სურთ სიზუსტე. სიზუსტის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა ინფორმაციის გადამოწმება. რესპონდენტების გულდასმით შერჩევა ადასტურებს ინფორმაციას.
- რესპონდენტებისგან შეიძლება ისეთი ინფორმაციის მიღება, რასაც სხვა წყაროებიდან ვერ მიიღებ.

2. ვისგან უნდა ავიღოთ ინტერვიუ?

ჟურნალისტებს მხოლოდ შეკითხვების კარგად ფორმულირება კი არ სჭირდებათ, მათ ინფორმაციის საუკეთესო წყაროც უნდა იპოვონ: ვისგან მიიღებენ საჭირო ინფორმაციას? ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის სტატია უნდა დაწერონ - პორტრეტი, სპორტული ამბები, ახალი ამბები თუ ძირითადი თემა? ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გამოდგეს პირველად ან მეორეულ წყაროდ.

პირველწყარო: ის, ვინც უშუალოდ ფლობს ინფორმაციას, თვითმხილველი, ვისაც ძალიან ახლო შეხება აქვს ახალ ამბავთან.

მეორეული წყარო: ის, ვისაც ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული, ვინც არ ყოფილა მოვლენასთან ახლოს. ახალი ამბების სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, როგორიცაა ინტერნეტი, გაზეთები ან ჟურნალები.

ინტერვიუს აღების გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდეგ მოსწავლეებს გაუადვილდებათ გარკვევა, რომელ რესპონდენტებს შეუძლიათ ყველაზე საჭირო ინფორმაციის და საუკეთესო ციტატების მოცემა სტატიებისთვის.

კარგი ინტერვიუების უმეტესობა საუბარს ჰგავს. როცა ეს შესაძლებელია, ჟურნალისტები ცდილობენ, თავისუფლად აგრძნობინონ თავი რესპონდენტს და მათთვის მოხერხებული იყოს ინფორმაციის გაზიარება. რეპორტიორმა უნდა დააფასოს საკუთარი რესპონდენტის ცოდნა და დრო.

ინტერვიუების უმეტესობა მეგობრული და ზრდილობიანია.

თითოეული ინტერვიუს დროს უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს სხვადასხვა გეგმა და ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ჟურნალისტის გეგმებში შედის:

- მიიღოს ინფორმაცია და დაწეროს სტატია
- ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველებს და მსმენელებს
- გაიუმჯობესოს კარიერა
- საკუთარი გაზეთი ან სხვა მედია საშუალება კარგად წარმოაჩინოს

ზოგჯერ წყაროს გეგმებში შეიძლება შედიოდეს:

- დამალოს ინფორმაცია
- დაიცვას საკუთარი პოზიცია
- საკუთარი თავი, კომპანია ან ოჯახი კარგად წარმოაჩინოს

მეორე მხრივ, წყაროს ხშირად სურს, გაუზიაროს ინფორმაცია და დაეხმაროს ჟურნალისტს მიუკერძოებელი და ზუსტი სურათის შექმნაში.

ინტერვიუს პროცესის გამოკვეთა

მესამე ეტაპი

დრო: 15 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „მოემზადეთ ინტერვიუსთვის“. ინფორმაცია ინტერვიუს აღების შესახებ ნაწილებადაა დაყოფილი: ინტერვიუმდე, შეკითხვები, ინტერვიუს განმავლობაში, ინტერვიუს დასრულება და ინტერვიუს შემდეგ.

განიხილეთ თითოეული ნაწილი მოსწავლეებთან ერთად.

დაურიგეთ მოსწავლეებს „რჩევები ინტერვიუს ასაღებად: აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა“. ეს მასალა განამტკიცებს ცოდნას, რაც მოსწავლეებმა უკვე მიიღეს „მოემზადეთ ინტერვიუსთვის“ მასალის ნაწილიდან – ინტერვიუს განმავლობაში. ის აგრეთვე განმარტავს ეთიკას და ინტერვიუს ჩაწერის მიზეზებს.

დაურიგეთ მოსწავლეებს „ინტერვიუს ლექსიკონი“. ამ მასალაში შეჯამებულია შეკითხვების ტიპები და განმარტებულია ინტერვიუს აღების ძირითადი ტერმინები.

ინტერვიუს აღება

მეოთხე ეტაპი

დრო: 7 წუთი

მოსწავლეებთან ერთად ჩაატარეთ ინტერვიუს რეპეტიცია, რათა შეკითხვების დასმაში ივარჯიშოთ. მასწავლებლებს ამ მიზნით გამოსაყენებლად აქვთ „ივარჯიშეთ ინტერვიუს აღებაში“. მასწავლებელი ითამაშებს უბედური შემთხვევის მოწმის როლს, რომელიც Overseas Chinese Town (OCT) East გასართობ პარკში მოხდა 2010 წლის 29 ივნისს. ამ უბედური შემთხვევის შესახებ მოცემულია სამი სტატია.

მასწავლებელმა უნდა გააკეთოს ინტერვიუს აუდიოჩანაწერი. ჩანაწერს გაკვეთილზე გამოიყენებენ, რომ დაადასტურონ ციტატების და სხვა ინფორმაციის სიზუსტე.

უთხარით მოსწავლეებს, რომ მათ უნდა აიღონ ინტერვიუ. თქვენ ითამაშებთ [თქვენივე შერჩეული სახელი] როლს. მხოლოდ ის უთხარით, რომ თქვენ იმყოფებოდით OCT პარკში 29 ივნისს და საკუთარი თვალით ნახეთ უბედური შემთხვევა.

მიეცით მოსწავლეებს ორი წუთი, რომ ჩაიწერონ შეკითხვები, რასაც ინტერვიუს დროს დასვამენ.

როცა ინტერვიუ დაიწყება, ერთ-ერთმა მოსწავლემ უნდა დააზუსტოს, როგორ იწერება თქვენი სახელი და პარკის სახელი. ვინმემ უნდა იკითხოს, რომელ ატრაქციონზე და რა დროს მოხდა ეს შემთხვევა. თუ მათ ეს არ იკითხეს, ინტერვიუს დასრულების შემდეგ შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ინტერვიუს აღების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მათ აქვთ ძირითადი ინფორმაციის მიღების პასუხისმგებლობა.

ინტერვიუს შეფასება

მეხუთე ეტაპი

დრო: 6 წუთი

მოსწავლეებმა გარკვეული დრო უნდა დაუთმონ ჩანაწერების განხილვას, რომლებიც გააკეთეს ინტერვიუს რეპეტიციის დროს. სთხოვეთ მათ, ხაზი გაუსვან იმ პასუხებს, რასაც უცვლელად ციტირებისთვის გამოიყენებენ. „+“ ნიშნები დაუწერონ საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც გამოიყენებენ, მაგრამ არა ციტატის სახით.

დასვით შემდეგი შეკითხვები, რათა შეაფასოთ ინტერვიუს ჩატარება:

- ვინ დასვა შეკითხვა, რომელსაც ყველაზე კარგი პასუხი მოჰყვა?

- მიიღეთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია ამ თემაზე მოკლე სტატიის დასაწერად?
- თქვენ და თქვენმა თანაკლასელებმა კარგად გამოიყენეთ დრო საჭირო შეკითხვების დასასმელად?
- რა შეკითხვა გსურდათ, რომ დასმულიყო?

სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს, დაგისახელოთ პასუხი, რომელიც ციტატაში გამოსაყენებლად შეარჩია. „პასუხის“ ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ იმსჯელეთ, რატომ აირჩიეს ეს პასუხი.

- იგივე პასუხი სხვა მოსწავლეებსაც აქვთ ხაზგასმული?
- ვინმეს უკეთესი ციტატა ხომ არა აქვს შერჩეული?
- რესპონდენტის სიტყვები ზუსტადაა ციტირებული? ამ პასუხის შემოწმება შეიძლება ჩანაწერის გადახვევით და იმ ფრაგმენტის მოსმენით, სადაც ეს ფრაზა ითქვა. მასწავლებელმა უნდა მიუთითოს, რომ თუ ამ პასუხის სტატიაში გამოყენებას აპირებენ, ციტატა აუცილებლად უნდა შემოწმდეს. სტატიაში გამოყენებული ციტატა ზუსტად უნდა ემთხვეოდეს აუდიოჩანაწერს.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 1 წუთი

ინტერვიუ ახალი ამბების, ძირითად თემატური სტატიების და სარედაქციო სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ინტერვიუს საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ „ადამიანი ქუჩიდან“ ტიპის მარტივი პასუხები, მოსაზრებები და შეხედულებები, მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ინტერვიუ უფრო წარმატებული გამოდის, თუ რეპორტიორი წინასწარ იკვლევს ინფორმაციას და ამზადებს შეკითხვებს ინტერვიუსთვის.

პირველადი და მეორეული წყაროების გამოკითხვით ინტერვიუერები მოვლენისა და სიტუაციის უფრო სრულ სურათს იღებენ; აქედან გამომდინარე, სტატიაც უფრო ზუსტი იქნება. იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთ წყაროს განსხვავებული გეგმები შეიძლება აღმოაჩნდეს, რომ მათ შეხედულებებზე გავლენას შეიძლება ახდენდეს დაკავებული

თანამდებობა და ურთიერთობები, ეხმარება რეპორტიორებს, დააბალანსონ და შეაფასონ სხვადასხვა წყაროსგან მიღებული ინფორმაცია.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებმა მეტი უნდა იფიქრონ იმაზე, როგორ ჩამოაყალიბონ შეკითხვა საჭირო ინფორმაციის მისაღებად. სთხოვეთ მოსწავლეებს, ყოველთვის იფიქრონ შეკითხვებზე, რომლებსაც მომდევნო სამი დღის განმავლობაში დასვამენ.

- იქნება ეს ღია კითხვები, თუ დიახ-არა ტიპის?
- შეიძლება თუ არა მოცემული შეკითხვის უკეთ ფორმირება მეტი ინფორმაციის მისაღებად?
- იფიქრეთ შეკითხვებზე, რომლებზე პასუხიც გსურთ, ვიდრე დავალების კითხვას დაიწყებდეთ.

მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ ჟურნალში ჩანაწერის გაკეთება მეოთხე გაკვეთილისთვის მოსამზადებლად. განიხილეთ ჟურნალის მიზანი, როგორც ეს მეორე ეტაპზე ახსნილი. შეიძლება მოსწავლეებს ვთხოვოთ, რომ ხუთი წუთის განმავლობაში წერონ ჟურნალის ჩანაწერი, შეიძლება ვთხოვოთ ერთი გვერდის შევსება, ან ვუთხრათ, რომ დაწერონ იმდენი, რამდენიც თავად სურთ. მათ ვთხოვთ, გულახდილად უპასუხონ თემას.

მიეცით მოსწავლეებს ამ ჟურნალის თემა: სამი რამ, რაც მინდა რომ ჩემს შესახებ იცოდნენ. აუხსენით, რომ პასუხი შეიძლება მოიცავდეს მათ უნარებს, ინტერესებს, გამოცდილებას, მაგრამ არაა აუცილებელი ამით შემოიფარგლონ.

ჟურნალის თემის საშინაო დავალებად მიცემა გამოგითავისუფლებთ ხუთ წუთს მეოთხე გაკვეთილზე სხვა მიზნით გამოსაყენებლად.

დასარიგებელი მასალა

მოემზადეთ ინტერვიუსთვის

კარგი ინტერვიუ მთავარია კარგი რეპორტაჟისთვის. კარგ ინტერვიუს შეუძლია ახალი მიმართულებების დასახვა თქვენი რეპორტაჟისთვის. მას შეუძლია აღწერილი მოვლენები თვითმხილველის თვალით დაგვანახოს, ისეთი დეტალებითა და ფერებით, რომლებიც გამოაცოცხლებს მონათხრობს. საინტერესო ციტატები კონკრეტულობას შესძენს ამბავს.

ამის გამო, ინტერვიუს დროს ყოველთვის ყურადღებიანი და კარგად მომზადებული უნდა იყოთ.

<u>ინტერვიუმდე</u>

განსაზღვრეთ თემა, რომლის ცოდნაც სჭირდებათ თქვენს მკითხველებს. რატომ უნდა იცოდნენ თქვენმა მკითხველებმა ეს ინფორმაცია, ან თქვენი მკითხველების რომელ ჯგუფს მოუნდება ამის გაგება? გაარკვიეთ, რა იცით ამ თემის შესახებ უკვე, რა ფაქტები გაქვთ და როგორ უკავშირდება ეს თქვენი სკოლის ცხოვრებას. დაადგინეთ, კიდევ რისი ცოდნა ან დაზუსტება გჭირდებათ.

ჩაატარეთ კვლევა. კვლევის ჩატარება მანამდე გჭირდებათ, ვიდრე ინტერვიუზე წახვალთ. გაარკვიეთ ყველაფერი, რასაც შეძლებთ. ეს დაგეხმარებათ შეკითხვების სწორად ფორმირებაში და თქვენს რესპონდენტსაც ეცოდინება, რომ თქვენ „საშინაო დავალება შეასრულეთ“ და ინტერვიუსთვის მოემზადეთ.

შეარჩიეთ ყველაზე შესაფერისი ადამიანი ინტერვიუსთვის. გაარკვიეთ, რატომ გსურთ ამ ადამიანისგან ინტერვიუს აღება. შეუძლია მას ისეთი ინფორმაციის, თვალსაზრისის ან სხვაგვარი ხედვის მოწოდება, როგორსაც მხოლოდ ექსპერტი ან საქმეში ჩახედული ადამიანი გაგვიზიარებს?

წინასწარ მოამზადეთ შეკითხვები. განსაზღვრეთ, რომელ შეკითხვებზე გჭირდებათ პასუხის აუცილებლად მიღება, რომ თქვენი ამბავი შეივსოს დეტალებით. თუ თქვენი რესპონდენტი

მოულოდნელად გეტყვით: „10 წუთში თვითმფრინავში უნდა ვიყო, მივემგზავრები“, პირველად რა შეკითხვას დაუსვამთ?

რესპონდენტს დროს ტყუილად ნუ დააკარგინებთ. მხოლოდ ისეთი შეკითხვები დაუსვით, რაზეც მხოლოდ მას შეუძლია გიპასუხოთ. დანარჩენი ინფორმაცია სხვაგან მოიძიეთ.

ინტერვიუს წინ მოეწყეთ კომფორტულად. შეამცირეთ პოტენციური ხელის შემშლელი ფაქტორები. შეამოწმეთ, რომ თქვენი ხელსაწყოები (კალამი, კომპიუტერი, ხმის ჩამწერი, ტელეფონი, ყურსაცვამი და ა. შ.) გამართულად მუშაობს. იზრუნეთ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ხელი არაფერმა შეგიშალოთ.

ჩაიცვით შესაფერისად. თქვენმა გარეგნობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, როგორ გიპასუხებთ რესპონდენტი.

<u>შეკითხვები</u>

ზოგი შეკითხვა უფრო ეფექტურია, ზოგი – ნაკლებად.

მოერიდეთ შეკითხვებს, რომლებსაც შეიძლება უპასუხო „დიახ“ ან „არა“. თქვენ გსურთ, რომ სასაუბროდ გამოიწვიოთ რესპონდენტი და კარგი ციტატები მიიღოთ. შეზღუდულპასუხებიანი შეკითხვებით ეს არ გამოგივათ. კარგი შეკითხვები ხშირად იწყება სიტყვით „რატომ“.

მოერიდეთ არჩევანის შემცველ შეკითხვებს. მაგალითად: „სიტუაცია ასეთია, თუ ისეთი?“ ამ ტიპის შეკითხვების პრობლემა ისაა, რომ თქვენი რესპონდენტის აზრით, შეიძლება არცერთი ვარიანტი არ იყოს მართალი. ანდა თუ მას არ სურს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თქვენ მას საშუალებას აძლევთ, იოლად გიპასუხოთ – „არცერთი“. – და ამით ინფორმაციას ვერ იღებთ.

დასვით ღია კითხვები. ამ ტიპის შეკითხვები რესპონდენტს წაახალისებს, რომ მეტი ინფორმაცია გასცეს. ამგვარი შეკითხვებით ვარკვევთ „როგორ“, „რატომ“ და „რა მოხდა“. შეკითხვა შეიძლება დაიწყოთ ფრაზით „როგორ ფიქრობთ...“, „მოგვიყევით...“ ან „როგორია ვითარება?“

შეკითხვები მოკლედ დასვით. თუ კითხვის დასმისას ძალიან ბევრ ინფორმაციას გაუზიარებთ, რესპონდენტს შეიძლება დაავიწყდეს, რა ჰკითხეთ.

<u>ინტერვიუს განმავლობაში</u>

კარგი ინტერვიუების უმეტესობა საუბარს ჰგავს. ჟურნალისტებს სურთ, რესპონდენტს თავისუფლად აგრძნობინონ თავი, რომ მათთვის მოხერხებული იყოს ინფორმაციის გაზიარება. ინტერვიუების უმეტესობა მეგობრული და ზრდილობიანია. მაგალითად, თუ თქვენ ინტერვიუს იღებთ ცნობილი სპორტსმენისგან მოგებული თამაშის შესახებ, ეს იოლად ასაღები ინტერვიუა.

რესპონდენტთან კარგი ურთიერთობის დამყარების შემდეგ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ დაიცვათ ბალანსი პიროვნების პატივისცემასა და თქვენს მიზანს შორის, მიიღოთ ინფორმაცია.

თითოეული ინტერვიუს დროს უნდა გვახსოვდეს, რომ **არსებობს ყველას თავისი გეგმა აქვს** და ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მაგალითად, თუ თქვენ ინტერვიუს იღებთ კომპანიისგან, რომელსაც მდინარის დაბინძურება ბრალდება, გაგიჭირდებათ საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ჟურნალისტის გეგმებში შედის:

- მიიღოს ინფორმაცია და დაწეროს სტატია
- ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველებს და მსმენელებს
- გაიუმჯობესოს კარიერა
- საკუთარი გაზეთი ან სხვა მედიასაშუალება კარგად წარმოაჩინოს

წყაროს გეგმებში შეიძლება შედიოდეს:

- დამალოს ინფორმაცია
- დაიცვას საკუთარი პოზიცია
- საკუთარი თავი, კომპანია ან ოჯახი კარგად წარმოაჩინოს

ინტერვიუს განმავლობაში გახსოვდეთ ეს მითითებები:

- დაამყარეთ თვალებით კონტაქტი. გამართულად იჯექით და ისე ისაუბრეთ, რომ თქვენი ხმა კარგად ისმოდეს.
- უსმინეთ ყურადღებით და პატივისცემით. რესპონდენტი დროს გითმობთ და დააფასეთ ეს.

- დასაშვებია ხანდახან გაჩუმება. მიეცით რესპონდენტს დრო, რომ ჩამოაყალიბოს პასუხი ან გაიხსენოს ინფორმაცია.
- გააკეთეთ ჩანაწერები – იმ შემთხვევაშიც კი, თუ საუბრის აუდიოჩანაწერს აკეთებთ. მაინც ჩაიწერეთ რამე. ხმის ჩამწერები ხანდახან ფუჭდება, ან მათი ოპერატორები უშვებენ შეცდომებს.
- ყურადღებით მოისმინეთ პასუხები. შემდეგ დასასმელ შეკითხვაზე ფიქრმა ხელი არ უნდა შეგიშალოთ უკვე დასმულ კითხვაზე პასუხის მოსმენაში.
- რესპონდენტის პასუხების მოსმენისას შეაფასეთ, იღებთ თუ არა საჭირო ინფორმაციას. თუ ვერა, შეცვლილი ფორმით დასვით იგივე შეკითხვა და ხელახლა სცადეთ ინფორმაციის მიღება. შესაძლოა, პირველად ვერ მოახერხეთ კითხვის გასაგებად ფორმულირება. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ თქვენი რესპონდენტი თავს არიდებს პასუხს.

როცა საჭიროა, დასვით დამატებითი შეკითხვები. შეკითხვების სია, რომელიც ინტერვიუმდე მოამზადეთ, არის საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება – თუმცა იმის მიხედვით, რა ინფორმაციას იღებთ რესპონდენტისგან, შეგიძლიათ საუბარი სხვა მხარეს წაიყვანოთ. თამამად გადაუხვიეთ მომზადებული შეკითხვებიდან, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა რესპონდენტი ისეთ მოულოდნელ დეტალებზე საუბრობს, რის შესახებაც არაფერი იცოდით. მაგრამ შეინარჩუნეთ სკეპტიკურობა: საუბარი იმიტომ ხომ არ მიჰყავთ სხვა მიმართულებით, რომ უფრო მნიშვნელოვანი რამ არ გაგიმხილონ?

როცა საკმარის ინფორმაციას მიიღებთ, ისევ დაუბრუნდით შეკითხვების სიას. აუცილებლად დაიტოვეთ დრო, რომ მოასწროთ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვების დასმა.

<u>ინტერვიუს დასრულება</u>

დაასრულეთ თითოეული ინტერვიუ ფრაზით „კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?“ ამით შეიძლება კიდევ მიიღოთ რაიმე ინფორმაცია.

ბოლო შეკითხვა ასეთიც შეიძლება იყოს, განსაკუთრებით, რეპორტაჟის წერის ადრეულ სტადიაზე: „ხომ ვერ მირჩევთ, ვის შეიძლება ვესაუბრო ამის შესახებ?

კიდევ: „სხვა რა ხდება ისეთი თქვენს სფეროში, რასაც ჩვენს საუბართან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ/თქვენს ყურადღებას იქცევს/გაწუხებთ?“ ასე შეიძლება შემდეგი სიუჟეტის თემა იპოვოთ, ან საქმის კურსში დარჩეთ.

აუცილებლად ჰკითხეთ რესპონდენტს, როგორ ურჩევნია, რომ დაუკავშირდეთ დამატებითი შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში. ტელეფონით? დააზუსტეთ ტელეფონის ნომერი. ელ.ფოსტით? შეამოწმეთ მისამართი.

<u>ინტერვიუს შემდეგ</u>

თუ აპირებთ, რომ თქვენს სტატიაში გამოიყენოთ ინტერვიუს აღებისას შემჩნეული დეტალები – გარემო, ამინდი, რესპონდენტის ჩაცმულობა ან გარეგნობა, მისი სახის გამომეტყველებები გარკვეული შეკითხვების დასმისას – ჩაიწერეთ ეს ყველაფერი მაშინვე, სანამ კარგად გახსოვთ. (შეიძლება ინტერვიუს დროსვე სცადოთ ამის ჩაწერა, მაგრამ საუბრის დროს გაგიჭირდებათ.)

თუ ინტერვიუს აუდიოჩანაწერი გაქვთ, მოუსმინეთ და დაწერეთ. გადახედეთ ჩანაწერს და დაფიქრდით, კიდევ რის გაგება გჭირდებათ.

მოიფიქრეთ, კიდევ რის გაკეთება შეგიძლიათ: სხვა წყაროებთან ინტერვიუ? მეტი კვლევა კონკრეტულ თემაზე? მონიშნეთ ციტატები, რაც საბოლოო სტატიაში გამოგადგებათ. უკვე შეგიძლიათ დაიწყოთ ფრთიანი ფრაზის მოძებნა, რომელიც გამოგადგებათ სტატიის დასამთავრებლად.

დასარიგებელი მასალა

რჩევები ინტერვიუს ასაღებად: აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა

აუდიოჩანაწერი

1. პროფესიული ეთიკა მოითხოვს, რომ ჰკითხოთ წყაროს, თუ შეიძლება ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის გაკეთება.
2. აუდიოჩანაწერი კარგია ხანგრძლივი ინტერვიუს დროს. ის გეხმარებათ გრძელი კომენტარების ზუსტად ჩაწერაში, რათა შემდეგ ზუსტად შეძლოთ წყაროს ციტირება.
3. აუდიოჩანაწერი გამოიყენება მხოლოდ თქვენს ჩანაწერებთან ერთად და იმ შემთხვევაში, როცა წყარო აცხადებს, რომ მისი ციტატა არასწორადაა მოყვანილი. რვეული მაინც უნდა გქონდეთ იმ შემთხვევისთვის, თუ ტექნიკა გიმტყუნებთ.
4. ბევრი ჟურნალისტი არ იყენებს აუდიოჩანაწერებს. მათი აზრით, აპარატურა ამცირებს წყაროს ნდობას ჟურნალისტისადმი. ზოგიერთ შემთხვევაში წყარო გაცილებით მეტს იტყოდა, მისი საუბარი რომ არ იწერებოდეს.
5. ხმის ჩამწერი წყაროს სახესთან ძალიან ახლოს არ უნდა მივიტანოთ. ეს მას ხელს შეუშლის.
6. როცა გესმით კომენტარი, რომელიც, თქვენი აზრით, საუკეთესო ციტატა იქნებოდა, აუცილებლად ჩაიწერეთ დრო, როცა ეს ითქვა. შეიძლება შემდეგში მთელი ჩანაწერის მოსმენის დრო არ გქონდეთ.

პასუხების ჩანიშვნა

1. შემოიღეთ პასუხების ჩაწერის საკუთარი სტრატეგია. ყველას სხვადასხვა სისტემა აქვს.
2. რვეულში წინასწარ ჩაწერეთ თქვენი შეკითხვები და დატოვეთ რამდენიმე ცარიელი სტრიქონი პასუხებისთვის.
3. წყარო ხშირად თანმიმდევრულად არ პასუხობს თქვენს შეკითხვებს.
4. უსმინეთ და უყურეთ თვალებში.
5. წინასწარ იფიქრეთ დამატებით კითხვებზე.

6. თქვენ შეგიძლიათ, სთხოვოთ წყაროს, ერთი წუთით გადროვოთ, ვიდრე პასუხს ჩაიწერდეთ.
7. შეგიძლიათ, ჰკითხოთ რესპონდენტს, სწორად გაიგეთ თუ არა მისი ნათქვამი. წაუკითხეთ ციტატა, ან თქვენი სიტყვებით გაიმეორეთ.
8. სტატია დაწერეთ ინტერვიუს დამთავრებისთანავე, სანამ კარგად გახსოვთ ყველაფერი.
9. თქვენს ჩანაწერებს თარიღი დააწერეთ და შეინახეთ.
10. თქვენი ჩანაწერები სტატიის დასაწერად გამოყენებული დოკუმენტებია, ამიტომ ისინი გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მანიც უნდა გქონდეთ შენახული.
11. ჟურნალისტიკის მასწავლებლები ხშირად სთხოვენ მოსწავლეებს შეკითხვების ჩვენებას ინტერვიუზე წასვლამდე.
12. ჟურნალისტიკის ზოგიერთი მასწავლებელი სტატიასთან ერთად ჩანაწერების მიტანასაც ითხოვს მოსწავლეებისგან. ასე მასწავლებლებს შეუძლიათ, დარწმუნდნენ, რომ მოსწავლემ სწორად წარმართა ინტერვიუ.

დასარიგებელი მასალა

ინტერვიუს ლექსიკონი

ინტერვიუ: პროცესი, როცა ჟურნალისტი პირისპირ ესაუბრება მცოდნე ადამიანს, რომელსაც წყაროსაც უწოდებენ. ინტერვიუები ყველაზე კარგად ტარდება პირისპირ, თუმცა შესაძლებელია ინტერვიუს აღება ტელეკონფერენციით, ტელეფონით ან ელ. ფოსტით.

რესპონდენტი: ადამიანი, ვისგანაც იღებენ ინტერვიუს, ასევე ცნობილია, როგორც წყარო.

ინტერვიუერი: ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუს იღებს, რეპორტიორი.

წარმმართველი კითხვა: კითხვის ფორმულირება სასურველი პასუხის მისაღებად. ასეთი შეკითხვა აიძულებს რესპონდენტს, გარკვეული ფორმით უპასუხოს. შესაძლოა, რეპორტიორი ამ ხერხით ცდილობს, საკითხი ისე წარმოაჩინოს, როგორც თავად ხედავს.
მაგალითად: თქვენი აზრით, რა სიჩქარით მიდიოდა წითელი მანქანა, როცა შავს შეეჯახა?
მაგალითად: თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ახალი პოლიტიკა უსამართლოა? ეს ზიანს არ მოუტანს ჩვენს მოქალაქეებს?

ღია კითხვა: ისე დასმული შეკითხვა, რომ მასზე მრავალფეროვანი პასუხების მიღებაა შესაძლებელი.
მაგალითად: თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს გლობალური დათბობა ჩვენს გარემოზე?

პირველწყარო: ის, ვინც უშუალოდ ფლობს ინფორმაციას, თვითმხილველი, ვისაც ძალიან ახლო შეხება აქვს ახალ ამბავთან.

მეორეული წყარო: ის, ვისაც ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული, ვინც არ ყოფილა მოვლენებში ჩართული. ახალი ამბების სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, როგორიცაა ინტერნეტი, გაზეთები ან ჟურნალები.

დიახ-არა ტიპის კითხვა: კონკრეტული შეკითხვა, რომლის პასუხიც შეიძლება იყოს მხოლოდ დიახ ან არა. ეს არ აძლევს წყაროს ფართოდ აზროვნების საშუალებას.
მაგალითად: როგორ ფიქრობთ, პარასკევს მოვიგებთ?

აქტივობა

ივარჯიშეთ ინტერვიუს აღებაში

ინტერვიუს რეპეტიცია, ატრაქციონების პარკში მომხდარი უბედური შემთხვევის მოწმე

ჩაატარეთ ინტერვიუს რეპეტიცია. ამ სავარჯიშოსთვის საჭიროა, რომ თქვენ შეასრულოთ ადამიანის როლი, რომელიც იმყოფებოდა პარკში და გადარჩა. წაიკითხეთ ეს სამი სტატია და მოემზადეთ ინტერვიუსთვის. თქვენ ისე უნდა ისაუბროთ, როგორც ადამიანმა, რომელიც პარკში იყო და გადაურჩა კატასტროფას. შესასრულებლად შეგიძლიათ აირჩიოთ ამ სტატიებში დამოწმებული ადამიანებიდან ერთ-ერთის როლი.

პასუხებისთვის ეს სტატიები გამოიყენეთ. მაგალითად, თუ ინტერვიუს დროს გკითხავენ, რა ტიპის დაზიანებები მიიღეს ადამიანებმა, შეგიძლიათ იმ ადამიანთა მონათხრობს დაეყრდნოთ, ვისი ციტირებაც სტატიებშია მოყვანილი. შეეცადეთ, რომ თქვენი მონათხრობი ერთი ადამიანის ნანახს ეფუძნებოდეს, რათა მოსწავლეებმა „ზუსტი“ ინფორმაცია მიიღონ. მაგალითად, თუ თქვენ პარკის სტუმრის როლი აირჩიეთ, ვერ გასცემთ ისეთ ინფორმაციას, რაც მხოლოდ პარკის თანამშრომელს ეცოდინებოდა, მაგალითად, რამდენი ადამიანი იყო პარკში იმ დღეს.

უბედური შემთხვევა გასართობ პარკში, ექვსი ადამიანი გარდაცვლილია, ათმა სხეულის დაზიანება მიიღო

„ჩაინა დეილი“

www.chinadaily.com.cn/china/2010-06/30/content_10037095.htm

მონაცემები აღებულია: 2010-06-30 03:43

შენჟენი – როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ოთხშაბათს დილით პრესისთვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სამშაბათს, სამხრეთ ჩინეთის გუანდონის პროვინციის ქალაქ შენჟენში გასართობ პარკში სამშაბათს მომხდარი უბედური შემთხვევის დროს გარდაიცვალა ექვსი ადამიანი და ათზე მეტმა მიიღო სხეულის დაზიანებები. ხუთი მათგანი მძიმე მდგომარეობაშია.

ექვსი გარდაცვლილიდან ამოცნობილია ორი ქალი და ერთი მამაკაცი, აცხადებენ იანტიანის რაიონში, რომელსაც ეკუთვნის პარკის ტერიტორია.

უბედური შემთხვევა მოხდა 4:45-ზე, როცა Overseas Chinese Town East (OCT East)-ში დაზიანდა ატრაქციონი, რომელიც უწონადობის პირობების შექმნით რაკეტის გაშვების პირობების სიმულაციას ახდენდა.

თუმცა, უბედური შემთხვევის შესახებ სრული ინფორმაცია არ არსებობს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის იანტიანის რაიონული კომიტეტის თანამშრომელმა, სიაო ვენჰონმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ უბედური შემთხვევის მიზეზებს იძიებენ.

სხვა ატრაქციონების უსაფრთხოების შემოწმების მიზნით ოთხშაბათს პარკის ნაწილი დაიკეტება.

შენჟენის მმართველობამ გადაწყვიტა, მთელ ქალაქში შეამოწმოს გასართობი საშუალებების უსაფრთხოება. ამჟამად ქალაქის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები უბედური შემთხვევის ადგილას იმყოფებიან, რომელიც ამჟამად შემოსაზღვრულია და ძიება მიმდინარეობს.

ჟურნალისტები უბედური შემთხვევის ადგილამდე არ მიუშვეს.

ატრაქციონზე მყოფი ადამიანის, გვარად ჟანის, განცხადებით, რომელიც უვნებლად გადარჩა, უბედური შემთხვევის მიზეზი გახდა ის, რომ ატრაქციონს, რომელიც 11 ოთხადგილიანი კაბინისგან შედგება, მოულოდნელად შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

„უცებ დენი გამოირთო და დამწვრის სუნი ვიგრძენი. კარის გაღება და გაქცევა მოვასწარით, ამასობაში სახანძრო ბრიგადაც მოვიდა და დანარჩენების გადარჩენა დაიწყეს," ამბობს ჟანი.

„აფეთქების ხმა გავიგე და გონება დავკარგე", ამბობს დაზარალებული, გვარად ჩანი, იგი იანტიანის რაიონის სახალხო ჰოსპიტალში იმყოფება, სადაც დაშავებულებს მკურნალობენ.

ჩანს, ცენტრალური პროვინცია ჰენანის მკვიდრს, აქვს მარჯვენა ხელის და მარცხენა ფეხის მოტეხილობა. *Xinhua*-ს რეპორტიორის თანახმად, მან თავად ნახა ორი ადამიანი, რომლებიც თავის ქალის ტრავმით გადაიყვანეს საავადმყოფოში.

დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახის წევრები იკრიბებიან მეიშას სახალხო ჰოსპიტალთან, ეს ერთ-ერთი საავადმყოფოა იმ სამიდან, სადაც დაზარალებულებს მკურნალობენ.

ისინი მოითხოვენ დაღუპულთა და დაშავებულთა სიის გამოქვეყნებას და ინფორმაციას ნათესავების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, გვარად ჟონგი, დაჰპირდა ოჯახის წევრებს, რომ მთავრობა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებას დაწვრილებით ინფორმაციას.

OCT East პარკის ტერიტორიას, რომელიც 9 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, მართავს OCT Enterprises, დიდი სახელმწიფო კომპანია უძრავი ქონების, სასტუმროების, ტურიზმისა და ელექტრომოწყობილობების სფეროში.

კოსმოსური ატრაქციონის მსხვერპლთა ვინაობა დადგენილია

მონაცემები აღებულია: 2010 წლის 30 ივნისს, 21:32:41 პეკინის დროით

www.lifeofguangzhou.com/node_10/node_37/node_84/2010/07/01/127794796178053.shtml

წყარო: „შენჟენ დეილი“

გუშინ დადასტურდა იმ ექვსი ადამიანი ვინაობა, რომლებიც გასართობ ატრაქციონზე სამშაბათს მომხდარი ავარიის დროს დაიღუპნენ OCT East Ecoventure Valley-ის ატრაქციონების პარკში.

გარდაცვლილები არიან 24-დან 48 წლამდე ასაკის ორი მამაკაცი და ოთხი ქალი. 10 ადამიანი დაშავებულია, შენჟენის მთავრობის გუშინდელი განცხადების თანახმად, ამჟამად მათი მდგომარეობა სტაბილურია.

მათ მკურნალობენ შენჟენის სახალხო ჰოსპიტალში, შენჟენის #2 სახალხო ჰოსპიტალში და იანტიანის სახალხო ჰოსპიტალში.

OCT East ატრაქციონების პარკი გუშინ მთელი დღის განმავლობაში დაკეტილი იყო, საგულდაგულოდ შემოწმდა ყველა ატრაქციონი, პარკის ხელმძღვანელობა ბოდიშს უხდის საზოგადოებას კომპანიის ისტორიაში ყველაზე საშინელი კატასტროფის გამო.

ჯერ კიდევ გაურკვეველია, რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა.

კოსმოსური მოგზაურობის ატრაქციონი შედგება 12 ოთხკაციანი ვაგონისგან, რომლებიც ცენტრიდანული ძალის მოქმედებით ბრუნავს და 2G აჩქარებას ქმნის – რაც რაკეტის გაშვების სიჩქარის ტოლია – სამშაბათს 4:45-ზე ატრაქციონი მუშაობდა, როცა ტრაგედია დატრიალდა.

თვითმხილველთა მონათხრობის მიხედვით, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, მოწყდა ერთი ვაგონი, დაეჯახა დანარჩენებს და ავარია გამოიწვია.

ტურისტ ქალს ჰენანის პროვინციიდან, გვარად ჩანს, ხელების და ფეხების მოტეხილობა აქვს. მისი თქმით, ელექტროენერგიის გათიშვამდე დამწვარი რეზინის სუნი იგრძნო.

„ბნელოდა, მძლავრი აფეთქების ხმა გავიგეთ და ადგილებიდან გადმოვცვივდით. გარშემო აურზაური დაიწყო, სხეულებზე და სახეებზე ნავთი და სისხლი გვეცხო," ამბობს ჩანი.

გუანდონის პარტიის ლიდერი ვან იანი და მმართველი ჰუან ჰუაჰუა ავარიის მიზეზების დასადგენად გამოძიებას იწყებენ.

Ecoventure Valley, რომელიც ცნობილია ექსტრემალური ატრაქციონებით, OCT East-ის ერთ-ერთი პარკია, მას აგრეთვე ეკუთვნის სამი „ქალაქის ცენტრი", ოთხი დიდი სასტუმრო და ორი გოლფის მოედანი.

OCT ჯგუფი ირიცხება შენჟენის საფონდო ბირჟაზე და ატრაქციონებისა და კურორტების ერთ-ერთ უდიდეს მშენებლად ითვლება ჩინეთში.

შენჟენის Overseas Chinese Town Holdings კომპანიის წილი, რომლის შემადგენლობაშიც შედის OCT East, გუშინ 9,84 პროცენტით დაეცა შენჟენის საფონდო ბაზარზე.

ჩინეთის გასართობი პარკის მომაკვდინებელი საიდუმლო

5 ივლისი, 2010, 11:57 HKT

http://blogs.wsj.com/chinarealtime/2010/07/05/deadly-chinese-amusement-park-mystery/

ჩინეთის გასართობ პარკში გასულ კვირას მომხდარი მომაკვდინებელი კატასტროფის საიდუმლოს ამოხსნას ჯერ კიდევ ცდილობენ.

ავარია მოხდა კოსმოსური მოგზაურობის ატრაქციონზე, Ecoventure Valley of Overseas Chinese Town პარკში, შენჟენში. ეს ატრაქციონი რაკეტის გაშვების სიმულაციაა, მიზიდულობის ძალაზე ორჯერ მეტი აჩქარებით.

ჩვეულებრივ, 24 მეტრის დიამეტრის მქონე გუმბათის ქვეშ, რომელიც უსაზღვრო სამყაროს განასახიერებს, კოსმოსში მოგზაურობის მონაწილე 40 მგზავრი სწრაფად ტრიალებს და ქანაობს ოთხადგილიან ვაგონებში.

მაგრამ წინა სამშაბათს საშინელება დატრიალდა, რამაც ექვსი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია ამ ატრაქციონზე, 10 კი დაშავდა.

„ოცდაათ წელიწადზე მეტია ამ დარგში ვმუშაობ და ამგვარი მასობრივი კატასტროფა პირველად ვნახე," ამბობს ბი ჯიანბინი, გასართობი პარკებისა და ატრაქციონების ჩინეთის ასოციაციის დირექტორის მოადგილე. ბის თქმით, ეს ექსპერტებისთვის „დიდი დარტყმა" იყო.

არც მთავრობის წარმომადგენლები და არც კომპანია Overseas Chinese Town Holding განმარტავენ, რა მოხდა სინამდვილეში. ადგილობრივმა მმართველობამ გამართა პრეს-კონფერენცია, სადაც პარკის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აცხადებს, რომ უბედური შემთხვევის მიზეზებს „იძიებენ. ასე რომ, სათქმელი არაფერი ქვთ".

რადგან არ არსებობს მიზეზების ახსნა, ჩინური მედია თვითმხილველთა ნაამბობს ეყრდნობა, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია. ერთმა მოწმემ თქვა, რომ მოხდა აფეთქება. მეორემ დამწვრის სუნი ახსენა.

დაუდასტურებელი ცნობებით, ატრაქციონის ერთ-ერთი ვაგონი ჩამოვარდა და მისი მიწაზე დავარდნისას მგზავრები დაიღუპნენ. რამდენიმე წყარო კატასტროფის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. ინტერნეტით ვიდეოც კი გავრცელდა, რომელზეც კატასტროფის წარმოსახვითი სიმულაციაა გაკეთებული. ბი ამბობს, რომ ელექტროენერგიის შეწყვეტას მსგავსი ავარია არ უნდა გამოეწვია. დენის მიწოდება ხანდახან წყდება ხოლმე ატრაქციონებზე, მაგრამ ეს ვერ გამოიწვევს ისეთი მასშტაბის დაზიანებას, როგორიც კოსმოსურ მოგზაურობაზე მოხდა.

ატრაქციონი წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ გაიხსნა, 2009 წლის 1 მაისს. მის ასაგებად გამოყენებული მოწყობილობა შემოწმდა და უსაფრთხოდ ჩაითვალა ჩინეთის სპეციალურ მოწყობილობათა შემოწმებისა და კვლევის ინსტიტუტის მიერ.

როგორც ბი ამბობს, კოსმოსური მოგზაურობის ატრაქციონი აქვს მხოლოდ შენჟენის Ecoventure Valley გასართობ პარკს – სხვა პარკებში მსგავსი რამ არ არის. ახლა ეს ატრაქციონი დაკეტილია, ალბათ, სამუდამოდ, მთავრობის მიერ ორგანიზებული ექსპერტთა ჯგუფი კი კატასტროფის მიზეზებს იძიებს.

ამ კატასტროფამ უკვე გაუფუჭა რეპუტაცია მფლობელ კომპანიასაც და ზოგადად ჩინეთსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რამხელა ტკივილი და ტრავმა გადაიტანეს ტრაგედიის მსხვერპლებმა და მათმა ოჯახებმა.

კატასტროფის შესახებ ცნობების გავრცელებიდან ერთ დღეში შენჟენის Overseas Chinese Town Holding-ის წილი 9%-ზე მეტით დაეცა. ამავდროულად, ამ უბედური შემთხვევის მაგალითი მოჰყავთ იმ თვალსაზრისის მხარდასაჭერად, რომ ჩინეთში დამზადებული ნივთები, იქნება ეს ტყვიის შემცველი სათამაშოები, უვარგისი რძე, თუ გატეხილი ატრაქციონი, არაა უსაფრთხო.

უცნობი წყაროს მიერ გამოქვეყნებული ტრაგედიის აღწერაზე ერთ-ერთი გამოხმაურება ასეთი იყო: „დამზადებულია ჩინეთში, ამით ყველაფერი ნათქვამია."

სამართლიანია ეს თუ არა, ადამიანებს გამოაქვთ საკუთარი დასკვნები, რადგან არ არსებობს სრული განმარტება, რა მოხდა სინამდვილეში.

გაკვეთილი 4

კითხვა-პასუხი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, შესაძლებელია გამოიყენოთ „დასაწყვილებელი სურათები“.

დასარიგებელი მასალა: „North Star: კითხვა-პასუხი – გაცვლითი პროგრამის მოსწავლეები“, „North Star: კითხვა-პასუხი – მოსწავლე სპორტსმენი“

შესაძლო დასარიგებელი მასალა: „ინტერვიუს აღების ხუთი აქტივობა“, „მოკლე ბიოგრაფიული შეკითხვების ნიმუში“, „მოსწავლის მოკლე ბიოგრაფიის ნიმუში“.

ცნობები მასწავლებლისთვის

ინტერვიუ ახალი ამბების, ძირითად თემებზე დაწერილი სტატიების და სარედაქციო სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც მესამე გაკვეთილში აღვნიშნეთ, ინტერვიუს საშუალებით შეგვიძლია მივიღოთ „ადამიანი ქუჩიდან“ ტიპის მარტივი პასუხები კითხვაზე, გავიგოთ ექსპერტების მოსაზრებები და შეხედულებები, მოვიპოვოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ძალიან რთული თემის შემთხვევაში სწორად შერჩეულ რესპონდენტთან ინტერვიუს შეუძლია რეპორტიორს დეტალების უკეთ გაგებაში დაეხმაროს, რაც გააუმჯობესებს რეპორტაჟს ან ჩაატარებინებს დამატებით ინტერვიუებს.

ეს გაკვეთილი დაეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ ინტერვიუების კარგად ჩატარება და კითხვა-პასუხის ფორმით პორტრეტის დაწერა.

მიზნები

- მოსწავლეები განიხილავენ ინტერვიუს აღების და პასუხების ზუსტად ჩაწერის მნიშვნელობას.
- მოსწავლეები დაწერენ შეკითხვებს იმის საჩვენებლად, რომ ესმით განსხვავება ღია კითხვებსა და დიახ-არა ტიპის კითხვებს შორის.
- მოსწავლეებს შეეძლებათ კითხვების ისეთი სახით დასმა, რომ სასურველი ინფორმაცია მიიღონ.
- მოსწავლეები შეიტყობენ, რომ რესპონდენტები:
    - გვაჩვენებენ ადამიანის საინტერესო მხარეებს, განსაკუთრებით პიროვნული ისტორიების წერისას

    - ამბობენ ცოცხალ და საინტერესო ციტატებს
    - აყალიბებენ გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებულ მოსაზრებებს
- მოსწავლეები რესპონდენტის პასუხებს ისე ჩამოაყალიბებენ, რომ დაწერონ პორტრეტი კითხვა-პასუხის ფორმით.
- მოსწავლეებს გაუუმჯობესდებათ ინტერვიუს აღების უნარი პრაქტიკის საშუალებით.

მოამზადეთ დასაწყვილებელი სურათები

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილის დაწყებამდე

დანართ 3-ში მასწავლებლები ნახავენ დასაწყვილებელი სურათების სამ წყვილს. ეს სურათები საკუთარი „ბარათების“ შექმნისას ნიმუშად გამოიყენეთ. ეს სურათები დაწყვილებულია ფუნქციონალური და კულტურული ასოციაციების გათვალისწინებით – კატა და თაგვი, ბაჭია და სტაფილო, ნემსი და ძაფი, კალათბურთი და იაო მინი. შექმენით ერთი სამი სურათისგან შედგენილიც, იმ შემთხვევისთვის, თუ კლასში კენტი რაოდენობის მოსწავლეები გეყოლებათ.

დასაწყვილებელი სურათები გონებრივი სავარჯიშოცაა და ფიზიკურად სამოძრაოც. ჟურნალისტიკა ნიშნავს უცნობებთან შეხვედრას, საუბარს და ინფორმაციის მიღებას. მოსწავლეები დასაწყვილებელი ბარათის ძებნისას გონებაში ეძებენ შესაძლო ასოციაციებს. როცა ისინი ოთახში დადიან და ინტერვიუს პარტნიორს ეძებენ, ისინი შორდებიან საკუთარ სკამებს, ერთად იცინიან და ისვენებენ დავალების მიღებამდე – ეს დავალება კი იქნება საკუთარი „მეწყვილის“ ინტერვიუირება.

აუცილებლად აურიეთ ბარათები, რომ გვერდიგვერდ მჯდომი მოსწავლეების დაწყვილება აიცილოთ თავიდან.

აწარმოეთ ჟურნალი

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად ჟურნალების წარმოება საშუალებას აძლევს მათ, ჩაიწერონ საკუთარი აზრები კონკრეტულ თემებზე, ჩამოწერონ იდეები სტატიებისთვის, ან ჩაწერონ შთაბეჭდილებები ნასწავლი მასალის შესახებ. როცა მასწავლებელი მოსწავლეებს

ჟურნალის წარმოებას ავალებს, მას კიდევ ერთი მეთოდი აქვს ხელთ, შეამოწმოს მათი გავლილი მასალის ცოდნა და როგორ გაიგეს გაკვეთილი. მოსწავლეებს კი საშუალება ეძლევათ, იფიქრონ იმ თემებზე, რაზეც კლასში იმსჯელებენ.

მიეცით მოსწავლეებს ამ ჟურნალის თემა: სამი რამ, რაც მინდა რომ ჩემს შესახებ იცოდნენ. აუხსენით, რომ პასუხი შეიძლება მოიცავდეს მათ უნარებს, ინტერესებს, გამოცდილებას, მაგრამ არაა აუცილებელი, ამით შემოიფარგლონ. თუ მასწავლებელი ჟურნალის თემას საშინაო დავალებად აძლევს, ეს წინა გაკვეთილზე უნდა გააკეთოს და მოსწავლეებმა დღეს უნდა მოიტანონ დაწერილი. თუ კლასში აწერინებს, როცა წერის დრო ამოიწურება, სთხოვს მოსწავლეებს, გვერდზე გადადონ ჟურნალები, მათ ცოტა ხნის შემდეგ გამოიყენებენ.

კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილი პორტრეტი

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ უნდა მოამზადონ პორტრეტი კითხვა-პასუხის ფორმით. ამ აქტივობისთვის საჭიროა მხოლოდ ორი ადამიანი: ჟურნალისტი და წყარო. კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილი პორტრეტი არის დიალოგის ჩანაწერი, ის საშუალებას აძლევს მკითხველს, თითქმის იმავე ფორმით ნახოს საუბარი, როგორც სინამდვილეში მიმდინარეობდა. როგორც წესი, კითხვა-პასუხი ერთი ზოგადი თემის გარშემო ტრიალებს. მაგალითად, თუ ინტერვიუს იღებთ კალათბურთის მწვრთნელისგან, შეკითხვები შეეხება გუნდის თამაშს, ახალ მოთამაშეთა მიწვევას, ამ წლის ძირითად თამაშებს, მოსაზრებებს, როგორ მოვიგოთ თამაში და ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტებს. თუ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის მონაწილე მოსწავლისგან ვიღებთ ინტერვიუს, შეკითხვები შეეხება მის გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიეღო გაცვლით პროგრამაში, ახალ სკოლასთან შეგუებას, სკოლებს, კულტურასა და მოსწავლეთა ცხოვრებას შორის მსგავსებას და განსხვავებებს.

როცა კითხვა-პასუხის ინფორმაციას გამოსაქვეყნებლად ამზადებს, ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს ყველა შეკითხვა და პასუხი. მას შეუძლია გადაანაცვლოს კითხვები, თუმცა მნიშვნელობა უცვლელი უნდა დარჩეს.

აჩვენეთ მოსწავლეებს კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილი პორტრეტის ორი ან სამი ნიმუში სკოლის გაზეთებიდან, ადგილობრივი გაზეთებიდან ან ინტერნეტპუბლიკაციებიდან. ამ მიდგომის გამოყენების სამი ნიმუში „North Star: კითხვა-პასუხი“ მოყვანილია ფრენსის ჰაუელ ნორთის საშუალო სკოლის გაზეთიდან, რომელიც სენტ-ჩარლზში, მისურის შტატში მდებარეობს.

აუცილებლად აუხსენით მოსწავლეებს, რომ შეკითხვაც და პასუხიც ზუსტად იმ ფორმით უნდა დაიბეჭდოს, როგორც ითქვა. პასუხის გადაწერა არ შეიძლება ჟურნალისტის სიტყვებით, ან მოკლე შეჯამების სახით. არ შეიძლება: მან თქვა... არ შეიძლება: მას უყვარს... ამ აქტივობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ზუსტად ჩაწერას.

მოამზადეთ შეკითხვები

მეოთხე ეტაპი

დრო: 6 წუთი

მოსწავლეები დაყავით წყვილებად ინტერვიუების ასაღებად. შეიძლება დავაწყვილოთ შემთხვევითად ან დასაწყვილებელი სურათების გამოყენებით. დაარიგეთ ბარათები კლასში. მოსწავლეებმა თავად იპოვონ კითხვა-პასუხის პარტნიორი, როცა იპოვიან სურათის წყვილს.

ივარჯიშეთ შეკითხვების დაწერაში, ჩაატარეთ ინტერვიუ კლასში. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოამზადონ ხუთიდან ათამდე შეკითხვა, რომელსაც დაუსვამენ მეწყვილეს მისი ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ. პასუხებს გამოიყენებენ კითხვა-პასუხის ფორმით პორტრეტის დასაწერად.

თუ შესაძლებელია ხმის ჩამწერების გამოყენება, გამოიყენეთ ისინი რესპონდენტის ნებართვით. ეს საშუალებას მოგცემთ, გადაამოწმოთ ციტატები.

თუ ზოგ მოსწავლეს გაუჭირდა ინტერვიუს შეკითხვების დაწერა, მათთან ერთად რამდენიმე საკითხს გადახედეთ. ესენია:

- დიახ-არა ტიპის კითხვები არ განაწყობს რესპონდენტს სასაუბროდ, ის არ გპასუხობთ ფრაზებით. კარგი შეკითხვა ზოგჯერ ასე იწყება ხოლმე: „რას...?“ ან „რატომ...?“

- წარმმართველი კითხვით რესპონდენტისგან შეზღუდული პასუხი მიიღება: „სიტუაცია ასეთია თუ ისეთი?“ ამის ნაცვლად ღია კითხვა გამოიყენეთ: „როგორია სიტუაცია?“
- დასვით მოკლე შეკითხვები. თუ შეკითხვა ძალიან გრძელია, რესპონდენტს შეიძლება დაავიწყდეს კიდეც, რას ეკითხებოდით.
- ინტერვიუს დასრულების ეტაპზე დასმული შეკითხვები თქვენი სტატიის თემას აფართოებს და მომავალი სტატიების თემებს გკარნახობთ.

აიღეთ ინტერვიუ

მეხუთე ეტაპი

დრო: 12 წუთი

მოსწავლეთა წყვილიდან თითოეულს ეძლევა ექვსი წუთი წინასწარ მომზადებული შეკითხვების დასასმელად. თუ ერთი მათგანი ექვს წუთზე უფრო ადრე დაასრულებს, მეორე მოსწავლე იწყებს თავისი შეკითხვების დასმას.

მასწავლებელმა უნდა დაწეროს დაფაზე: თუ მოსწავლეები მზად იქნებიან [მიუთითეთ დრო, როცა მათ უნდა დაასრულონ] ადრე, გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს. თუ პასუხი, რომლის ციტირებასაც აპირებთ, კარგად არაა გარკვეული, გადაამოწმეთ პასუხი. შეგიძლიათ იკითხოთ, „მართალია, რომ შენ მითხარი: ...?“

თუ მოსწავლეებს შეკითხვები გაუჩნდებათ, უნდა დაეყრდნონ ინფორმაციას „მოემზადე ინტერვიუსთვის“, ეს მათთვის საჭირო მითითებებია.

დაწერეთ პორტრეტი კითხვა-პასუხით

მეექვსე ეტაპი

დრო: 10 წუთი

როცა წყვილის ორივე მოსწავლე დაასრულებს ინტერვიუებს (დასვამს შეკითხვებს), სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს, შეარჩიოს საკუთარ ჟურნალში ჩაწერილიდან ერთ-ერთი უნარი, ინტერესი ან გამოცდილება და გაუზიაროს მეწყვილეს. ეს შესძენს მოსწავლეებს გამოცდილებას, ინტერვიუს-დასასრულის ტიპის შეკითხვა დასვან: კიდევ ხომ არაა რაიმე, რაც გსურთ, რომ მკითხველებმა იცოდნენ თქვენს შესახებ?

თუ დრო გაქვთ, მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ დაიწყონ კითხვა-პასუხის ტიპის პორტრეტის წერა. ამ ტიპის პორტრეტი, ჩვეულებრივ, იწყება ორ ან სამწინადადებიანი ლიდით. ლიდს ჟურნალისტი წერს, რომ მოკლედ გაგვაცნოს ადამიანი და კითხვა-პასუხს გარკვეული კონტექსტი ჰქონდეს. ამას მოსდევს შერჩეული კითხვები და პასუხები. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ყველა შეკითხვის ჩართვა არაა საჭირო, შეკითხვების გადანაცვლება კი დასაშვებია, რათა ინფორმაცია უფრო ლოგიკური და საინტერესოდ დალაგებული გამოვიდეს.

შეჯამება

მეშვიდე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ინტერვიუ ახალი ამბების, ძირითად თემებზე დაწერილი სტატიების და სარედაქციო სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ინტერვიუს საშუალებით შეგიძლიათ მიიღოთ „ადამიანი ქუჩიდან“ ტიპის მარტივი პასუხები კითხვაზე, გაიგოთ ექსპერტების მოსაზრებები და შეხედულებები, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

კითხვა-პასუხი პირველი ნაბიჯია ინტერვიუს კითხვების მომზადების, მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ინტერვიუს ჩატარების, მიღებული პასუხების გამოყენების სწავლაში.

შემდეგ გაკვეთილებში მოსწავლეები შეისწავლიან წყაროზე მითითებას და ციტატების ჩართვას თხრობაში.

შენიშვნა მასწავლებლისთვის: ამ გაკვეთილის მასალებში არის „ინტერვიუს აღების ხუთი აქტივობა“, რომელიც ინტერვიუს ხუთ გამოყენებას გააცნობს მოსწავლეებს. ეს მასალა შეიძლება გავაცნოთ მოსწავლეებს, როგორც კითხვა-პასუხის სახესხვაობები. მოსწავლეებმა უკვე ნახეს აკვარიუმის მაგალითი ინტერვიუს გაკვეთილის დასაწყისში (მესამე გაკვეთილი). შემდეგ გაკვეთილზე გამოსაყენებლად მასწავლებლებს აქვთ „მოკლე ბიოგრაფიული კითხვების ნიმუში“ და მოსწავლის მოკლე ბიოგრაფიის მაგალითი. პიროვნების პორტრეტი მე-19 და მე-20 გაკვეთილების თემაა.

საშინაო დავალება

მოსწავლეებს საშინაო დავალებად ეძლევათ ინტერვიუს კითხვების და პასუხების ორგანიზება და კითხვა-პასუხის ფორმით პორტრეტის დაწერა. მოსწავლემ პორტრეტი უნდა დაასათაუროს, დაწეროს მოკლე ლიდი, კითხვები და პასუხები.

ეს სავარჯიშო და დაწერილი პორტრეტი მოსწავლეებს მისცემს ნიმუშს, როგორ უნდა მოამზადონ ამ ტიპის პუბლიკაციები დასაბეჭდად. მოსწავლეების მიერ დაწერილი ერთი ასეთი მოკლე პორტრეტი შეიძლება მოსწავლეთა გაზეთშიც დაბეჭდოთ.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- „მოკლე ბიოგრაფიული შეკითხვების ნიმუში“, The A-Blast, ალენ ვაინტრაუტი, მრჩეველი, ანანდეილის საშუალო სკოლა, ანანდეილი, ვირჯინია.
- „მოკლე ბიოგრაფია, მოსწავლის მაგალითი“, ემილი ფრუხტერმანი, ემილი ფრუხტერმანი, მოსწავლე, ანანდეილის საშუალო სკოლა, ანანდეილი, ვირჯინია.
- „კითხვა-პასუხი გაცვლითი პროგრამის მონაწილე გერმანელ დამამთავრებელი კლასის მოსწავლესთან, ლინ რომერთან“, *North Star*, აარონ მენფული, მრჩეველი, ფრენსის ჰაუელ ნორთის საშუალო სკოლა, სენტ-ჩარლზი, მისური.
- „კითხვა-პასუხი გაცვლითი პროგრამის მონაწილე ჩინელ დამამთავრებელი კლასის მოსწავლესთან, ქუან ქუან ლისთან (მია)“, *North Star*, აარონ მენფული, მრჩეველი, ფრენსის ჰაუელ ნორთის საშუალო სკოლა, სენტ-ჩარლზი, მისური.
- „კითხვა-პასუხი ბრუკ ოსტენდორფთან“, *North Star*, აარონ მენფული, მრჩეველი, ფრენსის ჰაუელ ნორთის საშუალო სკოლა, სენტ-ჩარლზი, მისური.

აქტივობები

ინტერვიუს აღების ხუთი აქტივობა

„აკვარიუმი“

ამ აქტივობაში მასწავლებელი ერთ მოსწავლესთან ინტერვიუს მაგალითზე აჩვენებს ინტერვიუს აღების ნიმუშს. კლასის დანარჩენი ნაწილი აკვირდება მასწავლებლის ინტერვიუს აღების სტილს. აკვარიუმში თევზზე დაკვირვების მსგავსად, კლასი სწავლობს მასწავლებლის და მოსწავლის ქცევებს ინტერვიუს განმავლობაში. შემდეგ კრიტიკულად განიხილავენ ინტერვიუს პროცესს, რაც დაახლოებით 15 წუთს გაგრძელდება. კლასი მოძებნის მაგალითებს, როგორ იყენებენ ღია შეკითხვებს, სხეულის პოზიტიურ ენას, როგორ ჩაინიშნავს მასწავლებელი პასუხებს და როგორ რეაგირებს პიროვნულ დონეზე. ინტერვიუს დასრულების შემდეგ მასწავლებელი წამოიწყებს დისკუსიას, ინტერვიუს რომელმა ასპექტებმა ჩაიარა კარგად და რა სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას.

„ადამიანი ქუჩიდან“

ამერიკულ ჟურნალისტიკაში მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი ადამიანების მოსაზრებები. „ადამიანი ქუჩიდან“ არის აქტივობა, სადაც ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამენ განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე სხვადასხვა ადამიანს. შეკითხვა შეიძლება მარტივი იყოს, მაგალითად: „რომელია თქვენი საყვარელი კალათბურთის გუნდი და რატომ?“ ან უფრო სერიოზული, როგორიცაა: „რა არის საუკეთესო საშუალება გლობალური დათბობის წინააღმდეგ?“ ფოტოგრაფი სურათს უღებს ადამიანს და რედაქტორს მიაწვდის ციტატას, რომელიც შემდეგ ამ სურათის ქვემოთ დაიბეჭდება. ეს აქტივობა საშუალებას აძლევს სკოლის გაზეთს, გაცილებით მეტი მოსწავლეების სახეები ჩასვას პუბლიკაციაში. ეს გაზეთის პოპულარობას ზრდის. თითოეული „ადამიანი ქუჩიდან“ უნდა მოიცავდეს 4-8 სხვადასხვა ასაკის და სქესის ადამიანს სხვადასხვა კლასიდან.

კითხვა-პასუხი

ამ აქტივობისთვის მხოლოდ ორი ადამიანია საჭირო: ჟურნალისტი და რესპონდენტი. კითხვები და პასუხები იბეჭდება ორ ადამიანს შორის დიალოგის სახით, ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, თითქმის ზუსტად ისევე განიცადოს საუბარი, როგორც ის რეალურად

მიმდინარეობდა. კითხვა-პასუხი, ჩვეულებრივ, ერთი ზოგადი თემის შესახებაა. მაგალითად, თუ ინტერვიუს იღებთ კალათბურთის მწვრთნელისგან, შეკითხვები შეეხება გუნდის თამაშს, ახალ მოთამაშეთა მიწვევას, წლევანდელ მთავარ თამაშებს, მოსაზრებებს, როგორ მოვიგოთ თამაში და ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტებს. ჟურნალისტს არ სჭირდება ყველა ციტატის, ყველა პასუხის გამოყენება. კითხვა-პასუხის წყვილებს შეიძლება ადგილები შეუცვალოს, რათა საუბარი უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოს, ან ხაზი გაუსვას იდეას, თუკი ამით შინაარსი არ შეიცვლება.

მოკლე ბიოგრაფია

ეს აქტივობა გულისხმობს ერთი რესპონდენტითვის დასმული შეკითხვების სიას. შეკითხვები შეიძლება შეიცვალოს და სხვადასხვა თემებს შეეხებოდეს. მოკლე ბიოგრაფია სახალისო გზაა იმ ადამიანის სხვადასხვა მხრიდან ჩვენებისა, ვისგანაც ინტერვიუს ვიღებთ. პასუხები ჩამონათვალივით იკითხება . (იხილეთ მოსწავლის მაგალითი)

პორტრეტი თხრობით

სტატიის დასაწერად, რომელიც პორტრეტს წარმოადგენს, ჟურნალისტი ეძებს საინტერესო ხედვის კუთხეს. ინტერვიუს განმავლობაში ჟურნალისტი ეძებს იმ ელემენტს, რომელიც „დაიჭერს“ აუდიტორიას. ინგლისურად ამას მოთხრობის „რაკურსსაც“ უწოდებენ, რაც ობიექტის დასანახად მომგებიან პოზიციას გულისხმობს. როცა ერთი მოსწავლე მეორისგან იღებს ინტერვიუს, ჟურნალისტს სურს, რაიმე საინტერესო იპოვოს მკითხველისთვის გადასაცემად. მაგალითად, თქვენი ინტერვიუ მოსწავლესთან მთლიანად შეიძლება დაეთმოს სპორტის სიყვარულს, ზაფხულის მოგზაურობას, ან რაიმე დიდ მიღწევას მის ცხოვრებაში.

დასარიგებელი მასალა

მოკლე ბიოგრაფიული შეკითხვების ნიმუში

პორტრეტით საოცრად საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება. მოკლე ბიოგრაფიის წარმატებულად დაწერა დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის შეკითხვებს დავსვამთ. ლაკონურად დაწერილი და ზოგჯერ იუმორისტული კითხვა-პასუხი მკაფიოდ და დეტალებში აღწერს ადამიანს, ის შეიძლება ცალკე დაიბეჭდოს, ან პორტრეტი შეავსოს. გაზეთებში ამგვარი მოკლე შეჯამება ზოგჯერ „ჩარჩოში“ იწერება ხოლმე. ჩარჩოში მოქცეული ბიოგრაფიები საგაზეთო გრაფიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. აქ მოცემულია ტიპოლოგიურად დაჯგუფებული რამდენიმე შეკითხვა:

სპორტსმენი

- რამდენი წელია ვთამაშობ:
- კვირაში რამდენ საათს ვვარჯიშობ:
- ყველაზე საამაყო მომენტები:
- ყველაზე საყვარელი პოზიცია და რატომ:
- ჩემი ყველაზე დიდი გავლენა:
- მიმართვა სპორტით დაკავებული ახალგაზრდებისადმი:
- მუსიკა, რომელიც მამხნევებს თამაშის წინ:
- კოლეჯის გეგმები:
- ყველაზე ცუდი გამოცდილება:
- როგორ ვახერხებ სკოლის და სპორტის შეთავსებას:
- როგორ დავიწყე თამაში:
- როგორი განცდა მაქვს, როცა ბევრი ხალხის წინაშე მიხდება გამოსვლა:

მასწავლებელი

- რამდენი წელია ვასწავლი:
- დავამთავრე სასწავლებელი:
- მასწავლებლობა გადავწყვიტე, როცა:
- ჩემი სამაგიდო წიგნია:

- ჩემი სამუშაოს საუკეთესო ნაწილია:
- საყვარელი ნივთი ჩემს სამუშაო მაგიდაზე:
- სხვა სამუშაო რომ ამერჩია, გავხდებოდი:
- მისწავლებია შემდეგ სკოლებში:
- მოსაზრებები ჩემს სკოლაში მასწავლებლობაზე:
- ზაფხულის არდადეგები გავატარე:
- ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა ჩემზე:
- ყველაზე დიდი იმედგაცრუება სამსახურში:
- ყველაზე საამაყო მომენტები:

„საუკეთესო მოსწავლე“

- სწავლის ჩემთვის საუკეთესო ხერხია:
- სტრესს ვუმკლავდები:
- ყველაზე დიდი ჯილდო, რაც მიმიღია:
- მასწავლებელი, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე:
- გონების საუკეთესო სავარჯიშო:
- ამწუთას ჩემს ზურგჩანთაში დევს:
- ჩემი სასწავლო გარემო ასე გამოიყურება:
- ტვინის რომელ მხარეს ვიყენებ უფრო ხშირად:
- ჩემი საყვარელი ნაწარმოები:
- ჩემი საყვარელი საქმიანობა სკოლაში:
- [ამ კოლეჯში] იმიტომ დავდივარ, რომ:
- როცა დროის გაყვანა მინდა, მე:
- ჩემი საყვარელი ვებგვერდი:

ხელოვნება:

- ხელოვნების საყვარელი ნიმუში:
- შთაგონების წყარო:
- დაუფიქრებლად რომ შემძლებოდა სადმე გამგზავრება, წავიდოდი:
- ყველაზე მეტ წარმატებას მივაღწიე (ამა და ამ ხელოვნების დარგში):
- საუკეთესო მუზეუმი:

- საუკეთესო მხატვარი:
- ჩემი ხელოვნების გარეშე, მე:
- ფილმი, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს ჩემს მსოფლმხედველობას:

ზოგადი (ეხება ყველას)

- მშობლიური ქალაქი:
- ვინმესთან ერთად საუზმობის შესაძლებლობა რომ მქონოდა, ცოცხლებიდან ან გარდაცვლილებიდან, ავირჩევდი:
- სასურველი პროფესია:
- ყველაზე ხშირად მირეკავს:
- ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან:
- საყვარელი ტანსაცმელი:
- მამხნევებს ხოლმე:
- მხოლოდ სამი საგანი რომ წამეღო უკაცრიელ კუნძულზე, წავიღებდი:
- ბავშვობის ყველაზე კარგი მოგონება:
- მომავლის გეგმები:
- დევიზი:
- ყველაზე საყვარელი CD:
- ყველა დროის საუკეთესო ფილმი:
- ადამიანი, ვის ცხოვრებასაც მინდა, მივბაძო:
- საუკეთესო თვისება მეგობარში:
- დღის გატარების საუკეთესო გზა:
- ყველაზე საამაყო თვისება:
- გმირები:

ბანალური, ნაკლებად ინფორმაციული კითხვები

- საყვარელი საჭმელი:
- საყვარელი ჯგუფი:
- საყვარელი ნაყინი:
- საყვარელი ფაფა:
- საყვარელი მანქანა:

მოკლე ბიოგრაფია

მოსწავლის მაგალითი *ანანდეილის საშუალო სკოლა*

ანანდეილი, ვირჯინია

ემილი ფრუხტერმანი

ბალახის ჰოკეის მოთამაშე

რამდენი წელია ვთამაშობ: ოთხი

კვირაში რამდენ საათს ვვარჯიშობ: როცა სეზონია, თვრამეტს; სეზონი თუ არაა, ათს

ყველაზე საამაყო მომენტები: როცა ჩემი გუნდი ნაციონალურ ტურნირში გავიდა

ყველაზე საყვარელი პოზიცია და რატომ: მეკარე, იმიტომ, რომ ის გუნდის ხერხემალია.

მიმართვა სპორტით დაკავებული ახალგაზრდებისადმი: არ შეეშვათ სპორტს!

მუსიკა, რომელიც მამხნევებს თამაშის წინ: ნებისმიერი, კარგი რიტმით. ლედი გაგა, 30H!3, რამე ასეთი.

კოლეჯის გეგმები: ჩაბარება. მერე რა იქნება, არ ვიცი.

ყველაზე ცუდი გამოცდილება: მთელი აგვისტო, როცა დღეში ორჯერ გვქონდა თამაშები.

როგორ ვახერხებ სკოლის და სპორტის შეთავსებას: ეს არაა ძნელი, რადგან სეზონზე დროს უკეთესად ვანაწილებ.

იღბლიანი თილისმები და ცრურწმენები: ვარჯიშს ყოველთვის მარჯვენა ფეხით ვიწყებ.

როგორ დავიწყე თამაში: დამწყებთა გუნდს მეკარე სჭირდებოდა, ჰოდა, ჩავეწერე!

როგორი განცდა მაქვს, როცა ბევრი ხალხის წინაშე მიხდება გამოსვლა: ისინი ფონს უერთდებიან. ვერც კი ვამჩნევ.

კითხვა-პასუხი

გაცვლითი პროგრამის მონაწილე გერმანელ დამამთავრებელი კლასის მოსწავლესთან, ლინ რომერთან, ესაუბრა ლიანა რამსეი

To the left, Lynn Roemer holds a picture of her family back in Germany. Lynn heard about the exchange program from her friends. (kaitlyn williams)

Below, Lynn Roemer stands with her host mother she lives with in St. Charles. Although Lynn misses her friends and family in Germany, her hosts have made it easier for her. (kaitlyn williams)

China, there are less clubs and more homework an in America. Despite differences from school in hina, Quan Quan Li likes FHN. (kaitlyn williams)

Quan Quan Li stands under China's flag. She came to America to experience more culture. (kaitlyn williams)

კითხვა: როდის გაიგეთ პირველად გაცვლითი პროგრამის შესახებ?

ლრ: სამი წლის წინ, მეგობრისგან გავიგე. გადავწყვიტე, წამოვსულიყავი.

კითხვა: რატომ მოგინდათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

ლრ: მინდოდა, ახალი ადამიანები გამეცნო, მენახა ქვეყანა, მომესმინა ენა, შემეტყო სხვადასხვა შტატის შესახებ.

კითხვა: თუ გაწუხებთ სახლის დატოვება?

ლრ: ფრენის ძალიან მეშინოდა. სახლი მაინცდამაინც არ მენატრება. ჩემი მასპინძლები ძალიან ჰგვანან ჩემს ოჯახს. მაგრამ მენატრება მეგობრები.

კითხვა: როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება ამერიკაზე?

ლრ: მეშინოდა, რომ ენას ვერ გავიგებდი და აქაური მოსწავლეები დამცინებდნენ კულტურული განსხვავებების გამო. ვნერვიულობდი.

კითხვა: ყველაზე მეტად რასთან შეგუება გიჭირთ ამერიკაში?

ლრ: მანქანას რომ ვერ ვატარებ. გერმანიაში სულ მანქანით დავდიოდი, მაგრამ აქ აკრძალულია. ესეც მენატრება.

კითხვა: გაკვეთილები მოგწონთ?

ლრ: ჰო, მასწავლებლები მომწონს, თანაც აქ უფრო მეტის სწავლა შეიძლება, გერმანიაში მხოლოდ 20 საგნიდან უნდა აირჩიო.

კითხვა: რით განსხვავდება აქაური სკოლა გერმანიის სკოლისგან?

ლრ: მასწავლებლები მეგობრულები არიან. აქ სპორტითაც შეიძლება, დაკავდე. ჩემს სკოლაში სპორტი არ გვქონდა. აქ ჩოგბურთს ვთამაშობ.

კითხვა: რომელი სკოლის სისტემა უფრო მოგწონთ? რატომ?

ლრ: აქაური, აქ უფრო ბევრ საგანს შორის აკეთებ არჩევანს და გერმანიაში არჩევანი ნაკლებია.

მარცხნივ, **ლინ რომერი** გერმანიაში, საკუთარი ოჯახის პორტრეტით ხელში. ლინმა გაცვლითი პროგრამის შესახებ მეგობრებისგან შეიტყო. (ქეითლინ უილიამსი)

ქვემოთ, **ლინ რომერი** ამერიკელ მასპინძელთან ერთად, ვისთანაც ცხოვრობს სენტ-ჩარლზში. თუმცა ლინს ენატრება ოჯახი და მეგობრები, მასპინძელი ოჯახი დარდს უმსუბუქებს. (ქეითლინ უილიამსი)

კითხვა-პასუხი

გაცვლითი პროგრამის მონაწილე ჩინელ დამამთავრებელი კლასის მოსწავლესთან, ქუან ქუან ლისთან (მია)

ესაუბრა ლიანა რამსეი

კითხვა: როდის გაიგეთ პირველად გაცვლითი პროგრამის შესახებ?

მლ: დედამ მირჩია – მისი აზრით, სხვა კულტურის გაცნობა ძალიან კარგია.

კითხვა: რატომ მოგინდათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

მლ: მინდოდა, მეტი გამეგო კულტურის შესახებ და მიმეღო განათლება.

კითხვა: თუ გაწუხებთ სახლის დატოვება?

მლ: ოჯახიც მომენატრება, მაგრამ ყველაზე მეტად თანაკლასელები და მეგობრები.

კითხვა: როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება ამერიკაზე?

მლ: ისეთი შეშინებული ვიყავი, დედას უნდოდა, მესწავლა საკუთარ თავზე დაყრდნობა და მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრება.

კითხვა: ყველაზე მეტად რასთან შეგუება გიჭირთ ამერიკაში?

მლ: ყველაზე რთული მეგობრების შეძენაა, ბევრი ადამიანი მაჩვენებს, რომ ჩემი ქვეყანა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ვიდრე მე.

კითხვა: გაკვეთილები მოგწონთ?

მლ: ჰო, ინგლისური ადვილია, მაგრამ ისტორიის გაკვეთილზე როცა შევდივარ, არ მესმის, რას ასწავლის მასწავლებელი.

კითხვა: რით განსხვავდება აქაური სკოლა ჩინეთის სკოლისგან?

მლ: ჩინეთში ჩვენ მთელი დღე ვსწავლობთ, დილის 8-დან საღამოს 10-მდე. შემდეგ კიდევ საშინაო დავალება. აქ მეტი აქტივობებია და მეტი კლუბები.

კითხვა: რომელი სკოლის სისტემა უფრო მოგწონთ? რატომ?

მლ: ფრენსის ჰაუელ ნორთი უკეთესია. მასწავლებლები ძალიან კეთილები არიან, გამხნევებენ, რომ უკეთესად გააკეთო.

ჩინეთში უფრო ნაკლები კლუბია და მეტი საშინაო დავალება, ვიდრე ამერიკაში. **ქუან ქუან ლის** მოსწონს ფრენსის ჰაუელ ნორთი, მიუხედავად იმისა, რომ ის განსხვავდება ჩინეთის სკოლებისგან. (ქეითლინ უილიამსი)

ქუან ქუან ლი ჩინეთის დროშის ქვეშ. ის ამერიკაში კულტურის გასაცნობად ჩამოვიდა. (ქეითლინ უილიამსი)

კითხვა-პასუხი

ბრუკ ოსტენდორფთან

ოსტენდორფისთვის ეს ტენისის ჩემპიონატში მონაწილეობის პირველი წელია და მან უკვე მოიპოვა ადგილი სკოლის გუნდის პირველ ნახევარში.

ესაუბრა ადამ რაპერტი

კითხვა: ვინ შეგაყვარათ ტენისი?

ბო: ჩემმა მეგობარმა ბიჭმა ბრეტ სლოუნმა. მან მომიგო ზაფხულის დასაწყისში და მას მერე ყოველ კვირა ვთამაშობდით, რადგან მისი დამარცხება მინდოდა.

კითხვა: როგორ ვარჯიშობთ?

ბო: მე არ ვურტყამ ბურთს, რაც ძალიან უჩვეულოა. მე მხოლოდ დავრბივარ და გაწელვებს ვაკეთებ.

კითხვა: რა იყო ყველაზე უხერხული ამბავი, რაც გუნდში ყოფნისას შეგემთხვათ?

ბო: ჩემი გასინჯვის პირველ დღეს მოედანზე გავრბოდი, ფეხი დამიცდა და პირდაპირ სახით დავეცი, ძალიან მაგრად დავარტყი. კიდევ, მატჩის დროს ბურთისკენ გავიქეცი და დავარტყი, მაგრამ დარტყმის შემდეგ სირბილი გავაგრძელე და ღობეს შევეჯახე.

კითხვა: რა აზრმა გაგიელვათ გონებაში თქვენი პირველი ჩაწოდების დროს პირველ მატჩში?

ბო: ცოტა ვნერვიულობდი, რადგან ეს ჩემი პირველი მატჩი იყო. ჯერ კარგად არ ვიცოდი, როდის იყო ჩემი ჩაწოდება, რომელ მხარეს უნდა ვმდაგიყავი ჩაწოდების დროს და როდის უნდა გაგვეცვალა მხარეები.

კითხვა: ყველაზე რთული მატჩი ვისთან გქონდათ?

ბო: სენტ-დომინიკთან. ეს გოგო ძალიან კარგად უმიზნებს ბურთს. მის დასამარცხებლად ძალიან აგრესიულად მომიწია თამაში, ბადესთან ახლოს დავდექი და მოვიგე კიდეც.

გაკვეთილი 5

ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, პროექტორი და ეკრანი.

დასარიგებელი მასალა: პაუერპოინტი შენიშვნებით: „ფოტოგრაფია: ძირითადი პრინციპები და ლექსიკონი“, „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონი“, „გახდით ფოტოგრაფი“

ცნობები მასწავლებლისთვის

ფოტოგრაფია ჟურნალისტიკის უნივერსალური ენაა. თუმცა ფოტოგრაფია 1850-იანი წლების დასაწყიში გამოიგონეს, პირველი სურათები გაზეთებში 1880 წელს გამოჩნდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში დასურათებული გაზეთები უკვე ჩვეულებრივი რამ გახდა. დღეისათვის ინტერნეტში უამრავი ფოტოა, ფოტოგალერეები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტერნეტრესურსია. ფოტოსურათები მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტის ილუსტრირებას არ ემსახურება, ფოტოს შეუძლია, სხვანაირად დაგვანახოს ამბავი, სტატია რომ ვერ შეძლებდა, ისე. ყოველდღიურად დასტურდება ძველი გამონათქვამი, რომ „ერთი სურათი ათას სიტყვას უდრის“. ფოტოგრაფია ჟურნალისტიკის ძირითადი ნაწილია, ის მოსწავლეებისთვის ამბის გადმოცემის ყველაზე ადვილი გზაა.

21-ე საუკუნის დასაწყისში, ციფრული ფოტოგრაფიის გამოგონებასთან ერთად, ფოტოაპარატები თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ზოგიერთი მარკის მობილური ტელეფონით შესაძლებელია მაღალი ხარისხის ფოტოების გადაღება მინიმალური ხარჯებით. იაფფასიანი ფოტოაპარატებითაც შეიძლებაძალიან ხარისხიანი ფოტოს გადაღება – თუ მოსწავლეებს ეცოდინებათ ფოტოგრაფიის ძირითადი წესები.

მიზნები

- მოსწავლეები უკეთესი ფოტოების გადაღების მეთოდებს ისწავლიან
- მოსწავლეები გაეცნობიან ფოტოკომპოზიციის ძირითად ცნებებს – მესამედების კანონს, ფოტოს ჩამოჭრას დომინირების და სიზუსტის მისაღწევად, ხაზების და განათების გამოყენებას.
- მოსწავლეები ისწავლიან და გამოიყენებენ ფოტოგრაფიის ლექსიკონს

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

გაკვეთილით დაინტერესების გამოსაწვევად, სთხოვეთ მოსწავლეებს, ხელი ასწიონ, თუ აქვთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე:

- ციფრული ფოტოაპარატი
- ციფრული ფოტოაპარატი ზუმობიექტივით
- მობილური ტელეფონი, რომელიც იღებს სამ (ან მეტ) მეგაპიქსელიან ფოტოებს
- ვიდეოკამერა

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოუყვნენ კლასს ფოტოების გადაღების საკუთარი გამოცდილების შესახებ. ინტერნეტში დებენ თუ არა საკუთარ და მეგობრების ფოტოებს? იღებენ თუ არა ფოტოებს ოჯახურ შეკრებებზე? კომპიუტერის დესკტოპზე ფოტოები აქვთ თუ არა?

ეს ეტაპი დაეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს მოსწავლეთა ფოტოგრაფიით დაინტერესების დონე.

მეორე ეტაპი

დრო: 25 წუთი

სლაიდშოუს გაშვებამდე დაურიგეთ მოსწავლეებს „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონი“. ამ მასალაში მოცემული ინფორმაცია სლაიდშოუზეც მეორდება.

გაუშვით ფაუარფოინთის სლაიდშოუ „ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები“. სლაიდ-შოუს ახლავს სრული ტექსტი. აჩვენეთ თითოეული სლაიდი და წაიკითხეთ ტექსტი, რამდენიმე სლაიდის გამოტოვებით შეჩერდით ხოლმე და იკითხეთ, მოსწავლეებს რაიმე შეკითხვა ან კომენტარი ხომ არ აქვთ ფოტოებთან დაკავშირებით.

შესაძლებელია ამ სლაიდშოუს ამობეჭდვა და დარიგებაც თანდართული ტექსტით.

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

სლაიდშოუს ასრულებს სავარჯიშო „თქვენი ჯერია: გააანალიზეთ ფოტო“. მოცემულია ხუთი ფოტო, რომლებიც ლექსიკონის სხვადასხვა ტერმინის საილუსტრაციოდ გამოდგება. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოვიდნენ ეკრანთან და გააანალიზონ ფოტოები, აღწერონ მათი ძლიერი მხარეები. შეგიძლიათ, თქვენ თავად გამოიძახოთ მოსწავლეები, ან საკუთარი სურვილით გამოვიდნენ. სლაიდების ტექსტში პასუხები მოცემულია. თქვენ შეგიძლიათ, დაამატოთ პასუხები, თუ მოსწავლეები ფოტოს კარგად აღწერას ვერ ახერხებენ.

მეოთხე ეტაპი

დრო: 5 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს დავალების ფურცლები სათაურით: „გახდით ფოტოგრაფი“. მასში ახსნილია დავალება, რომელიც შესრულებული უნდა ჰქონდეთ მე-7 გაკვეთილისთვის: ფოტოსურათების შეფასება.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 1 წუთი

მოსწავლეებმა უნდა ივარჯიშონ ტერმინებში, რომლებიც ამ გაკვეთილზე შეისწავლეს. ფოტოაპარატით ექსპერიმენტები და პრაქტიკა აუცილებელია აპარატთან შესაჩვევად და რედაქციის ფოტოგრაფისთვის საჭირო უნარის ჩამოსაყალიბებლად.

სურათზე წარწერის გასაკეთებლად საჭირო ინფორმაციის მოპოვებაც ფოტოგრაფის საქმეა. ეს არაა განხილული ამ გაკვეთილში, რადგან ახლა მხოლოდ ფოტოგრაფიის შესავალს გავდივართ. მასწავლებელმა ჯერჯერობით მხოლოდ ის უნდა უთხრას მოსწავლეებს, რომ მათ უნდა იცოდნენ, ვის უღებენ სურათს (სწორად წერდნენ სახელებს), რატომ უღებენ ამ ფონზე, და სურათის შინაარსთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, რასაც შემდეგ გამოიყენებენ წარწერების დაწერისას.

დასარიგებელი მასალა

ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონი

კომპოზიცია: სურათის ელემენტების და ძირითადი ობიექტის სასიამოვნო განლაგება ფოტოსურათის კადრში.

ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური: ესაა ნებისმიერი ფოტოგრაფის პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ბევრ ფოტოგრაფს ავიწყდება ვერტიკალურად გადაღება. მაგალითად, სპორტის ფოტოების უმეტესობა ვერტიკალურია, რადგან ადამიანია ვერტიკალური. ახალი ამბების ფოტოები უმეტესად ჰორიზონტალურია, რადგან ადამიანის თვალი სამყაროს ჰორიზონტალურ, ფართო პერსპექტივაში ხედავს.

ინტერესის ცენტრი: ელემენტი, რომელიც ყველაზე მეტად იტაცებს თვალს. ფოტოების უმეტესობაში ესაა ადამიანის სახე. სპორტულ ფოტოებში ეს ძირითადად ბურთია ხოლმე. ზოგიერთ ფოტოს არა აქვს ინტერესის გამოკვეთილი ცენტრი, ასეთებია ლანდშაფტის ფოტოები. თუმცა, მზის ჩასვლა შეიძლება იყოს ინტერესის მძლავრი ცენტრი.

მესამედების კანონი: რენესანსის ეპოქის მხატვრებმა აღმოაჩინეს, რომ თვალს არ სიამოვნებს სურათის ცენტრში მდებარე კვადრატში მოთავსებული ობიექტები. წარმოიდგინეთ, რომ სურათზე გავლებულია ორი ვერტიკალური და ორი ჰორიზონტალური ხაზი. მესამედების კანონის თანახმად, ვიზუალური ინტერესის ცენტრი არ უნდა იყოს მოთავსებული ცენტრალურ კვადრატში.



სიახლოვე: აჩვენებს მანძილს ფოტოგრაფსა და ობიექტს შორის. სამი ძირითადი მანძილი არსებობს: **შორი, საშუალო** და **ახლო**. შორ მანძილზე გადაღება ფართო პერსპექტივის

საჩვენებლად გამოიყენება, ვთქვათ, ფეხბურთის გულშემატკივართა სიმრავლის. საშუალო მანძილზე გამოჩნდებოდა 3-დან 5 ადამიანამდე, ხოლო ახლო კადრი მხოლოდ ერთი ადამიანის სახის გადაღებას ნიშნავს.

კუთხეები: ამას სხვანაირად კადრის სიმაღლე ეწოდება. თუ ადამიანები პოზირებენ ფოტოსთვის, უმჯობესია გადავიღოთ მათ თვალებზე რამდენიმე გრადუსით ზემოდან. თუ ბავშვებს იღებთ, დაეშვით იატაკზე მათთან ახლოს, რომ მათი სამყაროს ნაწილი გახდეთ. მაღალი კუთხიდან გადაღება ობიექტებს პატარად აჩვენებს, ხოლო ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან გადაღებისას ობიექტს ზუსტად ზემოდან ვიღებთ.

ფონის სიღრმე: ამას სხვაგვარად „ფოკუსური მანძილი“ ჰქვია. ის აღნიშნავს, მთლიანი კადრიდან რა ნაწილია ფოკუსირებული. ფოტოებზე, სადაც ფონი თითქმის ისევეა ფოკუსირებული, როგორც წინა პლანი, ამბობენ, რომ ფონის სიღრმე დიდი აქვთ – რადგან ფოკუსში ყველაფერი ეტევა. ბუნდოვანი ფონის მქონე ფოტოებზე ამბობენ, რომ ფონის სიღრმე მცირეა, რადგან ფოტო არ ჩანს ღრმა. რაც უფრო უმატებს ფოტოგრაფი ობიექტივს ზუმს, მით უფრო ბუნდოვანი ხდება ფონი. მაგალითად, საშუალო სიახლოვით გადაღებულ კადრში, სადაც კალათბურთელი ბურთს ტყორცნის, ფონის სიღრმე მცირე იქნება. ჩვენ არ გვინდა გულშემატკივართა სახეების კარგად ფოკუსირება.

წინა პლანზე გამოსაწევი ელემენტი: თქვენი კადრისთვის მეტი სიღრმის მისანიჭებლად, დადეთ რამე წინა პლანზე, რაც ფონის სიღრმეს გაზრდის. მაგალითად, ამბობენ, რომ ბუნების ფოტოების გადასაღებად ფოტოგრაფებს თან დააქვთ ფოთლებიანი ტოტები, რათა შეძლონ მათი დამატება კადრის წინა პლანზე. ტურისტული ფოტოების გადაღებისას მოიყვანეთ თქვენი ობიექტი სურათის წინა პლანთან ახლოს, ხოლო შენობა ფონად დატოვეთ.

სუფთა ფონი: ფოტოების უმრავლესობაში აქცენტის გაკეთება გვსურს ადამიანის სახის გამომეტყველებაზე, მაგრამ სინათლის ბოძებს, აფიშებს, ხეებს და ფონის სხვა ხელშემშლელ საგნებს შეუძლიათ ფოტოს გაფუჭება. როგორც ფოტოგრაფმა, ზოგჯერ შეგიძლიათ უთხრათ ადამიანს, რომ ადგილი შეიცვალოს, როცა რაიმე მოვლენაზე საუბრობს. თუმცა, თუ თქვენ ოდნავ ჩაიმუხლებთ, ან მარჯვნივ ან მარცხნივ გადაადგილდებით, შეძლებთ იპოვოთ სუფთა ფონი, როგორიცაა ლურჯი ცა ან თეთრი კედელი.

ჩამოჭრა: ფოტოგრაფებს შეუძლიათ შერჩევით მოაშორონ კადრის ნაწილები, რათა შეამცირონ ფონის ხელისშემშლელი ნაწილების გავლენა, ან სურათის უფრო მჭიდრო კადრირება გააკეთონ. ჩამოჭრამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სურათის საწყის მნიშვნელობას.

განმეორებადი ფორმები: კადრში საგნების გამეორებამ რიტმი და მიმზიდველობა შეიძლება შემატოს სურათს. ზოგჯერ კარგი აზრია სურათის ფართო კუთხით გადაღება იმის დასაფიქსირებლად, როგორ ქმნიან ფოტოზე არსებული საგნები ვიზუალურ ბალანსს განმეორებადი ფორმების სახით.

წამყვანი ხაზები: მოძებნეთ ფოტოს კადრში ბუნებრივად არსებული ხაზები, რომლებიც თქვენს თვალს ვიზუალური ინტერესის ცენტრისკენ წარმართავენ. წამყვანი ხაზები შეიძლება ჰქონდეს ფოტოებს, სადაც არის სწორი ქუჩები, ელექტროგაყვანილობის მავთულები ან ხალხის რიგები.

ხვეულები: დაკლაკნილ გზებს, ველოსიპედისტებს ქუჩაში ან ტალღისებური ფორმის ღრუბლებს შეუძლია ხვეული ფორმების წარმოქმნა.

მასშტაბი/პერსპექტივა: ზოგჯერ გინდათ, რომ თქვენს ობიექტს სურათი გადაუღოთ დიდი მანძილიდან შენობის ფონზე, როცა გსურთ, ხაზი გაუსვათ საგნის მასშტაბებს ან ზომას. პატარა ბავშვის ხელი დიდი ადამიანის ხელში, ან ადამიანი მთის წვერზე ხაზს გაუსვამს მასშტაბს.

საპირისპიროს ჩვენება/კონტრასტი: ორი საპირისპირო რამის ერთად გადაღება მათი განსხვავებულობის ხაზგასასმელად. გადაუღეთ სურათი ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მოსწავლეს გვერდიგვერდ, ან ყველაზე უმცროსსა და ყველაზე უფროსს, ანდა იპოვეთ ახლად ამოსული ნორჩი ყვავილი ჩამონგრეულ აგურის კედელთან.

განათება: საფუძველია იმისა, როგორაა განათებული თქვენი ობიექტი კადრში.

პირდაპირი განათება: ობიექტი სინათლის წყაროს პირდაპირაა, შუაში კი არავითარი დაბრკოლება არ არსებობს: სახე მზის შუქზე ან ნათურის გვერდით. პირდაპირ განათებას შეუძლია წარმოაჩინოს ადამიანის სახის წვრილმანი დეტალები ან ძალიან გაანათოს კადრი.

„ფლეში“/დამატებითი განათება: თქვენი ფოტოაპარატის ფლეშის საშუალებით შეგიძლიათ მკვეთრი პირდაპირი განათებით გამოწვეული ჩრდილების მოშორება. ანდა, შეგიძლიათ გაანათოთ ვინმეს სახე ღამის ცის ფონზე. მოდის ფოტოგრაფები ყოველი კადრის გადაღებისას იყენებენ „ფლეშ“-განათებას.

არაპირდაპირი/გაბნეული განათება: სინათლის ყველა სხვა ფორმა, როგორიცაა: დღის განათების ნათურები, ჩრდილში მდგომი ადამიანები, ან უბრალოდ, გადაღება ოთახში გაწეული შტორებით. არაპირდაპირი განათება უფრო რბილად ანათებს სახეს და უფრო მეტად ეხამება ისეთ ფონს, სადაც ნაკლები ჩრდილია.

ბუნებრივი სინათლე: ციდან წამოსული სინათლე, განათება ოთახს გარეთ. ზოგჯერ „არსებულ“ განათებასაც უწოდებენ.

ჩრდილები/ფერები: მოძებნეთ კონტრასტული ფერები: იისფერი ყვავილების მინდორი ღია-ყავისფერი კედლის წინ, ან ადამიანი სტაფილოსფერი სვიტერით ნაცრისფერ კედელთან. შავ-თეთრ ფოტოში ზემოდან განათებამ ან დილა/საღამოს განათებამ დრამატული ჩრდილები შეიძლება შექმნას.

ჯადოსნური საათი: კინორეჟისორები ამას ფოტოგრაფიისთვის საუკეთესო დროს უწოდებენ. ესაა 30 წუთი მზის ამოსვლამდე და მზის ამოსვლის შემდეგ და 30 წუთი მზის ჩასვლამდე და ჩასვლის შემდეგ, როცა განათება ყველაზე დრამატულია. ყვითელი, ნარინჯისფერი და ზოგჯერ იისფერი ჩრდილები ყოველ წუთს იცვლებიან.

რჩევები:

- არ გადაიღოთ ფანჯრიდან, თუ მხოლოდ სილუეტის გადაღება არ გინდათ.
- იპოვეთ პირდაპირი სინათლის წყარო და თქვენს ზურგს უკან მოაქციეთ.
- როცა ოთახში არ იღებთ, ჩრდილში გადაუღეთ სურათები თქვენს ობიექტებს. გაბნეული სინათლე თითქმის ყოველთვის იძლევა საკმარის განათებას.

აქტივობა

დავალება: გახდით ფოტოგრაფი

თქვენ ახლახანს ნახეთ ბევრი სურათი, რომლებშიც ნაჩვენები იყო ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები და ცნებები. ამ დავალების შესასრულებლად თქვენ უნდა გახვიდეთ და შეამოწმოთ საკუთარი ფოტოგრაფიის უნარი. თქვენი დავალებაა სკოლის ცხოვრების დოკუმენტურად ჩვენება, გადაიღეთ სურათები „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონში“ მოცემული ცნებების საილუსტრაციოდ. ეს ფურცელი თან გქონდეთ, რომ რამე არ გამოგრჩეთ.

მაგალითად, გადაუღეთ ყვავილებს სკოლის ეზოში, რომ აჩვენოთ განმეორებადი ფორმები. ან გადაუღეთ მომღიმარ მოსწავლეს, რათა აჩვენოთ, რომ იცით ახლო კადრით გადაღება.

აუცილებლად ითხოვეთ მასწავლებლისგან ნებართვა, თუ საკლასო ოთახში აპირებთ გადაღებას. როცა ქუჩაში მყოფ ადამიანებს იღებთ, როგორც წესი, ნებართვის თხოვნა არ გჭირდებათ, რადგან ისინი საზოგადოებრივ ადგილას იმყოფებიან.

გადაუღეთ 40-დან 60 ფოტომდე ყველაფერს, რასაც სკოლაში და სკოლის ირგვლივ ხედავთ. მე-7 გაკვეთილზე მთელი კლასი ნახავს ორ საუკეთესოს თქვენი ფოტოებიდან. თქვენ მათ კლასში პროექტორზე უჩვენებთ და ახსნით ფოტოგრაფიის პრინციპებს, რომლებიც ამ ფოტოებს მიესადაგება. მასწავლებელი თავად აირჩევს, როგორ მიიღებს თქვენს ფოტოებს, ელ. ფოსტით თუ USB-თი.

აქაა მოცემული ფოტოგრაფიის ტერმინები, რომლებიც უნდა გამოიყენოთ ფოტოებში:

- ჰორიზონტალური/ვერტიკალური
- ინტერესის ცენტრი
- მესამედების კანონი
- სიახლოვე: შორი/საშუალო/ახლო
- კუთხეები
- ფონის სიღრმე
- წინა პლანის ელემენტი

- სუფთა ფონი
- ჩამოჭრა
- განმეორებადი ფორმები
- წამყვანი ხაზები/ხვეულები
- მასშტაბი/პერსპექტივა
- კონტრასტი/საპირისპიროს ჩვენება
- განათება

გაკვეთილი 6

სტატიის ლიდი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „ახალი ამბების სტატიის ლიდი“, „გადააკეთეთ სტატიის ლიდი“, „პასუხის ნიმუშები: გადააკეთეთ სტატიის ლიდი“

ცნობები მასწავლებლისთვის

ინგლისურ ენაში სიტყვა lede [ეს არის ალტერნატიული დაწერილობა სიტყვისა lead - რედ.] სტატიის დასაწყისს ნიშნავს. ახალი ამბების შემთხვევაში, ეს ჩვეულებრივ, არის ერთწინადადებიანი აბზაცი. სხვა სტატიებში, როგორიცაა პორტრეტი ან რაიმე ტენდენციის აღმწერი სტატია, ლიდი შეიძლება წარმოადგენდეს ერთიდან სამ აბზაცამდე ტექსტს.

ლიდის წერა განავითარებს ინფორმაციის შეგროვების, სხარტი აზროვნების და აზრის ლაკონურად გადმოცემის უნარებს. სტატიის ლიდმა უნდა მიიპყროს მკითხველის ყურადღება და გამოიწვიოს კითხვის გაგრძელება. ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი ჩანს, რა მიაჩნია რეპორტიორს ყველაზე მნიშვნელოვნად ამ ინფორმაციაში.

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი უნდა პასუხობდეს კითხვებს „ვინ, სად და როდის რა გააკეთა“. რეპორტიორს შეუძლია, ისიც თქვას ლიდში, როგორ და რატომ შესრულდა მოქმედებები, ან მიიღეს გადაწყვეტილებები.

მიზნები

- მოსწავლეები შეაგროვებენ ინფორმაციას და იმსჯელებენ, რა არის ახალი ამბავი.
- მოსწავლეები მიხვდებიან, რა საჭიროა ლიდი.
- მოსწავლეებს შეეძლებათ, გამოყონ სტატიის ძირითადი ინფორმაცია და დაწერონ ლიდი

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეებს უკვე ნასწავლი აქვთ ახალი ამბის ღირებულებები (თვისებები, რომლებიც აქცევს ინფორმაციას ახალ ამბად) და პრაქტიკულად გავლილი აქვთ ინტერვიუს აღება, ამგვარად, ისინი უკვე მომზადებული არიან, რომ ისწავლონ ახალი ამბების წერა.

აჩვენეთ გაზეთების პირველი გვერდების ნიმუშები. რედაქცია აფასებს ახალ ამბებს და ითვალისწინებს საკუთარ მკითხველებს, როცა იღებს გადაწყვეტილებას, რომელი სტატიები უნდა დაიბეჭდოს პირველ გვერდზე. პირველი გვერდი არის კომბინაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბის ამსახველი სტატიებისა, ასევე - იმ სტატიებისა, რომლებმაც რედაქციის აზრით, ყველაზე მეტად უნდა დააინტერესონ მკითხველები.

ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ კითხულობენ ისინი გაზეთების პირველ გვერდებს. პირველ რიგში სათაურებს კითხულობენ, სურათებს ათვალიერებენ, სურათის წარწერებს კითხულობენ, თუ პირდაპირ სტატიის კითხვას იწყებენ? გაზეთების მკითხველთა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მკითხველების ყურადღებას პირველ რიგში სათაურები და სურათები იპყრობს.

აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია კარგად დაწერილი პირველი აბზაცი, რათა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს სტატიას.

მეორე ეტაპი

დრო: 10 წუთი

გააცანით მოსწავლეებს ახალი ამბის ამსახველი სტატიების დასაწყისები. წაუკითხეთ ორი ლიდი ახალი გაზეთებიდან. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ახალი ამბის ამსახველი სტატიის პირველ აბზაცს ლიდი (lede) ჰქვია. მასში მოცემულია სტატიის მთავარი სათქმელი, ძირითადი ინფორმაცია.

დაურიგეთ მოსწავლეებს „ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი“. მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეთ და გაარჩიეთ მოყვანილი მაგალითები, ამას 10 წუთზე მეტ დროს ნუ მოანდომებთ. მასწავლებლებს შეუძლიათ, ეს მაგალითები ჩინური გაზეთებიდან მოყვანილი მაგალითებით შეცვალონ.

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეებმა უნდა მიუსადაგონ კითხვითი სიტყვების პრინციპი (ვინ, რა, სად, როდის, რატომ, როგორ) ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდს. ამ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ახალი ამბების სტატიის ტრადიციული ლიდი. დაურიგეთ მოსწავლეებს „ახალი ამბის ლიდის წერის სავარჯიშოები“. პირველი სავარჯიშო ერთად გააკეთეთ. ამ სავარჯიშოების შესაძლო პასუხები მოცემულია მასალაში: „პასუხის ნიმუშები: ახალი ამბის ლიდის წერის სავარჯიშოები“.

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეები დააწყვილეთ. მიეცით ხუთი წუთი წყვილებში სამუშაოდ და სთხოვეთ დარჩენილი ორი სავარჯიშოს შესრულება.

შეარჩიეთ ორი მოსწავლე, რომლებიც საკუთარ პასუხებს დაფაზე დაწერენ. მოკლე განხილვის შემდეგ, როცა გაარკვევენ, ახალი ამბის ყველა ელემენტი თუ არის გათვალისწინებული, მასწავლებელმა შეიძლება იკითხოს, სხვა ვარიანტიც ხომ არა აქვთ პასუხის და წააკითხოს განსხვავებული პასუხები.

აუცილებლად აუხსენით მოსწავლეებს, რომ რეპორტიორის შეხედულებები არ უნდა იყოს ახალი ამბის ამსახველ სტატიაში. თუ მოსწავლეებმა სწორად ვერ მოახერხეს ინფორმაციის ძირითადი კითხვების მიხედვით გამოყოფა, ხელახლა უნდა ავუხსნათ.

როგორც წესი, ახალი ამბის ლიდი უნდა იყოს მოკლე და შეიცავდეს ძირითად ინფორმაციას. თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

ივარჯიშეთ ახალი ამბის ლიდის წერაში

მეხუთე ეტაპი

დრო: 8 წუთი

მოსწავლეებმა უნდა ივარჯიშონ ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდის წერაში. მასწავლებლებმა უნდა მოამზადონ რაიმე ახალი ამბავი. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებისთვის ეს ამბავი ნაცნობია. დაწერეთ დაფაზე: ვინ, რა, სად, როდის, რატომ, როგორ. მოვლენის დასახელების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ ამ ექვსი კატეგორიიდან თითოეულის შესაბამისი ინფორმაცია.

მოსწავლეებმა ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენონ ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდის დასაწერად. მიეცით მათ სამი წუთი და სთხოვეთ ლიდის დაწერა.

წააკითხეთ რამდენიმე მოსწავლეს. გაუკეთეთ კომენტარები, რამდენად გასაგებია და ზუსტია ლიდი.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ლიდი სტატიის პირველი ერთი ან ორი აბზაცია. ახალი ამბის ამსახველი სტატიის ტრადიციული ლიდი სტატიის ძირითად ინფორმაციას მოიცავს – ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ. ეს პირობა საშუალებას იძლევა, რომ ახალი ამბის ამსახველი სტატიით სწრაფად მივიღოთ ინფორმაცია.

საჭირო ინფორმაციის შერჩევა და მისი მოკლედ გადმოცემა გონებრივი უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომელიც სხვა აკადემიურ საგნებშიც გამოადგებათ. კონსპექტის, ან მოკლე შინაარსის წერა იგივე პროცესია, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის დიდი რაოდენობის გააზრებას, მისი ძირითადი აზრის განსაზღვრას და ამ ინფორმაციის ან მონაცემების მოკლედ და ზუსტად წარმოდგენას.

შესაძლო საშინაო დავალება

მიეცით მოსწავლეებს ინფორმაცია ერთიდან სამამდე ახალი ამბის შესახებ, რომლებიც თქვენს სკოლაში ხდება. სთხოვეთ, დაწერონ სტატიის ლიდი თითოეული მოვლენის შესახებ. მათ უნდა გაარკვიონ ძირითადი ინფორმაცია – ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ – და დაწერონ ახალი ამბის ლიდი.

დასარიგებელი მასალა

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი

სტატიის წასაკითხად მკითხველები უნდა მიიზიდოს სათაურმა და ფოტომ, თუ ფოტო აქვს. თუ მკითხველს აინტერესებს ამბავი, ის იწყებს ლიდის – სტატიის პირველი აბზაცის კითხვით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტატიის ლიდის ძირითადი ფუნქციაა მკითხველისთვის ძირითადი ინფორმაციის მიწოდება და იმის ჩვენება, რატომაა ეს საკითხი მნიშვნელოვანი ან საინტერესო, რატომ ღირს კითხვის გაგრძელება. ლიდი უნდა იყოს გასაგები, მოკლე, არ უნდა იყოს დამაბნეველი. როგორც ამბობენ, „თუ მკითხველებს კითხვის შეწყვეტის მიზეზი მიეცი, აუცილებლად შეწყვეტენ“.

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი სწრაფად პასუხობს ძირითად შეკითხვებზე. ახალი ამბავი გადმოცემულია პირდაპირ და მოკლედ:

- ვინ, რა, როდის, სად, რატომ, როგორ

ლიდი ხშირად ერთი წინადადებით იწერება. ის სათაურის გაგრძელებას წარმოადგენს და, ჩვეულებრივ, იწყება პასუხით კითხვებზე ვინ და რა.

მაგალითად:

ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა გაიმარჯვა NBA-ს ჩემპიონატში

ვინ *რა*

აქ მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, რაც საჭიროა სტატიის ლიდის დასაწერად:

- ვინ: ლოს-ანჯელეს ლეიკერსის კალათბურთის გუნდი
- რა: გაიმარჯვა NBA-ს ჩემპიონატში
- როდის: კვირას
- სად: საკუთარ მოედანზე, სტეიპლს არენაზე ლოს-ანჯელესში
- რატომ: იგულისხმება; საუკეთესო გუნდი რომ გამხდარიყო

- როგორ: კობი ბრაიანტის თავისუფალი ტყორცნით ბოლო წამზე

აი, ახალი ამბების ამსახველი სტატიის ლიდიც:

ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა გაიმარჯვა NBA-ს ჩემპიონატში, შეხვედრის ბოლო წამზე კობი ბრაიანტმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისუფალი ტყორცნა და ანგარიში გახდა 92-91, რამაც ლეიკერსს გამარჯვება მოუტანა საკუთარ მოედანზე ნიუ იორკ ნიქსთან შეხვედრაში.

როგორც ხედავთ, ლიდი დაწერილია ერთი წინადადებით და ადვილად იკითხება. მკითხველს აქვს სტატიის ძირითადი ინფორმაცია. თუნდაც მან კითხვა შეწყვიტოს, სტატიის არსი უკვე იცის.

მეორე მაგალითი

პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩინეთის დიდ კედელს მოინახულებს

ვინ *რა*

აქ მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, რაც საჭიროა სტატიის ლიდის დასაწერად:

- ვინ: აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა
- რა: მოინახულებს
- როდის: მომავალ კვირას
- სად: ჩინეთის დიდი კედელი
- რატომ: კეთილგანწყობის გამოხატვა და აშშ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესება
- როგორ: ჩინეთის ლიდერებთან ერთად

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩინეთის დიდ კედელს მოინახულებს მომავალ კვირას ჩინეთის ლიდერებთან ერთად, რათა გამოხატოს კეთილგანწყობა და ხელი შეუწყოს აშშ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებას.

მაგალითი მოსწავლეთა გაზეთიდან:

პინგ-პონგის კლუბი მანქანებს გარეცხავს

ვინ *რა*

აქ მოცემულია ძირითადი ინფორმაცია, რაც საჭიროა სტატიის ლიდის დასაწერად:

- ვინ: პინგ-პონგის კლუბის წევრი მოსწავლეები
- რა: გარეცხავენ მანქანებს
- როდის: შაბათს 10 საათზე
- სად: Exxon-ის ბენზინგასამართ სადგურზე მედფორდ დრაივის #4100.
- რატომ: ფულის შესაგროვებლად პინგ-პონგის ახალი მაგიდებისთვის
- როგორ: მანქანების გარეცხვით მიღებული შემოწირულობით

პინგ-პონგის კლუბის წევრი მოსწავლეები გარეცხავენ მანქანებს Exxon-ის ბენზინგასამართ სადგურზე სკოლასთან ახლოს შაბათს 10 საათზე, რათა შეაგროვონ ფული პინგ-პონგის ახალი მაგიდების საყიდლად.

აქტივობა

გადააკეთეთ სტატიის ლიდი

ქვემოთ მოცემულია სამი სხვადასხვა სტატიის ლიდი, ისინი მრავალსიტყვიანი და ძნელად გასაგებია. ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდში მოყვანილი მაგალითების მიხედვით გადააკეთეთ თითოეული მათგანი ისე, რომ ორ წინადადებაზე მეტი არ გამოვიდეს. დაიწყეთ ინფორმაციით „ვინ“ და „რა“, წერეთ გასაგებად და მოკლედ:

1. მე მაინცდამაინც არ მიყვარს ჭადრაკის თამაში, მაგრამ ჩვენს სკოლაში ბევრს უყვარს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ისინი მოსაწყენ საქმიანობას მისდევენ, მაგრამ ჭადრაკის კლუბში 50 წევრია, ამიტომ ვფიქრობ, ისინი რაღაც საინტერესოს აკეთებენ. მომავალ ორშაბათს კლუბი უმასპინძლებს „ჭადრაკის ფესტივალს“, სხვა სკოლებიც გამოგზავნიან წარმომადგენლებს და მოეწყობა ტურნირი. სულ 20 სკოლა შეეჯიბრება ერთმანეთს. მხოლოდ ჩვენი რაიონის სკოლები იღებენ მონაწილეობას. ტურნირი ერთი დღე გაგრძელდება. თითოეულმა გუნდმა $25 უნდა გადაიხადოს, ჩვენი სკოლა ამ ფულს გამოიყენებს ჭადრაკის კლუბისთვის უკეთესი ჭადრაკის დაფების და საათების შესაძენად.

2. მოსწავლეები, რომლებიც გადიან კულინარიის ხელოვნების პროგრამას, ყოველდღიურად ვარჯიშობენ და სწავლობენ, რომ მზარეულები გახდნენ. ოთხშაბათს ისინი ცნობილ მზარეულს შეხვდებიან. მისი სახელია ბილ ჯონსონი და ის კონდიტერია. შეხვედრაზე ის აჩვენებს, როგორ მზადდება დესერტები, რითიც მან სახელი გაითქვა.

3. მისის ელეინ რობერტსმა მასწავლებლობის გრძელი და რთული გზა განვლო. ჩვენს საშუალო სკოლაში ინგლისური ენის სწავლების 35 წლის შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ დროა, პენსიაში გასვლაზე იფიქროს. უკანასკნელი სამუშაო დღის შემდეგ ის გეგმავს მეუღლესთან ერთად დედამიწის გარშემო კრუიზში წასვლას. მოსწავლეთა უმეტესობას ის ძალიან უყვარს. ის სასწავლო წელს დაასრულებს და შემდეგ დაანებებს თავს სამსახურს.

პასუხის ნიმუშები: გადააკეთეთ სტატიის ლიდი

გახსოვდეთ, წერა ხელოვნება უფროა, ვიდრე მეცნიერება. მოსწავლეთა პასუხები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვემოთ მოყვანილი ნიმუშებისგან. ზოგჯერ ლიდი ორი მოკლე წინადადებისგან შედგება. გარდა იმისა, რომ 6 ძირითად კითხვაზე უნდა პასუხობდეს, მნიშვნელოვანი ასპექტებია სიცხადე, ლაკონურობა და სიზუსტე.

1. ჭადრაკის კლუბის წევრები ორშაბათს სპორტულ დარბაზში აწყობენ ერთდღიან „ჭადრაკის ფესტივალის“ ტურნირს, რომელშიც ჩვენი რაიონის 20 სხვა სკოლა მიიღებს მონაწილეობას. ამ ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლები ჭადრაკის კლუბს მოხმარდება.

ან

ოცი სკოლა მიიღებს მონაწილეობას ჭადრაკის კლუბის მიერ გამართულ „ჭადრაკის ფესტივალის“ ტურნირში ორშაბათს. რაიონის სხვა სკოლების მიერ შემოტანილი მონაწილეობის გადასახადი ჭადრაკის კლუბის აღჭურვილობის შეძენას მოხმარდება.

- ვინ: ჭადრაკის კლუბი
- რა: გამართავს ტურნირს
- სად: სკოლის სპორტულ დარბაზში
- როდის: ორშაბათს
- რატომ: ფულის შესაგროვებლად უკეთესი ჭადრაკის დაფების და საათების საყიდლად
- როგორ: „ჭადრაკის ფესტივალის“ ტურნირის ჩატარებით

2. ცნობილი კონდიტერი ბილ ჯონსონი კულინარიის ხელოვნების ბეჯით მოსწავლეებს გაუზიარებს ცხობის ტექნოლოგიას კაფეტერიაში ოთხშაბათს.

ან

ცნობილი მზარეული ბილ ჯონსონი ცხობის ტექნოლოგიას აჩვენებს კულინარიის ხელოვნების ბეჯით მოსწავლეებს კაფეტერიაში ოთხშაბათს.

3. ჩვენი საყვარელი ინგლისურის მასწავლებელი ელეინ რობერტსი სასწავლო წლის ბოლოდან პენსიაზე გასვლას აპირებს, 35-წლიანი კარიერის დასასრულს იგი ახალი თავგადასავლით შეეგებება – დედამიწის გარშემო კრუიზით მეუღლესთან ერთად.

ან

ინგლისურის მასწავლებელი ელეინ რობერტსი სასწავლო წლის ბოლო დღეს, 35 წელი სწავლების შემდეგ, პენსიაზე გადის და ახალ თავგადასავალს იწყებს. იგი მეუღლესთან ერთად დედამიწის გარშემო კრუიზში მიემგზავრება.

გაკვეთილი 7

ფოტოსურათების შეფასება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: მოსწავლეების გადაღებული ფოტოები, პროექტორი და ეკრანი, ლეპტოპი

დასარიგებელი მასალა: „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონი“, „ფოტოსურათის შეფასების უწყისი“

ცნობები მასწავლებლისთვის

მე-5 გაკვეთილში მოსწავლეებმა ფაუარფოინთის სლაიდ-შოუს გამოყენებით შეისწავლეს ფოტოგრაფიის კომპოზიციის წესები. სლაიდ-შოუს ბოლოს მათ პრაქტიკული სავარჯიშო ჰქონდათ, მასწავლებლის დახმარებით შეაფასეს ხუთი ფოტოსურათი. მე-5 გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა მიიღეს დავალება, გასულიყვნენ გარეთ და სკოლის ცხოვრების ამსახველი ფოტოები გადაეღოთ.

ამ გაკვეთილზე მოსწავლეებმა უნდა გვაჩვენონ ორი საუკეთესო სურათი, რომლებიც მე-5 გაკვეთილის დავალებისთვის გადაიღეს. თუ ამ გაკვეთილს მოსწავლეთა მცირე ჯგუფს უტარებთ, თითოეული მოსწავლის ორზე მეტი ფოტო შეიძლება აიღოთ.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ მათ, როგორც ჟურნალისტებს, ხშირად მოუწევთ ნამუშევრის ფართო საზოგადოების წინაშე გატანა. ვიდრე ნაშრომების საქვეყნოდ გატანას დაიწყებენ, მნიშვნელოვანია პროგრამაში მონაწილე სხვა მოსწავლეების აზრის მოსმენა და მათგან რჩევების მიღება.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან კოლეგების მიერ შეფასების პრინციპს.
- მოსწავლეები გამოიყენებენ ფოტოკომპოზიციის ძირითად კონცეფციებს.
- მოსწავლეები გამოიყენებენ ფოტოგრაფიის ტერმინებს სურათების შეფასებისას.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეები ორ საუკეთესო ფოტოს გადაიტანენ კომპიუტერში, რომელიც შეერთებულია პროექტორთან. მასწავლებელი დაალაგებს მათ ფოტოების გამშვებ რომელიმე პროგრამაში, მაგალითად Picture Manager-ში. შეიძლება ამაში მოსწავლეც დაიხმაროს. ზოგიერთი მოსწავლე ელ. ფოსტით გაუგზავნის მას სურათებს, სხვებმა შეიძლება USB-თი მოიტანონ.

პროექტორის უქონლობის შემთხვევაში მოსწავლეებმა შეიძლება დაბეჭდონ თავისი ფოტოები და 4-6-კაციან მცირე ჯგუფებში დაათვალიერონ.

შემდეგ მასწავლებელი დაურიგებს „ფოტოსურათის შეფასების უწყისებს“. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონიც“ მე-5 გაკვეთილიდან. შემოკლებები უწყისის ზედა სტრიქონში შეესაბამება ლექსიკონში განმარტებულ თვისებებს. მაგალითად, ჰ/ვ აღნიშნავს „ჰორიზონტალურს“ და „ვერტიკალურს“.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ახლა პოზიტიური და კონსტრუქციული რჩევები უნდა მივცეთ დღეს მოტანილი სურათების ავტორებს. საკუთარი შეფასებებისთვის ისინი ცხრილს გამოიყენებენ.

მესამე ეტაპი

დრო: 20 წუთი

თითოეული მოსწავლე გამოვა კლასის წინ და დაახლოებით ერთ წუთს დაუთმობს თავისი გადაღებული ერთი სურათის აღწერას. ფოტო ნაჩვენები იქნება ეკრანზე. მოსწავლე ისაუბრებს, როგორ გადაიღო სურათი. მასწავლებელი შეაქებს ყველა სურათს, რომელზეც ისაუბრებენ.

„ფოტოსურათის შეფასების უწყისში“ მოსწავლეები ჩაიწერენ თითოეული გამომსვლელის სახელს და ფოტოს დასახელებას, შემდეგ აღნიშნავენ ფოტოგრაფიის თითოეულ ტერმინს, რომელიც გამოყენებულია სურათში. მოსწავლეები გამოიყენებენ „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონს“ ტერმინების განმარტებისთვის.

უწყისში მოცემული მაგალითის მიხედვით, მოსწავლეები ჩაწერენ უჯრაში „+“-ს, თუ ფოტოგრაფიის შესაბამისი ელემენტი გამოყენებულია. თუ ელემენტი არაა გამოყენებული, ჩაწერენ „–“-ს. თუ ეს ელემენტი არ უნდა იყოს გამოყენებული მოცემული ფოტოს შეფასებაში, მაშინ ჩაწერენ „0“-ს.

ბოლო სვეტში მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ ფოტოს შეფასება ქულებით 1-დან 10-მდე. როცა უწყისის შევსებას დაასრულებენ, მოსწავლეებს შეუძლიათ, სიტყვიერადაც შეაქონ ფოტოები. როცა საკუთარი სურათის აღწერას მორჩება, მოსწავლე სწრაფად უნდა დაბრუნდეს თავის ადგილზე. როცა ერთი ჯდება, მეორე მოსწავლე უნდა გამოვიდეს და სწრაფადვე დაიკავოს მისი ადგილი.

მეოთხე ეტაპი

დრო: 4 წუთი

მასწავლებელი შეაგროვებს მოსწავლეების მიერ შევსებულ უწყისებს. თუ დრო არის, მასწავლებელმა შეიძლება გამოაცხადოს, რომელი მოსწავლის ფოტომ მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება. ამ ქმედების მიზანია ყველა მოსწავლის შექება, რათა საკუთარი თავის რწმენა და მომავალი წარმატებისკენ სწრაფვა წახალისდეს.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 1 წუთი

ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერიმენტირება ფოტოაპარატით, რათა გავეცნოთ მის პარამეტრებს და მახასიათებლებს. ასევე მნიშვნელოვანია თვალისა და გონების გავარჯიშება, რომ დავაკვირდეთ გადასაღებ გარემოს და ადამიანებს.

წაახალისეთ თქვენი რედაქციის თანამშრომლები, რომ გადაიღონ ფოტოები სკოლის საზოგადოების უკეთ გასაცნობად.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებმა შეიძლება აირჩიონ მეწყვილე და წერილობითად შეაფასონ ერთმანეთის ფოტოები. მათ თავად შეუძლიათ, გადაწყვიტონ, როგორ გაცვლიან ფოტოებს ერთმანეთში, USB-ით, ელ. ფოსტით თუ დაბეჭდილ ფოტოებს. „ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონის“

გამოყენებით მოსწავლეები დაწერენ ერთმანეთის ფოტოების ერთ-აბზაციან შეფასებას და შემდეგ გაკვეთილზე მოიტანენ.

დასარიგებელი მასალა

ფოტოსურათის შეფასების უწყისი

მოსწავლის სახელი/ფოტოს სახელი	ჰ/ვ	ი ც	1/3	შ/ს/ა	კუთხე	ფ ს	წ პ	ს ფ	ჩამოჭრა	ფორმ	წ ხ	მასშტაბი	კონტრ	განათ	ქულა
ჯონ სმიტი – დრაკონის ხიდი	ჰ	+	+	შ	0	+	–	+	+	+	+	+	+	+	9

გაკვეთილი 8

თემატური რეპორტაჟი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „რჩევები თემატურ რეპორტიორებს“, „თემატური რეპორტაჟი“

ცნობები მასწავლებლისთვის

ჟურნალისტებს გარკვეული თემა ან გარკვეული ადგილი აქვთ, რომლის შესახებაც უნდა წერონ ახალი ამბავი. რეპორტაჟების თემატურად განაწილებით სკოლის გაზეთი სკოლის და საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტს შეეხება.

ინგლისურად იმ სფეროს თუ თემას, რომლის შესახებაც აკეთებს ჟურნალისტი რეპორტაჟს, „beat“ ჰქვია, ხოლო ჟურნალისტს, რომელიც რეპორტაჟს აკეთებს, ეწოდება „beat reporter“.

მიზნები

- მოსწავლეები გამოიყენებენ და დახვეწენ ახალი ამბების მოძიების უნარს.
- მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას სკოლისა და საზოგადოების ცხოვრების რომელიმე სფეროს შესახებ.
- მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ პასუხისმგებლობა წერის პროცესში თითოეული ეტაპის დროულად დასრულებასთან დაკავშირებით.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

გააცანით მოსწავლეებს თემატური რეპორტაჟების საკითხი. ჰკითხეთ, თუ აქცევენ ყურადღებას იმ რეპორტიორების სახელებს, ვინც მათი ქალაქის გაზეთში სტატიებს აქვეყნებს. თუ შეუმჩნევიათ, რომ ზოგიერთი რეპორტიორი ყოველთვის წერს რეგიონულ საკითხებზე, ზოგი განათლებაზე და ზოგიც სპორტზე? მასწავლებლებს შეუძლიათ, ამის საილუსტრაციოდ მოიტანონ ერთი რეპორტიორის რამდენიმე სტატია.

მოსწავლეებს ჰკითხეთ, რატომ არის ასე მათი აზრით?

პასუხი: რეპორტიორს აქვს საკუთარი თემატური სფერო. ის წერს ყველაფერზე, რაც უკავშირდება მეცნიერებას, ბიზნესს, ან კალათბურთს.

მასწავლებელმა, შესაძლებელია, დაფაზე დაწეროს განმარტებები:

- თემატური რეპორტიორი – ჟურნალისტი, რომელიც წერს გარკვეულ სფეროზე – თემაზე – და რომლისგანაც ელოდებიან ახალ ამბებს ამ თემის შესახებ.
- თემატური რეპორტაჟი – კონკრეტული საგანი ან თემა, რის შესახებაც უნდა დაიწეროს რეპორტაჟი.

მეორე ეტაპი

დრო: 10 წუთი

უთხარით მოსწავლეებს, რომ მათ გაუნაწილდებათ რეპორტაჟების თემები, რათა გაზეთს ყველა საკითხზე ჰქონდეს მასალა (და მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდსაც, თუ გაქვთ).

როგორ მოხდება ეს?

შეიძლება, უკვე არსებული თემების სია მივცეთ მოსწავლეებს და საკუთარი სახელები მიაწერონ. თემები შეიძლება მოსწავლეების ინტერესების მიხედვით განაწილდეს, მათემატიკა ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სპორტი ან ხელოვნება. თემები შეიძლება საჭიროების მიხედვითაც განაწილდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტულ თემებს შორისაც.

იმის მიუხედავად, როგორ გაანაწილებს მასწავლებელი თემებს, თემატურმა რეპორტიორებმა უნდა მიიღონ ცოდნა ამ კონკრეტულ სფეროში. სკოლის გაზეთის რეპორტიორებს ექნებათ თემები მეცნიერებაზე, ადმინისტრაციაზე, მოსწავლეთა ცხოვრებაზე, კლუბებსა და ორგანიზაციებზე, სპორტზე. რაც უფრო მეტი წევრია რედაქციაში, მით უფრო კონკრეტული და ვიწრო იქნება მათი თემები.

რეპორტიორი, რომელსაც ადმინისტრაციის თემა ევალება, გაზეთის სახეს წარმოადგენს სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის. რეპორტიორი, რომელსაც კალათბურთის თემა ევალება, გაიცნობს მწვრთნელებს, მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს. ეს რეპორტიორი კარგად შეისწავლის საკუთარი სკოლის გუნდის და მეტოქე სკოლების გუნდების საკალათბურთო სტატისტიკას.

კარგ რეპორტიორს ინფორმაციის სანდო წყაროების მოძებნა შეუძლია საკუთარი თემის ფარგლებში. ისინი არჩევენ, ვის აქვს საჭირო და ზუსტი ინფორმაცია, ვინ საუბრობს ხალისით მოსწავლე რეპორტიორებთან. რაც უფრო მიუკერძოებლად, გაწონასწორებულად და ზუსტადაა გაშუქებული თემა რეპორტიორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში, მით უფრო მეტი ნდობა უყალიბდებათ მისი სანდო წყაროებს. ეს წყაროები მუდამ დაეხმარებიან რეპორტიორს, საქმის კურსში დარჩეს. ისინი წინასწარ გააფრთხილებენ მოსწავლე რეპორტიორს, თუ რამე ხდება.

თემატური რეპორტაჟების ორგანიზება

მესამე ეტაპი

დრო: 8 წუთი

მოსწავლეებმა უნდა ჩამოწერონ იმ თემების სია, რომლებზეც აუცილებლად უნდა გაკეთდეს მათი სკოლის და საზოგადოების შესახებ რეპორტაჟები:

- მეცნიერება
- ადმინისტრაცია
- ხელოვნება და გართობა
- კლუბები და ორგანიზაციები
- სპორტი
- მოსწავლეთა ცხოვრება

ახლა, როცა უკვე გაქვთ ძირითადი კატეგორიები, ზოგიერთ მათგანს ქვეკატეორიები დაუმატეთ. მაგალითად, მეცნიერების და ხელოვნებისა და გართობის თემებისთვის ასეთი ქვე-კატეგორიები იქნება:

- მეცნიერება
- ენების კურსები
- მათემატიკის კათედრა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა
- ხელოვნება და გართობა
- ჯგუფები: კონცერტები და გასტროლები, შოუები, ნიჭიერი მოსწავლეები
- გუნდი: მეცადინეობები და კონცერტები, ნიჭიერი მოსწავლეები
- თეატრი: მეცადინეობები და დადგმები, ნიჭიერი მოსწავლეები

- სახვითი ხელოვნება: მეცადინეობა და ხელოვნების გამოფენა, ნიჭიერი მოსწავლეები
- რა ხდება საზოგადოებაში: კონცერტები, ფილმები, სპექტაკლები

ამერიკულ სკოლებში ჰუმანიტარული მეცნიერებების კათედრა შესაძლებელია შემდეგ თემებად დაიყოს. გაზეთის რედაქციის თანამშრომლების რაოდენობაზეა დამოკიდებული, ეს თემები ერთ მოსწავლეს შეხვდება, თუ ერთი მოსწავლე ინგლისურის გაკვეთილებს აიღებს და მეორე კი ისტორია/მმართველობის გაკვეთილებს. შესაძლებელია ასევე, რომ ერთმა მოსწავლემ აიღოს გაძლიერებული სწავლების გაკვეთილები ყველა სასკოლო საგანში.

თემების ჩამონათვალის შექმნა, რომელიც თქვენი სკოლის ყველა ასპექტს დაფარავს, ძალიან მნიშვნელოვანია. თემატურმა რეპორტაჟებმა თქვენი სტუდენტური მედიის ბირთვი უნდა შეადგინოს. რასაკვირველია, თქვენს სკოლაში და საზოგადოებაში სხვა სფეროებიც იქნება, რომლებსაც შეეხებით სტატიებში.

როცა კლასი თემების სიაზე შეთანხმდება, მასწავლებლები გაანაწილებენ თემებს, ან მოსწავლეები თავად აირჩევენ მათ. გაითვალისწინეთ, როგორ გამოიყენებთ ამ თემებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მაგალითად, მოსწავლეებმა, რომლებიც სპორტის თემას აირჩევენ, სპორტის რამდენიმე სახეობის შესახებ უნდა წერონ სხვადასხვა სეზონზე.

დაადგინეთ პროცედურა

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეებს დაურიგეთ „რჩევები თემატურ რეპორტიორებს“. აქ მოცემულია რჩევები კონტაქტების დასამყარებლად და თემის შესახებ საწერად. გაარჩიეთ თითოეული რჩევა და უპასუხეთ მოსწავლეთა შეკითხვებს.

დაურიგეთ მოსწავლეებს „თემატური რეპორტაჟი“. იმსჯელეთ საჭირო ინფორმაციაზე. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მათ უნდა ჩაიწერონ ინფორმაციის წყაროების სახელები. მათ უნდა მიუთითონ ციტირებული მასალის წყაროც.

მასწავლებლები ადგენენ ვადებს, რა სიხშირით უნდა მომზადდეს თემატური რეპორტაჟები. ორ კვირაში ერთხელ ერთი რეპორტაჟი მიაჩვევს მოსწავლეებს კონტაქტების დამყარებას, მოვლენების დაკვირვებას და ახალი ამბის შესახებ რეპორტაჟის წერას. ზოგიერთი თემების

შესახებ უფრო ადვილია ინფორმაციის მიღება, მოვლენების, მოქმედებების და გადაწყვეტილებების შესახებ რეპორტაჟის წერა. თუ მოსწავლეს რამდენიმე თემა აქვს აღებული, საკმარისი იქნება, ამ თემებიდან ერთ-ერთზე გააკეთოს რეპორტაჟი, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ ყველა თემაში რაღაც ახალი ხდება და რაღაც დასაწერია.

შესაძლო ვებგვერდისთვის წერა

მეხუთე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მასწავლებელმა უნდა განიხილოს ეს, თუ სკოლას აქვს ახალი ამბების ვებგვერდი.

- თუ სკოლის გაზეთს აქვს ახალი ამბების ვებგვერდი ახალი ამბებისთვის, ცვლილებებისთვის და ყოველივე იმისთვის, რაც გაზეთის ფურცლებზე არ ეტევა, თემატური რეპორტიორი უნდა მოემზადოს ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ასატვირთად, წინასწარი შეტყობინებების და მოვლენების შემდგომი მიმოხილვების დასადებად – ესაა ამბები, როგორ ვითარდება მოვლენები და როგორ ემატება ახალი ინფორმაცია მას შემდეგ, რაც ახალი ამბის ამსახველი პირველი სტატია გამოქვეყნდა გაზეთში.
- კლასთან ერთად განიხილეთ პროცედურა, როგორ რედაქტირდება და იგზავნება ახალი ამბები ვებგვერდზე.
- მოსწავლე რეპორტიორებმა შეიძლება გააკეთონ ბლოგი ახალი ამბების საიტზე. შეიძლება გაიმართოს საუბარი დაინტერესებულ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და რედაქციას შორის. მხოლოდ შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ამ ბლოგზეც „პროფესიონალებად“ უნდა დარჩნენ. როცა ბლოგზე წერენ, ისინი ამ შემთხვევაშიც რედაქციას წარმოადგენენ.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

რეპორტაჟისთვის თემების განაწილება მოსწავლეს პასუხისმგებლობის სფეროს აძლევს. თითოეული მოსწავლე ხდება გაზეთის შინაარსის თანამფლობელი. თემა ეხმარება მორცხვ მოსწავლეებს თავდაჯერებულობის მოპოვებაში, რადგან ის ამყარებს კონტაქტებს და მას ცნობენ მასწავლებლები და მოსწავლეთა ლიდერები სკოლის მასშტაბით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ აბარებს თავის თემატურ რეპორტაჟებს, მასწავლებელს და მოსწავლეთა გაზეთის რედაქციას რჩებათ დრო, რომ ჩაერიონ და დაეხმარონ მას. ახალგაზრდა რეპორტიორს შეიძლება დასჭირდეს დახმარება კონტაქტის დამყარებაში ან ჩანაწერებიდან სტატიის წერაზე გადასვლაში.

თემატური რეპორტაჟის პროცედურის ცოდნა და შეძენილი უნარები უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისასაც დაეხმარება მოსწავლეს. სტუდენტობისას მას მოუწევს პროფესორებთან და მისი სფეროს მკვლევარებთან კონტაქტის დამყარება, საკუთარი ცოდნის შეფასება და განსაზღვრა, კიდევ რა უნდა იცოდეს, ჩანაწერების და სხვადასხვა წყაროებიდან აღებული ინფორმაციის თანმიმდევრულად დაწერა.

შენიშვნა მასწავლებლებს: გარდა „რჩევები თემატურ რეპორტიორებს“ და „თემატური რეპორტაჟის“ მასალებისა, მოცემულია თემატურ რეპორტაჟთან დაკავშირებული ორი სხვა აქტივობა. ისინი უნდა გამოიყენოთ, როცა გაზეთის ოთხი ან მეტი ნომერი დაიბეჭდება და რედაქციის თანამშრომლებს მეტი ეცოდინებათ თემატური რეპორტაჟის შესახებ.

1. „მუშაობა თემატურ რეპორტიორად“ არის განცხადება კონკრეტულ თემაზე რეპორტიორად მუშაობის თაობაზე. მას შემდეგ, რაც რედაქციის თანამშრომლები გააცნობიერებენ, რას ნიშნავს თემატური რეპორტიორი, შეიძლება მათ შორის პაექრობა გაიმართოს კონკრეტული თემების მოსაპოვებლად.
2. „წამოჭერით იდეები თქვენს თემასთან დაკავშირებით“ რედაქციის აზრის გაგების კარგი საშუალებაა. გაზეთის რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ, როცა რედაქცია უკვე შეეჩვევა საკუთარ თემებს, შეიძლება სხვაგვარი მიდგომა შესთავაზოთ. თემატური სტატიის ან ახალი ამბის ავტომატურად წერის ნაცვლად, რედაქციის თანამშრომლებმა უნდა მიუტანონ იდეები (შემოგვთავაზონ და დაასაბუთონ თითოეული მათგანი) განსახილველად ერთ ან რამდენიმე რედაქტორს.

ეს მიდგომა ჩამოუყალიბებს გადაწყვეტილების მიღების და დარწმუნების უნარებს რეპორტიორებსაც და რედაქტორებსაც. რეპორტიორებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელია მათ იდეებს შორის საუკეთესო სტატიის იდეები და მოიფიქრონ კარგი არგუმენტები მათ მხარდასაჭერად. რედაქტორებმა უნდა გაითვალისწინონ ეს არგუმენტები და გადაწყვიტონ, ეს სტატიები შეესაბამება თუ არა და როგორ ჩაჯდება მთლიანად სკოლის შესახებ

რეპორტაჟების ციკლში. არის თუ არა ეს საპირველგვერდო სტატია? მოკლე ახალი ამბავი ახალი ამბების სერიაში? საგაზეთო სტატიისთვის არ გამოდგება, მაგრამ კარგია სკოლის ვებგვერდისთვის? განხილვას არ იმსახურებს?

საშინაო დავალება

მოსწავლეები დაადგენენ საკუთარ თემებს და დაწერენ პირველ თემატურ რეპორტაჟს.

დასარიგებელი მასალა

რჩევები თემატურ რეპორტიორებს

თქვენი, როგორც თემატური რეპორტიორის, პასუხისმგებლობაა, იცნობდეთ ადამიანებს, რომლებიც უკავშირდებიან თქვენს თემას, იცოდეთ, რა მოვლენები ხდება და რა გადაწყვეტილებები ახდენს გავლენას თქვენი თემის ფარგლებში. თქვენ თემატური რეპორტაჟების წერის საკუთარი მანერა ჩამოგიყალიბდებათ. აქ მოცემულია რამდენიმე რჩევა, როგორ დაიწყოთ.

გააცანით თავი

როცა იპოვით ადამიანებს, ვინც უკავშირდება თქვენს თემას (ადმინისტრაცია, მასწავლებლები და სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეთა ლიდერები და სხვა), გაეცანით. კარგი იქნება, თუ შეუთანხმდებით პირისპირ შეხვედრაზე. ეს დაგეხმარებათ, უკეთ გაიცნოთ ერთმანეთი. შეგიძლიათ, სავიზიტო ბარათიც (სახელი, გაზეთის სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია) დაამზადოთ მათთვის გადასაცემად.

პირველ შეხვედრამდე შეასრულეთ თქვენი საშინაო დავალება. გაარკვიეთ ყველაფერი, რის გარკვევასაც შეძლებთ ამ ადამიანის ან ჯგუფის შესახებ. მიდით მომზადებული, რომ უფრო მეტი შეიტყოთ მისი მოვალეობების, საქმიანობის, შეხედულებების და ამ სასწავლო წლის გეგმების შესახებ. ამასთანავე, მზად იყავით, რომ თქვენი გაზეთის შესახებ მოუთხროთ – გეგმების და პირველი/შემდეგი გამოცემის ვადების თაობაზე.

შეადგინეთ კალენდარი

ჩაიწერეთ იმ მოვლენების თარიღები, რომლებშიც თქვენს თემატურ სფეროში შემავალი ლიდერები, ორგანიზაციები და გუნდები მონაწილეობენ. ნუ გააცდენთ მნიშვნელოვან შეხვედრებს, რომლებზე დასწრებაც ყველასთვის შეიძლება – ან ითხოვეთ დასწრების

ნებართვა. შეადარეთ ეს კალენდარი გაზეთის გამოსვლის თარიღებს, ამგვარად, თქვენ გეცოდინებათ, რისი მოსწრებაა შესაძლებელი შემდეგი ნომრისთვის.

თუ ახალი ამბების ვებგვერდი გაქვთ, გამოიყენეთ ცვლილებების შესატყობინებლად. თუ მოსწავლეები მიეჩვევიან თქვენგან საინტერესო და სწრაფად მიწოდებულ ინფორმაციას, აუცილებლად დაიწყებენ თქვენი სახელის ძებნას ვებგვერდზეც და გაზეთშიც.

იყავით თქვენი თემის საქმის კურსში

იცოდეთ ყველაფერი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს სფეროზე. იცოდეთ გადაწყვეტილებები სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე, რომლებიც გავლენას ახდენენ აკადემიურ მოთხოვნებზე, იკითხეთ და უყურეთ მედიას ისე, რომ თქვენი სფერო(ები) გიტრიალებდეთ თავში. გამოიწერეთ ელ. ფოსტით თქვენს თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

იცოდეთ ამბები

რაც უფრო მეტი იცით თქვენი თემის შესახებ, მით უფრო ადვილია სტატიის იდეის მოფიქრება. გამოიყენეთ თქვენი უკვე არსებული ცოდნა თქვენს სფეროში და შეაფასეთ, კიდევ რა დამატებითი რეპორტაჟია გასაკეთებელი. შეადგინეთ იმ ადამიანების სია, ვისაც უნდა დაუკავშირდეთ მოცემული სტატიისთვის ინფორმაციის მისაღებად.

მოამზადეთ წყაროები

თქვენი წყაროები იქნებიან უფროსებიც და მოსწავლეებიც. ისინი იქნებიან ლიდერები, წევრები, დამკვირვებლები. პატივი ეცით მათ, იყავით მეგობრული. წყაროებთან დაპირისპირებით ვერაფერს მოიგებთ. მისწერეთ მადლობის წერილი ან სიტყვიერად გადაუხადეთ მადლობა იმ ადამიანებს, ვინც დაგეხმარნენ.

შეიძლება დაგჭირდეთ საკონტაქტო პირების ცხრილის შედგენა ან ელ. ფოსტის მისამართების სიაში შეყვანა. მაგალითად, კლუბების და ყოველდღიური საქმიანობებისთვის ესენი იქნებიან კათედრის მრჩეველი, მოსწავლეთა ლიდერები და ორი აქტიური წევრი. ყოველწლიური მოვლენებისთვის ამ სიაში შევლენ წარსულში მონაწილეები და ამჟამინდელი ორგანიზატორები.

გაარკვიეთ თითოეულ წყაროსთან დაკავშირების საუკეთესო დრო და საშუალება. დირექტორს, შეიძლება, წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა ერჩივნოს, ფეხბურთის მწვრთნელს გაკვეთილების შემდეგ შეხვედრა ვარჯიშის დაწყებამდე, ჭადრაკის კლუბის პრეზიდენტისთვის კი ელ. ფოსტით პასუხი იყოს ყველაზე მოსახერხებელი. ეს ინფორმაცია შეინახეთ საჭირო დროს გამოსაყენებლად.

რედაქტორები ინფორმირებული უნდა იყვნენ

რედაქტორებმა უნდა იცოდნენ, რის შესახებ ამზადებთ სტატიას. მოელაპარაკეთ, რამდენი ადგილი დაგჭირდებათ გაზეთში. შეასრულეთ ნაკისრი ვალდებულება. ნდობას დაკარგავთ – წყაროების, თქვენს თემასთან დაკავშირებული ადამიანების, რედაქტორების და მკითხველებისაც – თუ დროულად არ შეასრულებთ სამუშაოს.

აქტივობა

თემატური რეპორტაჟი

რეპორტიორი _____ თარიღი _____

თემა _____

ინტერვიუს თარიღი _____ დრო _____

რესპონდენტ(ებ)ი _____

ახალი ამბები:

აუცილებლად მიაწერეთ ციტატებს ავტორი. პარაფრაზირებული ინფორმაციის წყარო ნათლად უნდა ჩანდეს. იყავით ზუსტი, მიუკერძოებელი, წერეთ გასაგებად.

აქტივობა

მუშაობა თემატურ რეპორტიორად

სახელი _____ თარიღი _____

თქვენ შეგაქვთ განცხადება თქვენი სკოლის გაზეთის თემატური რეპორტიორის ვაკანსიაზე. თქვენი მოვალეობა იქნება სკოლის ცხოვრების მოცემული სფეროს შესახებ წერა. თქვენ მოიძიებთ წყაროებს, დაესწრებით შეხვედრებს და თამაშებს, დაწერთ სტატიებს.

რომელი თემის რეპორტიორად გსურთ მუშაობა?

ახსენით, როგორ აპირებთ ამბების მოპოვებას ამ თემაზე. შეეცადეთ, გაითვალისწინოთ ყველა შესაძლებლობა. დაწერეთ თქვენი „სამუშაოზე აყვანის განცხადება“ თხზულების ფორმით, გაუკეთეთ ლიდი, თქვენი იდეები და დასკვნა.

აქტივობა

წამოჭერით იდეები თქვენს თემასთან დაკავშირებით

სახელი _____ თარიღი _____

თქვენ დაინიშნეთ სკოლის გაზეთის თემატურ რეპორტიორად. გყავთ თქვენი წყაროები და კარგად იცნოთ თქვენს შერჩეულ თემას. ახლა დროა, რომ სტატიის იდეები წამოაყენოთ.

რეპორტიორის მიერ იდეის წამოჭრა ნიშნავს, რომ მან რედაქტორს სტატიის იდეა უნდა შესთავაზოს. რეპორტიორის აზრით, ესაა ამბავი, რომლის შესახებაც უნდა დაწეროს მედიამ და წაიკითხონ მკითხველებმა (ან მოისმინონ მსმენელებმა). როცა თქვენს თემაზე მუშაობთ, წამოჭერით რაც შეიძლება მეტი იდეა სტატიისთვის.

თითოეული იდეის შესახებ დაწერეთ სტატიის ერთაბზაციანი გეგმა. ახსენით, რაში მდგომარეობს სტატიის არსი, აღნიშნეთ „ახალი ამბის ღირებულება“ და „ახალი ამბის ელემენტები“, რაც ამ სტატიას ექნება და მოიხსენიეთ წყაროები, ვისთანაც გაივლით კონსულტაციას. აუცილებლად ჩაურთეთ ისიც, რატომ იქნება ეს ამბავი მკითხველებისთვის საინტერესო ან საჭირო.

გაკვეთილი 9

ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურა

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „ახალი ამბების ორგანიზება“, „ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლექსიკონი“, „გამოიყენეთ ციტატები“, „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“ (მოსწავლის მაგალითი), „ფსიქოლოგიის მასწავლებელი პეილის სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა“ (მოსწავლის მაგალითი)

ცნობები მასწავლებლისთვის

ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ტექნიკამ. როცა რეპორტიორები ტელეგრაფით გადასცემდნენ ახალ ამბებს, არასოდეს ჰქონდათ გარანტია, რომ უცებ კავშირი არ შეწყდებოდა და მოახერხებდნენ მთლიანი ინფორმაციის გაგზავნას. ასეთი შემთხვევებისგან თავის დასაზღვევად, ისინი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგზავნით იწყებდნენ.

ახალი ამბის ამსახველ სტატიას ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურა აქვს, იგი ძირითადი ინფორმაციით იწყება. შემდეგი ინფორმაცია და ციტატები მნიშვნელობის კლების მიხედვითაა დალაგებული.

როცა ინფორმაციას ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურით განალაგებენ, მოსწავლეები ამავდროულად მსჯელობენ შეგროვილი ინფორმაციის მნიშვნელობაზე, ალაგებენ ინფორმაციას ლოგიკურად და წერენ მოკლედ.

მიზნები

- მოსწავლე მიხვდება, რა არის ახალი ამბავი და ჩამოუყალიბდება ახალი ამბის მოძიების უნარი.
- მოსწავლეები წერის დროს გამოიყენებენ ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურას.
- მოსწავლეები დახვეწენ წერის და რედაქტირების უნარებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 6 წუთი

დაიწყეთ გაკვეთილი მოსწავლეებისთვის იმის შეხსენებით, რა მიზანს ემსახურება კარგად დაწერილი ლიდი და სტატიის სათაური. დაურიგეთ მოსწავლეებს ახალი გაზეთები ან ახალი ბიულეტენები კლასში წასაკითხად. სთხოვეთ, წაიკითხონ ყველა სტატიიდან მხოლოდ სათაურები და ლიდი. მიეცით ერთი წუთი ამისთვის.

უთხარით მოსწავლეებს, ისე დადონ გაზეთი, რომ პირველი გვერდი არ ჩანდეს. სთხოვეთ, ფურცებზე ჩამოწერონ ყველა სტატია, რომელიც დაამახსოვრდათ. მიეცით ორი წუთი ამ სიის შესადგენად.

ხელის აწევით გამოარკვიეთ, ვის აქვს ოთხი ან მეტი სტატია. მოსწავლეს, რომელსაც ყველაზე მეტი ახალი ამბავი უწერია სიაში, ხმამაღლა წააკითხეთ ჩამონათვალი. შეამოწმეთ სათაურების სისწორე გაზეთთან შედარებით.

ჰკითხეთ მოსწავლეებს: თქვენი აზრით, როგორ მოახერხეთ ამდენი ახალი ამბის გახსენება? მათი პასუხები შეიძლება ასეთი იყოს:

- ზოგი ახალი ამბავი გაზეთის წაკითხვამდეც ვიცოდი.
- სათაურები დამამახსოვრდა.
- ლიდიდან გამახსენდა ერთი დეტალი.
- ლიდი მოკლე და ადვილად დასამახსოვრებელი იყო.
- სათაურსა და ლიდში ერთი და იგივე ინფორმაცია იყო, ასე რომ, ორჯერ მომიწია წაკითხვა.
- სტატიასთან ერთად სურათი იყო, რომელმაც გამახსენა.

ყველა ეს პასუხი მიანიშნებს ლიდისა და სათაურის მნიშვნელობაზე (სურათებისაც) ინფორმაციის სწრაფად და ზუსტად მისაღებად.

და რაც შეეხება ახალი ამბის ამსახველი სტატიის დანარჩენ ნაწილს?

მეორე ეტაპი

დრო: 10 წუთი

უთხარით მოსწავლეებს, რომ დღევანდელი გაკვეთილი ახალი ამბის ამსახველი სტატიის წერას დაეთმობა. ამობრუნებული პირამიდა ახალი ამბის ამსახველი სტატიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმაა და ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა ისწავლონ ჟურნალისტიკის სწავლისას. ახალი ამბების მკითხველები მას ყოველდღიურად ხვდებიან. სტატიის ორგანიზების ეს ფორმა შენარჩუნდა, რადგან ფაქტებს სწრაფად გადასცემს და შეესაბამება როგორც მკითხველების, ისე რედაქტორების მოთხოვნებს.

დაურიგეთ მოსწავლეებს დიაგრამა „ახალი ამბების ორგანიზება“. განიხილეთ დიაგრამა და წაიკითხეთ განმარტებები.

ამობრუნებული პირამიდა

ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურაში ახალი ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები სტატიის დასაწყისშია მოქცეული. ამ ფორმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია „ვინ, რა, როდის, სად, რატომ, როგორ“ პასუხების შემცველი ლიდი.

რაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს დეტალს, მით მეტადაა გადანაცვლებული სტატიის ბოლოსკენ. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, სტატიის სათაურისა და პირველი რამდენიმე აბზაცის წაკითხვის შემდეგ, თუნდაც არც დრო და არც სურვილი აღარ ჰქონდეს კითხვის გასაგრძელებლად, ახალი ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები იცოდეს.

ეს ამარტივებს რედაქტორის სამუშაოსაც, რადგან საშუალებას იძლევა, სტატია ადვილად შეამოკლოს ბოლოდან (თეორიულად ასეა) ძირითადი ინფორმაციის შემცირების გარეშე.



სტატიის წერა

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

თქვენ უნდა დაიცვათ ბალანსი ინფორმაციის შეჯამებას (რეპორტიორის სიტყვები), ციტატებს (წყაროს სიტყვები) და ფაქტებს (კვლევა და მონაცემები) შორის.

ახალი ამბის ამსახველ სტატიაში მოკლე აბზაცებია. ლიდი საშუალოდ 30-35 სიტყვიანია. დანარჩენი აბზაცები ორი ან სამი წინადადებისგან შედგება.

ახალი ამბის ამსახველ სტატიაში აბზაციდან აბზაცზე ზედმეტი სიტყვების გარეშე გადავდივართ. რეპორტიორის სიტყვები, პარაფრაზირება და ციტატები ადასტურებს ლიდში მოცემულ ინფორმაციას და ავსებს მეტი დეტალებით.

ჩვეულებრივ, მესამე ან მეოთხე აბზაცი წარმოადგენს ციტატას, მოწმის ან მონაწილის სიტყვებს.

„თუმცა“ და „მიუხედავად ამისა“ მაკავშირებლებია, რომლებიც თხზულებების წერისას გამოიყენება. ისინი ხშირად ზედმეტია ახალი ამბის ამსახველ სტატიაში. იმუშავეთ მოსწავლეებთან ერთად ინფორმაციის ლაკონურად გადმოცემასა და ზედმეტი სიტყვების თავიდან არიდებაზე.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აუხსნას ისიც, რომ ახალი ამბის ამსახველი სტატია არ მთავრდება დასკვნით ან შეჯამებით. ახალი ამბის ამსახველი სტატია არაა თხზულება. ის მხოლოდ იშვიათად მთავრდება ხოლმე დასამახსოვრებელი ციტატით ან ფრაზით.

განასხვავეთ

მეოთხე ეტაპი

დრო: 8 წუთი

განასხვავეთ ერთმანეთისგან პარაფრაზირება, ნაწილობრივ ციტირება და სრული ციტირება. დაურიგეთ მოსწავლეებს ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლექსიკონი". მოსწავლეებმა უნდა შეინახონ ეს ფურცლები შემდეგ გამოსაყენებლად.

რეპორტიორები ხშირად აკეთებენ პარაფრაზირებას, რათა გამოიყენონ ერთიდან სამ წინადადებამდე ინტერვიუდან. ზოგჯერ რეპორტიორი ნაწილობრივ ციტირებას იყენებს, რომ უფრო ზუსტად გამოიყენოს წყაროს სიტყვები თავისი სიტყვებით გადმოცემულ შემოკლებულ ინფორმაციაში.

დაურიგეთ მოსწავლეებს „გამოიყენეთ ციტატები". ამ მასალაში განმარტებულია და მაგალითებია მოყვანილი ავტორობის მითითების, პარაფრაზირების, ნაწილობრივი ციტირების და სრული ციტირების. დარწმუნდით, რომ მოსწავლეები ხვდებიან განსხვავებებს:

- პარაფრაზირებაა, როცა რეპორტიორი საკუთარი სიტყვებით შეაჯამებს ნათქვამს. ეს მაშინაა საჭირო, როცა წყაროს ციტატა გრამატიკულად გაუმართავია ან უხეშადაა ნათქვამი. ზოგჯერ პარაფრაზირებით უფრო გარკვეულად გადმოიცემა აზრი, ვიდრე წყაროს ნათქვამი, უფრო გრძელი წინადადებებით.
- ციტატა არის წყაროს სიტყვების ზუსტად გამეორება ერთიდან სამ წინადადებამდე. ციტატა არ უნდა იყოს გრძელი და ციტატები არ უნდა შეადგენდეს სტატიის დიდ ნაწილს.
- როცა მთლიანი ციტატის მხოლოდ ერთი ნაწილია მნიშვნელოვანი, აზრის გადმოცემის და დაზუსტებისათვის დასაშვებია ნაწილობრივი ციტირება.

სცადეთ, იპოვოთ ჩინურ პრესაში ციტატების, ნაწილობრივი ციტატების და პარაფრაზირების ნიმუშები. აქ მოყვანილ სტატიაში სამივეს მაგალითებია. 2010 წლის 14 ივლისს

გამოქვეყნებულ სტატიაში „BP შემოწმებას იწყებს, შეაჩერებს თუ არა ახალი სახურავი ნავთობის გადინებას" ჰენრი ფაუნტენი, *ნიუ იორკ თაიმსის* რეპორტიორი გვიყვება, როგორ აპირებენ იმ სახურავის შემოწმებას, რომელიც ახლახანს დაუყენეს ნავთობის ჭაბურღილს მექსიკის ყურეში.

ახალი ორლეანი – მექსიკის ყურის ჭაბურღილზე, საიდანაც ნავთობი დიდი რაოდენობით გაედინებოდა, ახალი, უფრო მჭიდროდ მორგებული სახურავით BP სამშაბათს შემოწმებისთვის ემზადება, შეწყდება თუ არა ნავთობის ჭავლი სრულებით.

კენტ უელსი, კომპანიის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, რომ წნევის შემოწმება, რომლის დროსაც სახურავის ონკანები ბოლომდე დაიკეტება და გაჟონვას სრულებით შეწყვეტს, სამშაბათ საღამოს დაიწყება და 6-დან 48 საათამდე გასტანს, ეს იქნება პირველი შემთხვევა აპრილში ბურღზე მომხდარი აფეთქების შემდეგ.

სამშაბათს ბრიფინგზე მისტერ უელსმა განაცხადა, რომ BP-ს აქვს „რამდენიმე საათი შემოწმების დაწყებამდე". მისი თქმით, „ეს შემოწმება ძალიან მნიშვნელოვანია და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერი მოვამზადეთ".

წინა ბრიფინგზე, ჰიუსტონში, მისტერ უელსმა თქვა, რომ ახალი სახურავის დამონტაჟება ორშაბათ საღამოს, დაგეგმილზე ადრე დასრულდა. „ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა", თქვა მან. „მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯერ ყველაფერი არ გაკეთებულა."

თუ ამ ჭაბურღილის შემოწმებით დადგინდება, რომ წნევა მოიმატებს და შენარჩუნდება – დადასტურება, რომ ჭაბურღილი არაა დაზიანებული, მთელია მილი, რომელიც ჭაბურღილის სიღრმეში, 13000 ფუტის მანძილზე ზღვის ფსკერზე ჩადის – ასეთ შემთხვევაში BP და მასთან ერთად მომუშავე მეცნიერები გადაწყვეტენ, რომ ონკანები დაკეტილი დატოვონ და ჭაბურღილიდან გადინება შეწყდეს.

მეორე მხრივ, შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ წნევა მოსალოდნელზე დაბალია, რაც მისტერ უელსის თქმით, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჭაბურღილი დაზიანებულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ნავთობი და გაზი გარშემო იღვრება.

ამ შემთხვევაში ონკანების დაკეტვა კიდევ უფრო მეტად დააზიანებს მას. ონკანები ისევ უნდა გახსნან და ნავთობის დინება უნდა გაგრძელდეს, თუმცა მისი ნაწილი, ან შესაძლოა, მთლიანადაც, მილების საშუალებით გემებში შეგროვდება.

მისტერ უელსმა აღნიშნა, რომ მეცნიერები გააანალიზებენ წნევის მონაცემებს შემოწმების მთელი პროცესის განმავლობაში. „თუ მონაცემები გვეტყვიან, რომ უნდა გავხსნათ ჭაბურღილი, ასეც მოვიქცევით“, თქვა მან. „თუ მონაცემები გვეტყვიან, რომ უნდა დავხუროთ, დავხურავთ. ჩვენ მხოლოდ უნდა დაველოდოთ, როგორი იქნება მონაცემები“.

ახალი ამბის ამსახველი სტატიის **გარჩევა**

მეხუთე ეტაპი

დრო: 8 წუთი

მიეცით მოსწავლეებს წასაკითხად „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“. სტატიის ავტორები არიან ოუქტონის საშუალო სკოლის ორი მოსწავლე, ოუქტონი, ვირჯინია. ეს სტატია წინასწარი ინფორმაციის ნიმუშია. მკითხველები ამ სტატიიდან იგებენ ძირითად ინფორმაციას – ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ – მოვლენაზე, რომელიც მალე მოხდება.

როცა მოსწავლეები წაიკითხავენ ამ სტატიას, სთხოვეთ, გააკეთონ მასზე კომენტარები. ყურადღებით წაკითხვის შემდეგ მათ შეეძლებათ, გააანალიზონ სტატიის სტრუქტურა, იპოვონ მაკავშირებლები და დაფიქრდნენ ციტატების განლაგებაზე. კომენტარებში უნდა შედიოდეს:

- ახალი ამბის რა ღირებულებებია ნაჩვენები ლიდში.
- რამდენი ადამიანისგან აიღეს ინტერვიუ სტატიის დასაწერად?
- ინფორმაციის წყაროებს და ციტატებს თუ აწერია ავტორები?
- ციტატებში თუ არის მოცემული ინფორმაცია, რასაც არ გვაწვდიან რეპორტიორები?
- სტატიის შინაარსი თუ არის დალაგებული მნიშვნელობის კლების მიხედვით?
- რჩება თუ არა მკითხველების შეკითხვები უპასუხოდ? თუ კი, კიდევ რა ინფორმაციის გაგება გსურთ?

მოსწავლეებს შეიძლება ვკითხოთ:

- დაგვარწმუნა თუ არა ორმა მოსწავლე რეპორტიორმა მოვლენის მნიშვნელობაში?
- მოიყვანეს თუ არა მათ ისეთი ინფორმაცია, რაც წაახალისებდა გაზეთის მკითხველების მონაწილეობას მოვლენაში?

როგორც ალტერნატივა სტატიისა „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“, დაურიგეთ მოსწავლეებს „ფსიქოლოგიის მასწავლებელი პეილის სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა“. ეს სტატია ისეთი ახალი ამბის სტატიის ნიმუშია, როემლიც პრესის მიმოხილვით იწყება. პრესის მიმოხილვა არის ძირითადი ინფორმაციის წყარო, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეამოწმონ და გამოიყენონ, როგორც საწყისი წერტილი რეპორტაჟის საწერად. პალო-ალტოს საშუალო სკოლის ორი მოსწავლე, პალო-ალტო, კალიფორნია, ინტერვიუს იღებენ, რათა მკითხველებს გააცნონ, ვინ იქნებიან სკოლის ადმინისტრატორები მომავალ სასწავლო წელს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ პირველად ხსენებისას მოცემულია სკოლის სრული დასახელება. ამის შემდეგ მოსწავლე რეპორტიორები იყენებენ შემოკლებულ დასახელებას „პეილი“, რითიც ცნობილია სკოლა მათი მკითხველებისა და საზოგადოებისთვის. ეს სტატია სასწავლო წლის ბოლოსაა დაწერილი მოსწავლეთა ვებგვერდისთვის.

კომენტარების იგივე შეკითხვები გამოიყენება ამ სტატიისთვისაც.

დაწერეთ ახალი ამბის ამსახველი სტატია

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

დაავალეთ მოსწავლეებს ახალი ამბის ამსახველი სტატიის დაწერა. მათ უნდა გამოიყენონ ახალი ამბავი და ინფორმაცია, რაც საკითხის გარშემო აქვთ შეგროვილი. მათ უნდა დაწერონ ტრადიციული ლიდი, ჩაურთონ ორი ან მეტი ციტატა და ერთი ნაწილობრივი ციტატა, გამოიყენონ ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურა.

თუ ჯერ არ უსწავლიათ თემატური რეპორტაჟი (გაკვეთილი 8), ან ჯერ არ გაუკეთებიათ პირველი თემატური რეპორტაჟები, მოამზადეთ ფაქტების ჩამონათვალი, რომ ამ გაკვეთილზე გამოიყენონ. დაწერეთ ძირითადი ინფორმაცია და ორი-სამი შესაძლო ციტატა. ასევე ჩაურთეთ რაიმე სხვა ინფორმაცია და ციტატა, რომელიც თემას არ უკავშირდება. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, შეაფასონ ახალი ამბები და შეასრულონ დავალება.

შეჯამება

მეშვიდე ეტაპი

დრო: 1 წუთი

ახალი ამბის ამსახველი სტატია იწერება ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურით. ის იწყება ახალი ამბის ტრადიციული ლიდით. ინფორმაცია დალაგებულია მნიშვნელობის კლების მიხედვით. ინფორმაცია, მონაცემები და ციტატები ლიდის შინაარსს ადასტურებს.

სრული და ნაწილობრივი ციტატების ტექსტში ჩართვის სწავლა კარგი პრაქტიკაა მოსწავლეებისთვის. ეს უნარი მათ ანალიტიკური თხზულებების და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების წერისას გამოადგებათ.

საშინაო დავალება

მოსწავლეები თემატური რეპორტაჟ(ებ)ის ინფორმაციას გამოიყენებენ ახალი ამბის ამსახველი სტატიის დასაწერად. ეს დავალება უნდა შესრულდეს მე-10 გაკვეთილისთვის: ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება. იხილეთ მეექვსე ეტაპი ზემოთ.

შესაძლო საშინაო დავალება

სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ახალი ამბის ამსახველი სტატიები ადგილობრივ გაზეთში. ამოჭრან სტატია, რომელშიც, მათი აზრით, ყველაზე კარგადაა მოყვანილი:

- სრული ციტატები
- ნაწილობრივი ციტატები
- რეპორტიორის მიერ შეჯამება

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- „ნაბიჯი სწორი მიმართულებით“, *The Outlook*, ალექს ბელდენი და სონია პრაისი, მოსწავლეები. ოუქტონის საშუალო სკოლა, ოუქტონი, ვირჯინია.
- „ფსიქოლოგიის მასწავლებელი პეილის სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა“, პოლ კენდელი, მრჩეველი, პალო-ალტოს საშუალო სკოლა, პალო-ალტო, კალიფორნია.

დასარიგებელი მასალა

ახალი ამბის წყობა

ახალი ამბის ამსახველი სტატიები ხშირად იწერება ფორმით, რომელსაც „ამობრუნებული პირამიდის“ სტრუქტურას უწოდებენ. სტატია იწყება ახალი ამბის ტრადიციული ლიდით. დანარჩენი ინფორმაცია დალაგებულია მნიშვნელობის კლების მიხედვით.

ამობრუნებული პირამიდა ახალი ამბის ამსახველი სტატიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმაა და ერთ-ერთი პირველი, რაც უნდა ისწავლონ ჟურნალისტიკის სწავლისას. სტატიის ორგანიზების ეს ფორმა შენარჩუნდა, რადგან ფაქტებს სწრაფად გადასცემს და აკმაყოფილებს როგორც მკითხველების, ისე რედაქტორების მოთხოვნებს.

რეპორტიორს სჭირდება კრიტიკული აზროვნება, რომ შეარჩიოს ინფორმაცია და დაალაგოს ძირითადი ფაქტებიდან დაწყებული შესაბამისი დეტალებითა და ციტატებით, ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ინფორმაციამდე.

ამობრუნებული პირამიდა



ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურაში ახალი ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები სტატიის დასაწყისშია მოქცეული. ამ ფორმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია „ვინ, რა, როდის, სად, რატომ, როგორ“ პასუხების შემცველი ლიდი.

რაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს დეტალს, მით მეტადაა გადანაცვლებული სტატიის ბოლოსკენ. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, სტატიის სათაურისა და პირველი რამდენიმე აბზაცის წაკითხვის შემდეგ ახალი ამბის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები იცოდეს. მას აღარ სჭირდება კითხვის გაგრძელება, რადგან ძირითადი ინფორმაცია უკვე მიიღო.

ინფორმაციის ამგვარად ორგანიზება ამარტივებს რედაქტორის სამუშაოსაც, რადგან საშუალებას იძლევა, სტატია ადვილად შეამოკლოს ბოლოდან (თეორიულად ასეა) ძირითადი ინფორმაციის შემცირების გარეშე. ამის საჭიროება განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, თუ გაზეთის გვერდზე ადგილი მცირეა, ან ადგილის გამოყოფაა საჭირო განცხადების ან საინფორმაციო გრაფიკისთვის.

დასარიგებელი მასალა

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლექსიკონი

ავტორობის მიწერა: ინფორმაციის წყაროსა და ციტატის ავტორის მითითება.

დაყოვნებული ლიდი: უბრალოდ ახალი ამბის ან საინტერესო ცნობების (Soft News) პირველი აბზაცები, რომლებიც განწყობის შექმნას ემსახურება. აქ ლიდის მიზანია მკითხველის ყურადღების მიპყრობა, რომ მან სტატიის კითხვა გააგრძელოს.

ახალი ამბის ტრადიციული ლიდი: ახალი ამბის ამსახველი სტატიის პირველი აბზაცი, რომელშიც მოცემულია პასუხი კითხვებზე – ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ – თუ ეს პასუხები ცნობილია.

მთავარი ახალი ამბავი (Hard News): ოპერატიული, სასწრაფოდ გამოსაქვეყნებელი მასალა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მკითხველებზე, მაგრამ ღირებულებას კარგავს, თუ გამოქვეყნება დაგვიანდა.

საინტერესო ცნობა: ამბავი, რომელიც არაა განსაკუთრებით ახალი და არც სასწრაფო. „მთავარ“ ახალ ამბებთან შესადარებლად მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „უბრალოდ“ ახალ ამბავს.

ახალი ამბის ლიდი: ახალი ამბების სტატიის პირველი აბზაცი. ზოგჯერ სამ აბზაცამდე გრძელდება.

პერიფრაზირება: ვინმეს ნათქვამის სხვა სიტყვებით გადმოცემა, რათა უფრო პირდაპირ, მარტივად ან მოკლედ გადმოვცეთ ნათქვამის აზრი.

ნაწილობრივი ციტირება: გრძელი ციტატის ნაწილის მოყვანა; ძირითადი ფრაზების შერჩევა რეპორტიორის მონათხრობში ჩასართავად.

ციტატა: რესპონდენტის ზუსტი ფრაზის მოყვანა. ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და მიეწეროს ავტორი.

ციტირება: ვინმეს ნათქვამი ან დაწერილი სიტყვების ზუსტად გამეორება; სხვისი დამოწმება საკუთარი პოზიციის ან მსჯელობის გასამყარებლად.

საინტერესო ცნობა: ინფორმაცია, რომელიც უფრო საინტერესოა, ვიდრე დაუყოვნებლივ საჭირო. მისი დროულად გამოქვეყნება არ წარმოადგენს აუცილებლობას.

მაკავშირებლები: ერთი აზრიდან ან მსჯელობიდან მეორეზე გადასასვლელად საჭირო საშუალებები. ახალი ამბის ამსახველ სტატიებში ერთი აზრიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა ხდება.

დასარიგებელი მასალა

გამოიყენეთ ციტატები

ციტირებას ხშირად იყენებენ ახალი ამბის ამსახველ სტატიებში საინტერესო ამბებში, რედაქტორის თუ პირად სვეტებში. ავტორი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ციტატა სწორად გაიგონა და ჩაიწერა და აუცილებლად უნდა ახსენოს, ვის ციტირებას ახდენს. ციტირება შესაძლებელია პარაფრაზირებით, ნაწილობრივი ან სრული ციტირებით.

ავტორის მითითება

მკითხველს არ უნდა გაუჩნდეს კითხვა: ვინ თქვა ეს? საიდან მიიღეთ ეს ინფორმაცია? თქვენ უნდა უთხრათ ეს. ავტორის მითითება ნიშნავს ინფორმაციის წყაროს და ციტატის ავტორის დასახელებას.

ჩვეულებრივ, ციტატასთან გამოიყენება ზმნა „თქვა“. გაზეთები იყენებენ ფორმებს „წყარომ თქვა“ და „წყარო ამბობს“. რედაქციამ უნდა დაადგინოს, რა ფორმას გამოიყენებენ სტატიებში და მაგალითები რედაქციის თანამშრომლების სტილის სახელმძღვანელოს ფურცლებზე დაწეროს.

რეპორტიორებმა უნდა მიუთითონ ავტორი, როცა რეპორტაჟებიდან და კვლევებიდან აკეთებენ ციტირებას. ხშირად გამოიყენება ფრაზა „მიხედვით“. მკითხველებისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ თავად რეპორტიორი არაა ამ ინფორმაციის წყარო.

პარაფრაზირება

პარაფრაზირება ნიშნავს წყაროს ნათქვამის შეჯამებას სტატიის ავტორის სიტყვებით.

ნაწილობრივი ციტირება

რეპორტიორებს შეუძლიათ, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მოიყვანონ ციტატად. ამით მათ საშუალება ეძლევათ, წინადადების მხოლოდ ყველაზე შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი ნაწილი გაიმეორონ უცვლელად, დანარჩენის კი პარაფრაზირება გააკეთონ. გარდა ამისა, ეს იძლევა მეტ თავისუფლებას, სასურველ ადგილას ჩასვან სტატიაში რესპონდენტის ზუსტი ფრაზა.

სრული ციტირება

ციტატა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ერთ ან მეტ სრულ წინადადებას, რომლის ავტორიც მითითებულია. ის სიცოცხლეს მატებს ახალი ამბის ამსახველ სტატიას. მასში მოცემულია დამოკიდებულება – რაც რეპორტიორმა არასოდეს უნდა გამოხატოს – და მოვლენების და საკითხების ხედვა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ციტატაში უფრო მეტია ნათქვამი, ვიდრე რეპორტიორმა უკვე თქვა. არ გამოიყენოთ ციტატა იგივეს გასამეორებლად, რაც რეპორტიორს უკვე აქვს პარაფრაზირებული.

პრაქტიკაში

- ბრჭყალები არაა აუცილებელი, როცა რეპორტიორს მოჰყავს ყველასათვის ცხადი, არასაკამათო ინფორმაცია
- ციტატა გვაწვდის ინფორმაციას და მკითხველს საშუალებას აძლევს, გაიგოს ექსპერტების, მოწმეების და პროექტში, ახალ ამბებსა თუ მოვლენებში ნებისმიერი სახით ჩართული ადამიანების მოსაზრებები.
- ავტორის მითითება საჭიროა ციტატის წყაროს დასადგენად.
- როცა წინადადების მხოლოდ მცირე ნაწილია ციტირებული, გამოიყენება ნაწილობრივი ციტირება და ციტატა ბრჭყალებში ისმება.

აქ მოყვანილია მაგალითები პალო-ალტოს საშუალო სკოლიდან, პალო-ალტო, კალიფორნია. რედაქციის თანამშრომელმა ლილიან ძიმ 3 მაისს, 2010, *The Campanile*-ში დაწერა სტატია პალო-ალტოს ქალაქის მმართველობის შეხვედრის შესახებ.

- არაა საჭირო ბრჭყალებში ჩასმა ან ავტორის მითითება, რადგან რეპორტიორს მოჰყავს არასაკამათო ინფორმაცია

  ცენტრი ეკუთვნის პალო-ალტოს გაერთიანებული სკოლების ოლქს (PAUSD), რომელიც ქაბერლის საკლასო ოთახებისა და საერთო საცხოვრებლის იჯარით გაცემით შოულობს ფულს.
- ციტატა გვაწვდის ინფორმაციას და მკითხველს საშუალებას აძლევს, გაიგოს ექსპერტების, მოწმეების და პროექტში, ახალ ამბებში თუ საკითხებში ნებისმიერი სახით ჩართული ადამიანების მოსაზრებები.

  „განათლების სფეროში სხვადასხვა სისტემა არსებობს“, ამბობს პროფესორი რეი ბაქეტი. „იფიქრეთ ამაზე ზღვრების გათვალისწინებით. არსებობს მკაფიო ზღვრები:

ექვსი წელი დაწყებითი სკოლა, სამი წელი საბაზო სკოლა, ოთხი წელი საშუალო სკოლა [და] ოთხი წელი კოლეჯი. რა მოხდება, თუ ეს ზღვრები წაიშლება?“

- ავტორის მითითება საჭიროა ციტატის წყაროს დასადგენად. თუ ავტორს ციტატის შუაში მივუთითებთ, სასვენი ნიშნები შემდეგნაირად დაისმება.

  „ქაბერლის შემთხვევაში მე სამ შესაძლებლობას ვხედავ,“ თქვა რეი ბაქეტიმ. „ეს შეიძლება იყოს სკოლა, სათემო ცენტრი და რესურსი დე ანზას კოლეჯისთვის“.

- როცა წინადადების მხოლოდ მცირე ნაწილია ციტირებული, გამოიყენება ნაწილობრივი ციტირება და ციტატა ბრჭყალებშია ჩასმული.

  ბაქეტიმ თქვა, რომ ეს ადგილობრივი თემის დონეზე გადასაწყვეტი საკითხია. ის მიიჩნევს, რომ თემმა „საკრამენტოს მუნიციპალიტეტს არ უნდა მიმართოს დახმარებისთვის“.

დასარიგებელი მასალა

ნაბიჯი სწორი მიმართულებით

მოსწავლეები მართავენ შეჯიბრს სირბილში, რათა დააფინანსონ ორი ჭის აშენება აფრიკელი ბავშვებისათვის

მოსწავლეები მედი ფარმერი, სტივენ აქსელსონი, ნათან ონგი და ტეილორ სმითი აწყობენ ორ შეჯიბრს კვირას, 16 მაისს, ფეარფაქს ქორნერში. შემოსულ თანხას ორგანიზაცია „აფრიქეარს"გადაურიცხავენ და დაეხმარებიან აფრიკელებს სუფთა წყლის მიღებაში.

„ამ ტურნირს „წყალზე წასვლა" ვუწოდეთ," ამბობს სმითი. „აფრიკელი გოგონები ყოველდღიურად სამიდან შვიდ მილამდე მანძილს გადიან წყლის მოსატანად, თანაც ეს წყალი არც სუფთაა და არც მუდმივად მოედინება."

ამ შეჯიბრებების მიზანია, მონაწილეებმა თავად გამოსცადონ, რას გრძნობენ აფრიკელი ბავშვები, როცა ამხელა მანძილს გადიან სუფთა წყლის ძიებაში. მეორე მიზანია ფულის შეგროვება იმისთვის, რომ აფრიკელებს დავეხმაროთ.

„სამი მილი ის მანძილია, რომელსაც აფრიკელი გოგონა ყოველდღე გაივლის წყლისთვის," აქსელსონი ამბობს. „ჩვენი მიზანია, ბავშვები მივახვედროთ, რას ნიშნავს ეს და ვუთხრათ, რომ მეტი ყურადღება სჭირდება ამ წამოწყებას."

შეჯიბრების მუსიკალურ გაფორმებას წარმოადგენს ჯგუფი Sounds of Grey და დამამთავრებელი კლასის ორი მოსწავლე სკოლის გუნდიდან, ემა მანკინი და სარა სმითი.

„ჩემთვის პატივია ამგვარ ღონისძიებაში მონაწილეობა," თქვა სმითმა. „ამის გაკეთება ჩემი მოვალეობაა, რადგან ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ ერთმანეთზე. ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა, წვლილი გავიღო."

ორივე საქველმოქმედო შეჯიბრი დაიწყება ფეარფაქს ქორნერში, რესტორან Coastal Flats-ის წინ. პირველია სირბილი 1 კმ დისტანციაზე, რაც დაახლოებით ნახევარ მილს უდრის, დაიწყება 8:30-ზე. მეორეა სირბილი 5 კმ დისტანციაზე, რაც დაახლოებით სამ მილს უდრის, დაიწყება 9:00-ზე.

„ჩვენი აზრით, $30-ის შემოწირულობა უნდა შეიცავდეს მონაწილეობას 5 კმ-იან რბოლაში, მაისურს, ცოცხალ მუსიკას, საუზმეს და სუვენირებს", ამბობს სმითი. „1 კმ-ზე

სირბილისთვის, რაც ყველაფერ დანარჩენს შეიცავს, ჩვენი შემოთავაზებული რაოდენობაა $20“.

აქსელსონს სირბილში შეჯიბრის მოწყობის იდეა Eagle Scout-ის პროექტის გავლენით დაებადა. შემდეგ მან იშოვა დამხმარეები გეგმების ერთად შესადგენად, დამხმარეთა შორისაა ფარმერიც.

„ჩემი და იყო სენეგალში გაზაფხულის არდადეგებზე“, ამბობს ფარმერი. „როცა დაბრუნდა, აფრიკული სოფლის ფოტოები დამათვალიერებინა; ისე განსხვავდება ჩვენი სოფლებისგან, დახმარება მომინდა.“

დამატებითი ფულის შესაგროვებლად ჯგუფმა სტენდი დადგა ფეარფაქსის ბაზრობაზე და შემოწირულობების თხოვნა დაიწყო უსაფრთხოების, საკვებისა და სხვა ხარჯებისთვის, რაც შეჯიბრის მოსაწყობადაა საჭირო.

„ჩვენ სარეკლამო ბარათებს ვარიგებდით და ხალხს შეჯიბრის შესახებ ვესაუბრებოდით,“ ამბობს სმითი. „ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მწირია და რაც შეიძლება მეტი ფული გვჭირდება აფრიკაში გასაგზავნად.“

თუ ადამიანს შეჯიბრში მონაწილეობა არ უნდა, მაგრამ სურს, რომ შემოგვიერთდეს აფრიკელებისთვის დახმარების გაწევაში, შეუძლია შემოწირულობა გაიღოს. შემოწირულობები კეთდება ვებგვერდზე walk4water.org, რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

ალექს ბელდენი და სონია პრაისი

The Outlook, ოუქტონის საშუალო სკოლა

დასარიგებელი მასალა – მოსწავლის მაგალითი

ფსიქოლოგიის მასწავლებელი პეილის სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა

გამოქვეყნდა ვებგვერდზე 15 ივნისს, 2010
ჯეიკ სტერნი და ჯენ ლინი, *The Paly Voice*

პალო-ალტოს გაერთიანებული სასკოლო ოლქის პრესრელიზის თანახმად, სასკოლო ოლქის ხელმძღვანელი კევინ სკელი რეკომენდაციას უწევს ფსიქოლოგიის მასწავლებელ ქეთლინ ლოურენსს პალო-ალტოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ საბჭოს წინაშე რეკომენდაციას ვუწევ მისის ლოურენსს პალო-ალტოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე," თქვა სკელიმ. „ქეთის პეილიში მუშაობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამიტომ მისი დანიშვნა სასარგებლო იქნება სკოლისთვის. მისი სახით პეილის ადმინისტრაცია და ჩვენი ოლქის ხელმძღვანელობა სასარგებლო ახალ წევრს შეიძენს."

პალო-ალტოს ერთიანი სასკოლო ოლქი მასწავლებლის განცხადებას სკოლის საბჭოსადმი 22 ივნისს გადასცემს ოფიციალურად დასამტკიცებლად.

მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიის სწავლება დაიწყო პეილიში 1995 წელს, ლოურენსი ასრულებდა პროფესიული მრჩევლის, დასაქმების რეგიონული პროგრამის კოორდინატორის, მასწავლებელთა მრჩევლის და შემოწმების კოორდინატორის მოვალეობებს.

ლოურენსს სურს, სკოლაში მუშაობა სხვა კუთხით გააგრძელოს, მასწავლებლის როლიდან დირექტორის მოადგილის როლზე გადავიდეს.

„მე შემიძლია სხვა მხრიდან, საკლასო ოთახის მიღმა გავაკეთო რამე და თან ჩემი გამოცდილებაც გამოვიყენო," თქვა მან. „ეს მოსწავლეთა დახმარების კიდევ ერთი საშუალება იქნება."

მომავალ წელს ადმინისტრაციას ორი ახალი წევრი ეყოლება და ამიტომ ლოურენსის აზრით, პეილის განსაკუთრებული სიფხიზლე მართებს.

„ჩემი აზრით, ახალმა ადმინისტრაციამ უნდა იცოდეს, რა ხდება მათ გარშემო,“ თქვა მან.

პეილის დირექტორმა ფილ უინსტონმა თქვა, რომ ის მოხარულია, რომ ლოურენსთან ერთად მუშაობა მოუწევს.

„აღფრთოვანებული ვარ, რომ ასეთი გამორჩეული მასწავლებელი შეუერთდება ადმიანისტრაციის ჯგუფს და დირექტორის მოადგილე გახდება.“ განაცხადა სამშაბათს უინსტონმა პრესასთან საუბარში. „ქეთის [ლოურენსის] მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გამოცდილება დიდი შენაძენი იქნება პალო-ალტოს საშუალო სკოლისთვის. მე მოხარული ვარ, რომ ვიმუშავებ ქეთისთან, როგორც ჩვენი ადმინისტრაციული გუნდის წევრთან, ერთად.“

განათლების სფეროში 15-წლიანი კარიერის და გამოცდილების მქონე ლოურენსი მიიჩნევს, რომ მისი ახალი ადმინისტრაციული თანამდებობა მისი შრომის შედეგს წარმოადგენს. მისი აზრით, ახალი თანამდებობა გაამყარებს მის ხანგრძლივ გამოცდილებას განათლების სფეროში.

„მე 15 წელია ვასწავლი და ძალიან ბევრი უნარი შევიძინე. მანამდე სპორტული მწვრთნელი ვიყავი,“ თქვა ლოურენსმა. „დროთა განმავლობაში შენ ამბობ, რომ „მზად ვარ ნებისმიერ შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად“, მასწავლებლობიდან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე გადასვლა კი ბუნებრივ გაგრძელებას ჰგავს“.

გასულ კვირას სკელიმ შეარჩია აგრეთვე ოლქის ფსიქოლოგი ვესლი სედროსი დირექტორის მოადგილედ განის საშუალო სკოლისთვის.

„ძალიან მიხარია, რომ ვესი გახდება განის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე – მას ბევრი საჭირო უნარი აქვს ამ თანამდებობისთვის,“ განუცხადა პრესას განის სკოლის დირექტორმა კატია ვილალობოსმა. „მას შეუძლია, სწრაფად დაამყაროს კარგი ურთიერთობა მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან, მასწავლებლებთან. ვესი მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ადმინისტრაციული გუნდისთვის.“

მთავარი რედაქტორები ლუკას ჩანი და ქლოე ჩენი მონაწილეობდნენ ამ რეპორტაჟის მომზადებაში.

გაკვეთილი 10

ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა, მარკერები

დასარიგებელი მასალა: „ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება“

ცნობები მასწავლებლისთვის

ჟურნალისტიკის სწავლებასთან ერთად, მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს, რომ რედაქტორის მოვალეობებიც ისწავლონ. გვერდის რედაქტორის, ტექსტის რედაქტორის ან მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი მოსწავლეები ასრულებენ ლიდერის როლს, წაახალისებენ რეპორტიორებს და ხელმძღვანელობენ მათ ინფორმაციის მოპოვების დაწყებიდან სტატიის გადათეთრებამდე. ისინი ეხმარებიან რეპორტიორებს სტატიის იდეის მოფიქრებაში და საუკეთესო წყაროს არჩევაში და იცავენ სიცხადის, მიუკერძოებლობისა და სიზუსტის ძირითად პრინციპებს.

მოსწავლეები რედაქტორის პოზიციიდან აფასებენ საკუთარ ნამუშევრებს. ჯგუფური პროცესი და კოლეგების შეფასება სტატიის წერის და რედაქტირების მეორე ეტაპია. ბოლო, დაბეჭდვის წინა ეტაპი იქნება რედაქტირება გვერდის რედაქტორის, ტექსტის რედაქტორის და მთავარი რედაქტორის მიერ.

მიზნები

- მოსწავლე რედაქტორები გაეცნობიან თვისებებს, რომლებიც ლიდერების და ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც მოქმედებებსა და მოვლენებს, ახალ ამბებად აქცევს.
- მოსწავლეები იგებენ, რომ რედაქტირებისთვის ჯერ მთლიანი ნაწერის შეფასებაა საჭირო და შემდეგ მისი შესწორება მკითხველების და მიზნების შესაბამისად.
- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ უნდა შეაფასონ საკუთარი და სხვების ნაშრომები.
- მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფებში, შეაფასებენ, დაარედაქტირებენ და კორექტურას გაუკეთებენ ერთმანეთის ნაწერებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 3 წუთი

მოსწავლეებს ჰქონდათ შესასრულებელი დავალება, მათ მიღებული ჰქონდათ მითითებები (ტრადიციული ლიდი, ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურა, ციტირება და ნაწილობრივი ციტირება) და ვადები ახალი ამბის ამსახველი სტატიის დასაწერად. დღეს მათ დასრულებული სტატიები უნდა მოიტანონ. შემდგომში მათი გამოქვეყნებული ნაშრომები უნდა წაიკითხონ მოსწავლეებმა და სხვა მკითხველებმა, ამიტომ მათთვის კარგი პრაქტიკაა კოლეგების მიერ განხილვა ან წერილობითი განხილვის პროცედურები.

წერა პროცესია. განხილვა და შესწორება მნიშვნელოვანი ეტაპებია ამ პროცესში. ერთმანეთის ნაწერების შესწორებამ უხერხულობა არ უნდა გამოიწვიოს.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ როგორც ერთმანეთის გადაღებული ფოტოები შეაფასეს, ზუსტად ისევე უნდა შეაფასონ ერთმანეთის ნაწერები და რჩევებიც მიიღონ.

რედაქტორებს სჭირდებათ უნარი, სწრაფად მიხვდნენ, რომელი ადგილებია კარგად დაწერილი და რას სჭირდება გაუმჯობესება, რა რჩევები უნდა მისცენ ავტორს. თუ ხშირად ექნებათ მოსწავლეებს მსგავსი პრაქტიკა, ისინი საკუთარი თავის რედაქტორობასაც შეძლებენ – ეს უნარია, რომელსაც პროფესიული გამოყენება აქვს.

გააცანით კოლეგების მიერ განხილვა

მეორე ეტაპი

დრო: 9 წუთი

კოლეგების მიერ განხილვა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ერთმანეთისგან რჩევები მიიღონ. თითოეული მოსწავლე ჟურნალისტის ნაწერის პოტენციური მკითხველები მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წევრები არიან და განა უმჯობესი არ იქნება, თუ ამ ნაწერებს ჯერ რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი წაიკითხავს, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება გააჩნიათ?

მასწავლებლებს ექსპერიმენტირება მოუწევთ, კოლეგების მიერ განხილვის რამდენიმე მიდგომიდან მათ უნდა შეარჩიონ ისეთი, რომელიც მათი მოსწავლეებისთვის ყველაზე

შესაფერისი იქნება. უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეებს მითითებებს აძლევენ ხოლმე, რომლებიც განხილვის პროცესში დაეხმარებათ.

განხილვის დროს მოსწავლეები შეიძლება დავაწყვილოთ ან ოთხი-ხუთი მოსწავლე ერთად დავაჯგუფოთ. ჯგუფის წევრები მოსწავლის ნაწერს ერთმანეთს გადასცემენ და კითხულობენ, ან ყველა მათგანს ვურიგებთ ასლებს და ყველანი ერთად კითხულობენ. თუ განსახილველი ნაწერი მოკლეა, ზოგჯერ ჯგუფის წევრები სთხოვენ ავტორს, თვითონ წაიკითხოს ტექსტი, დანარჩენები კი უსმენენ. სხვა ჯგუფებში ჯგუფის წევრები ჩუმად კითხულობენ და ხანდახან ავტორს კითხვას უსვამენ .

უთხარით მოსწავლეებს, რომ ისინი კოლეგები არიან და ახალი ამბის ამსახველი სტატია უნდა შეაფასონ. აუხსენით, კოლეგების მიერ შეფასების რომელ პროცედურას გამოიყენებთ. კოლეგების მიერ შეფასების გამოყენებას რამდენიმე მიზეზი აქვს:

1. მასწავლებლებს უფრო ნაკლები შეცდომა ექნებთ გასასწორებელი, როცა სტუდენტის ნამუშევარს ჩაიბარებენ საბოლოო სახით.
2. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გააუმჯობესონ სტატიები ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარებით.
3. არავის აიძულებენ ცვლილებების შეტანას ნაწერში. საკუთარ ნამუშევარს ყველა თავად აკონტროლებს და თვითონ გადაწყვეტს, რა ფორმით ჩააბარებს სტატიას რედაქტორებს გამოსაქვეყნებლად.
4. ბევრი ავტორი მეტად რწმუნდება საკუთარ თავში, როცა მისი გვარი უკეთეს სტატიას ეწერება, ვიდრე პირველი ვარიანტი იყო.
5. შესწორება წერის პროცესის ძირითადი ასპექტია.

მოსწავლეებს უკვე აქვთ კოლეგების მიერ მათი ფოტოების შეფასების გამოცდილება და იციან, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ პროცესს. სთხოვეთ მათ, თავად დაგისახელონ ამ სარგებლობათაგან ზოგიერთი. შეიძლება, ისიც სთხოვოთ მოსწავლეებს, დაგისახელონ, თუ არსებობს მიზეზები, რატომ არ უნდათ საკუთარი ნაწერების ჯგუფისთვის ჩვენება.

გააცანით შეფასების ფურცელი

ეტაპი მესამე

დრო: 5 წუთი

„ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება“ შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფებში, რათა რჩევები მივცეთ ერთმანეთს. ეს ძირითადი თვისებების შეფასების მაგალითია. ამ მიდგომის თანახმად, ნაწერის ძირითადი მახასიათებლები ქმნიან კრიტერიუმებს, რომლებითაც ვაფასებთ ნაშრომის წარმატებულობას.

მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ შეფასების ფურცლის ფორმატი და 1-დან 5 ქულამდე შეფასების სკალა.

მოსწავლეებმა, რომლებიც „ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასებას“ წერის დაწყებამდე გაეცნენ, უკეთესად იციან, რა მოეთხოვება დასრულებულ სტატიას. მათ ისიც იციან, როგორ შეფასდება მათი სტატიები. რედაქციისთვის მომზადებულ სტილის სახელმძღვანელოსთან ერთად, ეს მითითებებიც ეხმარება ჟურნალისტებს წერასა და რედაქტირებაში.

შეაფასეთ ახალი ამბის ამსახველი სტატია

მეოთხე ეტაპი

დრო: 20 წუთი

დააწყვილეთ მოსწავლეები და წააკითხეთ ერთმანეთის ნაწერები. დრო საშუალებას იძლევა, რომ მათ შეკითხვები დაუსვან ერთ მანეთს, შესთავაზონ გაუმჯობესების იდეები და შეაქონ, რაც კარგადაა გაკეთებული. მიაქციეთ ყურადღება, რომ მათ სასარგებლო კომენტარები გააკეთონ და შეფასების ფურცელზე ქულები ჩაიწერონ.

მასწავლებელმა ოთახში უნდა იაროს და დააკვირდეს წყვილების მუშაობას, უპასუხოს მათ შეკითხვებს. მასწავლებლებს შეუძლიათ, გადაათვალიერონ სტატიები და შეფასების ფურცლები, შემდეგ დასვას შეკითხვები იმ დეტალების შესახებ, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს. ეს დაეხმარება მოსწავლე ავტორს და შემფასებელს უნარების დახვეწაში.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 3 წუთი

მთელი წლის განმავლობაში, ყოველი წერილობითი დავალებისათვის მასწავლებელი კოლეგების შეფასების ჯგუფების ჩამოყალიბებას არ დაიწყებს, მაგრამ მოსწავლე რედაქტორებს და ავტორებს ამგვარი სამუშაო ურთიერთობა უნდა ჩამოუყალიბდეთ.

ზოგიერთი მოსწავლე აღმოაჩენს, რომ საკუთარი ნაწერის ხმამაღლა კითხვა ეხმარება, კარგად გაიგოს წინადადების სტრუქტურა, შეასწოროს პუნქტუაცია და სწორად დასვას აქცენტები.

საუკეთესო შემთხვევებში მოსწავლეები თავად გახდებიან საკუთარი თავის რედაქტორები, დაუსვამენ საკუთარ თავს ამ შეკითხვებს, შეაფასებენ საკუთარ წარმატებას და იმუშავებენ იმ სფეროებზე, რომლებსაც გაუმჯობესება სჭირდება. ისინი შეძლებენ, დაადგინონ, რა ინტერვიუ სჭირდებათ, სადაა ტექსტში გამეორება ან სუსტი ფრაზები, გრამატიკისა თუ ლექსიკის რომელ სფეროში სჭირდებათ წესების ნახვა და მათი სწორად გამოყენების სწავლა.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეები გამოიყენებენ კომენტარებს, რომლებიც მიიღეს „ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასებაში“ და ზეპირად თანატოლებისაგან. შეფასების პროცესში მოსწავლეები იღებდნენ და სხვებს აძლევდნენ რჩევებს. ისინი გადახედავენ მიღებულ კომენტარებს და გადაწყვეტენ, რომელ მათგანს გამოიყენებენ ახალი ამბის ამსახველი სტატიის გასაუმჯობესებლად. ისინი მიხვდებიან, რომ კოლეგების მიერ შეფასება პროდუქტიულია და შედეგად უნარების განვითარება და საკუთარი და სხვისი ნაწერების გაუმჯობესება მოაქვს.

ახალი ამბის ამსახველი საუკეთესო სტატიები უნდა დაიბეჭდოს მოსწავლეთა გაზეთში და, თუ მოხერხდა გაკეთება, მოსწავლეთა სიახლეების ვებგვერდზე.

აქტივობა

ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება

იხელმძღვანელეთ შემდეგი კრიტერიუმებით ახალი ამბის ამსახველი სტატიების შეფასებისას. კომენტარები კოლეგების მიერ შეფასების ძირითადი კომპონენტია. ურჩიეთ სტატიის ავტორს, რა მოიმოქმედოს, რომ გაიუმჯობესოს ახალი ამბის ამსახველი სტატიის წერის უნარი.

გამოიყენეთ 1-დან 5 ქულამდე სკალა, რომ შეაფასოთ სტრუქტურა, შინაარსი, გამოხატვის ფორმა და სიტყვების მარაგი:

5 აღნიშნავს განსაკუთრებულ გადმოცემას. ავტორი ხვდება სიცხადის, მიუკერძოებლობის და სიზუსტის მნიშვნელობას რეპორტაჟში. გამოყენებულია ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურა; ციტატებისა და ფაქტების ავტორი მითითებულია.

4 აღნიშნავს, რომ ახალი ამბის ამსახველ სტატიას აქვს 5 ქულით შეფასებული ნაშრომის ყველა თვისება, მაგრამ არაა ისე კარგად ორგანიზებული და გასაგები, ან აქვს რამდენიმე პატარა შეცდომა.

3 ნიშნავს, რომ აზრი გადმოცემულია საშუალოდ; კომპონენტები აქვს, მაგრამ სტატია ცუდადაა ორგანიზებული, აკლია მთლიანობა, ან აქვს შეცდომები გრამატიკაში, პუნქტუაციასა და ლექსიკაში.

2 აჩვენებს, რომ ავტორს ესმის, რას ითხოვენ მისგან, მაგრამ სუსტად გადმოსცემს.

1 ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, აკლია საბაზისო ელემენტები. ავტორს არ ესმის ახალი ამბის ამსახველი სტატიის მიზანი და წერის პროცესი. სტატიაში ბევრი შეცდომაა გამოხატვის ფორმებში, გრამატიკასა და პუნქტუაციაში.

მიზანი. ახალი ამბის ამსახველი სტატია ზუსტად და გასაგებად უნდა გადმოსცემდეს ამბავს. ჩანს თუ არა ამ ნაწერში ახალი ამბის ამსახველი სტატიის მიზნის გაგება, რომ მან უნდა მოახდინოს მკითხველთა ინფორმირება?

1 2 3 4 5 კომენტარები:

სტრუქტურა. სტატია ორგანიზებულია ამობრუნებული პირამიდის სტრუქტურის გამოყენებით. ინფორმაცია დალაგებულია მნიშვნელობის კლების მიხედვით. ბოლო აბზაცების წაშლა შეიძლება ისე, რომ მკითხველის მიერ სტატიით გაგებულ ინფორმაციას ბევრი არაფერი დააკლდება.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ლიდი. გამოყენებულია ახალი ამბის ამსახველი სტატიის ტრადიციული ლიდი. ლიდი უმეტეს შემთხვევაში, 30-35 სიტყვიანია. თუ ტრადიციული ლიდი არაა გამოყენებული, ალტერნატიული მიდგომა არ გაუფანტავს მკითხველებს ყურადღებას და დააინტერესებს მათ.

1 2 3 4 5 კომენტარები:

სიზუსტე. მოცემული ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს.

1 2 3 4 5 კომენტარები:

შინაარსი. მოცემული ინფორმაცია დროულია. რეპორტიორი იყენებს პირდაპის კვლევას – პარაფრაზირების და ციტირების გამოყენებით – სხვადასხვა სანდო და შესაბამისი წყაროებისა.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ავტორის მითითება. ყველა ციტატას მიწერილი აქვს ციტირებული წყარო. ინფორმაციის სხვა წყაროები, მათ შორის სხვა რეპორტაჟები, ასევე მითითებულია. ეს უზრუნველყოფს რეპორტაჟის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ციტატები. ციტატები წარმოადგენენ თვითმხილველების და მონაწილეების ინფორმაციას. ეს პირველწყაროები გვიჩვენებს მათ ხედვას და მოსაზრებებს, გვიდასტურებს ინფორმაციას. რეპორტიორმა აღარ უნდა გაიმეოროს ინფორმაცია, რომელიც უკვე ნათქვამია ციტატაში.

1 2 3 4 5 კომენტარები:

სტატიის გაფორმება. ავტორმა უნდა დაიცვას გაზეთის რედაქციის დადგენილი სტილი და გაფორმების წესები. ეს გულისხმობს, რომ უნდა იყოს ნაბეჭდი ორმაგი ინტერვალით,

შეთანხმებული ფონტით და ზომით. გაზეთის სტილისთვის აუცილებელია სათაურის და ავტორის დაწერაც.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ერთი რამ, რასაც აუცილებლად გავაუმჯობესებდი ამ სტატიაში:

გაკვეთილი 11

გაზეთის ვებგვერდი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა, მარკერები, პროექტორი, ეკრანი და ლეპტოპი

დასარიგებელი მასალა: ფაუარფოინთი განმარტებებით: „გაზეთის ვებგვერდები: 10 ნაბიჯი დასაწყისისთვის“, „რა კითხვები უნდა გავითვალისწინოთ ინტერნეტში გამოქვეყნებამდე“, „რა არის საჭირო სკოლის გაზეთის კარგი ვებგვერდის გასაკეთებლად?“

ცნობები მასწავლებლისთვის

საშუალო სკოლების გაზეთები ძალიან დიდი რაოდენობით ვებგვერდებს ქმნიან მთელ მსოფლიოში. მოსწავლეები ინტერნეტით უკავშირდებიან ერთმანეთს, გზავნიან ამბებს, ფაილებს, ფოტოსურათებს.

ნაბეჭდი გაზეთის ქონა მნიშვნელოვანია, რადგან ის ამ სკოლის ჟურნალისტიკის ხელშესახები დოკუმენტია. მოსწავლეებს შეუძლიათ, თან ატარონ გაზეთი, ამოჭრან სტატიები, რომლებიც მოსწონთ, ან წაიღონ სახლში და ოჯახის წევრებს აჩვენონ. მოსწავლეთა გაზეთის ვებგვერდი ნაკლებად ხელშესახებია, მაგრამ მისი ქონა მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში.

მსოფლიოში ბევრი სკოლა განიცდის ბიუჯეტის სიმცირეს, ამიტომ ინტერნეტგაზეთი კარგი საშუალებაა მოსწავლეებისთვის, გამოაქვეყნონ საკუთარი ნაწერები და ფოტოები.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან სკოლის გაზეთის ვებგვერდის ძირითად სტრუქტურას.
- მოსწავლეები გაეცნობიან ვებგვერდის ნიმუშების არქიტექტურას და საიტის რუკას.
- გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეხვდებიან ინსტრუქტორს და დაადგენენ, რა უნდა გააკეთონ ვებგვერდის შესაქმნელად.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 8 წუთი

დისკუსიის დასაწყებად დაწერეთ დაფაზე:

საკამათო საკითხი: რა უპირატესობები აქვს გაზეთის ვებგვერდის ქონას?

ამ საკამათო კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები გამოიყენებენ აქტივობას „მოიფიქრე, დაწყვილდი, გაუზიარე“. პირველ რიგში, მათ ერთი წუთის განმავლობაში უნდა იფიქრონ ამ შეკითხვაზე. ეს საშუალებას მისცემთ, ინდივიდუალურად მოძებნონ პასუხები საკუთარ ხანგრძლივ მეხსიერებაში. შემდეგ ისინი დაწყვილდებიან ახლოს მჯდომ სხვა მოსწავლესთან და 1-2 წუთის განმავლობაში გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. შეადარებენ ერთმანეთის პასუხებსა და ცოდნას. ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეთა წყვილებს, გაუზიარონ კლასს საკუთარი პასუხები. პაუერპოინტის პრეზენტაციის დაწყებამდე მასწავლებელი სწრაფად ჩამოწერს პასუხებს დაფაზე.

სავარაუდო პასუხები იქნება:

- ინტერნეტგაზეთი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მთელ მსოფლიოს დაუკავშირდნენ.
- მისი საშუალებით უფრო იაფად და სწრაფად შეიძლება სკოლის ახალი ამბების გავრცელება, ვიდრე ნაბეჭდი გაზეთით.
- მკითხველები გაუჩნდებათ სკოლის გარეთაც.
- მოსწავლეთა სტატიების და ინფორმაციის გაზიარება უფრო სწრაფად და ადვილადაა შესაძლებელი: ელ. ფოსტით და QQ-თი.
- მოსწავლეები უკეთესი ჟურნალისტები ხდებიან: მკითხველები მათ მიუთითებენ უზუსტობებზე, რომელთა გამოსწორებაც მაშინვეა შესაძლებელი.
- ინტერნეტგამოცემა ნიშნავს შესაბამისობას 21 საუკუნის პროფესიონალურ სტანდარტებთან და ჟურნალისტიკის გამოცდილებასთან.

მეორე ეტაპი

დრო: 20 წუთი

აჩვენეთ პაუერპოინტის პრეზენტაცია „გაზეთის ვებგვერდები: 10 ნაბიჯი დასაწყისისთვის“. სლაიდშოუს სრული ტექსტი ახლავს თან, სადაც ყველაფერი განმარტებულია. თითოეული

სლაიდის ჩვენებასა და ტექსტის წაკითხვასთან ერთად, ზოგჯერ შეჩერდით და იკითხეთ, ხომ არა აქვთ მოსწავლეებს შეკითხვები ან კომენტარები ფოტოებთან დაკავშირებით.

შესაძლებელია, მოსწავლეებს დაურიგოთ ამობეჭდილი ფაუარფოინთის პრეზენტაცია ტექსტთან ერთად.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეები და მასწავლებლები შეიძლება შეიკრიბნენ ერთად, როგორც რედაქცია, და იმსჯელონ თემაზე „რა გავაკეთოთ“ გაზეთის ვებგვერდის დასაარსებლად. დისკუსიის დასაწყებად შეიძლება გამოიყენონ „რა კითხვები უნდა გავითვალისწინოთ ინტერნეტში გამოქვეყნებამდე“. ეს მასალა საშუალებას მისცემთ, უფრო ფართო კუთხით შეხედონ სკოლის გაზეთის ვებგვერდის თემას.

მასალა „რა არის საჭირო სკოლის გაზეთის კარგი ვებგვერდის გასაკეთებლად?“ გამოგვადგება მას შემდეგ, რაც ეს ვებგვერდი დამზადდება.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ახალი ამბების ვებგვერდის დამზადებას სჭირდება დაგეგმვა და თანამშრომლობა მოსწავლეებს, ტექნოლოგიის სპეციალისტებსა და გაზეთის მრჩეველს შორის. ინტერნეტში გასვლა რამდენიმე ეტაპისგან შედგენილი პროცესია და ზოგჯერ კვირები სჭირდება მის განხორციელებას. უმჯობესია, თუ სკოლები თავიდან ნელა დაიწყებენ და მცირე წარმატებებს დასჯერდებიან.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებს შეუძლიათ, იკვლიონ პროფესიონალური მედიის ვებგვერდები. სთხოვეთ მათ, შეისწავლონ ერთი ან ორი ასეთი ვებგვერდი და მოძებნონ შინაარსი, რაც მოცემულია მასალაში „რა არის საჭირო სკოლის გაზეთის კარგი ვებგვერდის გასაკეთებლად?“. მოსწავლეებს ვთხოვოთ, ამობეჭდონ მათ მიერ შესწავლილი ვებგვერდის მთავარი გვერდები და მოიტანონ კლასში შემდეგი გაკვეთილისთვის. თუ პროექტორი გაქვთ, მოსწავლეებს

შეეძლებათ მათი ეკრანზე ჩვენებაც. რისი სწავლა შეუძლია თქვენს სკოლას პროფესიონალური მედიისგან ვებგვერდის შინაარსისა და დიზაინის შესახებ?

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები გამოყენებულია შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- ფაუარფოინთის ტექსტი: აარონ მენფული, ჟურნალისტური განათლების ასოციაციის ციფრული მედიის კომიტეტის ხელმძღვანელი

დასარიგებელი მასალა

რა კითხვები უნდა გავითვალისწინოთ ინტერნეტში გამოქვეყნებამდე

ჯონ ბოუენი

მოსწავლეთა მედიის გაფართოების მნიშვნელოვანი ნაწილია ინტერნეტგვერდის შექმნამდე სამართლებრივი და ეთიკური მოსაზრებების დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონა.

- რა არის თქვენი ინტერნეტგვერდის მისია? როგორც ბეჭდური გაზეთის შემთხვევაში, თქვენ გსურთ, გქონდეთ კარგი შინაარსი და ამბების გადაცემის საშუალება.მაგრამ იქნება ეს თქვენი ბეჭდური მედიის ორეული? გამოიყენებთ უკანასკნელი ამბების გადასაცემად? უფრო ვრცლად დაწერთ და უკეთესად აუხსნით მკითხველს, ვიდრე ბეჭდურ ფორმაში? როგორ შეათავსებთ ინტერნეტ და ბეჭდურ მედიას, რომ უკეთესად მიაწოდოთ მკითხველებს ამბები? გამოიყენებთ სოციალურ მედიას? რა მულტიმედია დასჭირდება თქვენს საიტს ამ მისიის მისღწევად?
- რა სამართლებრივი და ეთიკური საკითხები უნდა გაითვალისწინოთ? შესაძლებელი და ნებადართულია სკოლის სერვერზე ამ საშუალებების გამოყენება? კონტროლდება მოსწავლეების მიერ ინტერნეტის მოხმარება? ხელს ხომ არ შეგიშლით ეს დაგეგმვასა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტი და აქტუალური მედიასაშუალების შექმნაში? შესაძლებელი იქნება მომხმარებლების მიერ კომენტარების დატოვება თქვენს გვერდზე, ახალ ამბებზე ან მოსაზრებებზე გამოხმაურება? გააკონტროლებთ ამას? უნდა გააკონტროლოთ თუ არა? რა მოხდება, თუ არ გააკონტროლებთ?
- რა არის სკოლის ვებგვერდის თავისუფლების ხარისხი? თუ თქვენ სკოლის სერვერს იყენებთ, გექნებათ თუ არა იგივე ზომით თავისუფლების ხარისხი, რაც შესაბამის ბეჭდვით მედიას აქვს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი ვებგვერდი თავისუფალი იქნება ადმინისტრაციის წინასწარი კონტროლისაგან? შეგეძლებათ ისე გამოაქვეყნოთ რამე, თუ დირექტორი არ წაიკითხავს ჯერ?
- როგორი წესები აქვს თქვენს სკოლას სახელების და ფოტოების გამოქვეყნების თაობაზე? ზოგიერთ სკოლაში მოქმედებს შეზღუდვა, რომ სკოლის ვებგვერდზე არ უნდა გამოქვეყნდეს მოსწავლეთა სახელები და ფოტოები. თუ თქვენთანაც არსებობს

ასეთი მოთხოვნა, ხომ არ მოახდენს ეს გავლენას თქვენი რეპორტაჟების სისრულეზე, გულწრფელობასა და სიზუსტეზე? გარდა ამისა, რა დამატებითი ქმედებების შესრულება მოგიწევთ იმის საჩვენებლად, რომ ვებგვერდზე დაწერილი შეხედულებები არ წარმოადგენს სკოლის პოზიციას? რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ნათლად გამიჯნოთ ერთმანეთისგან თვალსაზრისები და ობიექტური რეპორტაჟი?

- ვის ეკუთვნის სკოლის ვებგვერდის საავტორო უფლებები? თქვენი სკოლის შინაგანაწესი ნებას რთავს მოსწავლეებს, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები სკოლის სერვერზე განთავსებულ ვებგვერდებთან დაკავშირებით? ამის წინასწარ გათვალისწინება საშუალებას გაძლევთ, გადაწყვიტოთ, თქვენი ვებგვერდის სკოლის სერვერზე განთავსება კარგი საშუალებაა თუ არა თქვენი მკითხველებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის. თუ სკოლის სერვერის გამოყენება რამენაირად შეგიშლით ხელს, მაშინ ხომ არ განათავსებთ ვებგვერდს სხვაგან? რა პრობლემები შეიძლება გაჩნდეს თქვენსა და სკოლის მმართველობას შორის? რა არგუმენტებს მოიშველიებთ, რომ ნება დაგრთონ, სხვა სერვერზე განათავსოთ თქვენი ვებგვერდი? შემოქმედებითი მულტიმედია საშუალებები კარგი მორთულობაა მოსწავლეთა მედიის ვებგვერდებისთვის. მაგრამ როცა მათ გამოყენებას გეგმავთ, არ დაივიწყოთ მოსწავლეთა ნებისმიერი პუბლიკაციის ძირითადი მხარე: სამართლებრივი და ეთიკური საკითხები, რომლებიც ყველა დანარჩენს საშუალებას აძლევს, ინფორმაციული და საგანმანათლებლო გახადონ თქვენი საიტი.

დასარიგებელი მასალა

რა არის საჭირო სკოლის გაზეთის კარგი ვებგვერდის გასაკეთებლად?

საბაზისო ელემენტები

- ადვილად წაკითხვადი და მოძებნადი ინფორმაცია ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დალაგებული სექციებით (ახალი ამბები, სპორტი და ა. შ.)
- გამოყენებულია ხაზგასმული და მუქი შრიფტები, მარტივი ფონტები
- ორგანიზაციული სტრუქტურა ერთგვაროვანია და მუდმივი, მიჰყვება შაბლონს
- მუდმივად იგზავნება ახალი მასალები, შინაარსი განახლებადია
- არაა რთული პროგრამები: ადვილად ხდება ამბების და ფოტოების ატვირთვა
- კურატორის/ვებმასტერის ან რედაქციის ელ. ფოსტის მისამართი

დამატებითი

- ახალი და განახლებული მასალების *ყოველდღიური* მიწოდება; *უკანასკნელი* ამბები, მასალის გზავნა ვებგვერდზე ზაფხულის განმავლობაშიც გრძელდება
- ინტერაქტიურობა: გამოკითხვები, ფორუმები, გამოცანები, მომხმარებელთა ნაწერები
- ფოტო გალერეები
- საძიებო სისტემა: საიტს შიგნით ძებნა Google-ის ან სხვა საძიებო სისტემის გამოყენებით
- საძიებო ბაზები: დანაშაულის სტატისტიკა, გაყიდვები
- ამინდის პროგნოზი
- თითოეული სტატიის ნახვადობის სტატისტიკა
- მულტიმედია: ვიდეო, სლაიდშოუები, ბლოგები, პოდკასტები
- გვერდითი პანელები და ქვესათაურები, რომლებსაც საჭირო მასალაზე გადაჰყავს მკითხველი
- ელ. ფოსტის მისამართი გამომწერებისათვის
- მომხმარებელთა მიერ დადებული შინაარსები
- RSS სიახლეები
- რეკლამა: შემოსავალი თქვენი ვებგვერდიდან!

გაკვეთილი 12

გაზეთის რედაქციის ორგანიზება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „რედაქციის ორგანიზაციის ნიმუში (სქემა)“, „The A-Blast-ის რედაქციის ინსტრუქცია, სარედაქციო პოლიტიკა და პროცედურები“, „გაზეთის რედაქციის მართვა და მოტივაცია“, „გაზეთის რედაქციის სამუშაოს აღწერილობა“

ცნობები მასწავლებლისთვის

ჟურნალისტიკა შესანიშნავ შესაძლებლობას უქმნის მოსწავლეებს, დაიწყონ პროფესიული კარიერა. სკოლის გაზეთში მუშაობით ისინი პრაქტიკულად ეცნობიან საქმიან ვითარებას და ყოფას. საინფორმაციო სააგენტოებს რედაქტორების, მენეჯერების, ჟურნალისტების, ფოტოგრაფების, მხატვრების და ბიზნესმენების რთული იერარქია აქვთ. მოსწავლეთა გაზეთის მასშტაბი გაცილებით მცირეა, აქ ნაკლები ხალხია და ყველასთვის გარკვეულია, ვის რა ევალება.

როგორც წესი, გაზეთებს აქვთ „წესების წიგნი“, სადაც აღწერილია გაზეთის გამოშვების მათეული პოლიტიკა. აქაა აღწერილი, როგორ იმართება გაზეთი, ჟურნალისტიკის სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა მათი პუბლიკაციებისთვის, „სტილი“, რომელიც უნდა დაიცვან. ამ წინასწარ შემუშავებული წესების დახმარებით მოსწავლე ჟურნალისტები უკეთესად მომზადებული ხვდებიან სხვადასხვა სიტუაციებს, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან რთული შეიძლება აღმოჩნდეს. მაგალითად, როგორ უნდა აისახოს რომელიმე მასწავლებლის გარდაცვალება? რა ხდება მაშინ, თუ მოსწავლე დატოვებს რედაქციას?

თუ საგაზეთო ბიზნესის საუკეთესო მაგალითებს გაითვალისწინებენ, მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო ნაყოფიერად მართონ საკუთარი გაზეთი. იერარქიისა და ორგანიზაციის სტრუქტურის გაცნობის შემდეგ ისინი უკეთ გაიგებენ, რა არის მათი ამოცანები. მუშაობის პროცესში უფრო ნაკლები გაურკვევლობა ექნებათ

თუმცა უნდა არსებობდნენ რედაქტორები, რომლებიც სხვა მოსწავლეებს უხელმძღვანელებენ, ყველა მოსწავლე თანაბრად უნდა აფასებდეს ერთმანეთს.

მასწავლებლებმა და მოსწავლე ლიდერებმა უნდა უგულებელყონ „ხელმძღვანელი – ხელქვეითის“ დამოკიდებულება. გაზეთის და ვებგვერდის გამოშვება პირველი წლის განმავლობაში ყველასთვის ახალი საქმიანობაა. მთავარია, რომ თითოეულმა მოსწავლემ თანაბრად მნიშვნელოვნად იგრძნოს თავი გაზეთის რედაქციაში.

პროფესიონალური და მოსწავლეთა საინფორმაციო სააგენტოები ოჯახივით უნდა გრძნობდნენ თავს. თუ ექნებათ საკუთარი პოლიტიკა, პროცედურები და ორგანიზაციის სქემა, ყველა მიხვდება თავის ადგილსა და მნიშვნელობას გუნდში.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან რედაქციის ინსტრუქციების ნიმუშს და ორგანიზაციულ სტრუქტურას.
- მოსწავლეები გაიგებენ, რა ახასიათებს ლიდერის პოზიციებს.
- მოსწავლეები ჩამოაყალიბებენ და დახვეწენ მენეჯმენტის პროცედურებს.
- მოსწავლეები გაიგებენ, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული გაზეთის რედაქცია, რომ ნაყოფიერად იმუშაოს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 3 წუთი

განიხილეთ რედაქციის ორგანიზაციის სქემის ნიმუში და იმსჯელეთ, რა ძირითადი თანამდებობები დაგჭირდებათ თქვენს რედაქციაში. სქემაზე დააკვირდით, რომ ძირითადი მოქმედი პირები მოსწავლეები არიან, ხოლო უფროსები განზე დგანან და მხოლოდ დამხმარის ფუნქციებს ასრულებენ. სთხოვეთ მოსწავლეებს, მოიფიქრონ, რა თანამდებობა ურჩევნიათ.

მეორე ეტაპი

დრო: 15 წუთი

წაიკითხეთ და განიხილეთ გაზეთ *The A-Blast*-ის სარედაქციო პოლიტიკის ნიმუში და სამუშაოს აღწერები. მიაქციეთ ყურადღება, როგორაა ამ „წესების წიგნში“ წინასწარ განსაზღვრული ჩვეული სიტუაციები, რასაც მოსწავლე ჟურნალისტი შეხვდება. რა

შეკითხვები ექნებათ მოსწავლეებს და მასწავლებლებს სარედაქციო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით?

მესამე ეტაპი

დრო: 15 წუთი

წაიკითხეთ და განიხილეთ ზოგადი ხასიათის მასალა „გაზეთის რედაქციის მართვა და მოტივაცია“.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 2 წუთი

გაზეთის ფუნქციონირების დაწყების პირველი ეტაპია ორგანიზება და მოსწავლეებისთვის სამუშაოების გადანაწილება. გაზეთი უფრო პროდუქტიულად იფუნქციონირებს, თუ ყველას კარგად ეცოდინება მიზნები. თითოეულმა სკოლამ უნდა შექმნას ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორიც უკეთესად შეესაბამება მის საჭიროებებს.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლე გაზეთის რედაქტორებს სახლში გაატანეთ *The A-Blast*-ის სარედაქციო პოლიტიკის ნიმუში, რომ უფრო ყურადღებით გაეცნონ. უთხარით, რომ მოამზადონ მოკლე ანგარიში, რომელი ნაწილების ადაპტირება იქნება საჭირო მათი სკოლისთვის. რომელი ნაწილებია შეუსაბამო? გარდა ამისა, ისინი შეიძლება გაეცნონ „გაზეთის რედაქციაში სამუშაოს აღწერა“ და გაიგონ, რა შეიძლება, მოეთხოვებოდეთ მათ, როგორც რედაქციის თანამშრომლებს. სამუშაოს აღწერის რა ნაწილს შეცვლიდნენ?

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები გამოყენებულია შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- სამუშაოს აღწერის ნიმუშები მოგვაწოდა გერი ლინდსეიმ, მრჩეველმა, *The Torch*, კენედის საშუალო სკოლა, სიდარ რეფიდსი, აიოვა

დასარიგებელი მასალა

გაზეთის რედაქციის მართვა და მოტივაცია

I. რედაქციის მართვა:

A. იფიქრეთ პროფესიონალურად. უთხარით მოსწავლეებს, რომ დღეიდან აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ უფროსკლასელია და ვინ უმცროსკლასელი – ისინი ახალგაზრდა პროფესიონალები არიან. მიეცით მათ სამუშაო იარაღები:

1. სარედაქციო პოლიტიკა, AP სტილის სახელმძღვანელოები, ელ. ფოსტა.
2. სავიზიტო ბარათები.
3. პრესის საშვები: ნებართვა, რომ იარონ დერეფანში გაკვეთილების შემდეგ ან საუზმის დროს.
4. რეპორტიორის რვეულები: სტენოგრაფისტის ბლოკნოტების გამოდგება.
5. პერსონალური საფოსტო ყუთები კლასში. ეს გაუჩენს მოსწავლეებს მიკუთვნებულობის განცდას, რომ მათ აქვთ რვეულების შესანახი ადგილი. ამით საინფორმაციო ოთახი სახლს უფრო მეტად ემსგავსება.
6. მოუწყეთ საინფორმაციო ოთახი – საპატიო დაფა, ჯილდოები, ღია ბარათები, მაცივარი, ელექტროღუმელი, ტელევიზორი, რადიო. საინფორმაციო ოთახების უმეტესობა ხალხმრავალი, კომფორტული ადგილებია, სადაც მოსწავლეებს უყვართ შეგროვება.

B. იმოქმედეთ პროფესიონალურად.

1. დააწესეთ გაზეთის გამოშვების თარიღები და არ გადაუხვიოთ განრიგს. მოსწავლეები მაშინ უფრო ამაყობენ, როცა ყოველთვის დროულად ასრულებენ საქმეს, ვიდრე მაშინ, როცა პრობლემები იქმნება.
2. წარმოიდგინეთ, რა იქნება ახალი ამბავი გაზეთის გამოსვლის დღეს. შეეცადეთ, გახდეთ სკოლისთვის ახალი ამბების უმნიშვნელოვანესი წყარო. რაც შეიძლება, ხშირად განაახლეთ ვებგვერდი.
3. გამართეთ დირექტორის პრესკონფერენცია, რომ მოისმინოთ ახალი ამბები სკოლის ლიდერისგან.

4. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ რეპორტიორის შეფასების ფორმა ელ. ფოსტით გაუგზავნეთ სტატიის ერთ-ერთ წყაროს (უფროსს). მიიღეთ პროფესიონალისგან უკუკავშირი მოსწავლის ჟურნალისტურ თვისებებზე. ზუსტად გააკეთა თუ არა ციტირება? პროფესიონალურად ჩაატარა თუ არა ინტერვიუ?

C. უზრუნველყავით საკუთარი თავი და მოიზიდეთ თანხები.

1. დაადგინეთ თითოეულ მოსწავლეზე თანხა, რომელიც გონივრულად მიგაჩნიათ. გაყიდის თითო მოსწავლე $100? $50?
2. შეგიძლიათ, გაყიდოთ ელ. ფოსტით გამოწერები? ვინ გადაიხდის საფოსტო მომსახურების თანხას?
3. თანხების მოზიდვის სხვა იდეები: მანქანების რეცხვა, ტკბილეულის გაყიდვა: აარჩიეთ აქტივობები, რომლებსაც არ სჭირდება ბევრი შრომა და პროგრამის მისიასაც უკავშირდება.

II. რედაქციის თანამშრომლების მოტივირება

A. საუკეთესო მოტივაცია არის კარგი პროდუქტით სიამაყე, როცა მოსწავლეების ავტორობით დაწერილ სტატიებს კითხულობენ, ერთიანობის/ამხანაგობის/კოლეგიალობის განცდა/გუნდური სულისკვეთება.

1. სკოლის დამატებითი პროგრამები შინაგან მოტივაციაზეა დამყარებული: მოსწავლეებს სურთ მათში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ ამაში ნიშნებს არ იღებენ.

B. ამყოფეთ მოსწავლეები ყველა მოვლენის ცენტრში. რედაქტორებმა მართონ რედაქციის კომუნიკაცია: შეხვედრებზე დასწრებები, ელ. ფოსტით ურთიერთობა დანარჩენ მოსწავლეებთან და სხვა.

C. შემოიღეთ ჯილდოები და წახალისების სისტემა: გამოცემის ადამიანი; გამოცემის საუკეთესო სტატია, ფოტო, ლიდი, გვერდის ყველაზე ადრე დასრულება.

D. სპორტული გუნდის მსგავსად ატარეთ რედაქციის მაისურები ან რაიმე სხვა ფორმა.

E. მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრები კედელზე გამოაკარით და სანიმუშო დაფა დაარქვით – ვიზუალურობა წაახალისებს!

F. მონაწილეობა მიიღეთ ყველა კონკურსსა და დაჯილდოების პროგრამაში.

G. თუ ჯილდოს მიიღებთ, ყველას შეატყობინეთ: დირექტორს, მშობლებს, საზოგადოებრივ ლიდერებს.

H. შექმენით თქვენი პროგრამის დევიზი. ნიუ იორკ ტაიმსი: „ყველა ახალი ამბავი, რაც გამოდგება დასაბეჭდად.“ ეს დაგეხმარებათ ბრენდის ჩამოყალიბებაში. ანანდეილის საშუალო სკოლა: „ინფორმაცია Atoms-ის შესახებ 1954 წლიდან“.

I. პროგრამაში გაითვალისწინეთ პროფესიონალი ჟურნალისტების მოწვევა მოსწავლეებთან შესახვედრად. ერთ-ერთი სკოლა აწყობს ხოლმე „საუზმეს პროფესიონალთან“, სადაც ჟურნალისტი ზის და საუზმობს მოსწავლეებთან ერთად და საკუთარ კარიერაზე ესაუბრება მათ.

J. მოაწყეთ გასვლითი სემინარები ან ესტუმრეთ ადგილობრივ გაზეთს/მედიას/ტელევიზიას.

K. დღესასწაულები: დაბადების დღეები, კოლეჯში ჩაბარება.

L. რედაქციის თანამშრომლების შეკავშირება, თამაშები, გაზეთის გამოშვების წინადღეს რედაქციაში სადილი, ერთად სადილობა, პარასკევობით სადილის მოტანა.

M. მადლობის წერილები ელ. ფოსტით და მესიჯები მრჩევლისგან.

III. დღესასწაულები რედაქციასთან ერთად

A. პუბლიკაციის აღსანიშნავი ბანკეტი: მოაწყეთ სადილი წლის ბოლოს თქვენი სკოლის ყველა პუბლიკაციის და გამოცემის აღსანიშნავად.

1. ძირითადი მომხსენებელი
2. ბატის ფრთის და ეტრატის საპატიო საზოგადოების შემოღება
3. გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა პორტფოლიოს პრეზენტაციები
4. გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა დაჯილდოება/სლაიდშოუ
5. ჯილდოდ თითქმის ყველა მიიღებს მარმარილოს პრესპაპიეებს ამოკვეთილი წარწერებით: ფოტოები, სტატია, გაყიდული რეკლამები, ინიციატივა. მოსწავლეები კენჭისყრით ამოირჩევენ წლის საუკეთესო მოსწავლეს.
6. საპატიო დაფა საუკეთესო რედაქტორის ჯილდოდ

B. გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა სასკოლო დაჯილდოების ცერემონია

C. სასკოლო დღესასწაული: გაზეთის გამოშვების თარიღები, ვებგვერდის, დაჯილდოებები

D. წაუკითხეთ ელ.ფოსტით მოსული წერილები /გამოხმაურება მთელ რედაქციას

IV. ურთიერთობა შიდა პუბლიკასთან:

A. დირექტორი, მასწავლებლები, მოსწავლეები – ამ ჯგუფების მიერ თქვენი პუბლიკაციის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რაიმე გარეგანი ჯილდო/შეფასება

B. დარაჯები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, მასწავლებლის ასისტენტები, მოხალისეები

C. მოსწავლე ლიდერები: მოსწავლეთა ლიდერები, კლუბები, სპორტული გუნდები

D. მწვრთნელები

E. მადლობის წერილები ელ. ფოსტით მთავარ წყაროებს / მშობლებს ონლაინსტატიების ლინკებით

F. ყოველკვირეული წერილები ელ. ფოსტით მთელ რედაქციას: წყაროების დასახელების თხოვნა, პუბლიკაციის თარიღის გამოცხადება, მადლობა წაკითხვისთვის

V. ურთიერთობა გარე პუბლიკასთან:

A. სკოლის ლიდერები: ყველა ლიდერი იღებს გაზეთის თითო ეგზემპლარს

B. პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელები

C. საზოგადოებრივი გაერთიანებები: საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ორგანიზაციები, მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ორგანიზაციები, ადგილობრივი აუზი

D. გამოცემების მხარდამჭერი კლუბები

E. ეკლესიები, სინაგოგები, მეჩეთები

F. რეკლამის განმათავსებლები, ექიმები

G. ეს „არჩევითი“ პროგრამა ისეთივე მნიშვნელოვანი გახადეთ, როგორც ნებისმიერი სპორტული ან აკადემიური პროგრამა

დასარიგებელი მასალა

გაზეთში სამუშაოს აღწერის ნიმუში

მთავარი რედაქტორი

კვალიფიკაცია:

- წარმატებული მოსწავლე ლიდერობის უნარით
- ბრწყინვალე ორგანიზატორული და კომუნიკაციის უნარები
- ამბიციურობა, თავდაჯერებულობა, საქმის ერთგულება. ყველასთან კარგი ურთიერთობის დამყარება შეუძლია**.**

მოვალეობები:

1. გეგმავს და ატარებს რედაქციის შეხვედრებს.
2. წარმართავს, ხელმძღვანელობს და წაახალისებს რედაქციის დანარჩენ წევრებს. თანამშრომლობს მრჩეველთან, კომპიუტერის სპეციალისტთან და ნომრის (გამოცემის) რედაქტორთან.
3. ერთდროულად ლიდერიცაა და კოორდინატორიც. რედაქციის თანამშრომლები დამოუკიდებლად მუშაობენ, მაგრამ მთავარ რედაქტორთან მუდამ აქვთ კონტაქტი და რედაქტორმა ყოველთვის იცის მათი მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ.
4. ასრულებს პუბლიკაციის ყველა ასპექტის ყოველდღიურ მენეჯმენტს.
   (ა) რეკომენდაციას უწევს ადამიანებს რედაქციაში სამუშაოდ
   (ბ) ადგენს გამოცემის კალენდარს
   (გ) უმკლავდება მენეჯმენტის პრობლემებს.
5. უზრუნველყოფს რედაქციის წესდების დაცვას ყველა საკითხში.
6. განიხილავს თითოეული სექციის შინაარსს, მსჯელობს შინაარსის შესახებ პასუხისმგებელ ლიდერებთან ან რედაქტორებთან, უზიარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს მთელ რედაქციას.
7. ამოწმებს დაბალანსებულობას და მრავალფეროვნებას სექციებს შორის.
8. ზედამხედველობს გამოცემის დაგეგმვას, გუნდის ლიდერებისა და რედაქტორებისგან ითხოვს თითოეული გვერდის მაკეტის ვადაში შესრულებას.
9. შეიძლება, ამავდროულად იყოს ჟურნალისტი/რეპორტიორი.

10. **წერილობით** ატყობინებს რედაქციის თანამშრომლებს მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესახებ (სტატიის დაწერა, მაკეტის დაგეგმვა, გაყიდვები და სხვა) და ამ მოვალეობების შესრულების ვადების შესახებ; უზრუნველყოფს, რომ მათ მიიღონ ამ მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო ინსტრუქციები და წვრთნა; აფასებს და აძლევს რჩევებს ამ მოვალეობების შესრულების შემდეგ.
11. წარმოადგენს გაზეთს (საუბრობს გაზეთის სახელით) სხვადასხვა შეხვედრების და აქტივობების დროს. ხელმძღვანელობს გაზეთის მიერ გამართულ პრესკონფერენციებს და სხვა შეხვედრებს.
12. ადგენს დროს, ადგილს და დღის წესრიგს რედაქციის შეხვედრებისთვის. საჭიროების შემთხვევაში იწვევს რიგგარეშე შეხვედრას. რედაქციის ყველა თანამშრომელს ატყობინებს შეხვედრის შესახებ, სულ მცირე, 24 საათით ადრე.
13. ხელს უწყობს რედაქციის თანამშრომლების მოტივირებას მათთვის რეგულარული შექებისა და სოციალური წახალისების უზრუნველყოფით. შეიძლება, ამ ფუნქციის შესრულება რედაქციის სხვა თანამშრომელს დაავალოს.
14. ჟურნალისტებსა და ჯგუფების ლიდერებს მითითებებს აძლევს, როგორ მოიპოვონ სტატიისთვის კარგი მასალა, ჩაატარონ ინტერვიუ, დაწერონ ლიდი და მთელი სტატია; რედაქტორი პასუხისმგებელია, რომ მთელი ნომერი შეესაბამებოდეს ხარისხისა და თანმიმდევრულობის სტანდარტებს.

მმართველი რედაქტორი

კვალიფიკაცია:

- ძალიან ორგანიზებულია, აკონტროლებს კალენდარს და შესრულების ვადებს, ურთიერთობს რედაქციის თანამშრომლებთან.
- რედაქციის თანამშრომლები პატივს სცემენ.

მოვალეობები:

1. პასუხისმგებელია და ხელმძღვანელობს გაზეთის გამოცემის ყველა ასპექტს, მათ შორის რეკლამასაც.
2. მითითებებს აძლევს გაზეთის კომპიუტერული დიზაინისა და მაკეტის აგებისთვის.
3. აყალიბებს და ინარჩუნებს დაფორმატების სტილს (სვეტების სიგანე, სვეტების რაოდენობა, არეები, შრიფტის ზომა და სტილი და ა. შ. თითოეული სექციისთვის).

უზრუნველყოფს, რომ დიზაინი და დასრულებული მაკეტი შეესაბამებოდეს ხარისხისა და თანმიმდევრულობის სტანდარტებს.

4. უზრუნველყოფს გამოცემაზე მუშაობის დროულად დასრულებას, უკავშირდება გვერდის რედაქტორებს, სთხოვს მათ, რომ კალენდარში მითითებული ვადების შესაბამის დროს დაასრულონ დაგეგმვა, რედაქციის თანამშრომლებისთვის სამუშაოს განაწილება, მაკეტის წინასწარი მონახაზის გაკეთება.
5. ათვალიერებს სტატიებს თანამედროვე გაზეთებში, რომ შეაგროვოს სასარგებლო იდეები, გაეცნოს სიახლეებს დიზაინის განვითარებაში, რვეულში ინიშნავს საინტერესო იდეებს დიზაინთან დაკავშირებით.
6. ქმნის გვერდის მოდელს თითოეული გამოცემისთვის და სტატიების განაწილებამდე გამოყოფს ადგილს რეკლამისა და განცხადებებისთვის.
7. ის ლიდერია და მთავარი რედაქტორის თანაშემწეა.

განყოფილების ან გვერდის რედაქტორი

კვალიფიკაცია:

- განსაკუთრებულ მონდომებას იჩენს გაზეთზე მუშაობაში სკოლაშიც და გაკვეთილების შემდეგაც.
- აქვს შემოქმედებითი იდეები, შეუძლია გუნდური მუშაობა, მზადაა გაუზიაროს იდეები და აიღოს პასუხისმგებლობა, სურს მეტის სწავლა**.**

მოვალეობები:

1. პასუხისმგებელია ცალკეული სექციის, მაგალითად, ახალი ამბების, სარედაქციო, სპორტის, ძირითადი თემის ან გართობის სექციის, დაგეგმვაზე და ხელმძღვანელობს მის შინაარსით შევსებას.
2. გეგმავს, როგორ უნდა გააშუქონ საკითხი ამომწურავად; დროულად ადგენს გვერდის მოდელს და გვერდის გეგმას.
3. დავალებებს **წერილობით** აძლევს ჟურნალისტებს, ფოტოგრაფებს, მხატვრებს და გრაფიკულ დიზაინერებს შესრულების ვადამდე საკმაო ხნით ადრე. სტატიის დავალება უნდა შეიცავდეს გვერდის ნომერს, სიტყვების რაოდენობას, შესაძლო კონტაქტებს და ინტერვიუს შეკითხვებს, მოსაზრებებს შინაარსთან დაკავშირებით.

ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ჟურნალისტებთან და უზრუნველყოფს, რომ სამუშაო დროულად შესრულდეს.

4. წერისას ასრულებს მრჩევლის როლს, მეტად მომთმენი და დახმარებისთვის მზადმყოფნია. გვერდის რედაქტორი ასწავლის ჟურნალისტებს, როგორ შეაგროვონ ინფორმაცია, ჩაატარონ ინტერვიუები და დაწერონ სტატია გასაგებად, ლაკონურად და სრულად, კარგი ლიდით, საჭირო ციტატებით და ავტორების გარკვევით მითითებით.
5. ის ამავე დროს ჟურნალისტიცაა, საკუთარი მუშაობით კარგი რეპორტაჟის, კარგად წერის და სტატიის დროულად ჩაბარების მაგალითს უჩვენებს სხვებს.
6. აწარმოებს „სტატიის წერის ისტორიას“ ავტორებთან ერთად, იწერს დავალებებს, ამოწმებს შესრულებას, დროულად აფასებს შავად ნაწერ სტატიას, აძლევს დავალებას, რა უნდა შესწორდეს/გადაკეთდეს, აწარმოებს დღიურს რედაქციის ყველა თანამშრომლის საქმიანობის შესახებ, მათ შორის, დავალებების დროულად შესრულების შესახებაც.
7. ავტორებთან ერთად მუშაობს სტატიის გადაკეთებაზე; პასუხისმგებელია წერისა და რეპორტაჟის ხარისხზე საკუთარ სექციაში. უზრუნველყოფს ნაწერის გამართულობას (მართლწერა, გრამატიკა, სტილი) და გამოსაქვეყნებლად მზაობას. ატყობინებს რედაქტორს, თუ შენიშნავს რაიმე წინააღმდეგობას ან შეუსაბამო შინაარსს.
8. InDesign-ის შესწავლის შემდეგ ის პასუხისმგებელია სექციის შინაარსის ეფექტურად წარმოჩენაზე, დიზაინზე, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის მკითხველის მოთხოვნები და მოცულობასა და მრავალფეროვნებას სთავაზობს მათ.
9. მმართველ რედაქტორთან და მთავარ რედაქტორთან ერთად მუშაობს გვერდების დიზაინის დროულად დასამზადებლად.
10. ესწრება რედაქციის შეხვედრებს და დაგეგმვის სესიებს, ასრულებს რედაქციისთვის საჭირო სამუშაოებს.
11. წერს და განათავსებს ბოდიშისა თუ შესწორების წერილებს იმ შეცდომების შესახებ, რაც მის გვერდებზე გაიპარა.
12. აჯილდოებს ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს შესრულებული სამუშაოსთვის.

ფოტორედაქტორი

კვალიფიკაცია:

- განსაკუთრებულად უყვარს სურათების გადაღება.
- შეუძლია მთელი დღე თან ატაროს ფოტოაპარატი.
- აქვს მხატვრული ხედვა, გრძნობს ფოტოგრაფიის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა განათება და კომპოზიცია.

მოვალეობები:

1. ყოველდღე იღებს სურათებს, სადაც აისახება სკოლის ცხოვრება სწავლის დროს და გაკვეთილების შემდეგ.
2. მართავს სწავლებებს და ვარჯიშებს ფოტოს ხარისხის გასაუმჯობესებლად, მუდმივად მუშაობს ნახატების და ფოტოების ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკონტროლებს ფოტოგრაფებს, რათა დარწმუნდეს, რომ ტექნიკური მხარე კარგად სრულდება.
3. ანაწილებს დავალებებს სურათების გადასაღებად.
4. ფოტოგრაფებთან ერთად განიხილავს სურათებს და არჩევს საუკეთესო კადრებს; უზრუნველყოფს, რომ გამოსაქვეყნებლად შერჩეული ყველა ფოტო იყოს კარგად ფოკუსირებული, კარგად ჩამოჭრილი და შთამბეჭდავი კომპოზიციის მქონე, ჰქონდეს საჭირო გაფართოება, კონტრასტი და ტონალური დიაპაზონი.
5. თუ საჭიროა, აგვარებს ფოტოების მიღებას გარეშე წყაროებიდან.
6. აგროვებს ფოტოებს შემდეგში გამოსაყენებლად.
7. გაზეთის რედაქციაში წარმოადგენს ფოტოგრაფთა ინტერესების დამცველს.
8. მრჩეველთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს, რომ ყველა ფოტოაპარატი გამართულად მუშაობდეს.
9. ამოწმებს ყველა ხელსაწყოს, რასაც იყენებენ ფოტოგრაფები.
10. არეგულირებს, რომ სამუშაო თანაბრად იყოს განაწილებული ფოტოგრაფების ჯგუფებს შორის, სხვაგვარად გადაანაწილებს სამუშაოს, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს, ან როცა ფოტოგრაფი ვერ ასრულებს დავალებას.

ფოტოგრაფი

კვალიფიკაცია:

- დაინტერესებულია ფოტოგრაფიით და სასკოლო აქტივობებით.

მოვალეობები:

1. ერთდროულად ტექნიკოსიცაა და ხელოვანიც. სწავლობს, როგორ გამოიყენოს ფოტოაღჭურვილობის ყველა ფუნქცია და როგორ დაიცვას კარგი ფოტოკომპოზიციის პრინციპები. კითხულობს სტატიებს და შეისწავლის ფოტოებს სპეციალიზებულ ჟურნალებსა და ინტერნეტგამოცემებში; სწავლობს ყველაფერს, რაც შეუძლია, ფოტოჟურნალისტიკის შესახებ.
2. მუშაობს ფოტორედაქტორის ზედამხედველობით, იყენებს ფოტოაპარატს და რვეულს, რომ გადაიღოს სურათები და ჩაიწეროს ინფორმაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრების გასაშუქებლად.
3. ყურადღებით ამოწმებს დავალებებს, რათა დარწმუნდეს, რომ საჭირო ინფორმაცია სრულადაა მოცემული; ურთიერთობა აქვს ფოტორედაქტორთან და დავალებების გამანაწილებელ რედაქტორთან, რომ გაარკვიოს ყველა შეკითხვა.
4. წინასწარ ზრუნავს, რომ საჭირო დროს ხელთ ჰქონდეს აღჭურვილობა, გატანისას მრჩეველთან ან ფოტორედაქტორთან ერთად ამოწმებს ფოტოაპარატსა და სხვა ხელსაწყოებს.
5. ფოტორედაქტორს ან ჯგუფის ლიდერს 24 საათით ადრე ატყობინებს, თუ არ შეუძლია დავალების შესრულება; პოულობს კვალიფიციურ შემცვლელს დავალებული ფოტოების გადასაღებად.
6. ფოტოგადაღებიდან დაბრუნებისას ამოწმებს აპარატს, ტვირთავს ელემენტებს, მოწესრიგებულად ინახავს სურათებს. ფოტო და გვერდის რედაქტორებთან სურათების განხილვის შემდეგ არჩევს სურათებს, რომლებსაც ციფრული დამუშავება სჭირდება.
7. უკეთებს წარწერებს შერჩეულ ფოტოებს.
8. წარმოსახვას და ინიციატივას ყველა დავალების შესრულებისას იშველიებს; იღებს საინტერესო ფოტოებს მაშინაც კი, როცა დავალებული არ აქვს.

გამოცემის (ნომრის) რედაქტორი

კვალიფიკაცია:

- აქვს ორგანიზაციული უნარი.
- ფლობს მართლწერის ნორმებს და ლექსიკურ მარაგს.
- აქვს ჟურნალისტის გამოცდილება და მოსწონს სხვისი ნაწერების რედაქტირება.

მოვალეობები:

1. აგროვებს და ინახავს მოსწავლეების და მასწავლებლების სიას. სახელების სწორად ჩაწერა აუცილებელია.
2. საბოლოოდ უკეთებს კორექტურას სტატიებს და გვერდებს. აკეთებს მცირე შესწორებებს, ან უბრუნებს გუნდის ლიდერს ხელახლა გადასაწერად.
3. საჭიროების შემთხვევაში რედაქტირების მინიგაკვეთილებს უტარებს რედაქციის შერჩეულ თანამშრომლებს, რათა ხშირად განმეორებადი სტილის ან ლექსიკური შეცდომები აღმოიფხვრას.
4. **საბოლოოდ ამოწმებს მთლიან ნომერს დაბეჭდვამდე. დასაბეჭდად გაშვებამდე მუშაობს მრჩეველთან და მთავარ რედაქტორთან ერთად.**

მხატვარი/კარიკატურისტი

კვალიფიკაცია:

- კარგად ხატვის უნარი.
- ორგანიზაციული და სამუშაოს ვადებში შესრულების უნარი.

მოვალეობები:

1. ნახულობს ჯგუფის ლიდერებს და მთავარ რედაქტორს შესასრულებელი ნახატების სიის მისაღებად.
2. ამოწმებს, რომ ნახაზები კარგადაა მომზადებული (მელნის სახეობა, ქაღალდი, ზომა) სასურველი რეპროდუქციის მისაღებად.
3. დროულად ასრულებს ყველა დავალებას ნახატებთან დაკავშირებით; სამუშაოს სიჭარბესთან და მოლოდინებთან დაკავშირებულ პრობლემებს, თუ ისინი ჩნდება, არკვევს რედაქტორებთან, მთავარ რედაქტორთან ან მრჩეველთან.
4. ჟურნალებიდან და გაზეთებიდან აგროვებს ისეთ იდეებს, რომელთა ადაპტირება და გამოყენებაც შესაძლებელი იქნება.
5. სთავაზობს პუბლიკაციაში ჩასართავ ნახატებს და გაფორმებას.

ბიზნესმენეჯერი (სკოლებისთვის, რომლებიც რეკლამებს აქვეყნებენ/თანხებს მოიზიდავენ)

კვალიფიკაცია:

- კარგი ორგანიზატორული უნარი.
- მართლწერის და მათემატიკური უნარები.

მოვალეობები:

1. მრჩეველთან ერთად ამზადებს გამოცემის ბიუჯეტს.
2. ცდილობს, გაერკვეს და თავი გაართვას ფულთან დაკავშირებულ საკითხებს,
3. ასრულებს ბუღალტრის მოვალეობას და ყოველი თვის ბოლოს ადგენს ანგარიშებს, ინახავს ჩეკებს, გამოჰყავს ბალანსი და სკოლის ბიზნეს მენეჯერთან ამოწმებს, ემთხვევა თუ არა ბალანსები.
4. ამზადებს, წვრთნის და ხელმძღვანელობს რეკლამების გაყიდვის და ფონდების მოძიების პერსონალს.
5. წერს ოქმებს რედაქციის შეხვედრებზე და ასლებს გადასცემს მთავარ რედაქტორსა და მრჩეველს.
6. მრჩეველს წარუდგენს ანგარიშს ყოველი თვის ბიუჯეტის შესახებ.

დისტრიბუციის მენეჯერი

კვალიფიკაცია:

- ორგანიზატორული და მათემატიკური უნარები**.**

მოვალეობები:

1. რეკლამირებას უკეთებს გაზეთს, რომ დაეხმაროს მის გავრცელებას.
2. დისტრიბუციის დროს ზუსტად ითვლის მასწავლებლების რაოდენობას, მათი მოსწავლეების რაოდენობას კლასში და ოთახის ნომერს.
7. ზემოთმოყვანილი გავრცელების ინფორმაციით ადგენს მონაცემთა ბაზას, რომელსაც შემდეგი დისტრიბუციისთვის გამოიყენებს.
8. ხელმძღვანელობს გაზეთის დისტრიბუციას გამოცემის დღეებში.
9. ფოსტით უგზავნის გაზეთებს იმ სკოლადამთავრებულებს და მშობლებს, ვინც იწერენ გაზეთს.

რეკლამის მენეჯერი

კვალიფიკაცია:

- ორგანიზატორული და კომუნიკაციის კარგი უნარები**.**
- რეკლამების შექმნის სურვილი.

მოვალეობები:

1. გეგმავს რეკლამების მოზიდვის კამპანიას და მრჩეველს წარუდგენს დასადასტურებლად.
2. გეგმავს სტიმულებს და უკავშირდება ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს, რომ მოიპოვოს სარეკლამო შეკვეთები.
3. წაახალისებს, წვრთნის და ხელმძღვანელობს მთელ რედაქციას, რომ კარგად წარმოაჩინონ რეკლამები, მოიპოვონ კარგი სარეკლამო განცხადების დასამზადებლად საჭირო ინფორმაცია და შეასრულონ რეკლამის განთავსების კონტრაქტი.
4. აძლევს სარეკლამო განყოფილების წევრებს სავარაუდო კლიენტების სიას.
5. ხელმძღვანელობს რეკლამების მომზადებასა და კორექტირებას.
6. მუშაობს ბიზნესმენეჯერთან ერთად, რათა მერეკლამეების მიერ ფულის გადახდა უზრუნველყონ გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
7. მადლობის წერილებს უგზავნის ყველას, ვინც დაეხმარა გაზეთის გამოცემას და შეიძინა რეკლამა.
8. ამზადებს სარეკლამო განცხადებების სიას და მიუთითებს ზომებს გაზეთის დაბეჭდვიდან, სულ მცირე, შვიდი სამუშაო დღით ადრე; ყურადღებას აქცევს, რომ მმართველ რედაქტორმა განათავსოს ეს რეკლამები.
9. მოტივაციას უმაღლებს და ხელმძღვანელობს სარეკლამო გაყიდვების განყოფილების წევრებს, რათა ერთად მიაღწიონ რეკლამების გაყიდვის მიზნებს.

ჟურნალისტი

კვალიფიკაცია:

- წერისა და რეპორტაჟის კეთების ინტერესი**.**
- კომუნიკაციის კარგი უნარი.
- ტექსტური რედაქტორის გამოყენების კარგი უნარი.

მოვალეობები:

1. გუნდთან ერთად მუშაობა და რედაქტორის დავალების, გასაშუქებელი მოვლენების განაწილება; სტატიების დროულად დაწერა და რედაქტორისთვის ჩაბარება. სტატიები უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორში აკრეფილი, ორმაგი ინტერვალით, შენახული საჭირო ადგილას.

2. სტატიის გადაკეთება, რომ შეესაბამებოდეს ჟურნალისტურ სტილს, ლექსიკისა და მართლწერის სტანდარტებს.
3. სტატიებს წერს მოსწავლეებისგან და სკოლის თანამშრომლებისგან აღებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, შთამბეჭდავი ლიდით, აბზაცების კარგად დაწყებით, კარგი ციტატებით და ავტორის გარკვევით მითითებით.
4. მზადაა, შეასწოროს სტატია რედაქტორის მოთხოვნების შესაბამისად. მუდმივად ისწრაფის წერის სტილის გასაუმჯობესებლად.
5. სტატიებს დროულად ან დროზე ადრე აბარებს; როცა საჭიროა ვადის გაგრძელება, ამას პირვანდელი ვადის გასვლამდე აგვარებს.

მრჩეველი

ამ თანამდებობის მნიშვნელობა სათაურშივეა განმარტებული. მრჩეველი არის ჟურნალისტური გამოცდილების მქონე ადამიანი, რომლის მისიაა რჩევის მიცემა, ხელმძღვანელობა, მოთხოვნა, ინიციატივა, მითითებების მიცემა, რედაქციის თანამშრომლების მართვა მათთან თანამშრომლობით. მიუხედავად მრჩევლის ასეთი მონაწილეობისა, გაზეთის შინაარსისა და გასაშუქებელი სფეროების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მოსწავლეები იღებენ. მრჩეველი არაა რედაქტორი ან მმართველი, ის უფრო მენეჯერი და დამხმარეა.

ფართო გაგებით, მრჩეველი აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა გაზეთის ყველა ასპექტში. გამოცემის დაგეგმვის დაწყებიდან ბოლო ვადამდე, დაბეჭდვასა და გავრცელებამდე, მრჩეველი პროცესის მეთვალყურეა, ის კონსტრუქციულად და კრიტიკულად აფასებს თითოეული მოსწავლის შრომას, მთავარი რედაქტორიდან დაწყებული თემატურ რეპორტიორამდე.

მოსწავლეთა შეფასება, მითითებები და ხელმძღვანელობა ჟურნალისტიკის პროგრამაში და სასარგებლო, საგანმანათლებლო გამოცდილების მიცემა.

შეარჩიეთ გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, დაასახელეთ, ვინ იქნებიან რედაქტორები. ალბათ, ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მრჩეველი წყვეტს რაიმეს. მრჩეველმა სწორად უნდა შეაფასოს მოსწავლეთა ნიჭი და პოტენციალი, შემდეგი წლის განმავლობაში მას

მოუწევს ამ რედაქტორებთან ერთად მუშაობა, ამიტომ დარწმუნებული უნდა იყოს მათ პასუხისმგებლობის გრძნობასა და ცოდნაში.

მრჩეველმა უნდა შეადგინოს გაზეთის მთლიანი წლიური ბიუჯეტი და ცალკე ბიუჯეტი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის. ბიუჯეტში მცირე თანხა რედაქციის თანამშრომლების გართობისთვისაც უნდა იყოს გათვალისწინებული (საკვები გაზეთის გამოშვების წინა საღამოსთვის).

განსაზღვროს რეკლამის ფასები, რეკლამის მენეჯერთან და სარეკლამო განყოფილების წევრებთან ერთად ზაფხულის განმავლობაში იზრუნოს რეკლამის მოზიდვაზე. იდეალურ შემთხვევაში, სკოლის დაწყებამდე რეკლამების სამი მეოთხედი უკვე შევსებული უნდა იყოს. შესთავაზეთ ფასდაკლებები, თუ ყველა ნომერში გამოაქვეყნებენ რეკლამას.

სტამბასთან შეთანხმეთ კონტრაქტი, მოილაპარაკეთ ვადებსა და მოწოდების საშუალებებზე. შეთანხმდით ფასზე და შეეცადეთ, მიიღოთ კარგი ხარისხი და მომსახურება დაბალ ფასად.

შექმენით/გადააკეთეთ საქმიანი ქაღალდების ნიმუშები: სარეკლამო გაყიდვების კონტრაქტი, გაზეთის მოდელი, ფოტოგრაფისთვის დავალების მისაცემი ბლანკები, გაზეთის გამოცემის განრიგი, რედაქციის მუშაობის/ვადების განმსაზღვრელი წესდება, არაფორმალური ქცევის წესები, ფოტოაპარატების გატანის ფორმები და სხვა.

მოამარაგეთ და აღჭურვეთ რედაქციის ოთახი ნივთებით, რაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე დასჭირდებათ: საბეჭდი ქაღალდები, რვეულები, საოფისე და სხვა ხელსაწყოები, საფოსტო ყუთები რედაქციის თანამშრომლებისთვის და სხვა.

მოაწყეთ ცენტრალური საკომუნიკაციო დაფა და კალენდარი, სადაც რედაქციის თანამშრომლები წაიკითხავენ ყოველდღიურ განცხადებებს, დაუტოვებენ შეტყობინებებს სხვა რედაქტორებს, გამოაკრავენ დავალებების ვადებს, მოითხოვენ ფოტოებს, ნახავენ, „რა გამოუვიდათ კარგად“ სხვა გაზეთებს.

სწავლის დაწყების წინ შეხვდით რედაქციის ახალ თანამშრომლებს და მათთან ერთად დაადგინეთ ძირითადი წესები. დაურიგეთ სამუშაოს აღწერილობა, სტილის სახელმძღვანელოები, რედაქტირების აღმნიშვნელი სიმბოლოების სია, ამონაჭრები

გაზეთებიდან, ჟურნალისტური „ჟარგონის“ განმარტებები და სხვა საინფორმაციო ფურცლები.

დაწერეთ/გადააკეთეთ რედაქციის წესდება, ახსენით დადგენილ ვადებში შესრულების მნიშვნელობა, აუხსენით რედაქციის თანამშრომლებს ინტერვიუს აღების ეტიკეტი (წინასწარ დანიშვნა, პროფესიონალური გარეგნობა და ქცევა, ციტატების გადამოწმება და ა. შ.). აუხსენით, რას ელის მრჩეველი რედაქციის თანამშრომლებიგან, ამასთან, ჰკითხეთ, რა მოლოდინები აქვთ მათ მრჩევლისგან!

დანიშნეთ ვორქშოფები კომპიუტერის, ფოტოგამოსამჟღავნებელი მოწყობილობის და ფოტოების დასამუშავებელი კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად. ნებისმიერ მოსწავლეს მოუწევს როდისმე თავად დაბეჭდოს სურათი ან გაამჟღავნოს ფირი, როცა საჭირო ადამიანები არ იქნებიან ახლოს. ფოტოგრაფებს და კომპიუტერზე მომუშავეებს უფრო დაწვრილებითი გაკვეთილები ჩაუტარეთ. ფოტორედაქტორმა და კომპიუტერის რედაქტორმა იმდენივე უნდა იცოდეს ხელსაწყოების და მათი გამოყენების შესახებ, რამდენიც მრჩეველმა იცის.

საქმის კურსში უნდა იყოთ კონკურსების, გაზეთის თანამშრომელთა ვორქშოფების და პრესის კანონში ცვლილებების შესახებ. დაარწმუნეთ რედაქციის თანამშრომლები, მონაწილეობა მიიღონ რეგიონულ და ეროვნულ კონფერენციებში.

რედაქტორთა საბჭოსთან ერთად გადაწყვიტეთ, როგორ უნდა „გამოიყურებოდეს“ გაზეთი, აირჩიეთ ფონტები სათაურისთვის, ტექსტისთვის და გვერდების დასანომრად. შეთანხმდით ფორმატზე: ტრადიციული გაზეთი თუ ახალი ამბების ბიულეტენი? შეთანხმდით შემდეგ ნომერში გამოყენებულ ფერ(ებ)ზე.

დაეხმარეთ გვერდის რედაქტორებს გასაშუქებელი თემების მოძებნაში. დაეხმარეთ მათ სტატიების პრიორიტეტების მიხედვით დაწყობაში ახალი ამბის ღირებულების, სიგრძის, მომავალში გაგრძელების შესაძლებლობის, მკითხველის ინტერესისა და მოსწავლეთა ცხოვრებასთან შესაბამისობის მიხედვით.

შემოიღეთ რედაქტორებთან ურთიერთობის სისტემა. იყავით მთავარი რედაქტორის „მარჯვენა ხელი“, დაეხმარეთ მას, გაუნაწილოს პასუხისმგებლობა და შესთავაზოს მხარდაჭერა რედაქციის ყველა თანამშრომელს.

ჩაატარეთ სხდომები და შეხვედრები, მოაგვარეთ ორგანიზაციული საკითხები მთავარ რედაქტორთან ერთად.

რედაქციას მიეცით რჩევები პროფესიულ, სამართლებრივ და ეთიკურ საკითხებზე.

იზრუნეთ გაზეთის შეთანხმებულობაზე მასწავლებელთა/ადმინისტრაციის ინტერესებთან.

მუდამ იცოდეთ ტექნიკური პროგრესის შესახებ, რაც გამოიყენება გაზეთის გამოშვების საქმეში.

რედაქციის ორგანიზების ნიმუში



დასარიგებელი მასალა

A-Blast-ის რედაქციის სახელმძღვანელო – ნიმუში

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა

ცვლილებები „რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურებში“

მიზანი

შინაარსის რაგვარობა

- მრავალფეროვნება
- ახალი ამბების/ძირითადი თემების გაშუქება
- სარედაქციო სტატია
- მიმოხილვები
- ილუსტრაციები
- შესწორებები
- წვრილმანები
- ნეკროლოგები
- საკამათო თემები
- ნახატები
- მიუღებელი
    - მასალა/ლექსიკა

სამუშაოს რაგვარობა

- ეთიკის კოდექსი
- რედაქციის თანამშრომლების ნაწერები
- ავტორობა
- ანონიმური წყაროები
- რედაქციის თანამშრომლების დათხოვნა
- დისტრიბუციის მეთოდები
- პოლიგრაფიული პარტნიორობა

The A-Blast და მკითხველები

- წერილები რედაქციას

- რეკლამები
- ინტერესთა კონფლიქტი

<u>ზოგადი მიმოხილვა</u>

რედაქციის წესდება The A-Blast-ის საქმიანობის საფუძველია. ეს სამუშაო დოკუმენტია, რომელიც ყოველწლიურად, გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლამდე, ზაფხულობით გადამუშავდება. ამ დოკუმენტის ყოველწლიური ცვლილებებისთვის ვითვალისწინებთ შემდეგ წყაროებს: ფეარფაქსის ოლქის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მოვალეობები და უფლებები; მოსწავლეთა პრესის საკანონმდებლო ცენტრის კოდექსის ნიმუშები; „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციის კოდექსი; სხვადასხვა იურიდიული ტექსტი; წარმატებული სკოლების გაზეთების რედაქციების კოდექსები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩვენი კოდექსი ასახავს ჩვენს ჟურნალისტურ საქმიანობას, ამ კოდექსის შემოკლებულ ვერსიას ჩვენ ყოველწლიურად ვაქვეყნებთ გაზეთის პირველ ნომერში. კოდექსის ასლები ინახება დირექტორის კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში.

ცვლილებები „რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურებში“

„რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურებში“ ცვლილების შეტანა შეიძლება მოითხოვოს A-Blast-ის რედაქციის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან მრჩეველმა, მაგრამ ეს მოთხოვნა ოფიციალური და დეტალური დოკუმენტის სახით უნდა ჩამოყალიბდეს და სარედაქციო საბჭოს (განმარტებულია ქვემოთ) წარედგინოს დახურულ შეხვედრაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილების შეტანას „რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურებში“ სჭირდება სარედაქციო საბჭოს წევრთა ხმების 2/3. მრჩეველს შეუძლია ნებისმიერ დროს ვეტო დაადოს ცვლილების შეტანას. ამ ვეტოს უარყოფა შესაძლებელია ვეტოს დადების შემდეგ დღეს A-Blast-ის რედაქციის სრული ქვორუმის 3/4 ხმებით. თუ რედაქციის ყველა თანამშრომლის ხმის მოპოვება შეუძლებელია, ხმების მიცემა ანულირდება და ვეტო ძალაში რჩება. ნებისმიერი ახალი ცვლილების შეტანა, რომელიც სარედაქციო საბჭოს განხორციელებულ ან მრჩევლის ვეტოს დადებით მიღებულ ცვლილებას ეწინააღმდეგება, არ განიხილება სარედაქციო საბჭოს მიერ, სანამ მისი ოფიციალურად წარდგენიდან ექვსი თვე არ გავა.

ცვლილებების შესატანად კენჭისყრა არაა საჭირო, თუ „რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურების“ დოკუმენტში აღმოჩნდება აშკარა გრამატიკული შეცდომა, ასეთ შემთხვევაში ცვლილება შედის მთავარი რედაქტორის და მრჩევლის გადაწყვეტილებით. თუმცა, ყველა ეს ცვლილება, იქნება ეს ტექსტში სიტყვების გადაკეთება, თუ ახალი თავის დამატება, მაინც გადის ზემოთ აღწერილ პროცედურას „რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდება და პროცედურებში“ შესატანად. არცერთი ცვლილება და დამატება არ შეიძლება შევიდეს დოკუმენტში ამის გარეშე, გარდა გრამატიკული შეცდომის შესწორებისა.

<u>მიზანი</u>

ამ გამოცემის მიზანია მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის თანამშრომლების და სხვა მკითხველების ინფორმირება, განათლება და გართობა. ჩვენ მიუკერძოებლად, ობიექტურად და ზუსტად განვიხილავთ და გავაანალიზებთ იმ საკითხებს, რაც ჩვენს მოსწავლეებს შეეხება. ჩვენ წარმოვადგენთ საგანმანათლებლო საშუალებას ანანდეილის საშუალო სკოლისთვის და ამავდროულად ვაძლევთ საშუალებას საზოგადოების წევრებს, გამოთქვან საკუთარი აზრი იმ თანამედროვე მოვლენების შესახებ, რომლებიც მოსწავლეებს შეეხება. გარდა ამისა, გაზეთი წარმოადგენს საშუალებას კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, განაცხადონ საკუთარი საქმიანობის შესახებ. თუმცა, გაზეთი იბეჭდება ჟურნალისტიკის კლასის ფარგლებში, გაზეთი არ წარმოადგენს ფეარფაქსის ოლქის საჯარო სკოლების პროგრამის დამატებას. A-Blast-ის კითხვა არაა იძულებითი, მოსწავლეთა გაზეთი არ ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებს. The A-Blast-ში ბევრი სასარგებლო ინფორმაციაა სხვადასხვა მკითხველისთვის, მაგრამ გაზეთი მაინც უფრო „პირველი მცდელობაა“ სკოლის ისტორიაში – მოზარდების საკუთარი გამოცემა – და არა სახელმძღვანელო დიდაქტიკური სწავლებისთვის.

<u>შინაარსის რაგვარობა</u>

მრავალფეროვნება

The A-Blast-ის მიზანია, შეიცავდეს მასალას, რომელიც შეესაბამება ყველა რასის, ეროვნების, იდეოლოგიის, რელიგიის, რწმენისა და კულტურის წარმომადგენელი მოსწავლეების ინტერესებს. The A-Blast არა მხოლოდ თანაბარ ადგილსა და დროს უთმობს ახალი ამბებისა და მოვლენების გაშუქებას, რომლებიც მომდინარეობს ამ სხვადასხვა ჯგუფების ყველა

ქვეკატეგორიიდან, არამედ The A-Blast-ის მისიაა მუდმივად ეძიოს გამოქვეყნებული მასალის მიღმა და აღმოაჩინოს ახალი ამბები და მოვლენები, რომლებიც ისეთი ჯგუფების ინტერესებშია, ვის შესახებაც ჯერ არ დაბეჭდილა. The A-Blast-ი ამაყობს იმით, რომ ისეთი მრავალფეროვანი სკოლის ინფორმირება აკისრია, როგორიც ანანდეილის საშუალო სკოლაა, და მუდმივად ისწრაფის, სრულად ასახოს მრავალასპექტიანი რეალობის ყველა მხარე.

ახალი ამბების/ძირითადი თემების გაშუქება

The A-Blast აშუქებს ძირითად თემებს და წინასწარ ინფორმაციას სკოლასთან დაკავშირებულ მოვლენებზე, ხოლო საზოგადოებრივი და ნაციონალური მასშტაბის მოვლენები მეორეხარისხოვანი თემაა. სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოსწავლეთა ცხოვრებას, „ადგილობრივი კუთხით“ აღვწერთ, მაგრამ ამ გაზეთში არ დაიწერება იგივე, რაც იწერება ადგილობრივ და ეროვნულ მედიაში, თუ ეს არ ეხება ანანდეილის სკოლის მოსწავლეებს.

გაზეთის პასუხისმგებლობაში შედის სოციალური ცვლილებების აღწერა და მოსწავლეების ცხოვრების სიღრმისეული კვლევა. ჩვენ შევეხებით მოზარდთათვის საინტერესო ისეთ თემებს, როგორიცაა ნარკოტიკების და ალკოჰოლის გამოყენება, ურთიერთობები, რასობრივი, გენდერული და სქესობრივი საკითხები, კოლეჯისთვის მომზადება და ჯანდაცვა. ჩვენი მოსწავლეების ცხოვრების ასახვასა და ანალიზთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში გავაკეთებთ „რეპორტაჟს ჩვენს რეპორტაჟზე“.

სარედაქციო სტატია

ამ გამოცემაში იქნება გონივრული კომენტარები მოსწავლეთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სარედაქციო სტატია, რომელიც მნიშვნელოვან თემას ეძღვნება და ინტერპრეტაციული, კრიტიკული, დამარწმუნებელი, გასართობი და ზოგჯერ ვიზუალურია, გაზეთის ანალიტიკურ ხმას წარმოადგენს. უავტორო სარედაქციო სტატია რედაქციის თანამშრომელთა უმრავლესობის აზრს წარმოადგენს; ხელმოწერილი სტატია კი ერთი ინდივიდუალური ავტორისაა. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, არაა აუცილებელი, რომ ეთანხმებოდეს მრჩევლის, მასწავლებლების, ადმინისტრაციის ან სასკოლო საბჭოს წევრთა მოსაზრებებს. სტატიები, რომლებშიც დამოკიდებულებებზეა საუბარი, მხოლოდ რედაქტორის გვერდებზე გვხვდება, ან სათაურშივე აქვს მითითებული, რომ ესაა მიმოხილვა ან ანალიზი. ამ პუბლიკაციაში არ შეიძლება ვინმეს კანდიდატურის

მხარდაჭერა მოსწავლეთა საბჭოს არჩევნებისთვის, თუმცა ინდივიდუალურ საავტორო სტატიებში ეს დასაშვებია. მკითხველებიც იღებენ დისკუსიაში მონაწილეობას რედაქტორისადმი მიწერილი წერილების საშუალებით. ყველა თვალსაზრისს თანაბარი დრო და ყურადღება დაეთმობა. ყველა მოსაზრება და გარედან შემოსული მასალა სარედაქციო კოდექსის სტანდარტებს უნდა იცავდეს.

მიმოხილვები

ფილმის, წიგნის, სპექტაკლის ან სიმღერის მიმოხილვა საგანმანათლებლო დანიშნულების წვრილმანი ამბების მაგალითია. მიმოხილვას რედაქცია აკეთებს, მაგრამ ბალანსი მიიღწევა ავტორთან/ხელოვანთან ინტერვიუთი, ან სიმღერის ტექსტისა თუ სცენარის შინაარსის გამოქვეყნებით. ეს გაზეთი მიმოიხილავს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ მოვლენებსა და პუბლიკაციებს ხელოვნებაში, მოსწავლე ჟურნალისტები კარგად გაეცნობიან იმ სამუშაოს, რასაც განიხილავენ. მაგალითად, სპექტაკლის მიმოხილვას დაწერს ისეთი ვინმე, ვისაც ექნება თეატრთან შეხება, ნახატებს განიხილავს ვინმე, ვისაც მხატვრობა უცდია და ნამუშევრების შედარება შეუძლია. როცა ეს შესაძლებელია, მიმოხილვისას ხელოვანის ციტატებს ჩავურთავთ, რომ შევინარჩუნოთ ბალანსი და უკეთ „მოვყვეთ“ ამბავი.

ილუსტრაციები

ფოტოები, ნახატები და გრაფიკები (ხელით ნახაზი ან კომპიუტერით აგებული) იბეჭდება სტატიასთან ერთად, ან ცალკე. სარედაქციო კარიკატურებმა შეიძლება შელახოს საზოგადოებრივ მოღვაწეთა გარეგნობა, მაგრამ არა გადაჭარბებულ უცნაურობამდე. საზოგადოებრივ მოღვაწეები ის პირები არიან, ვინც არჩეული ან დანიშნულია რაიმე თანამდებობებზე, ადამიანები, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან, ან ისინი, ვინც პირადი მიღწევებით გაითქვა სახელი. მოსწავლეები საზოგადოებრივ მოღვაწეებად არ ითვლებიან.

ამ ილუსტრაციებში ადამიანები არ უნდა გამოიყურებოდნენ სასაცილოდ რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო. ილუსტრაციებშიც დაცული უნდა იყოს ბილწსიტყვაობის, ცილისწამების, ტყუილის და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ კანონები და სტანდარტები, რომლებსაც ამ კოდექსის მიუღებელი ლექსიკის სექციაში განვიხილავთ. ილუსტრაციები არ უნდა

იკავებდეს ძალიან დიდ ადგილს, ილუსტრაციათა რაოდენობას გვერდების რედაქტორები განსაზღვრავენ.

შესწორებები

ნაბეჭდ გაზეთში შეცდომების აღმოჩენისას შესწორება გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგი ნომრის მე-2 გვერდზე, სარედაქციო სტატიის მარცხნივ კუთხეში. www.thea-blast.org-ზე გამოქვეყნებული მასალა დაუყოვნებლივ შესწორდება. მოსწავლე ჟურნალისტები ყოველთვის სწრაფად მოქმედებენ შეცდომის შესასწორებლად, პირადად ესაუბრებიან განაწყენებულ წყაროს თუ მკითხველს.

წვრილმანები

წვრილმანებს ამ პუბლიკაციაში ძალიან ცოტა ადგილი დაეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგი გასართობია. გაზეთი არ გამართავს და არ დაბეჭდავს პოპულარობაში შეჯიბრებს ან კითხვარებს, სიმღერების მიძღვნებს, „გამოცემის ბიჭის ან გოგოს“ თემებს, საჭორაო სვეტს, ან სხვა წვრილმანებს, რასაც არ გააჩნია ახალი ამბის ღირებულება. თემები, როგორიცაა“საუკეთესო ადგილი ნაყინის საყიდლად“ ან „კვირის წვრილ-წვრილი ამბები“ შეიძლება გამოვიყენოთ, თუ მათ აქვთ რაიმე საგანმანათლებლო ღირებულება. სარედაქციო საბჭოს ეკუთვნის გადამწყვეტი ხმა, სტატია ჩაითვლება წვრილმანებად თუ საგანმანათლებლო მასალად.

ნეკროლოგები

ეს გაზეთი მოსწავლის, მასწავლებლის ან სკოლის თანამშრომლის გარდაცვალებას განიხილავს, როგორც ახალ ამბებს, რომლებსაც დელიკატურად გაშუქება სჭირდება. სიკვდილის მიზეზი გამოქვეყნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დაბეჭდვა მიიჩნევა მისაღებად და ახალი ამბის ღირებულების მქონედ სარედაქციო საბჭოსა და მრჩევლის მიერ, ასევე, არ დაიბეჭდება გარდაცვლილის „ქება-დიდება“ და არ დაეთმობა განსაკუთრებით დიდი ყურადღება და ადგილი. გამოქვეყნდება დაკრძალვის ადგილი და დრო, თუ მთავარი რედაქტორი მიიჩნევს საჭიროდ.

საკამათო თემები

ამ გაზეთში დაიბეჭდება თემები, რომლებიც საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ სარედაქციო საბჭო არ ჩაუღრმავდება ასეთ საკითხებს. საბჭო აცნობიერებს საკამათო

თემებზე წერის შესაძლო დადებით და უარყოფით შედეგებს და უზრუნველყოფს, რომ ამ თემებზე გაკეთდეს კარგი რეპორტაჟი, ჩაღრმავებულად, ობიექტურად და დაბალანსებულად იქნეს დაწერილი და გამოქვეყნებული. გაზეთი ყურადღებას გაამახვილებს საკამათო საკითხებზე და მათთან დაკავშირებულ ქცევებზე და არა პიროვნებებზე.

რედაქცია სამართლებრივი ნორმების დაცვით მოქმედებს და საკამათო თემებზე წერისას შემდეგ ეთიკურ კითხვებს ითვალისწინებს: ინფორმაცია ზუსტია და მიღებულია რამდენიმე სანდო წყაროსგან (სულ მცირე, სამი)? სწორია და გადამოწმებადია? ინფორმაცია ეთიკური მეთოდებითაა მიღებული? დაცულია იმ ადამიანების ღირსება, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, უფლებები და კეთილდღეობა, ვისაც ეს ინფორმაცია ეხება? რა არის ამ ინფორმაციის გამოქვეყნების მოტივები: პირადული თუ საზოგადოებისთვის სასარგებლო? რისი ცოდნა სჭირდებათ მკითხველებს? რა მოჰყვება შედეგად ამ პუბლიკაციას? შეილახება თუ არა ჟურნალისტის პროფესია ან გაზეთის რეპუტაცია, ან ხელი ხომ არ შეეშლება მომავალში ახალი ამბების მოპოვებას? რა შედეგები მოჰყვება იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს უშუალოდ ეხება? შეიძლება წყაროს ანონიმურობის უზრუნველყოფა? რა მოხდება, თუ რეპორტიორს წყაროს დასახელებას მოსთხოვენ?

დაბეჭდვამდე სარედაქციო საბჭოს სამმა მეოთხედმა უნდა გადაწყვიტოს, რომ საკამათო თემას აქვს სიმართლე, მისაღები მიზანი და მოსალოდნელია კარგი შედეგი. შედეგების წინასწარ განსაზღვრა ყოველთვის ზუსტად ვერ ხერხდება, მაგრამ საკითხები, რომელთაც აკლია სიმართლე ან მისაღები მიზნები, არ დაიბეჭდება.

მიუღებელი მასალა/ არანორმირებული ლექსიკა

The A-Blast აქვეყნებს სტატიებს ფეარფაქსის ოლქის საჯარო სკოლების მოსწავლეთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია საქმის „ტინკერი დე მუანის წინააღმდეგ“ (1969) სტანდარტით. თუმცა გამოხატვის თავისუფლება უმაღლესი უფლებაა და ის უნდა დავიცვათ, ეს გამოცემა არ აქვეყნებს ისეთ მასალებს (სტატიას, ნახატებს ან ფოტოებს), რომლებშიც ილახება ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპი, შეიცავს ბილწსიტყვაობას, ცილისწამებას ან ტყუილს. მასალა, რომელიც უბიძგებს მკითხველს, აშკარა

საფრთხე შექმნას უკანონო ქმედების ჩადენით, ან დაარღვიოს სკოლის წესები, ან მატერიალური ან რამე სხვა სახის ზარალი მიაყენოს სკოლას, არ გამოქვეყნდება.

ასეთ შემთხვევებში სარედაქციო საბჭოს აქვს გადამწყვეტი ხმა და ამიტომ, საეჭვო საკითხის შემთხვევაში საჭიროა საბჭოს მოწვევა. როცა საქმე რაიმე მასალის უარყოფას ეხება, ჩვენ აგრეთვე ვითვალისწინებთ მოსწავლეთა პრესის საკანონმდებლო ცენტრის მოთხოვნებს მოსწავლეთა პუბლიკაციების მიმართ.

მასალა, რომელიც გაზეთის სტანდარტების მიხედვით მიუღებელი ლექსიკის მქონედაა მიჩნეული, არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიტყვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მათი გამოტოვებით წინადადების ან სტატიის შინაარსი ძალიან შეიცვლება. ამ შემთხვევაში მთავარია იმის გათვალისწინება, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები. მაგალითად, თუ მოსწავლე იგინება, ეს არაა ახალი ამბები. მაგრამ, თუ სკოლების ზედამხედველი იგინება, ეს ახალი ამბების თემაა. ციტირების საუკეთესო მეთოდი ასეთ შემთხვევაში იქნება (შეგინება) ცუდი სიტყვების ადგილას. საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია გამოვიყენოთ ასოების გამოტოვება სიტყვაში, რათა კონკრეტული სიტყვა შევინარჩუნოთ. მაგალითად, „დედა მ------.“ ჩვენ ამ მეთოდს მივმართავთ, რათა ვაჩვენოთ მკითხველის პატივისცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იბეჭდება სიტყვა მთლიანად, თუ ამას სარედაქციო საბჭო გადაწყვეტს. შეუფერებელი სიტყვების დაბეჭდვა, როგორიცაა „ეშმაკმა წაიღოს“ და „ჯანდაბა“, ყოველთვის სარედაქციო საბჭოს უმრავლესობის მიერ უნდა იყოს ნებადართული.

<u>სამუშაოს რაგვარობა</u>

ეთიკის კოდექსი

მოსწავლეებმა „The A-Blast-ის რედაქციის სახელმძღვანელოს, რედაქციის წესდების და პროცედურების“ წაკითხვის შემდეგ, გაზეთში მუშაობის დაწყებამდე ხელი უნდა მოაწერონ აქ მოცემულ „ღირსების დოკუმენტს“ და შემდეგ, ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ხელახლა უნდა მოაწერონ ამ დოკუმენტს ხელი, ვიდრე The A-Blast-ში მუშაობას აგრძელებენ.

განაცხადი პროფესიული ღირსების შესახებ:

ღირსებას ვფიცავ, დავიცვა ეთიკის ნორმები და The A-Blast-ის რეპუტაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია „The A-Blast-ის რედაქციის სახელმძღვანელო, რედაქციის წესდებასა და პროცედურებში“ და როგორც ტრადიციულადაა მიღებული The A-Blast-ში, აკადემიური და ჟურნალისტური პატიოსნების დაცვით, მიუკერძოებლობით, ობიექტურობით, სიზუსტით ვემსახურო ანანდეილის საშუალო სკოლის საგანმანათლებლო საზოგადოებას. ვფიცავ, დავიცვა ამ დოკუმენტით დადგენილი ყველა პროცედურა და არასოდეს დავარღვიო The A-Blast-ში განთავსებული მასალის შინაარსისა და გადმოცემის ხერხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. ვფიცავ, შევასრულო The A-Blast-ში ჩემი პოზიციისთვის გათვალისწინებული ყველა პასუხისმგებლობა, შეთანხმებულად ვიმუშაო ჩემს რედაქტორებთან ერთად და საქმის კურსში ჩავაყენო ისინი, თუ რაიმე დაბრკოლება შემხვდება საჭირო მასალის მომზადებაში. ღირსებას ვფიცავ, ჩემს მიერ შესრულებული მთელი სამუშაო იქნება ჩემი საკუთარი და მუდამ დავიცავ სხვათა შრომის პატივისცემის პრინციპს, დავიცავ „სამი სიტყვის“ წესს, ანუ პარაფრაზირების წესს პლაგიატის თავიდან ასაცილებლად, დავიცავ წესებს ინტერნეტიდან აღებულ შინაარსებთან დაკავშირებით და ზრდილობის ნორმებს. მე ვაცნობიერებ, რომ The A-Blast-ში მუშაობა ძალიან დიდი, თუმცა საპატიო, პასუხისმგებლობაა, ამიტომ პირობას ვდებ, წვლილი შევიტანო გაზეთში და ჩემი საქმიანობით ჩრდილი არ მივაყენო მის აღიარებულ რეპუტაციას.

რედაქციის თანამშრომლების ნაწერები

სტატიების წერა, რედაქტირება, დიზაინი, ფოტოები და გაზეთის გავრცელება მხოლოდ მოსწავლეთა ჟურნალისტური ძალისხმევის შედეგია. სარედაქციო საბჭოს წევრები უნდა გადიოდნენ ჟურნალისტიკის II, III და IV კლასებს. ამ კურსების მოსწავლეებმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ, წახალისებულია სხვა მოსწავლეების ნამუშევრების მიღებაც, მაგრამ მასალები რედაქტირდება და იბეჭდება გვერდის რედაქტორის შეხედულებისამებრ. მრჩეველი არასოდეს მონაწილეობს The A-Blast-ისთვის ტექსტური თუ ფოტომასალის მიწოდებაში. თუმცა, ის კითხულობს მიმოხილვებს და აკეთებს რედაქტირებას, აძლევს რჩევებსა და მითითებებს გაზეთის გამოშვების მთელი პროცესის განმავლობაში.

ავტორობა

გაზეთს სურს, დააფასოს საკუთარი ჟურნალისტების საქმიანობა და ამასთანავე, მკითხველებს შეატყობინოს, ვინ აწვდის მათ ახალ ამბებს. ნებისმიერი სტატია (300 სიტყვაზე

მეტი), ნახატი ან ფოტოსურათი უნდა გამოქვეყნდეს ავტორის სახელის მითითებით. სარედაქციო სტატიების გარდა ყველა სტატიას დასაწყისშივე ეწერება ავტორი, მაგრამ თუ სტატია ყოვნდება, ავტორს სტატიის დასასრულში ვუთითებთ. ფოტოსურათის ავტორს ფოტოს მარჯვენა ქვედა კუთხეში ვერტიკალურად მივაწერთ. ზედმეტად თვალში მოსახვედრი არ უნდა იყოს ნახატის ავტორის ხელმოწერა.

ანონიმური წყაროები

The A-Blast-ის რეპორტიორები გარკვეულ სიტუაციებში ბეჭდავენ წყაროსგან მიღებულ ინფორმაციას წყაროს სახელის მითითების გარეშე, ან ზოგ შემთხვევაში ისე, რომ არავითარი საიდენტიფიკაციო მონაცემი არ იყოს მითითებული. წყაროს სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უნდა გამჟღავნდეს, თუ სახელის გამოქვეყნება სერიოზულ ზიანს მიაყენებს წყაროს, და მხოლოდ მაშინ, თუ ეს წყარო საჭირო ინფორმაციის ერთადერთი მფლობელია.

რედაქციის თანამშრომლების დათხოვნა

მოსწავლე შეიძლება გათავისუფლდეს რედაქტორის ან რეპორტიორის თანამდებობიდან, თუ ის არ შეესაბამება ჟურნალისტიკის II- IV კლასების მოთხოვნებს, აყალბებს ციტატებს ან ინფორმაციას, შემჩნეულია პლაგიატში და არ იცავს ნაშრომის ჩაბარების ვადებს.

ამ ქმედებათაგან თითოეული სერიოზულ ზიანს აყენებს გამოცემისადმი ნდობას და სკოლასა და მთელ საზოგადოებასთან ურთიერთობას. მათი რაიმე ფორმით შეწყნარება დაუშვებელია.

პლაგიარიზმი განიმარტება, როგორც სხვა ადამიანის ნამუშევრიდან თანმიმდევრულად სამ სიტყვაზე მეტის გადმოღება, ან სხვა ადამიანის ნაშრომის ზედმიწევნით პარაფრაზირება. იმ შემთხვევებში, როცა პლაგიარიზმის ზუსტად დადგენა ძნელია, მოსწავლის ნაშრომი და სავარაუდო ორიგინალი უნდა განიხილონ მრჩეველმა და მთავარმა რედაქტორმა. მრჩეველი მოიწვევს მოსწავლეს, რომელსაც პლაგიატობას სდებენ ბრალად, რომ თავი დაიცვას.

თუ მოსწავლე ერთხელ დაარღვევს მნიშვნელოვანი დავალების ვადას მრჩევლისა და მთავარი რედაქტორის წინასწარ გაფრთხილების გარეშე (მაგალითად, მნიშვნელოვანი სტატიის დაწერა ან გვერდის დიზაინის შესრულება), მას წლის დარჩენილი ნაწილის განმავლობაში საცდელი პერიოდი უწესდება. ერთხელ კიდევ რომ გადააცილოს ვადას, მას ითხოვენ რედაქციიდან.

ჟურნალისტიკის II, III და IV კლასების გავლა პრივილეგიაა და ეს ყველას არ შეუძლია. მრჩეველი გადაწყვეტს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს შემდეგ კლასში სწავლის გაგრძელება.

დისტრიბუციის მეთოდები

The A-Blast მეოთხე კლასის ჟურნალისტთა გაზეთია, რომელიც დაახლოებით სამ კვირაში ერთხელ გამოდის, პუბლიკაციის თარიღები სასწავლო წლის დასაწყისშივე დგინდება. ანანდეილის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები გაზეთს უფასოდ იღებენ.

გაზეთი ვრცელდება სამშაბათს ან ოთხშაბათს. მოსწავლეები მუშაობენ მათთვის მოსახერხებელ დროს, სავალდებულოა რედაქციის ყველა თანამშრომლის მონაწილეობა, მათ რედაქციის მაისურები უნდა ეცვათ. ჟურნალისტიკის კლასი, რომელსაც გაკვეთილი უტარდება დისტრიბუციის დღეს, პასუხისმგებელია გაზეთის გავცელების დასრულებაზე. გაზეთის გავრცელება გულისხმობს გაზეთების დაკეცვას, მისამართების დაწერას და გამომწერებისთვის გაგზავნას. გავრცელების მეთოდს ადგენს დისტრიბუციის მენეჯერი, დროულად გავრცელება მნიშვნელოვანია.

სკოლის საბჭოს წევრებს The A-Blast უფასოდ ეგზავნებათ ფოსტით, სხვა მკითხველებს კი შეუძლიათ მისი გამოწერა $15-ად წელიწადში.

The A-Blast-ის ინტერნეტვერსია (www.thea-blast.org) ფინანსდება და იწარმოება ჟურნალისტიკის მოსწავლეთა მიერ. ის განთავსებულია ნეიტრალურ ვებგვერდზე. ის არაა განთავსებული www.fcps.edu-ზე, მისი განთავსების თანხას არ იხდის ფეარფაქსის ოლქის საჯარო სკოლების გაერთიანება და ოფიციალურად არაა დაკავშირებული მასთან.

პოლიგრაფიული პარტნიორობა

The A-Blast იბეჭდება „ვაშინგტონ პოსტის“ სპრინგფილდის ქარხანასთან არსებული პარტნიორობის პირობებში. „ვაშინგტონ პოსტის“ წარმომადგენლები სტუმრობენ სკოლას, რათა ბეჭდვისთვის მომზადებაში დაეხმარონ მოსწავლეებს, მოსწავლეებიც სტუმრობენ „ვაშინგტონ პოსტის“ მთავარ ოფისს საგანმანათლებლო სესიებზე დასაწრებად, რომლებსაც აფინანსებს ახალგაზრდა ჟურნალისტთა განვითარების პროგრამა, „ვაშინგტონ პოსტის“ განათლების განყოფილება.

The A-Blast და მკითხველები

წერილები რედაქციას

გაზეთი წარმოადგენს ღია სადისკუსიო სივრცეს, სადაც მიიღება განსხვავებული შეხედულებები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების და ასევე ფართო საზოგადოებისგანაც. წერილები რედაქციისადმი და მოწვეული სტუმრის წერილები ნებისმიერ მკითხველს შეუძლია გამოგვიგზავნოს. წერილები 250 სიტყვას არ უნდა აჭარბებდეს; მოწვეული სტუმრის წერილები არ უნდა იყოს 1500 სიტყვაზე მეტი. სარედაქციო სტატიების რედაქტორი შეასწორებს წერილების სიგრძეს, გასაგებობას, პუნქტუაციას და გრამატიკას. წერილებს შეამოწმებენ სამართლებრივი და ეთიკური კუთხითაც, რაც აღწერილია ამ კოდექსში და ეხება მიუღებელ ლექსიკას. რედაქტორი ყოველთვის აძლევს საშუალებას ავტორს, თავად თქვას „საბოლოო სიტყვა“ სტატიის ლექსიკურ გამართვაში.

ყველა წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს. ავტორის სახელი გამოქვეყნდება, თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რის გამოც ავტორის მითითებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, ამის შესახებ გადაწყვეტილებას რედაქტორი იღებს. რედაქტორი უნდა დარწმუნდეს, რომ სტატიაზე მიწერილი სახელი ნამდვილად ამ სტატიის ავტორს ეკუთვნის, რისთვისაც პირადად უნდა დაუკავშირდეს ყველა გამოსაქვეყნებელი წერილის ავტორს. გაზეთი თანაბარ ადგილს და პასუხის ვადას მისცემს საპირისპირო აზრის მქონე ავტორების სტატიებს. სარედაქციო სტატიების რედაქტორი განსაზღვრავს, როდისაა საკითხი საკმაოდ დაბალანსებულად გარჩეული გაზეთის ფურცლებზე, რომ ახლა სხვა საკითხების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას დაუთმოს ადგილი გაზეთის ფურცლებზე. გაზეთის ეს მიდგომა შემოკლებული ფორმით დაიბეჭდება ყველა ნომერში და მითითებული იქნება წერილების/სტატიების მოწოდების ინსტრუქციები.

რეკლამები

პუბლიკაცია იღებს რეკლამებს პროდუქციაზე, რომელიც იურიდიულად ნებადართულია მოსწავლე მკითხველებისთვის. ალკოჰოლის, ცეცხლსასროლი იარაღის და თამბაქოს რეკლამები არ მიიღება. პოლიტიკური განცხადებები და ცალკეულ მოსწავლეთა განცხადებები (ვალენტინობის მილოცვა, პირადი ან სამსახურებრივი განცხადებები) არ გამოქვეყნდება. რედაქცია განიხილავს განცხადებებს ისეთი მომსახურების/პროდუქციის შესახებ, რომელიც საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, მაგალითად, გასარუჯი სალონები.

რეკლამის გამოქვეყნებას წინ უნდა უსწრებდეს კონტრაქტის შედგენა და ხელმოწერა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მეწარმეს ერთწლიანი კონტრაქტი აქვს დადებული გაზეთთან. რეკლამის ფასები და გადახდის ვადები კონტრაქტით უნდა იყოს გათვალისწინებული. სახელმწიფო სამსახურის განცხადებები გამოქვეყნდება, თუ ამის ადგილი არის გაზეთში, ყოველგვარი გადასახადის და კონტრაქტის გაფორმების გარეშე. რეკლამების განთავსებას გადაწყვეტს მთავარი რედაქტორი, კონკურენტების რეკლამები სხვადასხვა გვერდებზე დაიბეჭდება, თუ ადგილი იქნება გაზეთში. რეკლამები და განცხადებები არ დაიბეჭდება პირველ გვერდზე, ანალიზის და სარედაქციო გვერდებზე.

The A-Blast უფლებას იტოვებს, უარი თქვას ისეთი ტექსტის მიღებაზე (მოსწავლეებისგან, რეკლამის მომწოდებლებისგან, თუ სხვა პირებისგან), რომელიც არ შეესაბამება სკოლის საგანმანათლებლო მისიას. რეკლამები და განცხადებები არ უნდა შეიცავდეს ბილწსიტყვაობას, ცილისწამებას ან ტყუილს, არ უნდა ერეოდეს ადამიანის პირად ცხოვრებაში და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანს, როგორც დადგენილია ამავე კოდექსის მიუღებელი მასალა/ლექსიკის განყოფილებაში.

ინტერესთა კონფლიქტი

მოსწავლე ჟურნალისტები, რომლებიც The A-Blast-ში მუშაობენ, უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი ჟურნალისტები არიან და ამის გამო ზოგჯერ თავის შეკავება მოუწევთ ისეთ მოვლენებში მონაწილეობისაგან, რომლებიც ხელს შეუშლის მათ ობიექტური რეპორტიორის როლში დარჩენაში. მაგალითად, როცა მოსწავლეები წერენ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, არ უნდა გამოამჟღავნონ, თუ რომელიმე პარტიას უჭერენ მხარს. მოსწავლეებმა არ უნდა დაწერონ საკუთარ ახლო მეგობრებზე და ნათესავებზე და არ უნდა მოიყვანონ მათი ნათქვამი ციტატებად. მოსწავლეებმა არ უნდა დაწერონ იმ მოვლენების შესახებ, რომლებშიც თავადაც მონაწილეობენ. მაგალითად, მოსწავლე ჟურნალისტმა, რომელიც სკოლის ანსამბლის წევრია, არ უნდა დაწეროს ამ ანსამბლის კონცერტის შესახებ.

ვებგვერდის/ონლაინ კოდექსი

ის ეთიკური სტანდარტები, რაც ბეჭდურ გაზეთთან დაკავშირებით განვიხილეთ, ინტერნეტგამოცემასაც ეხება. როცა მოსწავლე ჟურნალისტები ინტერვიუს იღებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციის, მშობლების და სხვა წყაროებისგან,

მკაფიოდ უნდა განუმარტონ მათ, რომ მათი სტატიები და კომენტარები ინტერნეტში განთავსდება და ფართო საზოგადოებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. კარგი ჟურნალისტიკის წესების თანახმად, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული წყაროს სახელი და გვარი და თან ახლდეს ფოტოსურათი.

The A-Blast-ის ონლაინ გამოცემას ფლობენ და ამუშავებენ მოსწავლეები და მშობლები ანანდეილის საშუალო სკოლის პუბლიკაციის აქტივობის კლუბიდან. ვებგვერდის ფლობისა და მოქმედებისთვის ფულს არ იხდის ფეარფაქსის ოლქის საჯარო სკოლების გაერთიანება. საიტი განთავსებულია სერვერზე, რომელიც არ ეკუთვნის სკოლის სისტემას, ამიტომ არ ექვემდებარება მის წესებს.

ჟურნალისტიკის მოსწავლეები ყოველ დილით ადრე გზავნიან მასალებს ვებგვერდზე – სტატიებს, ფოტოებს, გამოკითხვებს, გალერეებს და ვიდეოებს. მოსწავლეები წყვეტენ, რა მედია განათავსონ და თავადვე არიან პასუხისმგებელი მის შინაარსზე.
სამუშაოს აღწერა

მთავარი რედაქტორი

აკონტროლებს გაზეთის გამოშვებას და ეხმარება გვერდების რედაქტორებს საკუთარ გვერდებზე მუშაობაში. მთავარი რედაქტორი ადგენს პირველი გვერდის შინაარსს და ეხმარება სხვა მოსწავლეებს, აარჩიონ შინაარსი საკუთარი სექციებისთვის. მტავარი რედაქტორი კონსულტაციებს იღებს მრჩევლისგან სტატიების შესახებ, ის ყველაზე გამოცდილი მოსწავლეა რედაქციაში.

მმართველი რედაქტორი

პასუხისმგებელია ყოველდღიურ საგაზეთო საქმიანობაზე. მთავარი რედაქტორი პასუხისმგებელია შინაარსზე, მენეჯერი კი ამოწმებს მუშაობის პროცესს, კომპიუტერულ სამუშაოებს და აკონტროლებს გვერდებისთვის საბოლოო სახის მიცემას მათ დასაბეჭდად გაშვებამდე. მმართველი რედაქტორი ადგენს საბოლოო ვადებს, ნიშნავს რედაქციის შეხვედრებს და აჯილდოებს რედაქციის თანამშრომლებს.

გაკვეთილი 13

გვერდის დიზაინის ძირითადი საკითხები

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, მაკრატელი, სახაზავი, წებო, *გაზეთის დიზაინერის სახელმძღვანელო*, ჩინური გამოცემა

დასარიგებელი მასალა: „გვერდის მაკეტის ბადე“, „მაკეტი ტექსტით და ფოტოებით“, „დავალება: შექმენით მაკეტი“, „მაკეტის ნიმუში“

ცნობები მასწავლებლისთვის

გაზეთის კარგი დიზაინის გაკეთება აუცილებელი პირველი ნაბიჯია, რომელიც დაგეგმვის ეტაპზე სრულდება. გვერდის რედაქტორი ადგენს, რა შინაარსი უნდა განთავსდეს მის გვერდზე და დაახლოებით წარმოიდგენს კიდეც, როგორ უნდა გამოიყურებოდეს გვერდი. მაგალითად, მოსწავლე რედაქტორმა, რომელიც აძლევს სტატიის დაწერის დავალებას ჟურნალისტს, უნდა იცოდეს ამ სტატიის სიგრძე და გაზეთის გვერდზე მისი ადგილი. გვერდის ზედა ნაწილში დაბეჭდილი სტატია უფრო გრძელი უნდა იყოს და სურათსაც საჭიროებს. გვერდის ბოლოს დაბეჭდილი სტატია უფრო მოკლე იქნება და სურათიც არ უნდა.

კომუნიკაცია გაზეთის რედაქტორს, ჟურნალისტებსა და ფოტოგრაფებს შორის დამყარებულია გვერდის მაკეტის, ანუ იმ ნახაზის გაზიარებაზე, როგორ უნდა გამოიყურებოდეს გვერდი. (ინგლისურად „dummy“) მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის ყველა წევრს ნანახი ჰქონდეს გვერდის მაკეტი, როცა ისინი იწყებენ რეპორტაჟის კეთებას, წერასა და სურათების გადაღებას. თუ რედაქტორი გვერდის მონახაზის შეცვლას აპირებს, ეს აუცილებლად მოახდენს გავლენას სტატიების სიგრძეზე. შეცვლილ მონახაზში, შეიძლება, ფოტო აღარც კი იყოს საჭირო.

გვერდის რედაქტორის უპირველესი მიზანია სათაურების, ქვესათაურების, სტატიების, ფოტოსურათების, წარწერების და გრაფიკების ისე განლაგება, რომ თვალისთვის სასიამოვნო

იყოს. გვერდის რედაქტორი ნაწილებს ერთად აწყობს და ჯგუფის წევრ მოსწავლეებს უხსნის, თითოეული ნაწილი როგორ უნდა გამოიყურებოდეს.

ეს გაკვეთილი პრაქტიკულად აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ უნდა გამოიყენონ *გაზეთის დიზაინერის სახელმძღვანელო*, როგორც დიზაინის საფუძვლების შესასწავლი საშუალება. თავი 1: ძირითადი საკითხები იქნება მთავარი ორიენტირი.

მიზნები

- მოსწავლეები გაიგებენ გაზეთის გვერდის დიზაინის ძირითად ელემენტებს.
- მოსწავლეები გაეცნობიან გაზეთის დიზაინის ყველაზე პოპულარულ სახელმძღვანელოს, *გაზეთის დიზაინერის სახელმძღვანელოს*, ჩინურ გამოცემას.
- მოსწავლეები დიზაინის კონცეფციებს გვერდის საკუთარი მაკეტის შექმნისას გამოიყენებენ.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 2 წუთი

უჩვენეთ მოსწავლეებს რამდენიმე ადგილობრივი გაზეთის და *China Daily*-ის პირველი გვერდები. რა ხდის გამორჩეულს თითოეულ პირველ გვერდს? პირველ გვერდზე გამოყენებული ელემენტები – სათაურები, ტექსტი, ფოტოები და ცარიელი ადგილები – დაბალანსებულია ყველა გვერდზე, რომ გაზეთის დიზაინი შეიქმნას. ყველაფერი ერთად იმისკენაა მიმართული, რომ მკითხველს ინფორმაცია გასაგებად მიეწოდებოდეს და მისთვის მიმზიდველად გამოიყურებოდეს.

დღეს ისინი პირველ ნაბიჯს გადადგამენ გასაგები და ეფექტური დიზაინის შექმნისკენ.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ორი და სამი მოსწავლისგან შედგენილ ჯგუფებად დაიყონ და დიზაინის გასაკეთებლად ჯგუფებში იმუშაონ. თითოეული ჯგუფი აირჩევს, რომელი მოსწავლე გააკეთებს დიზაინს და რომლები დაეხმარებიან მას გადაწყვეტილებების მიღებაში.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეებს დაურიგეთ თავი 1: ძირითადი საკითხების ასლები *გაზეთის დიზაინერის სახელმძღვანელოს* ჩინური გამოცემიდან. სთხოვეთ მათ, გადახედონ მასალას და წარმოდგენა შეიქმნან მის შინაარსზე. დღევანდელი გაკვეთილის ძირითადი თემა იქნება გვერდის „მაკეტის დახაზვა“, მაგრამ მოსწავლეებს ამ თავის სხვა ნაწილებიც შეიძლება დასჭირდეთ.

მესამე ეტაპი

დრო: 3 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს მაკრატელი, სახაზავი და მასალა: „გვერდის მაკეტი“, „მაკეტი ტექსტით და ფოტოებით“ და „დავალება: შექმენით მაკეტი“. განიხილეთ დავალების ფურცელი და დარწმუნდით, რომ მოსწავლეებისთვის დავალება გასაგებია.

შენიშვნა: „გვერდის მაკეტი“ შექმნილია ტიმ ჰაროუერის წიგნის 41-ე გვერდის ასლის გამოყენებით, „მაკეტის ნიმუში: ტაბლოიდი“.

მეოთხე ეტაპი

დრო: 20 წუთი

მიეცით მოსწავლეებს დრო, რომ მიჰყვნენ ინსტრუქციებს და შექმნან საკუთარი მაკეტების მონახაზები. იარეთ ოთახში და დააკვირდით მოსწავლეებს, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველანი მუშაობენ და ასრულებენ დავალებას.

მეხუთე ეტაპი

დრო: 8 წუთი

გამოიყვანეთ მოსწავლეები კლასის წინაშე, აჩვენონ ერთმანეთს საკუთარი მაკეტები, ახსნან, რატომ აირჩიეს ესა თუ ის დიზაინი. შეაქეთ.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

კარგი დიზაინის შესაქმნელად ხშირი პრაქტიკაა საჭირო. მაკეტის შექმნის ამ პირველ მცდელობას მოსწავლეები მაშინ გაიმეორებენ, როცა საკუთარ გაზეთზე დაიწყებენ მუშაობას. მოსწავლეებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ როგორც სახლის აშენებაა შეუძლებელი გეგმის

გარეშე, გაზეთის გაკეთებაც შეუძლებელია მაკეტის დახაზვის გარეშე. მაკეტის კომუნიკაციის საშუალებაა რედაქტორს, ჟურნალისტსა და ფოტოგრაფს შორის, ის უზრუნველყოფს საჭირო შინაარსის შექმნას.

შესაძლო საშინაო დავალება

შექმენით სხვა მაკეტი სხვა ფოტოს გამოყენებით, რომელიც გვერდის მთავარი ფოტო იქნება. დიზაინს პრაქტიკა სჭირდება, ამიტომ მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ განსხვავებული დიზაინის გაკეთება. მათი შემდეგი დიზაინი გაუმჯობესდება, მასწავლებლისა და კლასის მხარდაჭერასაც თუ დაინახავენ.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- stock.xchng-იდან: პინგ-პონგის ფოტო: ჰორტონის ჯგუფი; კალათბურთი: რაიან ოლვესი; ბადმინტონი: ადემ კადერი; სარბენი ბილიკი: კრისტოფ ლიბერტი; კლდეზე ცოცვა: მიხალ მოგმილი; ლაკროსი: რეიჩელ ბერგენი, ანანდეილის საშუალო სკოლა

დავალება: შექმენით მაკეტი

მითითებები

თქვენ უნდა შეადგინოთ სპორტული გვერდის მაკეტი თქვენი სკოლის გაზეთისთვის.

წაიკითხეთ ინსტრუქცია, როგორ იხაზება მაკეტი *გაზეთის დიზაინერის სახელმძღვანელოს* 1-ელ თავში ქვესათაურით „მაკეტის დახაზვა“.

შეისწავლეთ წიგნში მოცემული მაგალითები, რომ საკუთარი მაკეტის შექმნა შეძლოთ. თუმცა, არ მოგიწევთ დახაზვა ისე, როგორც წიგნშია გაკეთებული, უნდა ამოჭრათ და ჩააკრათ მაკეტის ტექსტი და ფოტოები, რომლებიც მოცემული გაქვთ. თვითონ უნდა ჩაწეროთ სათაურები დაახლოებით იმ ზომის, რა ზომისაც უნდა იყოს. მაგალითად, გვერდის ზედა მხარეს დაწერილი სათაური უფრო დიდი იქნება და მსხვილი ასოებით, ვიდრე გვერდის ბოლო სტატიის სათაური.

შექმენით თქვენი მაკეტი „გვერდის მაკეტის ბადეზე“, რომელიც ამოღებულია წიგნის 1 თავიდან „მაკეტის ნიმუში: ტაბლოიდი“.

მისაღებია, თუ თქვენი მაკეტი ჰგავს მოცემულ მაგალითებს, მაგრამ არ უნდა იყოს მათი იდენტური. თქვენი მაკეტი უნდა შეიცავდეს:

- გვერდის სექციის სათაურს – „სპორტი“
- ოთხ სტატიას სათაურებით
- სამ ფოტოს, თითოეულის ქვეშ გასაკეთებელი წარწერების ერთი ან ორი ხაზით
- ერთ გრაფიკს

მაკეტის ტექსტს და ფოტოებს, რომლებსაც ამ დავალების შესასრულებლად დაგირიგებენ, სხვადასხვა ზომა ექნება, რაც არჩევანის საშუალებას მოგცემთ. ამოჭერით ფოტოები და ჩასვით ნახაზის ბადეში. სურათები ან ტექსტი ბადეს გარეთ არ უნდა გადააცილოთ. სცადეთ, ისე დააწეროთ სათაურები, რომ სტატიის შინაარსი გამოჩნდეს, მაგრამ ფოტოებს ნუ გაუკეთებთ წარწერებს. წარწერის ადგილი აჩვენეთ სწორი ჰორიზონტალური ხაზების გავლებით, როგორც წიგნშია გაკეთებული.

თუ ფოტოებს ჩამოჭრა სჭირდება, მაკრატელი გამოიყენეთ.

რჩევები დიზაინისთვის

- გვერდისთვის ერთი დიდი ფოტოსურათი აირჩიეთ, ეს იქნება დომინანტური ფოტო, რომელიც ორჯერ დიდი იქნება დანარჩენი ფოტოების ზომაზე.
- ყველა დანარჩენი ფოტო დომინანტური ფოტოს ზომის 1/2 უნდა იყოს.
- თვალს სამოძრაო ადგილი მიეცით. თქვენი თვალი ბუნებრივად უნდა ათვალიერებდეს მთელ გვერდს. ყველა ფოტოს გვერდის ერთ მხარეს ნუ მოათავსებთ.

SPORTS

Big Headline declaring Victory Goes Here



Another headline goes here

BIGGER HEADLINE Here

Headline headline headline headline

Score Box

AHS vs.	
Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65
Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65

გაკვეთილი 14

გაზეთზე მუშაობის პროცესი და მისი გამოშვება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა, მარკერები, კალენდრები

დასარიგებელი მასალა: „გაზეთის გამოშვების 4-კვირიანი ციკლის ნიმუში“, „სტატიის წერის პროცესი“

ცნობები მასწავლებლისთვის

მედიაში ძალიან მნიშვნელოვანია საქმის დანიშნულ ვადებში მოსწრება. ახალი ამბები მუდმივად ხდება, ჟურნალისტები ჩქარობენ, რომ ვებგვერდზე დადონ სიახლეები. გაზეთები გამოშვების უცვლელ გრაფიკს მიჰყვებიან, რომ დროულად მოასწრონ დაბეჭდვა და ჯიხურებში თუ სხვა ადგილებში მომლოდინე მკითხველამდე მიტანა... ჟურნალისტებმა დანიშნულ ვადებში უნდა შეასრულონ სამუშაო, რომ კონკურენცია გაუწიონ სხვებს და ახალი ამბების მიმდინარეობას არ ჩამორჩნენ. ჯგუფის თითოეული წევრისთვის სხვადასხვა ვადაა დაწესებული, რადგან მათ განსხვავებული სამუშაო აქვთ შესასრულებელი. მაგალითად, ჯერ ჟურნალისტებმა და ფოტოგრაფებმა უნდა მოიტანონ მასალა და მხოლოდ ამის მერე შეძლებს გვერდის რედაქტორი, დაასრულოს დიზაინი და ჩასვას მათი ნამუშევრები.

მოსწავლეები იმეორებენ პროფესიონალების საქმიანობას, ოღონდ მცირე მასშტაბით. მე-12 გაკვეთილში მათ ისწავლეს, როგორ უნდა გაანაწილონ რედაქტორის და ჟურნალისტის როლები, რათა გაზეთის გამოსაშვებად საჭირო ამოცანები გადანაწილდეს. ამ გაკვეთილში ისინი ისწავლიან გაზეთის გამოშვების გეგმის შედგენას, რომელიც საშუალებას მისცემთ, ცალკეული ეტაპების დროულად შესრულებით გაზეთი დაამზადონ.

ყველა სკოლა გაზეთის გამოშვების საკუთარ გეგმას ადგენს, მიუხედავად ამისა, რეკომენდებულია, რომ სკოლებმა ორ თვეზე მეტი არ მოანდომონ გაზეთის ერთი ნომრის გამოცემას. სხვაგვარად, დაწყებასა და დამთავრებას შორის იმდენი დრო გავა, რომ ინერციას დაკარგავენ.

ამ გაკვეთილში ნაჩვენებია, როგორ მუშაობს გაზეთის რედაქცია გაზეთის გამოშვების ერთთვიანი ციკლის პირობებში. მრჩეველმა და მოსწავლე ლიდერებმა შეიძლება გადაწყვიტონ ამ მოდელის უფრო ხანგრძლივ დროზე გაწელვა, ან მისი შემჭიდროვება. ეს დამოკიდებულია სკოლის მოთხოვნებზე, მონაწილეთა რაოდენობასა და მათ გამოცდილებაზე. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება დაუმატოს დრო დიზაინის ეტაპს, სადაც სტატიების და ფოტოების განაწილება ხდება გაზეთის გვერდებზე.

მიზნები

- მოსწავლეები დაგეგმავენ შინაარსს და მრჩევლის დახმარებით დაწერენ დავალებების ვადების განრიგს.
- მოსწავლეები აიღებენ პასუხისმგებლობას, შეასრულონ დავალებები და ჩაეტიონ ვადებში.
- მოსწავლე ლიდერები ისწავლიან, როგორ მართონ სხვები პოზიტიურად და კონსტრუქციულად.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 23 წუთი

გაზეთის გამოშვების ციკლი განსხვავებულია და დამოკიდებულია რედაქციის თანამშრომელთა რაოდენობაზე. ზოგიერთი სკოლა ყოველკვირეულ გაზეთს უშვებს, ზოგი ყოველთვიურს, ზოგიც წელიწადში ოთხჯერ უშვებს გაზეთს.

განიხილეთ ამერიკული სკოლის გაზეთის გამოშვების ერთთვიანი ციკლის ნიმუში. ისაუბრეთ გამოშვების სხვადასხვა ეტაპების შესახებ:

1. სტატიის იდეების მოფიქრება
2. გვერდის დაგეგმვა, სურათები, სტატიების სიგრძე, გრაფიკები
3. ახალი ამბების და ფოტოების შეგროვება: ინტერვიუები, რეპორტაჟი, სტატიის წერა
4. გაზეთის დიზაინი, სტატიების, ფოტოსურათების, გრაფიკების და სხვა ელემენტების განლაგება
5. საბოლოო რედაქტირება და განხილვა
6. ელექტრონული გვერდების შექმნა და დასაბეჭდად გაგზავნა

7. ბეჭდვა
8. გაზეთის დისტრიბუცია სკოლაში
9. მიღებული პროდუქტის შეფასება, წარმატებების შექება, შეცდომებზე სწავლა

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

განიხილეთ „სტატიის წერის პროცესი“, როგორც საშუალება მრჩევლისთვის, შეიტყოს, როგორ სრულდება სტატიის დასაწერად საჭირო თითოეული ეტაპი. ეს ფურცელი მიმაგრდება დასრულებულ სტატიას. ის ეხმარება რედაქტორს და მრჩეველს, გაიგონ, ვინ მიიღო მონაწილეობა ამ სტატიის წერაში. ზოგჯერ მოსწავლეები სახლში წერენ სტატიებს და მრჩეველი ვერ იგებს, მოელაპარაკა თუ არა მოსწავლე რედაქტორს შეკითხვების მომზადებისას, სტატიის წერისას, ან საბოლოო ვერსიის რედაქტირებისას.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეები და მასწავლებლები გეგმავენ საკუთარი გაზეთის გამოშვების ციკლს და ადგენენ ვადებს, კალენდარში შემოხაზავენ შეთანხმებულ დღეებს. ამ კალენდარს შემდეგ კიდევ დაემატება სხვა მნიშვნელოვანი ვადები.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 2 წუთი

სამუშაოს დროული შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობის თანმიმდევრული ტემპის შესანარჩუნებლად. რეკომენდებულია, რომ მოსწავლეებმა და მრჩევლებმა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი საკითხები გამოშვების განრიგის შედგენისას:

- ყველაფერს იმაზე მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ფიქრობთ. დატოვეთ ზედმეტი დრო.
- გქონდეთ სარეზერვო გეგმა იმ შემთხვევებისთვის, თუ სტატიის დამთავრება ვერ მოესწრო, ან რომელიმე მოსწავლე ავად გახდა.

- შემოინახეთ მნიშვნელოვან თემებზე სტატიები, რომლებიც დროზე დამოკიდებული არაა, იმ შემთხვევებისთვის, როცა რომელიმე სტატიის წერა დროულად ვერ ესწრება.
- შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოთ ზოგი სამუშაოის ვადები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ გაზეთის დასრულების ვადა.

შესაძლო საშინაო დავალება

შეიძლება, მოსწავლეებმა სახლში წაიღონ გაზეთის გამოშვების განრიგი და გადაამუშაონ, რჩევები ჰკითხონ ოჯახის წევრებსაც და აღმოაჩინონ შესაძლო სირთულეები. მთავარმა რედაქტორმა სკოლის განრიგიც უნდა გაარკვიოს, რომ გაზეთის გამოშვების დღეები რამე სხვა მოვლენას არ დაემთხვას.

ნიმუში

გაზეთის გამოშვების 4-კვირიანი ციკლი

კვირა 1: წინა ნომრის შეჯამება

A. რედაქტორები იწვევენ რედაქციის შეკრებას გამოშვების დღეს (45 წუთი). ამ შეხვედრაზე მასწავლებელი:
   a. თითოეული გვერდის, ფოტოს და სტატიის შესახებ მოკლედ იძლევა დარიგებებს.
   b. მიჰყვება გაზეთის გვერდებს და აქებს მოსწავლეებს კარგი სტატიის, ფოტოს თუ გვერდის დიზაინის გამო.
   c. ახსენებს მოსწავლეებს ზოგად პროცედურებს, კამერის გატანის, კომპიუტერთან მუშაობის წესებს და ა. შ. შემდეგ ნომერზე მუშაობის დაწყებამდე.
   d. აღნიშნავს, რომ გაზეთში ყველას სახელი იწერება. მასწავლებელიც და მოსწავლეებიც ინაწილებენ პასუხისმგებლობას, ზუსტი და ინფორმაციული გამოცემის მოსამზადებლად.

B. ინტერნეტგამოცემის არსებობის შემთხვევაში მის რედაქტორს მოჰყავს მონაცემები, რამდენი მნახველი ჰყავდა საიტს და რომელი სტატიები იზიდავდა მნახველთა უმეტესობას. მოსწავლეები მსჯელობენ იმაზე, რომელი სტატიებია ყველაზე პოპულარული და რა გავლენა უნდა მოახდინოს (ან არ მოახდინოს) ამ ინფორმაციამ შემდეგი გამოცემის დაგეგმვაზე.

C. თუ გაზეთში რეკლამებიცაა, რეკლამების მენეჯერმა უნდა გააკეთოს მოხსენება შემოსავლების შესახებ. რამდენი რეკლამა გვქონდა ამ ნომერში? რამდენი ფული შემოვიდა?

D. შეხვედრის შემდეგ ნაწილს მთავარი რედაქტორი უძღვება.
   a. მთავარი რედაქტორი აჩვენებს სლაიდშოუს რედაქციის მიღწევებით წინა ნომერში: გვერდის საუკეთესო დიზაინი, საუკეთესო სტატია, საუკეთესო ფოტო და სხვა.

b. მოსწავლეები ჩამოთვლიან სტატიების იდეებს შემდეგი გამოცემისთვის. ეს საშუალებას გვაძლევს, შევარჩიოთ იდეები, რომლებიც ამ ნომრის სტატიების გაგრძელებას წარმოადგენს. მაგალითად, თუ მოსწავლეები რაიმეს აწარმოებენ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ნაწარმიც. ანდა, თუ სკოლაში შემოიღეს რამე ახალი საკამათო წესი, აუცილებელი იქნება მოვლენათა განვითარების აღწერა. სტატიის იდეები დაფაზე იწერება.

E. შეხვედრის შემდეგ, თუ დრო დარჩა, რედაქციის თანამშრომლები ერთად სადილობენ ან რაიმე ჯგუფურ აქტივობას აკეთებენ გუნდური სულის ჩამოსაყალიბებლად.

F. ყველა მოსწავლე ჟურნალისტი გზავნის მადლობის წერილებს ელ. ფოსტით, ან ურეკავს მადლობის გადასახდელად მათ, ვისგანაც ინტერვიუ აიღო სტატიისთვის.

G. გვერდის რედაქტორები შესწორებებს აკეთებენ ონლაინსტატიებში (თუ ინტერნეტვერსია არსებობს).

H. ყველა მოსწავლე წერს თვითშეფასებას, როგორ იმუშავა ამ ნომრის გამოცემისთვის. მოსწავლეები მრჩეველთან და რედაქტორებთან ერთად მსჯელობენ, რა ნიშნები დაიმსახურეს ამ ნომრისთვის.

კვირა 2: დაგეგმვა და მომზადება

A. მოსწავლეები ათვალიერებენ სხვა სკოლების გაზეთებს და არკვევენ, ხომ არ შეუძლიათ სტატიის, რეკლამის ან დიზაინის იდეების გადმოღება. იდეების აღება CD-დანაც შეიძლება, რომელიც *საუკეთესო სასკოლო პრესის* წიგნს აქვს თანდართული.

B. მრჩეველი და რედაქციის თანამშრომლები ხვდებიან და განიხილავენ შემდეგი ნომრის სტატიების თემებს. მოსწავლეებს ეძლევთ რეპორტაჟის და ფოტოს გადაღების დავალებები, რედაქტორები ინაწილებენ პასუხისმგებლობას სტატიებზე.

C. რედაქტორები აკეთებენ გვერდების ესკიზებს და ადგენენ, რამდენი სტატიაა საჭირო, რა მოცულობის უნდა იყოს ეს სტატიები და რა ადგილას უნდა დაიბეჭდოს გაზეთში. ეს შემდეგ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ახლა საჭიროა რეპორტიორების და ფოტოგრაფებისთვის მითითებების მისაცემად. გვერდის რედაქტორები კიდევ ერთხელ ხვდებიან ჟურნალისტებს, აჩვენებენ მათ გვერდის დიზაინს და სტატიების და ფოტოს დავალებებს განიხილავენ.

a. გვერდზე მასალების განლაგება შეიძლება შეიცვალოს რეკლამების რაოდენობასთან დაკავშირებით.
b. ჟურნალისტებმა და ფოტოგრაფებმა უნდა იცოდნენ, რა ადგილას დაიბეჭდება მათი სტატია, რა ზომის უნდა იყოს და რა წყაროები დასჭირდებათ.

D. მრჩეველი ხვდება ყველა მოსწავლეს და მათთან ერთად განიხილავს მათი სტატიის აღმწერ დოკუმენტს, ეკითხება წყაროების შესახებ და გვერდის დაგეგმვაში მათი სტატიის ადგილის შესახებ.

E. გვერდის რედაქტორთან შეხვედრები: მრჩეველი ხვდება გვერდების რედაქტორებს, რომლებსაც მოაქვთ შეხვედრაზე იმ გვერდ(ებ)ის მონახაზი, რომელზეც პასუხისმგებლობა აკისრიათ.
a. გვერდის რედაქტორები ყვებიან, როგორ მიმდინარეობს გვერდზე მუშაობა, ვის ევალება სტატიების დაწერა და ფოტოების გადაღება, თუ არსებობს რაიმე დაბრკოლებები.
b. სხვა გვერდების რედაქტორები ურჩევენ, როგორ გააუმჯობესოს გვერდი.

F. ნომრის რედაქტორი წარმოადგენს წერილობით მოხსენებას, სადაც ახსნილია წინა ნომერში დაშვებული შეცდომების მიზეზები.

G. რეკლამების მენეჯერი უგზავნის ანგარიშს ყველა კლიენტს და თან ურთავს გაზეთის ერთ ეგზემპლარს პირადი წერილით, სადაც მადლობას უხდის რეკლამის განთავსებისთვის (საჭიროების შემთხვევაში).

H. სარეკლამო გუნდი გეგმავს და იწყებს გაყიდვების კამპანიას შემდეგი ნომრისთვის (თუ იღებენ რეკლამებს).

კვირა 3: რეპორტაჟი და წერა

A. ყველა მოსწავლე იღებს ინტერვიუებს, იკვლევს, აკეთებს რეპორტაჟს და წერს სტატიას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კალენდარზე მონიშნულ ვადებს.

B. მრჩეველი და რედაქტორები რეგულარულად ხვდებიან რეპორტიორებს. ისინი ითხოვენ:
a. სტატიის წერის პროგრესს
b. პირველად და მეორეულ წყაროებს, შეკითხვების სიას
c. ფოტოგრაფიის პროგრესს, ამ დროისთვის გადაღებულ ფოტოებს

d. გვერდის პროგრესის შესახებ ინფორმაციის განცხადებების დაფაზე გამოკვრას

C. რედაქტორები სკოლის, საზოგადოების, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მოვლენების საქმის კურსში არიან, რომლებმაც გავლენა შეიძლება მოახდინოს მათი სტატიების შინაარსზე.

D. რეკლამების მენეჯერი მოახსენებს მრჩეველსა და რედაქტორს რეკლამის გაყიდვების შესახებ და ატყობინებს, რამდენი ადგილის გამოყოფა იქნება საჭირო რეკლამებისთვის (თუ იღებენ რეკლამებს).

E. ყოველდღიური სიახლეები იწერება ვებგვერდზე (თუ აქვთ ვებგვერდი).

F. მოსწავლეები რედაქტორებს უჩვენებენ სტატიების მონახაზს. რედაქციის თანამშრომლები ერთმანეთსაც უჩვენებენ სტატიებს. ყველა ასრულებს რედაქტორის ფუნქციას, ზრუნავენ სიზუსტის დაცვაზე.

G. სტატიები მზადაა კვირის ბოლოსთვის.

H. ცხადდება განრიგი, რომელი გვერდი რომელ დღეს უნდა იყოს მზად მომავალ კვირაში.

კვირა 4: გამოცემა და დაბეჭდვა

A. სკოლასთან მოგვარება, რომ გაზეთის რედაქციას დაეთმოს კომპიუტერული ლაბორატორია.

B. კვირის დასაწყისში მზადდება ცხრილი, რომელი გვერდი როდის უნდა იყოს მზად. გვერდების ჩასაბარებლად სხვადასხვა დღეები იმიტომ ინიშნება, რომ ყველა გვერდი კვირის ბოლო დღეს არ ჩააბარონ.

C. ვიდრე გვერდის რედაქტორები გვერდზე მუშაობას დაასრულებენ, საკუთარი გვერდის ხუთი ასლი უნდა ამობეჭდონ და სხვადასხვა მოსწავლეს დაურიგონ შესამოწმებლად (ენობრივი შეცდომები, აზრის გამოხატვა, არასრული ინფორმაცია). ან, შეიძლება, ხუთი სხვადასხვა მოსწავლე კომპიუტერთან დაჯდეს და ეკრანზე ასწორონ.

D. რედაქტორები ყველა გვერდს შეამოწმებენ. საბოლოოდ მრჩეველი გადახედავს ყველა გვერდს.

E. მას შემდეგ, რაც მრჩეველი მოიწონებს ყველა გვერდს, გაზეთს დასაბეჭდად ამზადებენ.

F. გაზეთის დაბეჭდვის შემდეგ მრჩეველმა და რედაქტორებმა კიდევ ერთხელ უნდა გადახედონ, რათა დარწმუნდნენ, რომ უხარვეზოდაა დაბეჭდილი.

G. რედაქციის თანამშრომლები არიგებენ გაზეთის ახალ ნომერს სკოლაში გაკვეთილებზე და შესვენებებზე. რედაქციის თანამშრომლებს დარიგების დროს რედაქციის მაისურები აცვიათ, რაც გაზეთის რეკლამისთვისაა საჭირო.

H. გაზეთი დაბეჭდვის დღესვე ეგზავნებათ ფოსტით მშობლებს და სხვა გამომწერებს (თუ არსებობენ). გაზეთები ეგზავნებათ ოლქის სხვა სკოლებსაც.

I. რედაქცია იწყებს დაბეჭდილი ნომრის განხილვას და კრიტიკას და შემდეგი ნომრის დაგეგმვას.

დასარიგებელი მასალა

სტატიის წერის პროცესი

სტატიის სათაური _____

ავტორის სახელი_____

დაგეგმილი განლაგება გვერდზე_____ სიტყვების რაოდენობა

რედაქტორის სახელი_____

* *იმსჯელეთ რედაქტორთან ერთად და ერთობლივად შეავსეთ ეს ინფორმაცია* *

* *იმსჯელეთ მრჩეველთან ერთად, თუ გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია* *

3 პირველწყაროები, მათი თანამდებობები:

_____

_____

_____

დასასმელი კითხვები: _____

_____

_____

_____

მეორეული წყაროები:

_____

_____

რედაქტორის მიმოხილვა: ხელი მოაწერეთ, თუ ისაუბრეთ სტატიის ავტორთან და შეამოწმეთ სტატიის ლიდი, წყაროები, ინფორმაციის სიღრმე, შეხედულებების დაბალანსებულობა და ობიექტურობა. თქვენ ერთად დაარედაქტირეთ სტატია და გამოცდილება მიიღეთ.

გვერდის რედაქტორის ხელმოწერა_____

მთავარი რედაქტორის ხელოწერა_____

მმართველი რედაქტორის ხელმოწერა_____

მრჩეველი_____

გაკვეთილი 15

სარედაქციო სტატია

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „რას გააკეთებს სარედაქციო სტატია?“, „მსჯელობის ჩამოყალიბება სარედაქციო სტატიაში“, „როგორ დავწეროთ სარედაქციო სტატია“ და „სარედაქციო სტატიის ლექსიკონი“

ცნობები მასწავლებლისთვის

ახალი ამბის ამსახველი სტატიისგან განსხვავებით, სადაც დაბალანსებული და ობიექტური რეპორტაჟია საჭირო რეპორტიორის შეხედულებების აღნიშვნის გარეშე, სარედაქციო სტატიისთვის და ჟურნალისტიკის ზოგიერთი სხვა ფორმისთვის საჭიროა, ჟურნალისტს ჰქონდეს საკუთარი პოზიცია. ეს სტატიები გასაგებად გამოხატავს სარედაქციო სტატიის ავტორის პოზიციას, რომელიც ამავდროულად მფლობელების ან სარედაქციო საბჭოს პოზიციას წარმოადგენს.

სარედაქციო სტატიის, მოწვეული სტუმრის წერილის და სხვა პუბლიცისტური წერილების ადგილი გაზეთში წინასწარაა განსაზღვრული. ისინი ნათლადაა გამოყოფილი სხვა სტატიებისგან, რომ მკითხველმა შეძლოს მათი გარჩევა ჩვეულებრივი რეპორტაჟისგან.

სარედაქციო სტატია წარმოადგენს გაზეთის მფლობელების ან სარედაქციო საბჭოს პოზიციას; ასეთ სტატიებს ძირითადად ექსპერტები წერენ, ვისაც საჭირო ცოდნა გააჩნია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

პროფესიონალურ გაზეთებში სარედაქციო სტატიის ავტორები სრულიად განსხვავებული არიან იმ ადამიანებისგან, ვინც ახალი ამბების რეპორტაჟებს აკეთებს. მოსწავლეთა ჟურნალისტიკის შემთხვევაში მოსწავლე რედაქტორები და რეპორტიორები წერენ სარედაქციო სტატიებსაც და ახალი ამბის ამსახველ სტატიებსაც, თუმცა ეს რედაქციის თანამშრომელთა რაოდენობაზეცაა დამოკიდებული.

სასწავლო გაზეთის რედაქტორები, შესაძლოა, შეხვდნენ ერთმანეთს და განსაზღვრონ რედაქციის სტატიის თემა და პოზიცია. შემდეგ ერთ-ერთი რედაქტორი დაწერს სარედაქციო სტატიას. ზოგ სკოლაში გაზეთის თითოეული ნომრისთვის სარედაქციო სტატიის თემის შესარჩევად გაზეთის მთავარი რედაქტორი აწყობს შეხვედრას მთლიან რედაქციასთან და ყველანი ერთად სთავაზობენ იდეებს სტატიისთვის. იდეების ჩამოწერის და მათზე მსჯელობის შემდეგ რედაქცია ხმას აძლევს თემებს და პოზიციას, რომელიც უნდა დაიკავოს გაზეთმა თემაზე მსჯელობისას. შემდეგ რედაქტორს ან ამ საკითხის მცოდნე მოსწავლეს ევალება სარედაქციო სტატიის საკითხის კვლევა და დაწერა.

მიზნები

1. მოსწავლეები შეძლებენ თეზისის (სტატიის ძირითადი იდეის) გასაგებად და ლაკონურად ფორმულირებას.
2. მოსწავლეები მოიშველიებენ კრიტიკული აზროვნების უნარს და მოიყვანენ საუკეთესო არგუმენტებს საპირისპირო პოზიციების მხარდასაჭერად.
    - სხვა ადამიანებთან საკუთარი აზრის დასაცავად კამათის შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ უნარი, უკეთ გააანალიზონ ნიუანსები.

- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ განსხვავებული აზრიც არსებობს.
- მოსწავლეები დააფასებენ მოკამათის ძლიერ არგუმენტებს.
- მოსწავლეები უკეთესად შეძლებენ საკუთარი არგუმენტის ჩამოყალიბებას.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 4 წუთი

გაკვეთილი იმის გარკვევით დაიწყეთ, რა იციან მოსწავლეებმა სარედაქციო სტატიების და პუბლიცისტიკის შესახებ. შეკითხვები ასეთი იქნება:

- იცით თუ არა, რა არის სარედაქციო სტატია?
- გაზეთში რა ადგილას არის სარედაქციო სტატიები? მასწავლებელს შეუძლია, მოიტანოს რამდენიმე გვერდი გაზეთებიდან სარედაქციო სტატიებით, რათა აჩვენოს მოსწავლეებს (მაგრამ არ წაუკითხოს), სად წერია სარედაქციო სტატიები ადგილობრივ

გაზეთებში. ამერიკულ გაზეთებში ისინი სპეციალურ გვერდებზე იბეჭდება, რომლებსაც სარედაქციო გვერდებს უწოდებენ.

- წაუკითხავთ თუ არა სარედაქციო სტატია?
- რა არის სარედაქციო სტატიის მიზანი?
- რას ფიქრობენ ისინი სარედაქციო სტატიის არსებობაზე გაზეთში?

მეორე ეტაპი

დრო: 10 წუთი

სარედაქციო სტატიების შესახებ მოსწავლეთა ცოდნისა და მათი დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს შემდეგი ძირითადი კონცეფციები სარედაქციო სტატების შესახებ:

1. სარედაქციო სტატია ამერიკული მოსწავლეთა გაზეთების ძირითადი ნაწილია. გაზეთის ძირითადი შინაარსი შედგება ახალი ამბების, სარედაქციო თუ ძირითადი თემების სტატიებისა და რეკლამებისაგან.
2. სარედაქციო სტატია არის გაზეთის რედაქტორთა შეხედულებების გამომხატველი თხზულება. ის გადმოსცემს გაზეთის პოზიციას და წარმოადგენს მოსწავლე ჟურნალისტების კოლექტიურ ხმას. სარედაქციო სტატიების უმეტესობა უავტოროა – მათ არ აწერია ინდივიდუალური ჟურნალისტის გვარი.
3. ბევრ გაზეთში ატარებენ კენჭისყრას სარედაქციო საბჭოს სხდომაზე – მოსწავლე ლიდერების ჯგუფი – მოცემულ თემასთან მიმართებაში გაზეთის პოზიციის დასადგენად. ზოგი გაზეთი ამგვარივე პროცედურით ირჩევს, პოლიტიკურ კანდიდატთაგან რომელს დაუჭერს მხარს.
4. სარედაქციო სტატიები იწვევს დისკუსიას საზოგადოებაში, წაახალისებს ცვლილებას, აქებს რაიმე ქმედებებს ან იხსენებს მნიშვნელოვან პიროვნებებს, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან.
5. მოწვეული სტუმრის წერილი, კომენტარები და სხვა პუბლიცისტური წერილები შეიძლება დაწერონ ჟურნალისტებმა, ექსპერტებმა, თანამდებობის პირებმა ან ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა. ეს თხზულებები ხშირად იგივე საკითხს ეხება, რაც ახალი ამბების თემაა. პუბლიცისტური წერილები სარედაქციო სტატიასთან ახლოს თავსდება, ზოგჯერ, ამისთვის წინასწარ გამოყოფილ გვერდზე. ამ გვერდზე არსებობს

ადგილი მკითხველების რედაქტორისადმი მიწერილი წერილებისთვისაც. ასეთ გვერდებს ინგლისურად „op-ed-ს“ უწოდებენ, რაც სარედაქციო გვერდის საპირისპიროს ნიშნავს.

6. რადგან სარედაქციო სტატიაში დამოკიდებულებაა გამოხატული, მისი დაწერა რთული საქმეა. ხშირად მას უფრო მეტი ინტერვიუები და კვლევა სჭირდება, ვიდრე ახალი ამბების სტატიას. სარედაქციო სტატია კრიტიკული აზროვნების, არგუმენტების ყოველმხრივი აწონ-დაწონის და ნიუანსების გარჩევის შედეგია. რაიმე საკითხთან დაკავშირებით დასკვნის გაკეთებამდე ჟურნალისტმა უნდა იკვლიოს კანონმდებლობა, გლობალური პრობლემა ან სიტუაცია. ბევრ გაზეთში სარედაქციო სტატიებს გაზეთის რედაქციის ყველაზე გამოცდილი წევრები წერენ. სარედაქციო სტატიის ავტორობა დიდი პატივია.
7. ზოგი გაზეთი ორ სარედაქციო სტატიას აქვეყნებს, რომლებშიც საკითხის მხარდამჭერი და საპირისპირო თვალსაზრისებია მოყვანილი. დიდ გაზეთებში ყოველდღე ორი ან სამი სარედაქციო სტატია ქვეყნდება. სარედაქციო გვერდზე იბეჭდება სარედაქციო კარიკატურაც.

გაეცანით სარედაქციო სტატიის ლექსიკას

მესამე ეტაპი

დრო: 3 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „სარედაქციო სტატიის ლექსიკონი“. მასწავლებლები ამ ტერმინებს გაკვეთილის დარჩენილი დროის განმავლობაში გამოიყენებენ. მოსწავლეებმა ეს ტერმინები უნდა ისწავლონ და მომავალ კვირებში მათი გამოყენება შეძლონ.

რა არის სარედაქციო სტატიის მიზანი?

მეოთხე ეტაპი

დრო: 5 წუთი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარედაქციო სტატიები ხშირად იწვევს დისკუსიას, წაახალისებს ცვლილებას ან რაიმე მოქმედებებში მონაწილეობას, აქებს რაიმე ქმედებებს ან იდეებს, ზოგჯერ კი იხსენებს მნიშვნელოვან პიროვნებებს, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან.

სარედაქციო სტატიები შეიძლება დავაჯგუფოთ ოთხ ძირითად კატეგორიად. დაურიგეთ მოსწავლეებს „რას გააკეთებს სარედაქციო სტატია?“ განიხილეთ ეს კატეგორიები. აჩვენეთ მაგალითები ადგილობრივი გაზეთიდან ან ინტერნეტით გავრცელებული ახალი ამბებიდან.

მოიფიქრეთ პოზიციის მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები

მეხუთე ეტაპი

დრო: 15 წუთი

დაწერეთ დაფაზე სიტყვა „თეზისი“. რა არის თეზისი? (საჭიროების შემთხვევაში დაიხმარეთ „სარედაქციო სტატიის ლექსიკონი“.)

ამ ტერმინის ქვეშ დაწერეთ სიტყვები „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“ ორი პარალელური სვეტის პარალელურად. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას ნიშნავს „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“.

საკუთარი პოზიციის და არგუმენტების ჩამოყალიბების პროცესის საილუსტრაციოდ მოსწავლეებს აჩვენეთ ჩინეთში ქარის ელექტროსადგურების გამოყენების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტების მაგალითი. სიტყვა „თეზისის“ შემდეგ დაწერეთ დაფაზე:
*ქარის ელექტროსადგურები უნდა მდებარეობდეს ჩინეთის არაზღვისპირა ნაწილში.**
შეახსენეთ მოსწავლეებს, რას წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურები: როცა ერთადაა თავმოყრილი ქარის ბევრი ტურბინა, დიდი რაოდენობით ელექტროენერგია გამომუშავდება.

მოსწავლეებს სთხოვეთ, „მომხრე“ სვეტში ჩასაწერად მოიფიქრონ მიზეზები, რატომ უნდა დაეთანხმონ ამ თეზისს, ხოლო „მოწინააღმდეგე“ სვეტში მოიფიქრონ მიზეზები, რატომ არ უნდა დაეთანხმონ მას. დაწერეთ დაფაზე მათ მიერ ნახსენები ყველა მიზეზი, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, რამდენად შესაფერისია ისინი.

შესაძლო პასუხები იქნება:

მომხრე

- მეცნიერები ამბობენ, რომ ბუნებრივი რესურსებით შესაძლებელია ელექტროენერგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- ენერგიის ფასი იზრდება. ქარის ელექტროსადგურები კი ენერგიის შედარებით იაფი წყაროა.

- ელექტროგადამცემი ხაზები ენერგიის ყველა ბუნებრივ წყაროს უნდა იყენებდეს – ქარის, წყლის და მზის – იმისთვის, რომ მუდმივად შეძლონ ენერგიით მომარაგება.
- ქარის ტურბინები ისეთ ადგილას უნდა დაიდგას, სადაც ცოტა ხალხი ცხოვრობს, რომ გარემოს ხედი არ გააფუჭონ. (ეს სუსტი არგუმენტია ამ თემისთვის, მაგრამ ჩამოთვლისას ყველა აზრი იწერება, სუსტიც და ძლიერიც. მოსწავლეები მხოლოდ იმის შემდეგ დაიწყებენ გარკვევას, რომელი არგუმენტებია საუკეთესო, რაც ყველა არგუმენტი დასახელდება.)

მოწინააღმდეგე

- ენერგიის წყარო მუდმივი და საიმედო უნდა იყოს.
- ქარის ტურბინები ენერგიის პერიოდული წყაროა. ქარის სიძლიერე იცვლება; ამიტომ, ის არასტაბილური წყაროა.
- ზღვის ქარის ელექტროსადგურები ენერგიის უფრო საიმედო წყაროა.
- ჩინეთს ნამდვილად სჭირდება ენერგიის ისეთი წყაროები, გარემოს რომ არ დააბინძურებს, მაგრამ ქარის ენერგია არაა საუკეთესო არჩევანი.
- ქარის ტურბინები ხმაურიანია. (სუსტი არგუმენტია, მაგრამ ჩამონათვალში უნდა იყოს ასეთებიც.)
- ქარის ტურბინები საზიანოა ღამურებისა და ფრინველებისთვის, მათ შორის, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის.

* შენიშვნა: თუ მოსწავლეებისთვის უცნობია ქარის ელექტროსადგურების თემა, მასწავლებლებმა შეიძლება საკუთარი თემა მოიფიქრონ, ან ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გამოიყენონ:

- *უნდა არსებობდეს/არ უნდა არსებობდეს 5 ცენტი გადასახადი ქაღალდის პარკების გამოსაყენებლად ბოსტნეულის ყიდვისას.*
- *მისაღები გამოცდები საუკეთესო მეთოდია/არ არის კარგი მეთოდი კოლეჯში მისაღებად.*
- *საშუალო სკოლის მოსწავლეებს უნდა/არ უნდა მოეთხოვებოდეთ სკოლის ფორმების ჩაცმა.*

კვლევა და ინტერვიუები ხშირად აუცილებელია

მეექვსე ეტაპი

დრო: 3 წუთი

მოსაზრებების ჩამოწერა (ბრეინშტორმინგი) კარგი მეთოდია იმისთვის, რომ ყველა მოსაზრება შევაგროვოთ. შემდეგ, როცა უკვე განვიხილავთ გამამყარებელ და საწინაღმდეგო არგუმენტებს, მოსწავლეები გაიგებენ, რომ საბოლოოდ შერჩეული არგუმენტები სერიოზული აზრები უნდა იყოს და არა დაუფიქრებლად ნათქვამი რამე. მათ უნდა გაითვალისწინონ საუკეთესო არგუმენტები ორივე მხრიდან.

გარდა ამისა, ხშირად აზრები კარგია, მაგრამ მათ შემდეგი გამოკვლევა სჭირდება და უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის ძიება, ვიდრე სტატიის საბოლოო ვარიანტს დავწერდეთ. თუ ინტერნეტში მოვძებნით ქარის ელექტროსადგურების შესახებ ინფორმაციას, აი, რას აღმოვაჩენთ:

- ქარის ელექტროენერგიას მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი აწარმოებენ.
- ჩინეთში ყველაზე დიდი ზღვის ქარის ელექტროსადგური მდებარეობს შანხაის აღმოსავლეთით ჩინეთის ზღვის ხიდთან.
- განსუს ქარის ელექტროსადგური ერთ-ერთია ჩინეთში არსებულ ქარის ენერგიის ექვს მეგაპროექტს შორის.

ძირითადი არგუმენტების არჩევის შემდეგ საჭიროა მეტი კვლევა და ინტერვიუები, რომლებიც უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვცემენ, უფრო ღრმად გაგვაცნობენ საკითხს და, შესაძლებელია, სხვა მოსაზრება ან არგუმენტი დაგვანახონ. მაგალითად, რა განსხვავებაა წყლის, ქარის და მზის ენერგიის ღირებულებებს შორის ჩინეთში? გადაშენების პირას მყოფი რა სახეობებია ჩინეთის არაზღვიპირა ნაწილში?

აარჩიეთ ყველაზე მძლავრი არგუმენტები

მეშვიდე ეტაპი

დრო: 5 წუთი

დააჯგუფეთ მოსწავლეები ისე, რომ თითოეულ ჯგუფში ოთხი-ხუთი მოსწავლე შედიოდეს. თითოეულმა ჯგუფმა ჩამონათვლებიდან უნდა შეარჩიოს ყველაზე მძლავრი არგუმენტები მოსაზრების გასამყარებლად და მის საწინააღმდეგოდ, შემდეგ სიმძლავრით მეორე და მესამე

არგუმენტები. დაარქვით ამ არგუმენტებს „მძლავრი“, „უფრო მძლავრი“ და „ყველაზე მძლავრი“.

გამოიყვანეთ თითო მოსწავლე ჯგუფიდან, რომლებმაც უნდა აჩვენონ, რომელი არგუმენტი მიიჩნია მათმა ჯგუფმა „ყველაზე მძლავრად“ როგორც გამამყარებელი, ისე საწინააღმდეგო არგუმენტების სვეტებში. თუ შემდეგი ჯგუფის „ყველაზე მძლავრი“ არგუმენტი უკვე დასახელდა, ისინი „უფრო მძლავრ“ არგუმენტს დაასახელებენ თავისი სიიდან. თუ არგუმენტი მეორე ჯგუფმაც დაასახელა „ყველაზე მძლავრად“, რამე აღნიშვნა გაუკეთეთ მას. მერე სხვა ჯგუფი დაასახელებს საკუთარ არჩევანს.

როცა სამი უმძლავრესი არგუმენტი დასახელდება ორივე ჩამონათვალიდან და მათ მიეკუთვნებათ აღნიშვნები „მძლავრი“, „უფრო მძლავრი“ და „ყველაზე მძლავრი“, მოსწავლეებთან ერთად გაარჩიეთ ისინი. ამ მომენტისთვის კლასი ეთანხმება არგუმენტების ამგვარ დალაგებას.

მოემზადეთ სარედაქციო სტატიის დასაწერად

მერვე ეტაპი

დრო: 3 წუთი

მოსწავლეები მზად არიან სარედაქციო სტატიის დაწერის შემდეგი ეტაპისთვის. დაურიგეთ მათ „მსჯელობის ჩამოყალიბება სარედაქციო სტატიაში“ და „როგორ დავწეროთ სარედაქციო სტატია“. ორივე ეს მასალა ერთსა და იმავე ინფორმაციას შეიცავს, ერთში ის დიაგრამის ფორმითაა გამოსახული (ინფორმაციული გრაფიკი), მეორეში კი სიტყვიერი აღწერით.

წინა სავარჯიშოებში მოსწავლეებმა უკვე გაიარეს თემის შერჩევა (რა არის მათი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი?), რეპორტაჟი და კვლევა (ზუსტი და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მათ კვლევა სჭირდებათ.), პოზიციის არჩევა (თეზისი).

სულ ახლახანს მათ დაასრულეს არგუმენტების მოფიქრება და დაალაგეს ისინი მძლავრიდან ყველაზე მძლავრამდე. სხვა არგუმენტები წერისას არ იქნება გათვალისწინებული.

გააკეთეთ აღიარება

მეცხრე ეტაპი

დრო: 5 წუთი

ისაუბრეთ აღიარების მნიშვნელობაზე სარედაქციო სტატიის წერისას. იმსჯელეთ „აღიარების“ განმარტებაზე.

საუკეთესო არგუმენტაცია იწყება იმის აღნიშვნით, რომ სხვა თვალსაზრისებიც არსებობს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ საწინააღმდეგო არგუმენტებიდან ყველაზე სუსტი კი არა, ყველაზე მძლავრი გავაცნოთ მკითხველს. ამგვარი აღიარება სარედაქციო სტატიის დასაწყისშივეა საჭირო, რომ იმ მკითხველებს, ვინც ავტორის პოზიციას არ იზიარებენ, დავანახოთ, რომ მათი თვალსაზრისი გათვალისწინებული აქვს ავტორს. ასე უფრო მეტადაა მოსალოდნელი, რომ ისინი გააგრძელებენ თქვენი სხვა არგუმენტების კითხვას.

სხვა თვალსაზრისების გათვალისწინება კარგი ტაქტიკაა იმ ადამიანთა ყურადღების მისაქცევად და დასარწმუნებლად, ვისაც ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, რომელ პოზიციას მიემხრობა. როცა ჯერ ერთ პოზიციას გაეცნობიან და მერე მის უარსაყოფად მოყვანილ სარედაქციო სტატიის არგუმენტებს, ისინი ადვილად შეიძლება, დარწმუნდნენ და გაიზიარონ სარედაქციო სტატიის ავტორის თვალსაზრისი.

ეს განხილულია „როგორ დავწეროთ სარედაქციო სტატიის“ აღიარების განყოფილებაში.

აირჩიეთ თეზისი და ზოგად შტრიხებში დაწერეთ სარედაქციო სტატია

მეათე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მასალაში „მსჯელობის ჩამოყალიბება სარედაქციო სტატიაში“ მოყვანილია ზოგადი შტრიხები სტატიის ასაგებად. მოსწავლეები, ისევ ჯგუფებში, აირჩევენ ორიდან ერთ თეზისს:

ქარის ელექტროსადგურები უნდა მდებარეობდეს ჩინეთის არაზღვისპირა ნაწილში.

ქარის ელექტროსადგურები არ უნდა მდებარეობდეს ჩინეთის არაზღვისპირა ნაწილში.

1. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ, რომელ თეზისს დაასაბუთებენ.
2. დაწერეთ აღიარება, რომელიც მეორე მხარის ყველაზე ძლიერ არგუმენტს დაემყარება.
3. განსაზღვრეთ სამი აბზაცი ზრდადობის მიხედვით დალაგებული არგუმენტებისთვის: მძლავრი, უფრო მძლავრი, ყველაზე მძლავრი.

შეჯამება

მეთერთმეტე ეტაპი

დრო: 2 წუთი

სარედაქციო სტატიაში მოცემულია აზრი, შეხედულება. სარედაქციო სტატიის ავტორის აზრი უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ მსჯელობას, კვლევას და ინტერვიუებს. სარედაქციო სტატია გამოხატავს გაზეთის მმართველობის აზრს.

ამ გაკვეთილში მოცემული მეთოდი ძალიან სტრუქტურირებულია, მაგრამ სავარჯიშოდ ძალიან კარგია, აქ საჭიროა კრიტიკული აზროვნების უნარის გამოყენება თეზისის ორივე მხარისთვის საუკეთესო არგუმენტების მოსაფიქრებლად, არგუმენტების ნიუანსების გაანალიზება, დამარწმუნებლად წერა.

შემდეგ მოდის მე-16 გაკვეთილი ლოგიკის მცდარობის შესახებ.

თუ დრო საკმარისია, მასწავლებლებმა შეიძლება კიდევ ერთი გაკვეთილი დაუთმონ სარედაქციო სტატიის ლიდისა და დასკვნის წერას. შეიძლება, ჯგუფებში ვამუშაოთ მოსწავლეები და ამოვარჩევინოთ საუკეთესო წყაროები ინტერვიუებისთვის და კვლევისთვის, რომ ნაწერი უფრო ღრმაშინაარსიანი გამოვიდეს.

მოგვიანებით, წლის ბოლოსთვის, მოსწავლეები ამ სტრუქტურის სხვა ვარიანტს გაეცნობიან: სტატია დაიწყება თეზისით და მძლავრი არგუმენტით. ამას მოჰყვება ერთი აბზაცი აღიარება, შემდეგ კი დარჩენილი ორი არგუმენტი და დასკვნა.

მოსწავლეებისთვის შეიძლება საინტერესო იყოს, რომ ინგლისური ენის გამოცდებზე ხშირად საჭიროა დამარწმუნებელი ესეს დაწერა. შეფასების კრიტერიუმებიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალ შეფასებას ის თხზულებები იღებენ, რომლებშიც ჩართულია აღიარება.

საშინაო დავალება

მოსწავლეებმა უნდა დაწერონ სარედაქციო სტატია. ამისთვის მათ უნდა გამოიყენონ კლასში განხილული თემა და გამამყარებელი და საწინააღმდეგო არგუმენტების ჩამონათვალი. მათ შეუძლიათ, დამატებითაც იკვლიონ საკითხი. სარედაქციო სტატიები მზად უნდა იყოს მე-17 გაკვეთილისთვის „სარედაქციო სტატიის შეფასება“.

რადგან ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე თემა აქვთ დავალებად, მათთვის ცნობილია თემა და არგუმენტები, ამიტომ შეუძლიათ კარგად შეაფასონ შინაარსი და არგუმენტაციის სიძლიერე.

შესაძლო საშინაო დავალება

თუ მასწავლებელს დამატებითი დავალების მიცემა სურს, შეუძლია სთხოვოს მოსწავლეებს, შემდეგი კვირის განმავლობაში იკითხონ სარედაქციო სტატიები. როგორაა დალაგებული ამ სტატიებში არგუმენტები, მძლავრი , მერე უფრო მძლავრი და ბოლოს ყველაზე მძლავრი? არის თუ არა რაიმე სახით აღიარება? რამდენად კარგადაა დაწერილი ეს სტატიები?

დასარიგებელი მასალა

რა შედეგს მოიტანს სარედაქციო სტატია?

დაარწმუნებს

წაახალისებს თქვენს მკითხველებს, იმოქმედონ ან გამოიტანონ დასკვნა. მოიშველიეთ დამარწმუნებელი არგუმენტები და დასკვნები.

გააკრიტიკებს

მიუთითებს პრობლემებზე. იყავით კონსტრუქციული, ნუ დაწერთ წვრილმანებზე. შეარჩიეთ ისეთი საკითხები, დასკვნები და სიტუაციები, რომლებიც ცუდ გავლენას ახდენენ სკოლის გარემოზე და მოსწავლეთა კეთილდღეობაზე.

ახსნის ან განმარტავს

დაეხმარება მკითხველს, გაერკვეს რთულ და საკამათო სიტუაციებსა თუ მოქმედებებში. რას ნიშნავს კანონმდებლობა ან არჩევნები თქვენი სკოლისთვის? რატომ ითხოვენ მოსწავლეთა მმართველობის ხელმძღვანელები მოსწავლეებისგან გარკვეულ აქტივობებში მონაწილეობას?

აქებს

ყოველთვის არ აკრიტიკებს რამეს. იპოვეთ პიროვნება ან აქტივობა, რომელიც დასაფასებელია საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანის გამო. თუ თქვენ არწმუნებდით ადმინისტრაციას, გაეკეთებინა რაღაც და მათ ეს გააკეთეს, შეაქეთ ისინი.

დასარიგებელი მასალა

სარედაქციო სტატიის ლექსიკონი

არგუმენტაცია: არგუმენტის მოყვანა; მსჯელობა მისი ჭეშმარიტების ან მცდარობის საჩვენებლად.

საწინააღმდეგო: რაიმეს კეთების საწინააღმდეგო არგუმენტი, გამამყარებლის ანტონიმი.

აღიარება: სხვისი თვალსაზრისის აღნიშვნა და გათვალისწინება.

კონსენსუსი: ჯგუფის მიერ მიღწეული საერთო აზრი ან პოზიცია, რომელიც მთელი ჯგუფის ან მისი უმრავლესობის ნებას წარმოადგენს.

რედაქტორი: ის, ვინც წერს სარედაქციო სტატიებს; ადამიანი, რომელიც არედაქტირებს სტატიებს ზუსტი რეპორტაჟის მისაღწევად.

სარედაქციო სტატია: სუბიექტურად გადმოცემა აზრებისა, რომლებიც ფაქტობრივ მასალაზე დამყარებული. სარედაქციო სტატია არის რედაქციაში მომუშავე ავტორების მიერ გამოთქმული აზრები, რომლებიც გამოხატავს გაზეთის, როგორც კოლექტიური ორგანიზაციის და გამომცემლის პოზიციას.

ლოგიკის მცდარობა: მსჯელობისას დაშვებული შეცდომა.

ფორუმი: ღია დისკუსიის ან აზრების გამოთქმის საშუალება, ასეთებია გაზეთი, რადიო და ტელე პროგრამები.

დამოუკიდებელი: სხვათა გავლენის, მითითებებისა და კონტროლისგან თავისუფალი.

წერილები რედაქციას: ფორუმი მკითხველებისთვის, რომ გამოხატონ რეაქცია ან უარყონ ახალი ამბების სტატიები. ყველა წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს და ეწეროს რაიმე ინფორმაცია ავტორის შესახებ (კლასი, ორგანიზაცია, ქალაქი).

Op-Ed: გაზეთში სარედაქციო გვერდის საპირისპიროდ მდებარე გვერდი, სადაც იბეჭდება კომენტარები და სხვა პუბლიცისტური წერილები.

აზრი: საუკეთესო სარდაქციო სტატიებში: დასკვნები, რომლებიც ცოდნაზეა დამყარებული და ექსპერტს ეკუთვნის. ზოგადად: რწმენა ან დასკვნა, რომელშიც ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ არაა ცოდნაზე ან მტკიცებულებაზე დამყარებული. ასევე აღნიშნავს გავრცელებულ თვალსაზრისს, როგორც ფრაზაში „საზოგადოებრივი აზრი“.

დარწმუნება: მცდელობა, გადაიყვანო სხვა ვინმე საკუთარ აზრზე, დასაბუთებით, რჩევით ან იძულებით.

გამამყარებელი: ვარაუდის, პოზიციის ან აზრის მხარდასაჭერი; საწინააღმდეგოს ანტონიმი.

პასუხის უფლება: აიღეთ ინტერვიუ სხვადასხვა აზრის მქონე ადამიანებისგან. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ არსებობს ორი ან მეტი განსხვავებული პოზიცია. თუ მათი არგუმენტების გაბათილებას შეძლებთ, თქვენი ნაწერი მეტად დამარწმუნებელი იქნება.

გაბათილება: დასაბუთება, რომ რაღაც მცდარია, ან თქვენს თვალსაზრისზე სუსტია.

თეზისი: მთავარი იდეა, ძირითადი აზრი ან პოზიცია.

აქტუალური: როცა თემა ადგილობრივი მნიშვნელობისაა, დროულია, ან ინტერესის საგანია.

დასარიგებელი მასალა

როგორ დავწეროთ სარედაქციო სტატია

სარედაქციო სტატიების კითხვისას ელით, რომ გაიგებთ გაზეთის თვალსაზრისს, მის პოზიციას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. თქვენ არ გინდათ დაუსაბუთებელი მოსაზრებები. გინდათ, რომ სარედაქციო სტატია იყოს აზროვნების და მსჯელობის, ინტერვიუების და კვლევის შედეგი.

როგორ უნდა დაწეროთ ასეთი სტატია? აი, რამდენიმე მითითება, რომლებიც უნდა შეასრულოთ.

აირჩიეთ თემა

სარედაქციო სტატია უნდა შეეხებოდეს რაიმე ახალ ამბავს. თქვენ სკოლას აქვს რამე ახალი პროგრამა, აპარატურა ან წესები? რა საკითხებზე მსჯელობენ მოსწავლეები? მოსწავლეთა ქცევის, სკოლის ადმინისტრირების, ან საზოგადოების ცხოვრების რა ასპექტები შეიძლება გაუმჯობესდეს? ვინ ან რა იყო შესაქები და გამოგვრჩა?

ისაუბრეთ თქვენს თემაზე მესამე პირში – არ გამოიყენოთ პირველი პირი (მე). თუმცა, თქვენ პირადად დარწმუნებული ხართ თქვენი თეზისის სისწორეში, ზედმეტად ემოციურად არ უნდა გამოჩნდეთ. წარმოადგინეთ რაციონალური არგუმენტები.

რეპორტაჟი და კვლევა

რეპორტაჟი სარედაქციო სტატიის წერის მნიშვნელოვანი ნაწილია. სარედაქციო სტატიის ავტორები ესაუბრებიან ექსპერტებს და ინტერვიუს იღებენ მათგან, ვისაც ეს საკითხი ეხება. მნიშვნელოვანია თემის ბევრი მხრიდან გარჩევა. წყაროებმა შეიძლება დაადასტურონ თქვენი თეზისი, ან გამოიწვიონ თეზისში ცვლილება. ინტერვიუებშიც ჩანს განსხვავებული აზრები.

ზოგჯერ სარედაქციო სტატიაში წყაროს ციტირებასაც ვაკეთებთ. ინტერვიუები და კვლევები მეტ სიღრმეს ანიჭებენ ესეს.

დაიკავეთ პოზიცია

თქვენ იცნობთ თემას. საჭირო სამუშაოები, ინტერვიუების და კვლევის სახით, უკვე ჩატარებული გაქვთ. ახლა ჩამოთვალეთ გამამყარებელი და საწინააღმდეგო არგუმენტები. თანმიმდევრულად დაალაგეთ ეს არგუმენტები ყველაზე **მძლავრი**დან ყველაზე სუსტამდე. გადაწყვიტეთ, რა არის თქვენი ძირითადი იდეა.

ჩამოაყალიბეთ თქვენი თეზისი საკამათო დებულების სახით. გამოხატეთ აზრი კონკრეტულად. თქვენი პოზიცია ნათელი უნდა იყოს მკითხველებისთვის.

გააკეთეთ აღიარება

მიუკერძოებლობა და კარგი არგუმენტაცია გამოჩნდება საკითხის მეორე მხარის პოზიციიდან განხილვაში. მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების მოყვანისას მათი ყველაზე მძლავრი არგუმენტი უნდა დაასახელოთ და არა ყველაზე სუსტი. მყარი არგუმენტაციისთვის აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. შემდეგ აჩვენეთ, რითია უკეთესი თქვენი აზრი. ფრედ ჰაიატი, *The Washington Post*-ის სარედაქციო განყოფილების რედაქტორი, ამბობს, რომ „ეს პროცესი ყველას უმახვილებს აზროვნებას“.

მეორე თვალსაზრისის აღიარებას უნდა მოჰყვებოდეს თქვენი არგუმენტი ამ პოზიციის წინააღმდეგ. თქვენ აბათილებთ მეორე მხარის მოსაზრებას და მოგყავთ თქვენი საკუთარი, ფაქტებით, დეტალებით, რიცხვებით, ციტატებით და მტკიცებულებებით.

იკამათეთ დამარწმუნებლად

აირჩიეთ თქვენი პოზიციის გამამყარებელი სამი ყველაზე მძლავრი არგუმენტი. დაალაგეთ ისინი კარგიდან უკეთესამდე და საუკეთესომდე. მკითხველებმა თქვენი ბოლო არგუმენტი ყველაზე კარგად უნდა დაიმახსოვრონ.

სარედაქციო სტატიების კარგი ავტორები საკითხებს ისე განიხილავენ, რომ პიროვნულად არავის ესხმიან თავს. ნუ მიმართავთ სახელით, ნუ შეუტევთ *ad hominem*, ნუ გამოიყენებთ სხვა დამამცირებელ ტაქტიკას.

გააკეთეთ დასკვნა

დასკვნა ლოგიკურად უნდა მოსდევდეს არგუმენტებს. შეიძლება, რომელიმე ამ ხერხით გააკეთოთ:

- შეაჯამეთ სიტუაცია და თქვენი პოზიცია.

- გაიმეორეთ ძირითადი აზრი სხვა სიტყვებით, რომ მკითხველს თქვენი პოზიცია კიდევ ერთხელ გააგებინოთ.
- გამოიყენეთ კრიტიკული აზროვნება და წინასწარი რეაგირება. შესთავაზეთ მკითხველს პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა.

მსჯელობის ჩამოყალიბება სარედაქციო სტატიაში



გაკვეთილი 16

ლოგიკის მცდარობა

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „ლოგიკის მცდარობის დასადგენად საჭირო ტერმინები“

ცნობები მასწავლებლისთვის

ახალი ამბის ამსახველი სტატიისგან განსხვავებით, სადაც დაბალანსებული და ობიექტური რეპორტაჟია საჭირო რეპორტიორის შეხედულებების აღნიშვნის გარეშე, სარედაქციო სტატიისთვის საჭიროა, ჟურნალისტს ჰქონდეს საკუთარი პოზიცია. სარედაქციო სტატიის ავტორმა უნდა შეასრულოს კვლევა და ინტერვიუები, რათა მოიყვანოს ლოგიკური არგუმენტები საკუთარი პოზიციის დასაცავად.

მცდარი დასკვნა ლოგიკური შეცდომაა, რომელიც არასწორი დაშვებების, ან დასკვნის არასწორად გამოტანის გამო ხდება. თუ სტატიაში ლოგიკური შეცდომებია დაშვებული, ავტორისა და გაზეთისადმი ნდობა კლებულობს.

მიზნები

- მოსწავლეები გაიგებენ, რას ნიშნავს ლოგიკური შეცდომა და შეძლებენ მის ამოცნობას.
- მოსწავლეები გამოიყენებენ კრიტიკული აზროვნების უნარს ლოგიკური შეცდომების აღმოსაჩენად.
    - მოსწავლეებს გაუუმჯობესდებათ უნარი, გააანალიზონ სხვათა არგუმენტების ნიუანსები.
- მოსწავლეები უკეთ შეძლებენ საკუთარი არგუმენტების ჩამოყალიბებას.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

გაკვეთილი დაიწყეთ შემდეგი ორი დებულებით:

დებულება 1

„უახლესმა კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა 85% ყიდულობს Dell-ის კომპიუტერებს და არა Macintosh-ის. შეუძლებელია, ამდენი ხალხი ცდებოდეს. Dell-ის კომპიუტერები საუკეთესოა.“

[non sequitur]

დებულება 2

დღეს დილით სიანს საათი აჩუქეს. ერთი საათის შემდეგ სიანის ბიძას გულის შეტევა დაემართა. საათის ჩუქებას უბედურება მოაქვს.

მოსწავლეთა პასუხების მიღების შემდეგ აუხსენით მათ, რომ ეს არის ლოგიკური შეცდომის მაგალითები. თუ მოსწავლეებმა ეს უკვე ახსენეს, ჰკითხეთ, რას ნიშნავს „ლოგიკის მცდარობა“. ლოგიკური შეცდომა ისეთი შეცდომაა, რომელიც ერთი შეხედვით სიმართლეს შეიძლება ჰგავდეს, მაგრამ სინამდვილეში მცდარია. დასაბუთების არგუმენტს მცდარ დასკვნამდე მივყავართ.

ლოგიკური შეცდომის აღმოჩენა

მეორე ეტაპი

დრო: 15 წუთი

მოსწავლეებს დაურიგეთ „ლოგიკის მცდარობის დასადგენად საჭირო ტერმინები“. აქ მოცემულია 15 ყველაზე გავრცელებული ლოგიკური შეცდომის ტიპი, თითოეულის განმარტება და ერთი მაგალითი. მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ეს ჩამონათვალი. აუხსენით მათ, რომ მათ უნდა შეძლონ ამ ტიპის შეცდომების აღმოჩენა სხვათა ნაწერებში და უნდა შეძლონ მათი თავიდან არიდება საკუთარ ნაწერში.

მოსწავლეებს საკუთარი „რადარები“ განუვითარდებათ მცდარი დასკვნების აღმოსაჩენად. დასკვნებში ლოგიკური შეცდომები განსაკუთრებით ხშირია რეკლამებში. ისინი შეიძლება შეგვხვდეს სარედაქციო სტატიებშიც და მკითხველთა წერილებშიც. პოზიცია შეიძლება ალოგიკურად იყოს დასაბუთებული, მაგრამ დამაჯერებლად გამოიყურებოდეს ავტორის ემოციების და გულწრფელობის გამო.

განიხილეთ მცდარი დასკვნების გამოყენება სარედაქციო სტატიებში. ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, თუ ამ არგუმენტს მიიღებენ? თუ უარყოფენ? კიდევ ერთი შესაძლებლობა

კრიტიკული აზროვნების გამოსაყენებლად სარედაქციო სტატიის დასკვნაა. სარედაქციო სტატიაში მოყვანილი არგუმენტების გაანალიზებასთან ერთად, მოსწავლეებმა გამოტანილი დასკვნებიც უნდა განიხილონ. საით მივყავართ მაგალითებს და არგუმენტაციას, „დამრეც ფერდობამდე“, „non sequitur-ამდე“ თუ „განურჩეველ განზოგადებამდე“?

მესამე ეტაპი

დრო: 15 წუთი

დააწყვილეთ მოსწავლეები. მიეცით თითოეულ წყვილს ლოგიკური შეცდომის სხვადასხვა ტიპი. მათ უნდა განმარტონ, რაში მდგომარეობს ეს შეცდომა და მოიყვანონ მისი მაგალითი. ოთხი წუთის შემდეგ გამოიყვანეთ წყვილები და წააკითხეთ საკუთარი მაგალითები.

ცნებების გამოყენება

მეოთხე ეტაპი

დრო: 4 წუთი

ლოგიკური შეცდომების სხვადასხვა ტიპის განხილვის შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს მაგალითები, რომლებშიც უნდა ამოიცნონ, რა ტიპის შეცდომასთან აქვთ საქმე. თითოეული ტიპის შეცდომის მაგალითი მომზადებული უნდა გქონდეთ მთელი კლასისთვის საჩვენებლად.

1. ჭეშმარიტი ჩინელი პატრიოტი არ დალევს ლუდს. ლუდი გერმანიაში წარმოებული ძირითადი პროდუქტია და მისი დღესასწაული იმართება ყოველწლიურად ოქტომბრის ფესტივალზე. ლუდის დალევა ანტიჩინური საქციელია.

   [*ad populum*, ძლიერი პათოსის ელემენტებით]

   ფაქტები: 2007 წელს ჩატარებული მარკეტინგული კვლევის მიხედვით, ხანშიშესული ჩინელი მოქალაქეები ლუდს უფრო მეტს სვამენ, ხოლო ტრადიციულ ალკოჰოლურ სასმელებს უფრო ნაკლებს. იგივე კვლევის თანახმად, ღვინო ხდება მოდური სასმელი მდიდარი ახალგაზრდებისთვის.

2. ათი წლის ბავშვები დღეში საშუალოდ ორ საათს თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს. სკოლაში შეამჩნიეს მეხუთე და მეექვსე კლასებში ნიშნების გაუარესება. კომპიუტერული თამაშები იწვევს დაბალ ნიშნებს.

   [მსჯელობაში დარღვეულია მიზეზობრიობა]

პრობლემა: ამ სახის არგუმენტაციაში არაა გათვალისწინებული სულ უფრო მზარდი რაოდენობა საგანმანათლებლო კომპიუტერული თამაშებისა, რომლებიც გამიზნულია სახლში და სკოლაში გამოსაყენებლად. თანაც, აქ აღებულია ეროვნული კვლევის ციფრები და ერთი სკოლის სისტემაზეა გადმოტანილი.

3. ინტერნეტის გამოყენება ფართოვდება და მასთან ერთად იზრდება სიძულვილის ჯგუფებიც. თქვენ ნებას რთავთ შვილებს, შევიდნენ ინტერნეტში. უფროსი შვილი ბლოგებსაც კი კითხულობს. თქვენს ბავშვებს სიძულვილის ჯგუფში ჩაითრევენ.

   [დარღვეული მიზეზობრიობა და „დამრეცი ფერდობი“]

   ლოგიკური შეცდომა: ავტორის მიხედვით, ინტერნეტში სოციალური ქსელების ზრდასა და სიძულვილის მქონე ჯგუფების ზრდას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ ინტერნეტის გამოყენება საშინელ შედეგს მოუტანს ამ ოჯახების ბავშვებს. ნაგულისხმებია მშობლების დადანაშაულებაც.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 1 წუთი

დასკვნის გამოტანისას დაშვებული ლოგიკური შეცდომები არგუმენტებისადმი ნდობას ამცირებს. მკითხველები და ავტორები უნდა იცნობდნენ ლოგიკური შეცდომების იმ ფორმებს, რასაც არასწორ დასკვნამდე მივყავართ – რათა ამოიცნონ ისინი, არ დაუჯერონ და თავადაც არ დაუშვან მსგავსი შეცდომები წერისას და მეტყველებისას.

ლოგიკური შეცდომების აღმოჩენა კარგად ავარჯიშებს კრიტიკულ აზროვნებას.

შესაძლო საშინაო დავალება

მცდარი ლოგიკა ხშირად გვხვდება რეკლამებში. მომხმარებლის რეკომენდაციები, განურჩეველი განზოგადება და უმრავლესობის აზრი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება რაიმე პროდუქციის რეკლამირებისას. სთხოვეთ მოსწავლეებს, უყურონ სატელევიზიო რეკლამებს და იპოვონ მაგალითები სამი სხვადასხვა ლოგიკური შეცდომის ტიპისთვის.

მათ უნდა ჩაიწერონ რეკლამის ნახვის დღე და საათი, პროდუქტის დასახელება და გამოყენებული მცდარი ლოგიკა. მათი აზრით, რეკლამა ეფექტური იყო?

დასარიგებელი მასალა

ლოგიკის მცდარობის დასადგენად საჭირო ტერმინები

მცდარი დასკვნა არის ლოგიკური შეცდომა, რომელიც არასწორი დაშვებების, ან დასკვნის არასწორად გამოტანის გამო ხდება. ზოგი ავტორი განგებ უშვებს სტატიაში ლოგიკურ შეცდომას. ზოგიერთი კი ვერ ხვდება, რომ მისი არგუმენტები მცდარია. ლოგიკური შეცდომების დაშვება ამცირებს მკითხველთა ნდობას.

გაეცანით ლოგიკური შეცდომების შემდეგ ტიპებს, რომ თავიდან აიცილოთ მათი დაშვება და თქვენც არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში:

Ad hominem ლათინურად: ადამიანის წინააღმდეგ. ეს კამათი არ ეხება სადაო საკითხს და მიმართულია პიროვნების შეურაცხყოფაზე.

A პიროვნება გამოთქვამს აზრს.

B პიროვნება გამოთქვამს A პიროვნების დამამცირებელ შენიშვნას.

აქედან გამომდინარე, A პიროვნების პოზიცია მცდარია.

<u>მაგალითად</u>: „მას არ უნდა მისცეთ ხმა კლასის პრეზიდენტის არჩევნებში. ხომ იცით, რომ კოლეჯის პირველ კურსზე ძალიან ბევრს სვამდა?“

Ad populum ლათინურად: ხალხისადმი. ეს ემოციური მიმართვა ემყარება მკითხველთა ირაციონალურ შიშებს და ჯგუფურ ცრურწმენებს.

<u>მაგალითად</u>: „ვინც არ დამეთანხმება, რომ ი ძიანლიანი NBA-ს საუკეთესო მსუბუქი ფორვარდია, არაა პატრიოტი.“

მსჯელობა წრეში კამათის ამ ფორმაში ადამიანი ჭეშმარიტებად იღებს რაიმე წანამძღვარს, გამოჰყავს მისგან დასკვნა და შემდეგ ამ დასკვნას იყენებს საწყისი წანამძღვრის დასამტკიცებლად.

<u>მაგალითად</u>: პირატული DVD-დისკების გაყიდვა არაკანონიერია მთელ ჩინეთში. ყველამ იცის, რომ კანონის დარღვევა ცუდია. რადგან კანონის დარღვევა ცუდია, ამიტომ DVD-ები არ უნდა ვიყიდოთ.

ავტორიტეტის მოხმობა ამ ტიპის ლოგიკური შეცდომა ემყარება ავტორიტეტის არასწორად გამოყენებას სტატიის ავტორის მიერ. ეს შეიძლება იყოს ერთი სფეროს

ავტორიტეტის ციტირება, როცა საქმე ეხება მეორე სფეროს პრობლემას, ან მოძველებული ინფორმაციის გასაღება ავტორიტეტულად.
<u>რეკლამის მაგალითზე</u>: მე არ ვარ ექიმი, მაგრამ ექიმის როლს ვთამაშობ ტელესერიალში. გამოიყენეთ თავის ტკივილის ეს წამალი.

უმრავლესობის აზრი ლოგიკური შეცდომა, რომელიც დაფუძნებულია პოპულარულობაზე და „მიკუთვნებულობაზე“. ყველა ასე აკეთებს, ამიტომ შენც უნდა გააკეთო.
<u>მაგალითად</u>: ყველა ფარნის შუქზე მეცადინეობს ღამის 1 საათამდე; აქედან გამომდინარე, ეს საუკეთესო გზაა კოლეჯის მისაღები გამოცდებისთვის სამეცადინოდ.

კარტის ჩაწყობა ამგვარი დასაბუთებისას მხოლოდ იმ არგუმენტებს განიხილავენ, რომლებიც საკუთარ თვალსაზრისს უჭერს მხარს. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იგნორირება ხდება.
<u>მაგალითად</u>: სიკვდილით დასჯა აუცილებელია, რადგან ის წაახალისებს კანონმორჩილებას, ზოგავს ფულს და აჩვენებს კანონის მნიშვნელობას.

ან-ან ეს შეცდომა გამოწვეულია საკითხის ზედმეტად გამარტივებით, როცა მკითხველს მხოლოდ ორ პოზიციას შორის უწევს არჩევანის გაკეთება.
<u>მაგალითად</u>: „მზეთუნახავსა და ურჩხულში“ გასტონი ამბობს, „თქვენ ან ჩვენთან ხართ, ან ჩვენს წინააღმდეგ“.

მცდარი მიზეზობრიობა ამგვარ დასკვნაში ნათქვამია, რომ რადგან ერთი მოვლენა მეორეზე ადრე მოხდა, პირველი მოვლენა მეორის მიზეზია.
<u>მაგალითად</u>: ქალაქის მერმა ლიმ გადასახადები გაზარდა, შემდეგ კი გაიზარდა დანაშაულის სიხშირე. ლი პასუხისმგებელია დანაშაულის გაზრდაზე.

ბრჭყვიალა ფრაზები ისეთი გაურკვეველი სიტყვების და ფრაზების გამოყენება, რომელთა მნიშვნელობა თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ზუსტად განმარტება თითქმის არავის შეუძლია. ამგვარ არგუმენტებში გამოყენებულ სიტყვებს დადებითი ფონი აქვს. „თანასწორუფლებიანობა“, „მშვიდობა“ და „ღირსება“ ამგვარი სიტყვების მაგალითებია.

<u>რეკლამის მაგალითზე</u>: „წმინდა, ბუნებრივი, მთის წყაროს წყალი. ჩამოსხმულია სპეციალურად თქვენთვის კოლორადოში, მხოლოდ ჩვენი მთის სუფთა წყაროებიდან.“

Non sequitur ლათინურად: არ გამომდინარეობს. ავტორს მოჰყავს ფაქტები დებულების დასასაბუთებლად, მაგრამ ისინი არ ასაბუთებს მის პოზიციას.
<u>მაგალითად</u>: რადგან პეკინსა და შანხაიში ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიებები, ლანჯოუშიც უნდა ჩატარდეს მნიშვნელოვანი ღონისძიება.

დამრეცი ფერდობი ავტორი ამტკიცებს, რომ მოხდება ჯაჭვური რეაქცია: თუ ერთ მოქმედებას შევასრულებთ, აუცილებლად ჩავსრიალდებით და მთელ გზას გავივლით მოსალოდნელ საშინელ გარემოებამდე.
<u>მაგალითად</u>: თუ მთავრობა რესტორნებში მოწევას აკრძალავს, სულ მალე სიგარეტი საერთოდაც აიკრძალება.

ჩალის კაცი საკუთარი არგუმენტის უფრო ძლიერად წარმოსაჩენად მოჰყავთ ოპონენტის თვალსაზრისის ძალიან სუსტი ვერსია. ეს იმ წესის საპირისპიროა, სარედაქციო სტატიაში მძლავრი კონტრარგუმენტები რომ უნდა ჩავრთოთ.
<u>მაგალითად</u>: „ვიცი, ეს ჩოგანი ძალიან ძვირი ღირს. შენ ყოველთვის მეუბნები, რომ ვარჯიში კარგია. ხომ არ გინდა, რომ გავსუქდე, არა?“

განურჩევლად განზოგადება ავტორი წერს დებულებას, რომელსაც სჭირდება სიტყვები „ზოგიერთი“, „რამდენიმე“, „ბევრი“ და „ჩვეულებრივ“. სხვაგვარად ამას სტერეოტიპიზაცია ეწოდება.
<u>მაგალითად</u>: ყველა ჩინელი კარგად თამაშობს პინგ-პონგს.

რეკომენდაცია ცნობილი ადამიანი (კინოვარსკვლავი, სპორტსმენი, მუსიკოსი ან მომღერალი) გამოყენებულია პროდუქტის („თუ ის ამას იყენებს, მეც უნდა ვიყიდო“) ან იდეის („თუ მას სჯერა, მეც დავიჯერებ“) რეკლამაში.
<u>მაგალითად</u>: „ნახეთ ვიზას რეკლამა იაო მინის და ჯეკი ჩანის მონაწილეობით? ისეთი სასაცილოა. ახალი ვიზა ბარათი ავიღე, ჯიბეში მოდევს.“

ჭორების გავრცელება ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა ადამიანის ზურგს უკან ავრცელებენ მის შეურაცხმყოფელ კომენტარებს.

<u>მაგალითად</u>: „არ ვიცი, რა ნახა ამ ქალში. მას ხომ მხოლოდ ტანსაცმელი და კოსმეტიკა აინტერესებს.“

გაკვეთილი 17

სარედაქციო სტატიის შეფასება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „სარედაქციო სტატიის შეფასება“

ცნობები მასწავლებლისთვის

სარედაქციო სტატია მოსწავლეთა გაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილია. სარედაქციო სტატიის სათქმელი გასაგებია და კარგადაა დასაბუთებული. როგორც მკითხველები აფასებენ გაზეთში დაბეჭდილი სტატიის არგუმენტაციის სიძლიერეს, მოსწავლეებმაც დაბეჭდვამდე უნდა შეაფასონ ერთმანეთის თეზისები, არგუმენტები, აღიარება და დასკვნა. შეფასების პროცესის სწავლა დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეასრულონ საკუთარი სამუშაო.

მიზნები

- მოსწავლეები ისწავლიან როგორც სხვისი, ისე საკუთარი ნაშრომის შეფასებას.
- მოსწავლეები გამოიყენებენ კრიტიკული აზროვნების უნარს, რომ დაადგინონ, საუკეთესო არგუმენტები არის თუ არა გამოყენებული თეზისის საპირისპირო მხარეების დასაცავად.
- მოსწავლეები ისწავლიან, რომ წერა არის პროცესი. გადახედვა და შემოწმება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილებია.
- მოსწავლეები შეიტყობენ, რომ რედაქტირება მთლიანი ნაწერის შეფასებას ნიშნავს და მის გადაკეთებას ნაგულისხმევი მკითხველების და მიზნის შესაბამისად.
- მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ ჯგუფურ პროცესებში, რომ შესთავაზონ შესწორებები ერთმანეთს, რედაქტირება და კორექტურა ერთად გაუკეთონ ერთმანეთის ნაწერებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 2 წუთი

მოსწავლეებს აძლევენ მოთხოვნებს (კვლევასა და ფაქტებზე დამყარებული პოზიცია, მნიშვნელობის ზრდადობის მიხედვით დალაგებული არგუმენტები, სხვათა შეხედულებების ძლიერი მხარეების აღიარება და დასკვნა) და ვადას სარედაქციო სტატიის დასაწერად. ამ გაკვეთილისთვის მოსამზადებლად მათ უნდა დაწერონ სარედაქციო სტატია.

მოსწავლეთა გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს სკოლის საზოგადოება წაიკითხავს და შეაფასებს, ამიტომ კარგი პრაქტიკა იქნება, თუ შეიმუშავებთ კოლეგების მიერ შეფასების ან მოსწავლეთა ნამუშევრების წერა-შემოწმების პროცედურებს მათ გამოქვეყნებამდე.

მოსწავლეები უკვე იცნობენ კოლეგების მიერ შეფასების პროცესს, ამიტომ მხოლოდ მცირე შემზადება სჭირდებათ, რომ გულახდილად შეაფასონ თანაკლასელების სტატიები. მოსწავლეებს შექებაც დაეხმარება და მითითებაც, რა არის გასაუმჯობესებელი მათ ნაწერებში, ყოველი ასეთი შეფასების შემდეგ მოსწავლეთა ნაწერები სულ უფრო დაიხვეწება.

შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ სარედაქციო სტატიებიც ზუსტად ისე უნდა შეაფასონ და რჩევებიც მიიღონ საკუთარ სტატიაზე, როგორც ერთმანეთის გადაღებული ფოტოები და ახალი ამბის ამსახველი სტატიები შეაფასეს. წერა პროცესია. გადახედვა და შემოწმება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილებია.

რედაქტორებს უნდა განუვითარდეთ უნარი, გაარჩიონ, სტატიის რომელი ნაწილებია კარგად დაწერილი და რას სჭირდება გაუმჯობესება, მათ აგრეთვე სჭირდებათ ავტორისთვის რჩევების მიცემის უნარი. რაც უფრო მეტჯერ გამოსცდიან მოსწავლეები ამ პროცედურას, მით უკეთ მოახერხებენ ისინი გახდნენ რედაქტორები – ეს უნარია, რომელიც პროფესიონალებსაც გამოადგებათ.

შეფასების ფურცლის გაცნობა

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლე ჟურნალისტებისთვის რჩევების მისაცემად ჯგუფებმა შეიძლება გამოიყენონ „სარედაქციო სტატიის შეფასება“.

განიხილეთ ფორმატი და 1-დან 5 ქულამდე შესაფასებელი პუნქტები მოსწავლეებთან ერთად. დარწმუნდით, რომ მათთვის გასაგებია ყველა კატეგორია.

სარედაქციო სტატიის შეფასების ფურცლების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ეს ფურცელი თავის რვეულებში ან სარედაქციო სახელმძღვანელოში. როცა მოსწავლე სტატიის დაწერამდე იცნობს „სარედაქციო სტატიის შეფასებას“, მას ახსენდება, რა მოეთხოვება დასრულებულ სარედაქციო სტატიას. მათ ისიც იციან, როგორ შეფასდება მათი ნაშრომი.

შეაფასეთ სარედაქციო სტატია

მეოთხე ეტაპი

დრო: 30 წუთი

დააწყვილეთ მოსწავლეები, რომ წაიკითხონ და შეაფასონ ერთმანეთის ნაშრომი. ამ დროში ისინი მოასწრებენ ერთმანეთისთვის შეკითხვების დასმას, გასაუმჯობესებელი რჩევების მიცემას და კარგად შესრულებული სამუშაოს შექებას.

მასწავლებლებმა უნდა იარონ ოთახში, დააკვირდნენ წყვილებს და უპასუხონ შეკითხვებს.

მასწავლებელს შეუძლია, გადაათვალიეროს სტატია და შეფასების ფურცლები, შემდეგ დასვას კითხვები იმ დეტალების შესახებ, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს. ეს დაეხმარება მოსწავლე ავტორსაც და შემფასებელსაც საკუთარი უნარების დახვეწაში.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 3 წუთი

არაა საჭირო, რომ მასწავლებელმა ოფიციალურად მოაწყოს ყველა დავალების ჯგუფებში განხილვა მთელი წლის განმავლობაში. რამდენიმე თვეში მოსწავლე ავტორები და მათთან მომუშავე რედაქტორები არაოფიციალურად დაიწყებენ ასეთი საუბრების გამართვას. მოსწავლე რედაქტორები ამგვარადვე განიხილავენ დასაბეჭდად ჩაბარებულ ნაშრომებს.

საუკეთესო შემთხვევაში მოსწავლეები საკუთარი თავის რედაქტორები გახდებიან, საკუთარ თავს დაუსვამენ მსგავს შეკითხვებს, შეაფასებენ საუთარ წარმატებას და იმუშავებენ იმ სფეროებზე, რასაც გაუმჯობესება სჭირდება. მათ შეეძლებათ, უთხრან საკუთარ თავს, რა ინტერვიუები და კვლევებია ჩასატარებელი, სადაა ზედმეტი სიტყვები ან ცუდად ფორმულირებული ფრაზა, ლოგიკური შეცდომა ხომ არაა გაპარული, არის თუ არა აღიარება

საკმარისად საფუძვლიანი, გრამატიკის და ლექსიკის რა ასპექტებში სჭირდებათ წესების გარკვევა და მათი გამოყენება.

შესაძლო საშინაო დავალება

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადააკეთონ სარედაქციო სტატიები იმ კომენტარების შესაბამისად, რაც შეფასების დროს მიიღეს. ამ სტატიებს შორის საუკეთესო შეიძლება დაიბეჭდოს მოსწავლეთა გაზეთში ან მოსწავლეთა ვებგვერდზე.

სარედაქციო სტატიის შეფასება

სარედაქციო სტატიების შესაფასებლად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენეთ. კომენტარები შეფასების ძირითადი კომპონენტია. მიეცით ავტორს რჩევები, რომლებიც გამოადგება მას წერის უნარის გასაუმჯობესებლად – როგორც ამ სარედაქციო სტატიაში, ისე შემდგომში სხვა პუბლიცისტურ ესეებში.

1-დან 5 ქულამდე შეფასების სკალა გამოიყენეთ ავტორის დამარწმუნებლობის, შინაარსის, სტილის და ლექსიკური მარაგის შესაფასებლად:

5 აღნიშნავს შესანიშნავ შესრულებას. ავტორი საკუთარ დარწმუნებულობას ბრწყინვალე არგუმენტაციას უმატებს; ის იყენებს კონკრეტულ არსებით სახელებს და მოქმედებითი გვარის ზმნებს. სარედაქციო სტატიას აქვს ნათელი მიზანი და მნიშვნელოვანი ძირითადი იდეა.

4 გამოხატავს, რომ სარედაქციო სტატიას აქვს 5-ზე შესრულებული ნაწერის ყველა თვისება, მაგრამ ისეთი ხარისხიანი არაა და აქვს რამდენიმე შეცდომა.

3 იწერება, როცა შესრულება საშუალოა; კომპონენტები არის, მაგრამ მთლიანი სტატია არაა ორგანიზებული, აკლია ერთიანობა ან აქვს შეცდომები გრამატიკაში, პუნქტუაციაში, ან ლექსიკაში.

2 ნიშნავს, რომ ავტორს ესმის, რა მოეთხოვება, მაგრამ ცუდად ასრულებს.

1 ნიშნავს, რომ არ შეესაბამება კრიტერიუმებს, აკლია საჭირო ელემენტები. ავტორი ვერ ხვდება სარედაქციო სტატიის დაწერის მიზანს და წერის პროცესს. სტატიაში ბევრი შეცდომაა სტილში, გრამატიკასა და პუნქტუაციაში.

სარედაქციო სტატიის ავტორი _____

მიზანი. სარედაქციო სტატიებს შეუძლია ახსნას და განმარტოს, გააკრიტიკოს, დაარწმუნოს, შეაქოს და გაართოს. აქვს სარედაქციო სტატიას მიზანი, ასრულებს ამ მიზანს?

1 2 3 4 5 კომენტარები:

შესავალი. შესავალი აბზაცი თემას აცნობს მკითხველას და დამაჯერებლად წარუდგენს თეზისს ან თვალსაზრისს.

1 2 3 4 5 კომენტარები:

სტრუქტურა: სარედაქციო სტატიები იწერება, როგორც განმარტებითი ესე, შესავლით, შუა ნაწილით და დასკვნით.

1 2 3 4 5 კომენტარები:

აღიარება. სარედაქციო სტატიებში ხშირად გვხვდება საწინააღმდეგო აზრის აღიარება. თუ სარედაქციო სტატიაში აღიარება არაა, აქვს თუ არა სტატიას გარკვეული მიზეზი, რატომ არ ჩართო აღიარება?

1 2 3 4 5 კომენტარები:

მსჯელობის განვთარება. სტატიის შუა ნაწილი უნდა ასახავდეს კვლევას; ის უნდა შეიცავდეს ფაქტებს, მაგალითებს და ილუსტრაციებს თეზისის დასამტკიცებლად.

1 2 3 4 5 კომენტარები:

დასკვნა. ბოლო აბზაცი უნდა მთავრდებოდეს შესაფერისად და დამარწმუნებლად.

1 2 3 4 5 კომენტარები:

პირი. სარედაქციო სტატიის ავტორები უნდა ერიდონ პირველი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელების გამოყენებას, რადგან ისინი მთელი გაზეთის სახელით ლაპარაკობენ. თუ საჭიროა, მათ შეიძლება გამოიყენონ რედაქციის აღმნიშვნელი „ჩვენ“.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ტონი. სარედაქციო სტატია უნდა ასახავდეს ლოგიკურ აზროვნებას. მკითხველი უნდა გრძნობდეს, რომ მას მცოდნე ადამიანი ესაუბრება.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ლოგიკა. სარედაქციო სტატია არ უნდა შეიცავდეს ლოგიკურ შეცდომებს.

1 2 3 4 5 კომენტარები:

სტილი. სარედაქციო სტატიის ავტორი ირჩევს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მკითხველთან ურთიერთობაში ეხმარება. თუ ტექნიკური ტერმინების გამოყენებაა საჭირო, ის წერს განმარტებას ან კონტექსტს, რომ მკითხველებმა შეძლონ რთული ინფორმაციის გაგება.

1 2 3 4 5 კომენტარები:

ტექნიკური საკითხები. სარედაქციო სტატიის პუნქტუაცია და გრამატიკა კარგადაა რედაქტირებული.

1 2 3 4 5 კომენტარები:

შემფასებელთა ჯგუფი _____, _____, _____

გაკვეთილი 18

ბუნებრივი ფოტოგრაფია და წარწერა ფოტოს ქვეშ

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: პროექტორი, ეკრანი, ლეპტოპი

დასარიგებელი მასალა: პეუერპოინტის მასალები შენიშვნებით: „ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა“, „რჩევები ბუნებრივი ფოტოგრაფიისთვის“, „დაწერეთ სურათის წარწერა“

ცნობები მასწავლებლისთვის

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ბევრ მოსწავლეს აქვს სურათების გადაღების გამოცდილება, მაგრამ მათი პირადი ფოტოების უმეტესობა დადგმულია, არაა ბუნებრივი. ბუნებრივი ფოტოგრაფიის დროს ადამიანები ჩვეულებრივ საქმიანობენ, მათ ან არ იციან, რომ სურათს უღებენ, ან ეს არ ახდენს გავლენას მათ ქცევაზე. მოსწავლეებს დახმარება დასჭირდებათ, რომ თვალი შეაჩვიონ ისეთი ადამიანების გადაღებას, ბუნებრივად და სპონტანურად რომ იქცევიან და არა ისე, როგორც ფოტოგრაფი ეტყვით. გარდა ამისა, მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რა განსხვავებაა ბუნებრივ და დადგმულ ფოტოებს შორის.

ახალი ამბების და სპორტის ფოტოები არასოდესაა სპეციალურად გაზეთისთვის დადგმული. ფოტოჟურნალისტები ფრთხილობენ, რომ არ შეცვალონ რეალობა, ამიტომ არ სთხოვენ ადამიანებს ფოტოსთვის პოზირებას. ეს მისაღებია პირად ფოტოებში, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოიყენება ფოტოჟურნალისტიკაში.

მიზნები

- მოსწავლეები ისწავლიან, რა განსხვავებაა დადგმულსა და ბუნებრივ ფოტოგრაფიას შორის.
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ კრიტიკული ხედვა, რომ შეარჩიონ შესაფერისი ფოტო პუბლიკაციისთვის.
- მოსწავლეებს ექნებათ პრაქტიკა ფოტოსთვის წარწერის გაკეთებაში.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 20 წუთი

აჩვენეთ პეუერპოინტის პრეზენტაცია „ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა“ და იმსჯელეთ მის შენიშვნებში მოცემულ რჩევებსა და წესებზე. მასწავლებლისთვის პრეზენტაციის სრული ტექსტი ჩაწერილია. დროდადრო შეაჩერეთ პრეზენტაციის ჩვენება და უპასუხეთ მოსწავლეთა შეკითხვებს.

დაურიგეთ კლასს ამობეჭდილი პრეზენტაცია შენიშვნებით, რათა გამოიყენონ ის წარწერების გაკეთების სავარჯიშოს შესრულებისას. დაურიგეთ მათ „ბუნებრივი ფოტოგრაფია: რჩევები“. ამ მასალაში მოცემული ინფორმაციის ნაწილი პეუერპოინტშიც იყო. მოსწავლეებმა ეს რჩევები სახელმძღვანელოდ უნდა გამოიყენონ ბუნებრივ ფოტოგრაფიაში შემდგომი დახელოვნებისთვის.

მეორე ეტაპი

დრო: 10 წუთი

პეუერპოინტის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დაურიგეთ მოსწავლეებს „სავარჯიშო: დაწერეთ სურათის წარწერა“. განიხილეთ ფოტოზე წარწერის ნიმუში. დაყავით მოსწავლეები ორ ან სამკაციან ჯგუფებად და გაუკეთონ წარწერები პეუერპოინტში მოცემულ ფოტოებს. თითოეულ ჯგუფს დაავალეთ თითო ფოტოსთვის წარწერის მოფიქრება.

მესამე ეტაპი

დრო: 8 წუთი

მოსწავლეებმა ხმამაღლა უნდა წაუკითხონ მთელ კლასს თავისი მოფიქრებული ფოტოს წარწერები. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ წარწერები იყოს ლაკონური, აწმყო დროში დაწერილი და იმაზე მეტ ინფორმაციას იძლეოდეს, ვიდრე ფოტოზე ჩანს.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ბუნებრივ ფოტოგრაფიას შეუძლია მოსწავლეთა გაზეთის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. ის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რის მიხედვითაც მკითხველები აფასებენ პუბლიკაციას. როცა ადამიანი იღებს გაზეთს, ის სწრაფად ათვალიერებს მის გვერდებს, ეძებს რაიმე საინტერესოს წასაკითხად. თუ გაზეთში

დადგმული ფოტოების მეტი არაფერია, ის მოსაწყენი და უინტერესო ეჩვენებათ. ბუნებრივი ფოტოგრაფია საინტერესოს ხდის პუბლიკაციას და ეხმარება მოსწავლეებს, ცხოვრების რეალური მომენტები დაიჭირონ.

თქვენი მოსწავლეები მხოლოდ ჟურნალისტები კი არა, ფოტოჟურნალისტებიც იქნებიან. როგორც ფოტოჟურნალისტებმა, მათ სიზუსტის, მიუკერძოებლობისა და სიცხადის იგივე სტანდარტები უნდა დაიცვან. მათ უნდა გადაიღონ ისეთი სინამდვილის სურათები, როგორიც არსებობს და არა ისეთის, როგორსაც თვითონ შექმნიან. მათ დეტალები და ემოციები უნდა დაიჭირონ მოვლენებში. ფოტოსურათები, რომლებსაც ისინი ჩააბარებენ, მანიპულაციების შედეგი არ იქნება.

მოსწავლეებმა უნდა გადაიღონ მოსწავლეთა და უფროსების ცხოვრება თქვენს სკოლაში – არა მხოლოდ საკუთარი მეგობრები.

შესაძლო საშინაო დავალება

ბუნებრივი ფოტოებისათვის თვალის შესაჩვევად მოსწავლეებმა შეიძლება მოიტანონ ასეთი ფოტოების მაგალითები, რასაც ინტერნეტში ან ჟურნალ-გაზეთებში იპოვიან. მოსწავლეებმა ისინი განცხადებების დაფზეც შეიძლება გამოაკრან. მოსწავლეებს შეუძლიათ, ზეპირად გააანალიზონ ამ ფოტოების წარწერებიც, რომ გაიგონ, რა ტიპის ინფორმაციას შეიცავს ისინი. შეიცავს წარწერა ციტირებას? მოცემულია მასში ძირითადი ინფორმაცია?

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- მოცემულია პეუერპოინტის „შენიშვნებში“.

დასარიგებელი მასალა

ბუნებრივი ფოტოგრაფია: რჩევები

1. **გადაიღეთ იმაზე მეტი ფოტო, ვიდრე დაგჭირდებათ.**
    a. მოსწავლე ფოტოჟურნალისტების ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ საკმარისი არჩევანი არა აქვთ ხოლმე, რომლიდანაც შემდეგ საჭირო ფოტო უნდა აირჩიონ.
    b. დიდი ფოტოგრაფები უბრალოდ იღებენ და იღებენ. *National Geographic*-ის მიხედვით, „თუ დაინახე, გადაიღე“.
    c. აღბეჭდე ფირზე ახლავე, რადგან შეიძლება მერე ვეღარ ნახო.
    d. თითოეული შესრულებული დავალებიდან 40-60 ფოტო უნდა მოიტანო.
    e. პროფესიონალები იღებენ მინიმუმ 10:1 პროპორციით; **მოსწავლეებმა 20:1 უნდა გადაიღონ**. დააყენეთ თქვენი ფოტოაპარატი “burst” რეჟიმზე, როცა ის თითის ერთხელ დაჭერით რამდენიმე კადრს გადაიღებს.
    f. საკუთარ შეცდომებზეც შეიძლება სწავლა – მას შემდეგ, რაც დაუშვებთ შეცდომებს და შესაფასებლად მოიტანთ.
    g. ისეთი უბრალო სურათების შემთხვევაშიც კი, როგორიცაა ადამიანი სახე, ერთ ადამიანს ხუთი ფოტო მაინც გადაუღეთ.
2. **წინასწარ განჭვრიტეთ ადამიანთა ქცევა და აღბეჭდეთ მომენტი.**
    a. საკლასო ოთახის „მოსაწყენ“ კადრებშიც კი ბევრი რამის დანახვა შეიძლება, დაძაბულობის, აღტაცების, ან... მოწყენილობის. რატომ არ უნდა ავსახოთ ეს? ეს ხომ ყველასთვის საერთოა მთელ სკოლაში.
    b. დაელოდეთ მთქნარებას, ხელის მოძრაობას, ცრემლებს ან ღიმილს. იპოვეთ მგზნებარე გულშემატკივარი ტრიბუნებზე, სახასიათო პერსონაჟი, ბედნიერი მოსწავლე.
3. **მიუახლოვდით გადასაღებ ობიექტს.**
    a. „თუ თქვენი სურათები არ ვარგა, ესე იგი, თქვენ არ მისულხართ ახლოს“, თქვა ცნობილმა უნგრელმა ფოტოგრაფმა რობერტ კაპამ.
    b. დამწყებ ფოტოგრაფთა უმეტესობას ეშინია ახლოს მისვლის.

c. თქვენი ფოტოაპარატი არის თქვენი ნებართვა, რომ იაროთ და სხვა რაკურსებიდან დაინახოთ.

d. საკლასო ოთახში ან კერძო საკუთრების ადგილას, ვთქვათ, ვინმეს სახლში ან სამსახურში, გადაღებისას აუცილებლად აიღეთ ნებართვა.

e. დაიჭირეთ მოძრაობა სახის გამომეტყველების, თვალებისა და ხელების.

4. სადაც წახვალთ, ყველგან თან ატარეთ ფოტოაპარატი.

a. კარგი ფოტოგრაფი ფოტოაპარატს საკუთარი თვალების დამატებად თვლის.

b. ყველას გაუზიარეთ ფოტოები – მიიღეთ მეტი რჩევები და მოტივაცია შემდეგი ფოტო დავალებების შესასრულებლად.

c. თქვენ მხატვარი ხართ; ფოტოსურათი თქვენი ტილოა!

5. წარწერა სურათზე

a. ფოტოგრაფი ფოტოჟურნალისტიცაა. თქვენ მარტო ფოტოებით კი არა, სიტყვებითაც უნდა გადმოგვცეთ ამბები. როცა ფოტოებს იღებთ, თქვენ გევალებათ ინფორმაციის შეგროვება წარწერისათვის. თქვენ უნდა ჩაიწეროთ გადაღებული ადამიანების სახელები და გვარები. მოსწავლეების გადაღების შემთხვევაში ისიც ჩაიწერეთ, რომელ კლასში არიან. მასწავლებლების შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რა საგანს ასწავლიან.

b. წარწერები სურათის ქვემოთ კეთდება და გვეუბნება იმაზე მეტს, რაც ისედაც ჩანს ფოტოზე.

c. წარწერა ხშირად ასახავს ამბის, სტატიის ძირითად აზრს.

d. ზოგჯერ წარწერაში მოყვანილია ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანის ციტატა იმის შესახებ, როგორ გრძნობდა თავს იმ მომენტში.

e. წარწერა მოკლე უნდა იყოს – ერთი ან ორი წინადადება გაგვაგებინებს, რა ხდება ფოტოზე.

f. სურათის აღმწერი წინადადება აწმყო დროში უნდა იყოს დაწერილი.

6. დავალების მაგალითები

a. ადამიანები: თემატურად გადაიღეთ ადამიანის სახეები. გააკეთეთ პორტრეტების სერია. გადაუღეთ ადამიანებს შინაურ ცხოველებთან ერთად, ან უბრალოდ, მოღიმარ ადამიანებს. ეს დაგეხმარებათ, უკეთ გაეცნოთ თქვენს

ფოტოაპარატს და გასწავლით, როგორ სთხოვოთ ადამიანებს მათი ფოტოს გადაღების ნებართვა.

b. განმეორებადი ფორმები და პეიზაჟები: ნახეთ, რამდენი სხვადასხვა ფორმის აღბეჭდვა შეიძლება ფირზე სკოლის ახლომახლო.

c. ერთი დღე ცხოვრებიდან: აედევნეთ თქვენს დირექტორს (ან ვინმე სხვა ადამიანს დასვენების დღეებში) მთელი დღის განმავლობაში და გადაიღეთ მისი საქმიანობები: მასწავლებლებთან შეხვედრები, საკლასო ოთახებში ვიზიტები, სადილობა, დოკუმენტების განხილვა და სხვა.

d. მოვლენის გაშუქება: გადაიღეთ სკოლაში მოწვეული სტუმარი, პინგ-პონგის თამაში ან ბადმინტონის ტურნირი.

e. სურათები თემაზე. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა „ლურჯი“ [blue]. გადაუღეთ სურათები ყველაფერს, რაც ლურჯია, მოძებნეთ შემოქმედებითი გზები ამ თემაზე გადასაღებად: ლურჯი თვალის ჩრდილი, ლურჯი ჯინსი, ან „ლურჯი“ ადამიანი, რაც „სევდიანს“ ნიშნავს. [ინგლისური იდიომა, ქართველისთვის არაფრისმთქმელია- მთარგმნ. შენიშვნა]

f. შეჯიბრი ფოტოების შეგროვებაში: შეადგინეთ 20 საგნის ან ადგილის სია, რასაც მოსწავლეებმა სურათი უნდა გადაუღონ სკოლის სიახლოვეს. დანიშნეთ დრო და ნახეთ, მოასწრებენ თუ ვერა მოცემულ დროში გადაიღონ სიაში აღნიშნული ყველა ობიექტი. აქაა მოცემული, რამდენიმე მაგალითი, რისი შეტანაც შეიძლება სიაში:

- წითელი ველოსიპედი
- ბადმინტონის ჩოგანი
- ვარდისფერი ყვავილი
- კაფეტერიის საჭმელი
- ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლაში

7. სხვა რჩევები მოსწავლეებისთვის

a. ფოტოგრაფები საკუთარ თავს ხელოვანებად თვლიან, რომლებმაც ყოველდღიურად უნდა ავარჯიშონ თვალი.

b. მაგალითებად შეიძლება გამოიყენოთ როგორც პროფესიონალთა ფოტოგრაფია, ისე მოსწავლეთა ფოტოები. მოსწავლეებმა ყოველთვის

შეიძლება ერთმანეთისგან ისწავლონ, თუ გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ფოტოებს.

c. წიგნები, გაზეთები და ონლაინ გალერეები გამოდგება ყოველდღიური მაგალითების სანახავად. შეაგროვეთ „დღის ფოტოები“.
d. შედეგიანია ფოტოს ზეპირი ანალიზი კლასის წინაშე.
e. საკლასო ოთახის კედლებზე ფოტო გალერეა მოაწყეთ. გამოფინეთ მასწავლებლების და მოსწავლეების ფოტოები.
f. მოსწავლეებს ყველა ფოტო USB-ზე უნდა ჰქონდეთ შენახული. სემესტრის ბოლოს თითოეული შექმნის პორტფოლიოს, სადაც დაწერს, რა წინსვლა განიცადა, როგორც ფოტოგრაფმა სასწავლო წლის დასაწყისიდან აქამდე.
g. დაწერეთ ფოტოების შესახებ ფოტოსურათის ანალიზის დავალებაში. მოსწავლეებმა შეიძლება მოიტანონ საყვარელი ფოტო და დაწერონ ერთ-გვერდიანი ანალიზი, რომელშიც გამოიყენებენ ფოტოგრაფიის ლექსიკას.

სავარჯიშო: დაწერეთ სურათის წარწერა

მითითებები: განიხილეთ წესი #5 წარწერების გაკეთების შესახებ პრეზენტაციისას „ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა“ და შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითი. თქვენი მასწავლებელი დავალებად მოგცემთ ერთ-ერთ სურათს პაუერპოინტის პრეზენტაციიდან „ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა“. თქვენს გვერდით მჯდომთან ერთად დაწერეთ პატარა, ორწინადადებიანი წარწერა, რაც იმაზე მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე ფოტოზე ჩანს. ამ სავარჯიშოსთვის შეგიძლით გამოგონილი ამბის დაწერა.

მაგალითი:

ახალგაზრდა ერიკ რობერტსს უყვარს ყოველ შაბათ-კვირა ველოსიპედით გასეირნება გადმოსახედამდე, საიდანაც ლოს-ანჯელესის ხედი ჩანს. „ეს ნამდვილად ღირს 10 კილომეტრის გამოვლად," ამბობს ის.

თქვენთვის დავალებად მოცემულ პეუერპოინტის პრეზენტაციაში ფოტოს ქვემოთ დაწერეთ თქვენი წარწერა.

გაკვეთილი 19

პიროვნების პორტრეტი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, ხმის ჩამწერი და/ან ვიდეოკამერა, მიკროფონები

დასარიგებელი მასალა: „პიროვნების პორტრეტის დავალება", „პრესკონფერენცია", მასწავლებლის დამზადებული „ფაქტების ჩამონათვალი"

ცნობები მასწავლებლისთვის

სტატია ძირითად თემაზე არ არის ახალი ამბების შესახებ და მისი გამოქვეყნება არაა საჭარო. ძირითად თემაზე სტატიებს „უბრალოდ" ახალი ამბების კატეგორიას მიაკუთვნებენ, „ძირითადი" ახალი ამბებისგან განსხვავებით. ამ კატეგორიაში შედის სტატიები საინტერესო ადამიანებისა და ტენდენციების შესახებ.

მოსწავლეები ძირითად თემაზე სტატიების წერას გაეცნენ კითხვა-პასუხის ტიპის სტატიის წერისას. ეს დავალება კითხვა-პასუხის თემის გაგრძელებას წარმოადგენს.

პიროვნების პორტრეტი ძირითადი თემაა, რომელიც საინტერესო ახალი ამბების კატეგორიას მიეკუთვნება. აქ პორტრეტის ობიექტი შეიძლება იყოს ახალი ამბების ღირებულების მქონე: ცნობილი, ან ძალაუფლების მქონე ადამიანი, საზოგადოების რაიმე სეგმენტის წარმომადგენელი, ან პიროვნება, ვის შესახებაც მკითხველებს სურთ რაიმეს გაგება. ავტორი ამზადებს პორტრეტს კვლევის ჩატარების გზით, აგროვებს ინფორმაციას და წერს შეკითხვებს.

პორტრეტი წარმოადგენს ინდივიდის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის ნაკრებს. ავტორი პოულობს ხედვის კუთხეს, ან პიროვნების რაიმე ასპექტს, რომელიც ეხმარება მას სტატიის შეკვრაში დასაწყისიდან ბოლომდე, რათა ერთიანი და შეკრული ჟურნალისტური ნაწარმოები მიიღოს.

მიზნები

- მოსწავლეები ჩაატარებენ პრესკონფერენციას, ესაა პროცესი პორტრეტისთვის ინფორმაციის შესაგროვებლად.
- მოსწავლეები პროფესიონალურად მოიქცევიან პრესკონფერენციაზე.
- მოსწავლეები დაწერენ საინტერესო შესავალს, რათა დააინტერესონ მკითხველი და გააგრძელებინონ პორტრეტის კითხვა.
- მოსწავლეები შეაფასებენ შეგროვილ ინფორმაციას, აირჩევენ ხედვის კუთხეს და საჭირო ინფორმაციას.
- მოსწავლეები გამოიყენებენ ციტატებს პიროვნების უკეთ დასანახებლად, ინფორმაციის გადმოსაცემად და პორტრეტის საჭირო კუთხით წარმოსაჩენად.
- მოსწავლეები დაწერენ პიროვნების პორტრეტს, რომელიც დაგვანახებს მათ უნარს, ზუსტად გააკეთონ ციტირება, დაწერონ სტატია შესავლიდან დასკვნამდე, ჩაურთონ შესაფერისი ფაქტები.
- მოსწავლეები შეიმუშავებენ სხვა მოსწავლეთა შესახებ მიუკერძოებლად წერის პროცედურას.

შენიშვნა მასწავლებლებისთვის

ამ პროექტისთვის საჭიროა ხუთი გაკვეთილი და მოსწავლეთა კლასგარეშე დრო, რომ დაწერონ სტატიები. პიროვნების პორტრეტის წერის პროცესი სამი გაკვეთილისგან შედგება:

- „გაკვეთილი 19: პიროვნების პორტრეტი“
- „გაკვეთილი 20: სტატიის ლიდის სახესხვაობები“
- „გაკვეთილი 21: პიროვნების პორტრეტის შეფასება“

პრესკონფერენციის მეთოდი იმიტომ შეირჩა, რომ მას უფრო ნაკლები დრო სჭირდება შესასრულებლად და მოსწავლეებს აძლევს პორტრეტის დაწერის შესაძლებლობას.

მე-19 გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლები სთავაზობენ, პორტრეტის წერა მოგვიანებით გააგრძელონ, როცა მოსწავლე ჟურნალისტები გახდებიან.

დღე პირველი

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილის დაწყებამდე

გაკვეთილის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე მოიწვიეთ ადმინისტრატორი, მასწავლებელი ან მოსწავლე თქვენი სკოლიდან და ინტერვიუ ჩაუტარეთ კლასში. ეს ადამიანი უნდა გააფრთხილოთ, რომ ეს თქვენი მოსწავლეების პირველი გამოცდილებაა პრესკონფერენციის ჩატარების. მას უნდა სურდეს, დაეხმაროს მათ ინტერვიუს უნარის დახვეწაში.

ითხოვეთ ნებართვა, რომ გააკეთოთ ინტერვიუს ჩანაწერი. ძალიან დაგეხმარებათ, თუ ინტერვიუს ვიდეოჩანაწერს გააკეთებთ. ამ ჩანაწერის გამოყენება შეგიძლიათ:

- იმის საჩვენებლად, როგორ უნდა დაადასტუროთ რესპონდენტის ნთქვამი ზუსტი ციტირებისთვის.
- აჩვენოთ მოსწავლეებს სხეულის ენა, ტანსაცმელი და სხვა თვისებები, რაც სტატიისთვის გამოდგება.
- აჩვენოთ, როგორ ამყარებენ მოსწავლეები თვალის კონტაქტს და როგორ გამოხატავენ რესპონდენტის პატივისცემას.

თქვენ შეგიძლიათ, მოიწვიოთ ადმინისტრატორი, ვინც ხელმძღვანელობს ჟურნალისტიკის პროექტს, ჟურნალისტიკის კლასის დამხმარე მასწავლებელი ან მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეთა სხვა აქტივობებს ხელმძღვანელობს, რომელთა გაშუქებაც კარგი იქნებოდა

მოსწავლეთა გაზეთისთვის. შეგიძლიათ, მოიწვიოთ რაიმე განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლე, ვის შესახებ დაწერაც საინტერესო იქნება თქვენს მოსწავლეთა გაზეთში. შეგიძლიათ, მოიწვიოთ საზოგადოების რომელიმე წევრი. მიზანი ისაა, რომ მოსწავლეებმა პორტრეტის წერის გამოცდილება მიიღონ. გარდა ამისა, შედეგად შეიძლება მიიღოთ პუბლიკაცია, რომელიც გამოსაქვეყნებლად გამოდგება.

როცა რესპონდენტს დაითანხმებთ, მოამზადეთ ფაქტების ჩამონათვალი თქვენ თვითონ შეიძლება მოამზადოთ ან სტუმარს სთხოვოთ მისი მომზადება. ეს იქნება ინფორმაცია იმ ადამიანზე, რომელიც პრესკონფერენციაზე გყავთ მოწვეული და ვისი დახასითებაც უნდა დაწეროთ: ვინაობა, თანამდებობა, მიღებული ჯილდოები; განათლება, პროფესია და ინტერესები. მოცემული აუცილებლად უნდა იყოს სწორად დაწერილი სახელი.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

შეახსენეთ მოსწავლეებს, როგორ დაწერეს კითხვა-პასუხით პორტრეტი-სტატია. რას მოჰყვა ყველაზე საინტერესო შეკითხვები და პასუხები? მოსწავლეების პასუხები შეიძლება შეიცავდეს:

- რესპონდენტის შესახებ რაიმეს ცოდნას ინტერვიუს დაწყებამდე.
- შეკითხვების ისე ფორმირებას, რომ უფრო გონივრული პასუხები მიიღონ.
- მომყოლი შეკითხვების ფორმირებას.
- დემონსტრირებას, რომ ნამდვილად მაინტერესებს და მინდა მის შესახებ მეტი ვიცოდე.
- ფიქრს კითხვა-პასუხის თანმიმდევრობით დალაგების შესახებ.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ უნდა დააგროვონ გამოცდილება ინტერვიუების ჩატარებით და კითხვა-პასუხების წერით. შემდეგ ისინი უფრო რთულ პროექტზე დაიწყებენ მუშაობას – პიროვნების პორტრეტის დაწერა პრესკონფერენციის შედეგად.

დღეს თქვენ პორტრეტებს განიხილავთ. შემდეგ გაკვეთილზე მოემზადებით პრესკონფერენციისთვის. პრესკონფერენცია მესამე გაკვეთილზე ჩატარდება. გარდა ამისა, გექნებათ გაკვეთილი, როგორ იწერება შესავალი პიროვნების პორტრეტისთვის.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მიეცით მოსწავლეებს „პიროვნების პორტრეტის დავალება“. მათთან ერთად განიხილეთ დავალების ფაილი, რომ იცოდეთ, რა მოთხოვნებია პორტრეტის დასაწერად. ამ მასალაში აღწერილია პორტრეტის თვისებებიც.

მეოთხე ეტაპი

დრო: 20 წუთი

დაურიგეთ მოსწავლის მიერ დაწერილი პორტრეტის მაგალითი. „პეილის მოსწავლე არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის ჰაიტიზე განათლების დასახმარებლად“, დაწერილია პალო-ალტოს (კალიფორნია) საშუალო სკოლის მოსწავლის ზარინ აჰმადის მიერ. (შენიშვნა: „პეილი“ შემოკლებული დასახელებაა, რომლითაც მოსწავლეები და საზოგადოება პალო-ალტოს საშუალო სკოლას მოიხსენიებენ.)

მასწავლებლებმა ისიც უნდა აღნიშნონ, რომ პეილის მოსწავლე ნიტაი მალქინის ციტირებასთან ერთად აჰმადს ნიტაის მამის ციტატებიც მოჰყავს. პრესკონფერენციის შემთხვევაში ორგვარად შეიძლება მივიღოთ ერთზე მეტი ადამიანის მოსაზრებები. პრესკონფერენციაზე შეიძლება მოვიწვიოთ მამაც და შვილიც, ან მასწავლებელმა შეიძლება აიღოს ინტერვიუ ომერ მალქინთან, რათა ციტატებით შეავსოს ფაქტების ჩამონათვალი.

მასწავლებლებმა შეიძლება მოძებნონ და გააცნონ მოსწავლეებს პიროვნების პორტრეტის მაგალითები ჩინური მედიიდანაც.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 5 წუთი

შეაჯამეთ პორტრეტის დავალება. მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ პორტრეტი ადამიანის შესახებაა. ამ ადამიანის სამსახური ან ორგანიზაციის ლიდერობა შეიძლება გახდეს მისი კლასში მოწვევის საბაბი, მაგრამ პორტრეტი იწერება იმ პიროვნების შესახებ, ვინც ამ სამუშაოს აკეთებს ან ამ თანამდებობაზე მუშაობს. მაგალითად, პორტრეტი არ არის ამ ადამიანის სამსახურის შესახებ დაწერილი, მაგრამ შეიძლება იმის შესახებ იყოს, რა

დამოკიდებულება აქვს მას სამსახურის მიმართ და როგორ შეესაბამება მისი სამსახური მის იდეებსა და იდეალებს.

შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეები პრესკონფერენციისთვის მოემზადებიან.

პორტრეტის გავრცობა

დრო: 10-დან 15 დღემდე

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მეტ გამოცდილებას მიიღებენ ჟურნალისტურ წერაში, პიროვნების პორტრეტის წერის შემდეგი ეტაპი დგება, ესაა პიროვნების შერჩევა, ვის პორტრეტსაც დაწერენ. ამ პორტრეტის დაწერა კარგი დავალებაა მეორე სემესტრისთვის ან მეორე წლისთვის.

ამ ტიპის პორტრეტს სჭირდება:

- დაკვირვება დასახასიათებელ ადამიანზე სახლში, სკოლაში, სამსახურში ან სხვა შესაფერის ადგილას,
- ორი ინტერვიუ მასთან და
- ინტერვიუები ორიდან ხუთამდე სხვა ადამიანთან, ვინც კარგად იცნობენ მას.

ჟურნალისტიკის მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ რომელიმე კონკრეტული მოსწავლის პორტრეტის დაწერა ან მოძებნა იმ მოსწავლის ან უფროსის, რომლის პორტრეტის დაწერაც სურთ.

მოსწავლეებს დასჭირდებათ დრო, რომ დაგეგმონ დაკვირვება და დააკვირდნენ იმ ადამიანს, ვის პორტრეტსაც წერენ, კლასში, სახლში ან საერთო საცხოვრებელში, ან რაიმე მოქმედების შესრულებისას, რაც მნიშვნელოვანი ნაწილია მისი ცხოვრების. შემდეგ მათ უნდა განსაზღვრონ სხვა ადამიანები, ვისგანაც აიღებენ ინტერვიუს: მაგალითად, თანაკლასელები, მეგობრები, ოჯახის წევრები, მასწავლებლები ან მწვრთნელები.

მასწავლებლებმა უნდა დაიწყონ ამგვარი პორტრეტების შეგროვება შემდგომი გამოყენებისთვის, როცა ამას დასაწერ დავალებად მისცემენ.

რადიოს და ტელევიზიის მასწავლებლებს, რომლებიც პოდკასტებს აკეთებენ მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდისთვის, ინტერნეტში არსებობს რადიოს ოთხწლიანი კურიკულუმი

ინგლისურ ენაზე, მასში პორტრეტის განყოფილებაც შედის. მისი უფასოდ გადმოწერა შესაძლებელია:

Feature: Profile

http://hsbj.org/learning/plans.php?id=4

რადიოს ოთხწლიანი კურიკულუმის 21-ე გაკვეთილში ნაბიჯ-ნაბიჯაა აღწერილი რადიოპორტრეტის შექმნა.

ამ პროცედურას შეიძლება მოჰყვეს პოდკასტის ან ვიდეოპორტრეტის შექმნა.

დღე 2

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 10 წუთი

აუხსენით მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი პრესკონფერენციის ჩასატარებლად მოემზადებიან, რაც მათი პირველი ნაბიჯი იქნება პორტრეტის დასაწერად.

აუხსენით პრესკონფერენციის პროცედურა. ის უნდა შეიცავდეს:

- მოწვეული სტუმარი წინ უნდა იჯდეს.
- თუ სტუმარი ჩანაწერის გაკეთებას დათანხმდა, აუხსენით პროცედურა. თუ მოსწავლეები უნდა დაიხმაროთ მიკროფონის დადგმასა და კამერის მომზადებში, უზრუნველყავით, რომ მათ იცოდნენ საკუთარი მოვალეობა.
- სტუმრის წარდგენის შემდეგ მოსწავლეები თავად გამოთქვამენ სურვილს, ვინ დასვამს პირველ შეკითხვას, ან მასწავლებელი შეარჩევს.
- სტუმარი გამოიძახებს მოსწავლეს კითხვის დასასმელად. მოსწავლეები ხელის აწევით აჩვენებენ, რომ კითხვის დასმა სურთ. ერთი მოსწავლის შერჩევის შემდეგ დანარჩენები ხელს დაბლა უშვებენ, ვიდრე სტუმარი ბოლომდე არ უპასუხებს შეკითხვას და მის მომყოლ კითხვასაც.
- სტუმარმა შეიძლება უარი თქვას პასუხზე. თუ ასე მოხდა, მოსწავლეები ზრდილობიანად უნდა მოიქცნენ, თუმცა, შეიძლება სცადონ იმავე კითხვის სხვაგვარად დასმა.
- პრესკონფერენცია 20 წუთს გაგრძელდება.

- შეარჩიეთ მოსწავლე, ან გამოიძახეთ მსურველი, რომელსაც მომზადებული აქვს ბოლო შეკითხვა, ინტერვიუს მე-19 წუთზე. ეს იქნება იმის მაჩვენებელი სტუმრისთვისაც და სხვა მოსწავლეებისთვისაც, რომ მეტი შეკითხვა აღარ უნდა დაისვას.

მოამზადეთ ინტერვიუს შეკითხვები

მეორე ეტაპი

დრო: 25 წუთი

მიეცით მოსწავლეებს ფაქტების ჩამონათვალი, რომელიც თქვენ ან მოწვეულმა სტუმარმა მოამზადეთ. განიხილეთ ინფორმაცია, რაც გაქვთ რესპონდენტის შესახებ. ინფორმაცია შეიცავს სახელს, თანამდებობას, მიღებულ ჯილდოს; განათლებას, სამსახურს, ინტერესებს. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია შეკითხვების მომზადების დროს, რათა პრესკონფერენციის დროს არ დასვან კითხვები ამ ძირითადი ინფორმაციის მისაღებად.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, რომ გაიაზრონ ამ ინფორმაციის მნიშვნელობა მონაცემებიდან პიროვნების გასაცნობად. მათ უნდა გამოიყენონ ეს ბიოგრაფიული ინფორმაცია, რათა დაიწყონ ადამიანის გაცნობა. მოსწავლეები ამ ძირითად ინფორმაციას შეკითხვების მოსამზადებლად გამოიყენებენ.

მიეცით მოსწავლეებს რვა წუთი ან მეტი, რომ მოამზადონ ორიდან ხუთამდე შეკითხვა.

განიხილეთ მოსწავლეთა მომზადებული კითხვები. რა ინფორმაციის მიღება სურთ? როგორ შეიძლება ამ შეკითხვის უკეთესად ჩამოყალიბება?

შეჯამება

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

ფაქტების ჩამონათვალი ამ დავალების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ის გვაწვდის ძირითად ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს, მეტი გაიგონ ინდივიდის შესახებ მონაცემებიდან და ბიოგრაფიული ინფორმაციიდან.

პრესკონფერენცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დასვან კითხვები და მოისმინონ მათი პასუხები. მოსწავლეები ყურადღებით უნდა იყვნენ მთელი პრესკონფერენციის

განმავლობაში, რომ რაც შეიძლება მეტი გაიგონ. ისინი უნდა დააკვირდნენ სხეულის ენას, ჟესტებს და მანერებს პასუხის დროს.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ, გაიმეორონ „მოემზადეთ ინტერვიუსთვის“ და „რჩევები ინტერვიუს ასაღებად: აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა“ მე-3 გაკვეთილიდან.

შეხსენება სტუმრისთვის

მეოთხე ეტაპი

დრო: გაკვეთილის შემდეგ

ამ გაკვეთილისთვის წინასწარ გყავთ მოწვეული ადმინისტრატორი, მასწავლებელი ან მოსწავლე თქვენი სკოლიდან, რომ თქვენმა მოსწავლეებმა ინტერვიუ აიღონ მისგან. ამ ადამიანს აუცილებლად უნდა შეახსენოთ.

ესტუმრეთ ან დაურეკეთ მოწვეულ სტუმარს, რომ დაადასტუროთ ინტერვიუს დრო და ადგილი. გირჩევთ, არ იყოთ დამოკიდებული ელ. ფოსტაზე. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, როგორიცაა:

- გთხოვთ, მობრძანდეთ სამი წუთით ადრე გაკვეთილის დაწყებამდე და დარჩით გაკვეთილის დამთავრებამდე.
- თქვენთვის გამზადებულია სკამი კლასის წინ. მაგიდა ან კათედრა ხომ არ გირჩევნიათ?
- მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია თქვენს შესახებ და მოამზადეს კითხვები.
- მოსწავლე, რომელმაც მოამზადა პირველი შეკითხვა, მოგესალმებათ და დაგისვამთ კითხვას. როცა პირველ კითხვას უპასუხებთ, გამოიძახეთ ნებისმიერი სხვა მოსწავლე.
- შეეცადეთ, რომ ბევრ მოსწავლეს (თუ ყველას არა) მიეცეს შესაძლებლობა, დასვას ერთი შეკითხვა მაინც.
- რამდენი ხანიც გინდათ, მოანდომეთ პასუხის გაცემას, თუ არ გსურთ, რომ უპასუხოთ რომელიმე კითხვას, უბრალოდ აუხსენით, რატომ არ გსურთ, ან უთხარით, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ გინდათ.

- მოსწავლეებს ძალიან დაეხმარებით, თუ თქვენი პასუხები პირდაპირი იქნება. ნუ შეეცდებით, რომ კარნახს დაემსგავსოს პასუხები, მაგრამ კარგი იქნება, თუ დაწყებულ წინადადებებს დაასრულებთ ხოლმე.
    - ბოლო შეკითხვის დასასმელადაც წინასწარაა შერჩეული მოსწავლე. ინტერვიუს დასრულების დროისთვის ის ადგება და ბოლო კითხვას დასვამს. უპასუხებთ ამ კითხვას და ინტერვიუ დამთავრდება.
    - როცა პირველად ვისაუბრეთ ამ ინტერვიუს შესახებ, თქვენ დათანხმდით მისი ჩანაწერის გაკეთებას. ეს საჭიროა ციტატების დასაზუსტებლად. [ჩაწერეთ დეტალები, სად იდგება მიკროფონი. თუ პრესკონფერენციის ვიდეოჩანაწერი კეთდება, ჩაწერეთ დეტალები კამერების განლაგების შესახებ და სხვა საჭირო ინფორმაცია. თქვენ გინდათ, რომ სტუმარმა რაც შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი.]

დღე 3

გამართეთ პრესკონფერენცია

პირველი ეტაპი

დრო: 20 წუთი

სტუმრის შეგებება და პირველი წუთი გულითად საუბარს უნდა დაეთმოს, რომ კარგი ურთიერთობა დამყარდეს. იზრუნეთ მიკროფონის დადგმაზე, თუ პრესკონფერენცია იწერება. ნუ გაუჩენთ რესპონდენტს დათრგუნვის განცდას.

რესპონდენტის წარდგენის შემდეგ პირველმა მოსწავლემ უნდა დასვას მომზადებული კითხვა და ინტერვიუ დაიწყება. თუ პირველ მოსწავლეს დასაზუსტებელი კითხვა არ აქვს, მეორე მოსწავლე უნდა გამოიძახონ. თუ რომელიმე მოსწავლე არ უსმენს, ან პატივისცემას არ ამჟღავნებს, ჩუმად მიუახლოვდით და გვერდით დაუდექით მას. თუ რესპონდენტი ძალიან სწრაფად საუბრობს, ჩაერიეთ, რომ დაეხმაროთ მოსწავლეებს ჩანაწერების გაკეთებასა და ნათქვამის გააზრებაში.

პრესკონფერენცია 19 წუთის განმავლობაში გაგრძელდება, შემდეგ ადგება წინასწარ შერჩეული მოსწავლე და დასვამს ბოლო კითხვას.

განხილვა ინტერვიუს დასრულების შემდეგ

მეორე ეტაპი

დრო: 18 წუთი

გამოიყენეთ შემდეგი პროცედურები, რომ მოსწავლეებმა უკეთ იმსჯელონ პრესკონფერენციის შედეგებზე:

- ხუთი წუთის განმავლობაში დაწერონ, რა დაამახსოვრდათ – ჩაიწერონ ცალკეული ეპიზოდები, გარეგნობის აღწერა, საკუთარი აზრები დასახასიათებელი ადამიანის შესახებ. (თუ მოსწავლეები ძალიან გაერთნენ წერაში, კიდევ ორი ან სამი წუთი შეიძლება მისცეთ.)
- იმსჯელეთ, რატომ შემოგრჩათ მაინცდამაინც ეს აზრები მეხსიერებაში.
- მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ერთი გვერდი ან მეტი. არეებზე ვარსკვლავი მიუხატონ თითოეულ პარაფრაზირებას ან დამახსოვრებულ ციტატას, + მიუწერონ აღწერას.
- იმსჯელეთ პრესკონფერენციის შესახებ: როგორ ჩაიარა? რა დაგამახსოვრდათ? ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გააკეთონ პარაფრაზირება და დაეხმარება მათაც, ვინც ზუსტი ჩანაწერები ვერ გააკეთა.
- შეამოწმეთ ინფორმაცია პრესკონფერენციის ჩანაწერიდან და შეათანხმეთ ტექსტი. ეს შემოწმება კარგია გამორჩენილი ინფორმაციის შესავსებადაც.
- მოსწავლეებს სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ ამ ადამიანის ყველაზე საინტერესო თვისებებს, მიზნებს თუ შეხედულებებს. რას ეტყოდნენ მეგობრებს/მშობლებს/მეზობლებს ამ ადამიანზე, თუ საჭირო იქნებოდა სათქმელის ერთ წინადადებაში ჩატევა? ეს იქნება ძირითადი აზრი.
- ამის შემდეგ უკვე გაადვილდება 250-300-სიტყვიანი პორტრეტის დაწერა.

შეჯამება

მესამე ეტაპი

დრო: 2 წუთი

პორტრეტის კარგად დაწერა უფრო მეტად მაშინაა მოსალოდნელი, თუ მასწავლებლები დაეხმარებიან მოსწავლეებს ძირითადი აზრის მოძებნაში: რითია ეს ადამიანი საინტერესო? წარმოადგინეთ ამ ადამიანი ამბავი. ავტორებმა უნდა მოახერხონ მხოლოდ ბიოგრაფიული

ინფორმაციის გადმოცემისგან თავის არიდება, განსაკუთრებით, ქრონოლოგიურად დალაგებული ინფორმაციის.

საშინაო დავალება

მოსწავლეებს უნდა დაევალოთ, შავად დაწერონ პორტრეტი. მე-20 გაკვეთილის შემდეგ დახვეწენ შესავალს. პორტრეტი მზად უნდა ჰქონდეთ 21-ე გაკვეთილისთვის: პიროვნების პორტრეტის შეფასება.

პირველწყაროები

მადლობას ვუხდით ლოგან ეიმონს, ეროვნული სამეციერო პრესის ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, მინეაპოლისი, მინესოტა, პრესკონფერენციის გამართვის და მოკლე პორტრეტის დაწერის შესახებ გაკვეთილისთვის. დღეები 1-3 ემყარება პროცედურას, რომელსაც იგი იყენებდა უენაჩის საშუალო სკოლაში ვაშინგტონის შტატში.

დღე 4

ჩაატარეთ გაკვეთილი შესავლის სხვადასხვა სახეზე. იხილეთ „გაკვეთილი 20: სტატიის შესავლის სახესხვაობები“.

დღე 5

მზად უნდა იყოს პრესკონფერენციის საფუძველზე დაწერილი პიროვნების პორტრეტი. გამოიყენეთ „გაკვეთილი 21: პიროვნების პორტრეტის შეფასება“.

დავალება

პიროვნების პორტრეტი

პიროვნების პორტრეტი არის საინტერესო ადამიანზე დაწერილი სტატია. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, შეხვდეთ პიროვნებას და შემდეგ თქვენს მკითხველებს გააცნოთ იგი. თქვენს მონათხრობში გადაჯაჭვული იქნება აღწერა, ფაქტები და ციტატები, რაც ნაწერს ინფორმაციულს და საინტერესოს გახდის, ისე, რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხებოდეს შესავლიდან ბოლო აბზაცამდე.

თემა: პრესკონფერენციის სტუმარი

სიგრძე: 300-450 სიტყვა

ფორმატი: სათაური, ავტორი, ორმაგი ინტერვალით დაწერილი პორტრეტი

კვლევა: ფაქტების ჩამონათვალი

პრესკონფერენცია: 20 წუთი

შემდეგი მითითებები დაგეხმარებათ პრესკონფერენციაზე დაყრდნობით პიროვნების პორტრეტის წერაში.

1. ფაქტების ფურცელზე წერია სახელი; თანამდებობა და მიღებული ჯილდო(ები); განათლება, პროფესია და ინტერესები. ეს ინფორმაცია გამოიყენება შეკითხვების ფორმირებისთვის, პრესკონფერენციაზე რომ არ დაისვას ამ ძირითადი ინფორმაციის შესახებ შეკითხვები.
2. პორტრეტი უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ამ ადამიანის შესახებ ინფორმაციის ნაკრები. თქვენ უნდა მოძებნოთ ისეთი ასპექტი, რომელიც მონათხრობს გააერთიანებს და სტატიას შეკრავს.
3. დაწერეთ შესავალი, რომელიც მიიქცევს მკითხველის ყურადღებას და ხაზს გაუსვამს პიროვნების ერთ საინტერესო ასპექტს.
4. გამოიყენეთ ციტატები, რომ რესპონდენტს თავად მისცეთ მკითხველთან საუბრის საშუალება.

   გამოიყენეთ ციტატები, რომ ჩაუღრმავდეთ რაიმე თემას ან ასპექტს.

   გამოიყენეთ ციტატები ერთი აზრიდან მეორეზე გადასასვლელად.

5. გამოიყენეთ ფაქტების ფურცლის ინფორმაცია და პრესკონფერენციის ჩანაწერები. მთელი ინფორმაცია, რასაც სტატიაში გამოიყენებთ, ზუსტი უნდა იყოს.
6. მკითხველებს აინტერესებთ ადამიანის გაცნობა. დაუსვით შეკითხვები, რომ გაიგოთ, რამ მოახდინა გავლენა მის პიროვნებაზე, მოტივებსა და მისწრაფებებზე, შეხედულებებსა და მიზნებზე. თუ მკითხველებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ უკვე იცნობენ ამ პიროვნებას, ნახეთ, კიდევ რა მხრიდან შეიძლება მისი ჩვენება.
7. ისაუბრეთ მესამე პირში. საკუთარ თავს პორტრეტში ნუ მოიხსენიებთ. ეს სტუმრის პორტრეტია და არა იმის აღწერა, რა მოხდა პრესკონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდით.
8. დაწერეთ დასკვნა, რომელიც შეაჯამებს თემას, აღწერს ამ ადამინის პიროვნებას ან ქმნის ინტრიგას იმისგან, რას გააკეთებს ეს ადამიანი მომავალში.
9. აუცილებლად გაუკეთეთ კორექტურა დასრულებულ პორტრეტს.

დასარიგებელი მასალა

პრესკონფერენცია

- გაეცანით სტუმრის ბიოგრაფიულ მონაცემებს. განიხილეთ ფაქტების ჩამონათვალი და დაადგინეთ, რის შესახებ გსურთ დეტალების გარკვევა.
- გააკეთეთ ჩანაწერები ჩაცმულობის თუ სხვა ფიზიკური მონაცემების შესახებ, რაც აღწერისთვის გამოგადგებათ. მაგალითად: ინვალიდის სავარძლითაა, მარცხენა ყურზე სამი საყურე უკეთია, გატკიცინებული თეთრი პერანგი და კონსერვატიული ჰალსტუხი, ჯინსი და მაისური.
- გააკეთეთ ჩანაწერები გარემოს და სტუმრის მანერების შესახებ. მაგალითად: ...მაგიდასთან ზის დიდ თეთრ კარავში... ცხელა, მარაოს ინიავებს.
- გააკეთეთ ჩანაწერები, როგორი რეაქცია ჰქონდა შეკითხვებზე. მაგალითად: გადაიხარხარა, გაწითლდა, თავი დაიქნია.
- გააკეთეთ ჩანაწერები ნებისმიერი ილუსტრაციის თუ ვიზუალური მასალის შესახებ, რასაც მოიტანს სტუმარი. თქვენი აზრით, რატომ მოიტანა ეს პრესკონფერენციაზე?
- მოუსმინეთ, რომ გაიგოთ, რას იტყვის სტუმარი პიროვნული დამოკიდებულებების, შეხედულებების ან მოტივაციის შესახებ. მაგალითად: კითხვა: ეს ისაა, რაც მის მშობლებს სურდათ, რომ გაეკეთებინა?“ პასუხი: „მუშაობა ჩინეთის პროვინციაში, მათ მოიწონეს ჩემი გადაწყვეტილება.“
- მოუსმინეთ, რომ გაიგოთ, რას იტყვის სტუმარი თქვენთვის საინტერესო პროექტის, პროგრამის თუ ხედვის კუთხის შესახებ.
- ყურადღებით მოუსმინეთ ფრაზებს, რომლებიც ციტატებად დაგჭირდებათ.
- ჩაინიშნეთ, რა დროს ითქვა ეს ფრაზა, რომ მერე აუდიოჩანაწერში მოძებნოთ ზუსტი ციტატა. დააზუსტეთ, რომ სწორად გაიგონეთ. პრესკონფერენციაზე ორი სტუმარი შეიძლება ერთმანეთის ფრაზებს ასრულებდეს. მოუსმინეთ და გამოიყენეთ ეს შემთხვევები. მაგალითად:
    - „ხელოვნება აქ არაფერ შუაშია,“ ამბობს სტოუნი. „ვაზების მოჭრა ერთია, თანაც ეს ძალიან ძნელი საქმეა. შემდეგ საჭიროა ამ ყველაფრის თრევა Prius-მდე და ჩაბარგება.“

    - „მგონი, ნორმალური სკულპტორები ჩვენს ადგილას მაღაზიაში წავიდოდნენ," ამბობს გოლდშტაინი. „ჩვენ ხომ ნორმალურები არ ვართ."
    - გოლდშტაინს ხელში ვაზის ლერწი უჭირავს. თქვენ ხედავთ ხვეულს. გოლდშტაინი ხედავს ცხოველის მუცელს.
    - თქვენ ხედავთ დაკბილულ ხის ნაჭერს. სტოუნი ხედავს კალმარს.
- როცა ამ ჩანაწერებს აკეთებთ, თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, რას ნიშნავს სიტყვები „თრევა" ან „Prius". თქვენ ადვილად იპოვით Prius-ს ინტერნეტში, მაგრამ შეიძლება არ იცოდეთ, როგორ იწერება „თრევა" და რამდენიმე მნიშვნელობა თუ აქვს. დიალოგის დასრულების შემდეგ თქვენ შეგიძლიათ, იკითხოთ, სწორად გაიგეთ თუ არა „თრევა" და „გადაზიდვას" ხომ არ ნიშნავს ის.
    - ორივე ეს სიტყვა ჩართული იქნება პორტრეტში. Prius-ის მფლობელობა გავლენას ახდენს თუ არა მათ ღირებულებებზე? მეტყველების განსაკუთრებული მანერა ინდივიდუალობას მატებს.
- პორტრეტის ავტორი საკუთარი თავის ნაცვლად ხმარობს ნაცვალსახელს „თქვენ". ასე აკვირდებოდა იგი აღმოსავლურ ვაზს. ეს დაინახეს მის გარშემო მყოფმა ადამიანებმაც. თუმცა, აღწერა იტაცებს მკითხველს; შეიძლება, იმიტომ, რომ ეს ისეთი რამაა, რაც მკითხველსაც უნახავს. ეს განამტკიცებს პორტრეტის თემასაც, რაც გოლდშტაინმა აღნიშნა: „ჩვენ არ ვართ ნორმალურები."

დასარიგებელი მასალა

პეილის მოსწავლე ქმნის არასამთავრობო ორგანიზაციას ჰაიტიზე განათლების დასახმარებლად

ნიტაი მალქინი გაემგზავრა, რომ საკუთარი თვალით ნახოს მიწისძვრით დანგრეული ჰაიტი

გაგზავნილია 8 ივნისს, 2010

ზარინ აჰმადი, *Campanile*

ჰაიტიზე 2010 წლის 12 იანვარს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მილიონობით ადამიანმა მთელ მსოფლიოში დაიწყო ჰაიტელთა დახმარება და მათთვის საკვების, ფულის და პირველადი დახმარების მედიკამენტების გაგზავნა. პალო-ალტოს სკოლის მოსწავლემ ნიტაი მალქინმა დახმარების თავისებური გზა მოძებნა; მან დააარსა საკუთარი არასამთავრობო ინიციატივა OneLove Advocates.

OneLove Advocates არის ორგანიზაცია, რომელიც ჰაიტიზე განათლების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მალქინმა გადაწყვიტა, სწავლაზე გააკეთოს აქცენტი, რათა დაეხმაროს ახალგაზრდობას ჰაიტიზე უკეთესი მომავლის შექმნაში.

„მე მიმაჩნია, რომ ეს [განათლება] ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ხელახალ აღმშენებლობაში," ამბობს მალქინი. „ჰაიტის ინფრასტრუქტურა მიწისძვრამდეც მოუწესრიგებელი იყო და ამ მოწისძვრამ საშუალება მოგვცა, ერთბაშად გამოვასწოროთ ყველა პრობლემა, რაც მანამდე არსებობდა. ყველა ადგილობრივი მოსახლე, სისაც ვესაუბრეთ, ამბობს, რომ ყველაზე თვალშისაცემ პრობლემად მათ საზოგადოების განუვითარებლობა მიაჩნდათ."

მალქინი მუშაობდა სკოლებშიც, რომლებიც პროგრესისა და განვითარების ფონდს, შემოკლებით Prodev-ს, ეკუთვნის. Prodev არის ორგანიზაცია, რომლის მიზანია ჰაიტის გაძლიერება მისი ახალგაზრდობის გაძლიერების გზით.

„მე ჯერ ბლოგი გავაკეთე, სადაც ვაქვეყნებდი ახალ ამბებს ჰაიტისა და მათი დახმარების შესახებ," ამბობს მალქინი. „მაგრამ მამაჩემთან საუბრის შემდეგ გაგვახსენდა, რომ ვიცნობთ ჰაიტიზე Prodev-ის ხელმძღვანელს დენიელ კედარს და შეგვიძლია იქ გამგზავრება და ადგილზე დახმარების გაწევა."

ჰაიტიზე მოგზაურობისას მალქინი და მამამისი, ომერ მალქინი, Prodev-ის 14 სხვადასხვა სკოლა-კარავში მუშაობდნენ მოხალისედ და სხვადასხვა სამუშაოებს ასრულებდნენ.

„ძალიან კარგი იყო ნიტაისთან ერთად მუშაობა და მისი ინიციატივის მხარდაჭერა ყველაფრით, რითიც შემეძლო," ამბობს ო. მალქინი. „როგორც მშობელი, თქვენ ყოველდღე ნახულობთ თქვენს შვილებს და გაქვთ მათთან ურთიერთობა, მაგრამ როცა განსხვავებულ გარემოში გიწევთ გარკვეული დროის ერთად გატარება, თქვენ ხვდებით, როგორი განხდარა თქვენი შვილი, ეს ძალიან ამაღელვებელი და მართლაც, საამაყოა."

ერთ სკოლას მალქინი დაეხმარა მოსწავლეებისთვის ფეხბურთის პროგრამის ჩამოყალიბებაში, მიუტანა ბურთი და მაისურები. მეორე ქალაქში მალქინმა და მამამისმა საკუთარი პროგრამა წამოიწყეს ჰაიტელი მოსწავლეების დასახმარებლად, რომ მათთვის თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარება ესწავლებინათ.

მათ იყიდეს კომპიუტერი და პრინტერი და იპოვეს ადგილობრივი, ჰაიტელი ტექნიკოსი, რომელმაც გამოთქვა სურვილი, სწვეოდა Prodev-ის ყველა სკოლას და ესწავლებინა ბავშვებისთვის კომპიუტერის მოხმარება.

„[მგზავრობის შემდეგ] ჩემი დამოკიდებულება ბლოგისადმი მთლიანად შეიცვალა და მე უფრო მეტად გამიტაცა საქმემ, რასაც ვაკეთებდი," ამბობს მალქინი. „ჩვენ თანხების მოზიდვა გადავწყვიტეთ და თითქმის $15000-ის მოგროვება შევძელით."

გარდა სკოლაში მუშაობისა, მალქინი სხვა სამუშაოებსაც ასრულებდა Prodev-ში. ის სამედიცინო დახმარების ცენტრში დადიოდა და ეხმარებოდა ბავშვების შეფასებაში ბაღისთვის, რომელსაც Prodev ხსნიდა.

მალქინს აქვს ვებგვერდი oneloveadvocates.org. ვებგვერდზე არის ინფორმაციის განყოფილება OneLove Advocates-ის შესახებ, ბლოგი, სადაც ის წერს საკუთარი დახმარების და ჰაიტის ახალი ამბების შესახებ, თანხების მოხიდვის განყოფილება და საკონტაქტო ინფორმაცია.

მალქინი რამდენიმე დღეში ერთხელ განაახლებს ბლოგს. ყველაზე ახალ პოსტში მან ატვირთა ჰაიტის ბავშვთა გუნდის ვიდეო, რომლებიც კონცერტით ხვდებიან მალქინს და მამამისს ჰაიტიზე ვიზიტის დროს. სხვა პოსტში ის მოგვითხრობს, როგორ ჩაიტანა პალო-ალტოს დაწყებითი სკოლის სამი სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ნახატები ჰაიტიზე იქაური მოსწავლეებისთვის დასარიგებლად.

თავის მხრივ, ჰაიტელმა ბავშვებმაც დაუხატეს სურათები პალო-ალტოელ თანატოლებს, რაც უფრო მეტად დააკავშირებს კლასებს და ქვეყნებსაც.

მალქინი გეგმავს, ზაფხულში კვლავ ესტუმროს ჰაიტის და გააგრძელოს მოხალისედ მუშაობა ლოს ალტოსის სკოლის მოსწავლეებთან, ომრი მაორთან და დრიუ ელერთან ერთად, რომლებიც მისი ყოფილი თანაკლასელები არიან.

თუმცა მარშრუტი ჯერ ბოლომდე არაა გადაწყვეტილი, მალქინი გეგმავს, მოინახულოს რამდენიმე სკოლა პორტ-ო-პრენსში და შეამოწმოს თავის დაწყებული კომპიუტერული პროგრამა, მიუტანოს სკოლებს და სკოლის ფეხბურთის გუნდებს საჭირო ნივთები. ისინი გეგმავენ, ერთ-ერთ სკოლაში ერთდღიანი ფეხბურთის გაკვეთილი ჩაატარონ. პორტ-ო-პრენსის სკოლების დახმარების გარდა, მალქინი, მაორი და ელერი გეგმავენ, დაეხმარონ პატარა ქალაქ მონ ბუტონს, რომელიც პორტ-ო-პრენთან ახლოს მდებარეობს.
„იქამდე მანქანით მისვლა შეუძლებელია, გზა რომ დამთავრდება, კიდევ 15 მილის გავლა მოგვიწევს ფეხით“, ამბობს მალქინი. „მონ-ბუტონში ხალხი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს და მათ ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი რამეებიც არ აქვთ, როგორიცაა საკვები, წყალი და ჭერი. ეს ადგილი ქალაქისგან ძალიან განსხვავებული იქნება და ჩვენ სხვაგვარად დაგვანახებს საგნებს.“

შენიშვნა

Campanile პალო-ალტოს საშუალო სკოლის გაზეთია. ეს პორტრეტი გამოქვეყნდა მოსწავლეთა ახალი ამბების ვებგვერდზე The Paly Voice.

გაკვეთილი 20

სტატიის ლიდის სახესხვაობები

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „ლიდის 5 გავრცელებული ტიპი“, „მოსწავლეთა მიერ დაწერილი შესავლების ხუთი ნიმუში,“ „ლიდის 5 სახესხვაობა“

ცნობები მასწავლებლისთვის

ლიდის წერისას ყალიბდება ინფორმაციის შეგროვების, არჩევის, ლაკონურად გამოხატვის უნარები. სტატიის ლიდი იპყრობს მკითხველის ყურადღებას და კითხვის გაგრძელების მიზეზს აძლევს მას. ახალი ამბის ამსახველ სტატიებში ხშირად გამოიყენება ახალი ამბის ტრადიციული ლიდი.

როცა ჟურნალისტებს სურთ, მკითხველის ყურადღება ფერებით და აღწერილობით მიიქციონ, რთული აზრები მაგალითის დახმარებით განმარტონ, ან მკითხველი მოქმედების ადგილას გადაიყვანონ, სხვა ტიპის ლიდი გამოიყენება. ბევრი სხვადასხვანაირი ფორმის ლიდი არსებობს, მაგრამ ამ გაკვეთილში ხუთ მათგანს გაგაცნობთ, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ მოსწავლე ჟურნალისტები.

მიზნები

- მოსწავლეები შეძლებენ, შეაგროვონ ინფორმაცია და გამოიტანონ დასკვნა, რა არის ახალი ამბავი.
- მოსწავლეები მიხვდებიან, როდის უნდა გამოიყენონ ტრადიციული ლიდი და როდის – სახესხვაობები.
- მოსწავლეები შეძლებენ, დაწერონ ანეკდოტური, მიზეზობრივი, აღწერითი, ციტატით დაწყებული და დროით დაწყებული ლიდი.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

სთხოვეთ მოსწავლეებს, ტრადიციული ლიდის მიზნებზე ისაუბრონ. მათ უნდა გაიხსენონ, რომ ტრადიციული ლიდით იწყება ახალი ამბის ამსახველი სტატია და იგი წარმოადგენს ახალი ამბების შეჯამებას, ანუ 6 ძირითად შეკითხვაზე პასუხს. ლიდი იპყრობს მკითხველის ყურადღებას და კითხვის გაგრძელებას მოანდომებს მას.

უთხარით მოსწავლეებს, რომ დღეს ისინი სტატიის ლიდის სახესხვაობებს გაეცნობიან. ლიდის ეს ფორმები განსაკუთრებით სასარგებლოა მკითხველის დასაინტერესებლად. ისინი აღწერენ ადამიანებს, მოჰყავთ ძნელი კონცეფციების მაგალითები, ან გადაჰყავთ მკითხველი მოქმედების ადგილას. ლიდის 20-ზე მეტი ტიპი არსებობს. ჩვენ მათგან 5 გავრცელებულ ფორმას გავეცნობით.

მეორე ეტაპი

დრო: 13 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „ლიდის 5 გავრცელებული ტიპი“. ლიდის ეს ტიპები ტრადიციული ლიდის ალტერნატივაა. მათ სწავლაზე მას შემდეგ გადადიან მოსწავლეები, რაც ტრადიციული ლიდის წერას კარგად შეისწავლიან, ან როცა სტატიას დასჭირდება რაიმე აქცენტის გაკეთება. ლიდის ეს ალტერნატიული ფორმები განსაკუთრებით სპორტული სტატიების, პორტრეტების, მიმოხილვების წერისას გამოგვადგება.

წაიკითხეთ მაგალითები და იმსჯელეთ, როგორ მიიქცევს მოცემული ლიდი მკითხველის ყურადღებას და მოანდომებს სტატიის კითხვის გაგრძელებას. მაგალითების კითხვისა და განხილვის დროს მასწავლებლები დაეხმარებიან მოსწავლეებს იმის გაგებაში, რომელი ტიპის ლიდია გამოყენებული:

ანეკდოტური ლიდი იყენებს ნამდვილ ამბავს სტატიის სათქმელის შემოსატანად. ერთი ადამიანის ამბის დაკავშირება სტატიის სათქმელთან გვეხმარება, უკეთ გავიგოთ რთული თემები, განვმარტოთ დამოკიდებულება ან მოქმედება.

მიზეზობრივი ლიდი ხაზს უსვამს, რატომ და როგორ მოხდა ახალი ამბავი.

აღწერითი ლიდი მკითხველს მოქმედების ადგილას გადაიყვანს, რაც მოვლენას რეალობას მატებს.

ციტატით დაწყებული ლიდი იშვიათად უნდა გამოვიყენოთ. თუ რესპონდენტი ამბობს საინტერესო ციტატას, რომელიც კარგად აღწერს მოვლენის ხასიათს, მოქმედების მოტივს ან საკუთარ პიროვნებას, გამოიყენეთ ის მკითხველის დასაინტერესებლად.

დროით დაწყებული ლიდი გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, როდის ხდება მოქმედება, ან დროის პერიოდების შესადარებლად.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

დაურიგეთ კლასს „მოსწავლეთა მიერ დაწერილი ლიდების ხუთი ნიმუში". ეს იქნება ტრადიციული ლიდის და ლიდის ხუთი სხვა ტიპის დამატებითი მაგალითები. მაგალითების წაკითხვა დაეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ შეგროვილი ინფორმაციის დალაგება და ძირითადი ინფორმაციის მოკლედ გადმოცემა. სთხოვეთ მოსწავლეებს, განსაზღვრონ, რომელი ტიპის ლიდია და რა ძირითად ინფორმაციას შეიცავს (6 შეკითხვა) თითოეული მაგალითი.

ივარჯიშეთ ლიდის სახესხვაობების წერაში

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

დაავალეთ მოსწავლეებს, გადახედონ თემატურ რეპორტაჟებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ დაწერეს. ექსპერიმენტისთვის ერთი თემატური რეპორტაჟი აირჩიეთ და დაწერეთ ალტერნატიული ლიდებიდან ერთ-ერთი. სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაწერონ შესავალი და ორი სხვადასხვა ტიპის ლიდი დაწერონ ამ სტატიისთვის.

დააწყვილეთ მოსწავლეები. მათ უნდა წააკითხონ ერთმანეთს სტატიის შეცვლილი ლიდები. ერთი და იგივე სტატიის სამი ლიდიდან რომელი უფრო მეტად იწვევს დაინტერესებას? რატომ მიიჩნევს მოსწავლე მკითხველი მას სტატიის უფრო ეფექტურ დასაწყისად?

ლიდი პორტრეტ**თან**

ალტერნატიული მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

გამოიყენეთ ეს ვარიანტი, როცა ამ გაკვეთილს „მე-19 გაკვეთილი: პიროვნების პორტრეტთან“ ერთად გადიხართ.

პორტრეტების უმეტესობა არ იწყება ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდით, მათში ლიდის ნაირსახეობებს იყენებენ ხოლმე. ის იპყრობს მკითხველის ყურადღებას და მთელ სტატიას აძლევს ტონს. თუ ადამიანს კარგი იუმორი ან ცოცხალი წარმოსახვა აქვს, ლიდი ცხოვრებისადმი მის დამოკიდებულებას უნდა ასახავდეს. თუ ადამიანი წყნარი და ფიქრიანია, სტატიისთვის ტონის მისაცემად წყნარი ტონი გამოდგება.

მიეცით მოსწავლეებს „ლიდის 5 სახესხვაობა“. მაგალითები, რომლებიც აქაა მოცემული, აღებულია პორტრეტებიდან და ცხოვრების სტილის აღმწერი სტატიებიდან. წაიკითხეთ და იმსჯელეთ ამ ლიდების შესახებ.

უთხარით მოსწავლეებს, რომ მათი პორტრეტები ლიდის ნაირსახეობით უნდა დაიწყოს.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 2 წუთი

ლიდი სტატიის პირველი ან პირველი და მეორე აბზაცია. ახალი ამბის ტრადიციული ლიდი სტატიის ძირითად ინფორმაციას გადმოგვცემს – ვინ, რა, სად, როდის, რატომ და როგორ. ეს უზრუნველყოფს, რომ ახალი ამბის ამსახველი სტატიიდან სწრაფად მივიღოთ ინფორმაცია.

ლიდის სხვა სახეები გამოიყენება, როცა ახალი ამბის შეტყობინებაზე უფრო მნიშვნელოვანია მკითხველის დაინტერესება, სიტუაციის აღწერა ან დროის აღნიშვნა. ლიდის ეს ტიპები გამოიყენება პიროვნების პორტრეტსა და სხვა სტატიებში, რომლებიც არ ეხება სასწრაფო და სერიოზულ ახალ ამბებს.

შესაძლო საშინაო დავალება

დაავალეთ მოსწავლეებს, რომ პორტრეტებს, რომლებსაც წერენ, სამი სხვადასხვა ტიპის შესავალი დაუწერონ. ეს გაავარჯიშებს მათ და აპოვნინებს საუკეთესო ლიდს სტატიისთვის. რომელი ლიდი ასახავს ყველაზე ზუსტად ადამიანის სულს ან მისი პიროვნების იმ მხარეს, რომელიც გამოკვეთილია სტატიაში?

დასარიგებელი მასალა

ლიდის 5 გავრცელებული ტიპი

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ტრადიციული ლიდი არ გამოდგება ყველა ტიპის სტატიისთვის. ზოგჯერ თქვენ უფრო მეგობრული ან პიროვნული მიდგომა გჭირდებათ. ზოგჯერ გსურთ სტატიის სხვადასხვა ასპექტების ხაზგასმა. ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მაგალითში გამოყენებულია მოსწავლეებში სისხლის ჩაბარების შესახებ ერთი და იგივე ინფორმაცია. თქვენ ნახავთ, როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან ლიდები. თუმცა, ყველა მათგანი შეიცავს ძირითად ინფორმაციას – ვინ, რა, სად, როდის, რატომ, როგორ.

<u>ანეკდოტური ლიდი</u>**:** მასში გამოყენებულია მოკლე ნამდვილი ამბავი, რომელიც მთლიანი სტატიის თემას უკავშირდება. საუბარია რეალურ ადამიანზე, დახატულია თვალსაჩინო სურათი, მოყვანილია მაგალითი. ასეთი შესავალი გასართობიც შეიძლება იყოს და სერიოზულიც, ორივე შემთხვევაში ის გამიზნულია მკითხველის მისაზიდად და ახალი ამბის პიროვნების პოზიციიდან წარმოსაჩენად. მასში ჯერ ხაზგასმულია ახალი ამბის ადამიანური მხარე და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყვება ფაქტობრივი მხარე.

სისხლის დანახვაზე ლი ჩიანი მუდამ გულისრევას გრძნობდა.

მან თვალები დახუჭა, როცა მედდა ნემსით ხელში მიუახლოვდა.

მედდამ დაარწმუნა, არაფერი გეტკინებაო და ორდუიმიანი ნემსი ლის ვენაში მსუბუქად შეიყვანა. ლიმ ოდნავი ტკივილი იგრძნო, გარშემო მიმოიხედა, მეტი ხომ აღარ მეტკინებაო, შვებით ამოისუნთქა და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

ლიმ ხელი გაუშვა რეზინის ბურთს და სისხლმა პარკში დაიწყო ჩადენა. ის ერთ-ერთი იყო იმ 100 მოხალისე მოსწავლეთაგან, ვინც სისხლის ჩაბარება გადაწყვიტა ორშაბათს სკოლაში გამართულ წითელი ჯვრის ყოველწლიურ სისხლის დონორობის აქციაში.

„მართლაც, არც ისე ძნელი იყო," თქვა ლიმ. „მოხარული ვარ, რომ ჩემი შიში დავძლიე სხვა ადამიანების დასახმარებლად."

შემდეგ გრძელდება სტატია, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სისხლის დონაციის ყოველწლიური პროექტი.

<u>მიზეზობრივი შესავალი</u>: ხაზს უსვამს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას ადამიანთა ქმედებებსა და ახალ ამბებზე მათ გავლენას შორის.

ლი ჩიანმა მოახერხა შიშების დაძლევა და სისხლის ჩაბარება გადაწყვიტა ორშაბათს წითელი ჯვრის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ დონაციის პროექტში, ის ამით დაეხმარა ორგანიზატორებს, მიეღწიათ მიზნისთვის და 100 დონორი შეეგროვებინათ.

„მართლაც, არც ისე ძნელი იყო," თქვა ლიმ. „მოხარული ვარ, რომ ჩემი შიში დავძლიე სხვა ადამიანების დასახმარებლად."

<u>აღწერითი შესავალი</u>: აცოცხლებს მოქმედების გარემოს სენსორული და ვიზუალური წარმოდგენებით. აღწერითი შესავალი „ხატავს სურათს" და აგრძნობინებს მკითხველს, რომ თავადაც მოხვდა იმ გარემოში.

სკოლის სპორტულ დარბაზში არასოდეს ყოფილა ისეთი სიწყნარე, როგორც ორშაბათს. ოთახში მედდების თორმეტი მაგიდა იდგა სისხლის დონორების სკამებით, მოსწავლეები, რომლებიც სისხლის ჩასაბარებლად მოსულიყვნენ, მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

„როგორ ფიქრობ, მტკივნეულია?" გადაულაპარაკა ერთმა მოსწავლემ მეორეს.

„არა," უპასუხა ფეხბურთელმა, რომელიც თავზე დაჰყურებდა მეორე მოსწავლეს.

რიგში მათ შემდეგ იდგა დღის ბოლო დონორი, ლი ჩიანი. მან გადალახა სისხლის შიში და დონორობა გადაწყვიტა. აღმოჩნდა, რომ ის მე-100 დონორი იყო, რაც დაეხმარა წითელ ჯვარს დონაციის დასახული მიზნის მიღწევაში.

<u>ციტატით დაწყებული შესავალი</u>: ყველაზე ეფექტური მაშინაა, როცა წყარო რაიმე ძალიან ორიგინალურს ამბობს. ციტატით დაწყებული შესავალი აქვს ხოლმე სპორტზე დაწერილ სტატიას, როცა მწვრთნელები და მოთამაშეები აღელვებულნი არიან დიდი მოგების შემდეგ.

„ძალიან მაგარი სანახაობა იყო, როგორ გადმოდიოდა სისხლი ჩემი მკლავიდან!" თქვა ლი ჩიანმა. „სულ არ მეშინოდა, და მართლაც, არც ისე ძნელი იყო."

<u>დროით დაწყებული ლიდი</u>: ხაზს უსვამს დროს, როცა რაიმე მოხდა ან მოხდება. ეს ლიდი ყველაზე მისაღებია მაშინ, როცა მკითხველებმა უკვე იციან, რომ რაღაც მოხდა ან მოხდება, მაგრამ ელოდებიან, შეიტყონ, „როდის“.

თარიღის დადგენასთან დაკავშირებული გაურკვევლობები მოგვარებულია და წითელი ჯვრის ყოველწლიური სისხლის დონაცია გაიმართება ორშაბათს სპორტულ დარბაზში. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მიზანს შეასრულებენ და 100 დონორს შეაგროვებენ.

5 ლიდი პიროვნების პორტრეტისთვის

ახალი ამბის ამსახველი სტატიის ტრადიციული ლიდი არ გამოდგება ყველა ტიპის სტატიისთვის. ზოგჯერ ავტორს უფრო მეგობრული ან პიროვნული მიდგომა სჭირდება. ზოგჯერ მას სურს, ხაზი გაუსვას სტატიის სხვადასხვა ასპექტებს, შექმნას განწყობა, ან შეიყვანოს მკითხველი მოქმედების გარემოში.

ახალი ამბის ტრადიციულ ლიდს მრავალი ალტერნატივა აქვს. ზოგიერთი მათგანი იწყება გარკვეული მეტყველების ნაწილით – ზმნიზედით, ზედსართავი სახელით ან ზმნით. სხვები მინიშნებებსა და იუმორს იყენებს. ჩვენ ვისწავლით ლიდის ხუთი განსხვავებული ტიპის გამოყენებას, რათა ჩვენი სტატიების ლიდებს მრავალფეროვნება შევძინოთ.

ანეკდოტური ლიდი

ამ ლიდში გამოყენებულია მოკლე ნამდვილი ამბავი, რომელიც მთლიანი სტატიის თემას უკავშირდება. ის მკითხველს აცნობს რეალურ ადამიანს, მასში დახატულია თვალსაჩინო სურათი, მოყვანილია მაგალითი. ასეთი ლიდი გასართობიც შეიძლება იყოს და სერიოზულიც, ორივე შემთხვევაში ის გამიზნულია მკითხველის მისაზიდად და ახალი ამბის პიროვნების პოზიციიდან დასანახებლად. მასში ჯერ ხაზგასმულია ახალი ამბის ადამიანური მხარე და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰყვება ფაქტობრივი და უფრო კომპლექსური მხარე.

განმარტებითი ლიდი

ეს ლიდი ემყარება ახლებურად „განმარტებას“ ან უცხოური ტერმინის გაგებას, მას შეუძლია, დააინტერესოს მკითხველი.

აღწერითი ლიდი

ეს ლიდი აცოცხლებს მოქმედების გარემოს სენსორული და ვიზუალური წარმოდგენებით. აღწერით ლიდს გადაჰყავს მკითხველი სამოქმედო გარემოში. ის განსაკუთრებით საჭიროა პორტრეტების დროს, რომლებშიც ადგილი მნიშვნელოვანია და გვეხმარება პიროვნების უკეთ გაგებაში.

ციტატით დაწყებული ლიდი

ეს ლიდი ყველაზე ეფექტური მაშინაა, როცა წყარო რაიმე ძალიან ორიგინალურს ამბობს. ციტატით დაწყებული ლიდი აქვს ხოლმე ისეთ პორტრეტს, როცა უნდა გადმოვცეთ ადამიანის კონტაქტური ბუნება.

დროით დაწყებული შესავალი

ხაზს უსვამს დროს, როცა რაიმე მოხდა ან მოხდება. ეს ლიდი ყველაზე მისაღებია ისეთ პორტრეტებში, როცა ავტორს უნდა, განსაკუთრებით აღნიშნოს, რომ რესპონდენტი A ტიპის, ძალიან ორგანიზებული და გეგმებით მოქმედი პიროვნებაა, ან იმ შემთხვევაში, როცა უნდა აღნიშნოს, რა სწრაფად გადის თავისუფალი დრო დასახასიათებელი მოსწავლისთვის.

მოსწავლეთა მიერ დაწერილი ლიდის 5 ნიმუში

მყესების დაზიანება მოსწავლეებში

როცა ჟან ხონმა გასულ გაზაფხულზე ვარჯიშის პირველ დღეს ფეხი გაასწორა ბურთის დასარტყმელად, გაიგო ხმა, რომლსაც „ქაღალდის გახევის ხმას“ ადარებს. როცა იგრძნო, რომ მუხლი თითქოს გარეთ გადმოუვარდა, წარსული გამოცდილება გაახსენდა და მიხვდა, რაც დაემართა: ჯვარედინი მყესის გაწყვეტა, ყველაზე საშინელი ტრავმა ნებისმიერი სპორტსმენისთვის.

„ეს ყველაზე საშინელი ტკივილია, რაც კი ცხოვრებაში მიგრძვნია,“ თქვა ჟანმა.

ანანდეილის საშუალო სკოლაში მისი ჩათვლით უკვე ექვს გოგოს აქვს მიღებული ეს ტრავმა. ჯვარედინი მყესი მუხლის ოთხ ძირითად მყესს შორის ერთ-ერთია, ის სიმყარეს მატებს მუხლს. ეს მყესი აკავშირებს მუხლს თეძოს ძვალთან და მუხლის სახსარს ბარძაყის ძვლის წინა მხარესთან. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიმყარისთვის, ამიტომ უმეტესობა, ვისაც ეს ტრავმა აწუხებს, მუხლის „გამოყოფას“ უჩივის.

(ანეკდოტური ლიდი)

ახალი გადასახადების შემოღება

ბიუჯეტის მოსალოდნელი დეფიციტის გამო სკოლის ლიდერებმა გუშინ საღამოს კენჭისყრით გადაწყვიტეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს ახალი გადასახადები ექნებათ. დამამთავრებელი კლასის ყველა მოსწავლე $100-ს გადაიხდის თითო გამოცდაში მაისში. ეს საკანონმდებლო ცვლილება შეეხება 25000 მოსწავლეს მთელ ოლქში, რაც ოლქს მილიონნახევარ დოლარს დაუზოგავს მომავალ წელს.

(მიზეზობრივი ლიდი)

ხალხმრავალ დერეფნებს სიჩუმე იპყრობს

როცა სხვა მოსწავლეების მერხები საშინაო დავალების ფურცლებით, სახელმძღვანელოებითა და ჩანთებით იყო სავსე, ლიუ ქაიჰონის მერხზე მხოლოდ ორი ნივთი იდო – პატარა თეთრი დაფა და მარკერი. მხოლოდ ის არ იყო ასეთი გამონაკლისი; მისი ორი თანაკლასელიც ასე იყო მოსული სკოლაში. გარდა ამისა, არცერთ მათგანს ხმა არ ამოუღია გაკვეთილების დაწყებიდან.

(აღწერითი ლიდი)

ახალი საარჩევნო სისტემა დამაიმედებელია

„ვის ვუწევ კონკურენციას? ხომ არ უნდა დავუთმო მათ ეს პოზიცია, თავად კი მეორე პოზიციაზე ვიყარო კენჭი, რომ თანამშრომლობა შევძლოთ? რა მოხდება მაშინ, თუ დავმარცხდები არჩევნებში, მაგრამ კარგი კანდიდატი ვარ? ეს პოპულარობაში შეჯიბრი ხომ არ იქნება, არჩევნების უმრავლესობის მსგავსად?“

ეს ის შეკითხვებია, რომლებიც კანდიდატებს ყველაზე ხშირად მოსდით ხოლმე თავში, ვიდრე კლასის არჩევნების პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ წლევანდელმა 25 და 26 მარტის სასკოლო არჩევნებმა და 22 და 23 აპრილის კლასის არჩევნებმა ბევრი ეს შეკითხვა გამორიცხა. ბევრი პრობლემა მოგვარდა ახალი საარჩევნო სისტემის შემოღებით, რომელიც მოსწავლეთა კავშირმა განახორციელა.

(ციტატით დაწყებული ლიდი)

„სოციალური ნაყინი“ კარგი ნიშნებისთვის მიღებული ჯილდოა

ყოველ მეოთხედში მოსწავლეები ბეჯითად შრომობენ, რომ კარგი ნიშნები მიიღონ და შთაბეჭდილება მოახდინონ მშობლებსა და თანატოლებზე, მიუხედავად იმისა, რომ

საამისოდ ბევრი სტიმული არა აქვთ. ზოგიერთი მშობელი ფულს უხდის ბავშვს წარმატებით სწავლისთვის; დანარჩენები ბეჯითად სწავლობენ, რადგან ფიქრობენ, რომ მომავალში გამოადგებათ. თუმცა, არსებობს რამდენიმე მეთოდი, რითიც ადმინისტრაცია წაახალისებს თავის მოსწავლეებს, კარგად ისწავლონ.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა „სოციალური ნაყინი“, რომელიც წელიწადში სამჯერ იმართება მათთვის, ვინც „მეოთხედის მოსწავლედ“ დაასახელეს მასწავლებლებმა. ასეთ ჯილდოს მასწავლებლების უმეტესობა აწესებს, ისინი სტიმულებია მოსწავლეებისთვის, რომ კარგად ისწავლონ და დაჯილდოვდნენ უფასო ნაყინით.

(ლიდი დროის მითითებით)

გაკვეთილი 21

შეაფასეთ პიროვნების პორტრეტი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „პიროვნების პორტრეტის შეფასება“

ცნობები მასწავლებლისთვის

პიროვნების პორტრეტი ძალიან ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა მთელი სიმრავლის დამახასიათებელი თვისებების გადმოსაცემად, თუ ამ სიმრავლიდან საინტერესო ადამიანებს შევარჩევთ და დავახასიათებთ. მოსწავლეები გაეცნობიან პიროვნებებს, რომლებსაც შორიდან იცნობდნე ან არ იცნობდნენ პორტრეტის წაკითხვამდე. პიროვნების პორტრეტი პუბლიკაციის ძალიან პოპულარული ნაწილია.

მოსწავლეებმა უნდა გაიგონ კოლეგების მიერ შეფასების მნიშვნელობა. შეფასების პროცესით იღებენ რჩევებს და ეძლევათ ნაშრომში შესწორებების შეტანა მის დაბეჭდვამდე.

სხვების და საკუთარი ნაშრომების რედაქტირებისას მოსწავლეებმა რედაქტორების მსგავსად უნდა იაზროვნონ. თანატოლთა მიერ შეფასების ჯგუფური პროცესი ძალიან გამოსადეგია სტატიის წერისთვის.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან პიროვნების პორტრეტის ძირითად არსს.
- მოსწავლეები ისწავლიან, რომ წერა პროცესია. გადახედვა და შესწორება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპებია.
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ რედაქტირებისთვის აუცილებელია მთლიანი სტატიის შეფასება და მისი გადაკეთება იმის გათვალიწინებით, ვინ წაიკითხავს სტატიას და რა მიზნით იწერება ის.
- მოსწავლეები მიიღებენ ჯგუფური მუშაობის გამოცდილებას, რათა შესთავაზონ შესწორებები ერთმანეთს, რედაქტირება და კორექტურა გაუკეთონ ერთმანეთის ნამუშევრებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

ესაუბრეთ მოსწავლეებს, რომ გაიგოთ, რას ფიქრობენ ისინი პორტრეტის წერის პროცესზე. გაუჭირდათ თუ არა პორტრეტის ძირითადი თემის ან ხედვის კუთხის მოძებნა? რამდენად დაეხმარათ მკითხველზე ფიქრი (მათი სკოლის მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე და ადმინისტრატორებზე) იმის გადაწყვეტაში, რა საკითხზე გაამახვილებდნენ ყურადღებას პორტრეტის წერისას?

ამ საკითხებზე საუბრის შემდეგ გადადით მეორე ეტაპზე.

გაცანით შეფასების ფურცლები

მეორე ეტაპი

დრო: 7 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „პორტრეტის შეფასება“. ეს შეფასება განსხვავდება წინა შეფასებების ფურცლებისაგან. ის ორი ნაწილისგან შედგება: თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება.

მოსწავლეებს ხუთი წუთი დაუთმეთ თვითშეფასებისთვის, რომელიც იწერება „პორტრეტის შეფასების“ პირველ ნაწილში. მოსწავლეებმა ოთხ შეკითხვას უნდა უპასუხონ:

- რა არის ყველაზე კარგი თქვენს პორტრეტში?
- რომელი ნაწილის გაუმჯობესება შეიძლება?
- რა სფეროში ისურვებდით რჩევების მიღებას ყველაზე მეტად?
- როგორ ფიქრობთ, თქვენი ჟურნალისტური უნარებიდან რომელი გაუმჯობესდა ამ პროექტში?

შეფასების ეს ნაწილი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იფიქრონ მიღებული გამოცდილების შესახებ და ჩამოუყალიბდეთ აზრი საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ, რაც ამ პორტრეტის დაწერის პირველ მცდელობაში გამოჩნდა.

პორტრეტის შეფასება

მესამე ეტაპი

დრო: 25 წუთი

მოსწავლეები დააწყვილეთ ან სამკაციან ჯგუფებად დაყავით, რომ ერთად შეასრულონ პიროვნების პორტრეტის შეფასება.

მოსწავლეებს დაავალეთ, წაიკითხონ თვითშეფასების ნაწილი შეფასების ფურცლიდან. შემდეგ მათ უნდა წაიკითხონ ის პორტრეტი, რომლის შემოწმებასაც აპირებენ. მათ უნდა გაითვალისწინონ, რას ფიქრობს თავად ავტორი საკუთარი სტატიის შესახებ.

- ეთანხმებით, რომ ავტორის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული ნაწილი მართლაც საუკეთესოა? დაწერეთ, თუ ეთანხმებით ავტორს. თუ სხვა ნაწილი უფრო მეტად მოგწონთ, ესეც უთხარით ავტორს. შეაქეთ იმისთვის, რაც კარგადაა გაკეთებული.
- ავტორი იმ ადგილსაც აღნიშნავს, რომელიც მაინცდამაინც არ აკმაყოფილებს. ურჩიეთ, როგორ შეიძლება ამ ადგილის უკეთესად დაწერა.
- რჩევა მიეცით იმ ადგილების დაწერასთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ავტორმა რჩევა იკითხა.

დაასრულეთ შეფასების წერა. 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას, 5 ყველაზე მაღალს. რიცხვებით შეფასების გარდა, უნდა დაწეროთ კომენტარები და მიუთითოთ შეცდომით დაწერილ და უადგილოდ გამოყენებულ სიტყვებზე, პუნქტუაციის შეცდომებზე.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 3 წუთი

მასწავლებლებს არ დასჭირდებათ მთელი წლის განმავლობაში მიცემული ყველა დავალების გამო თანატოლთა მიერ შეფასების ჯგუფების შექმნა, მოსწავლე რედაქტორებმა და ავტორებმა თავად უნდა ჩამოაყალიბონ ამგვარი ურთიერთობის ფორმა.

საუკეთესო შემთხვევაში მოსწავლე თავად გახდება საკუთარი თავის რედაქტორი, თავად დაუსვამს საკუთარ თავს ამ შეკითხვებს, შეაფასებს საკუთარ წარმატებას და ყურადღებას მიაქცევს იმ სფეროებს, რასაც გაუმჯობესება სჭირდება. ისინი თავად შეძლებენ, დაადგინონ, რა ინტერვიუ და კვლევა სჭირდებათ, სადაა ზედმეტი სიტყვები ან სუსტად ფორმულირებული ფრაზები, სადაა საჭირო ციტატა, სად უნდა იყოს უკეთესად გაკეთებული

გარემოს აღწერა, გრამატიკის და ლექსიკის რომელი წესების გამეორება სჭირდებათ, რომ გამოიყენონ წერისას.

შესაძლო საშინაო დავალება

სტატიის ავტორებმა უნდა განიხილონ კომენტარები, რომლებიც „პიროვნების პორტრეტის შეფასებაში“ წერია, ან ზეპირად მიიღეს. მათ უნდა განსაზღვრონ, რომელ კომენტარებს გამოიყენებენ. შემდეგ მათ უნდა გადააკეთონ პორტრეტი.

საუკეთესო პორტრეტები მოსწავლეთა გაზეთში შეიძლება გამოქვეყნდეს, დანარჩენები კი ვებგვერდზე დაიდოს.

დასარიგებელი მასალა

პორტრეტის წერა

პორტრეტის ავტორი _____

პორტრეტის სათაური _____

კოლეგა შემფასებელი _____

პიროვნების პორტრეტის შეფასება

ნაწილი პირველი: თვითშეფასება

- რომელია თქვენს პორტრეტში საუკეთესოდ დაწერილი ნაწილი?
- პორტრეტის რომელი ნაწილის გაუმჯობესება შეიძლება?
- ყველაზე მეტად პორტრეტის რა ნაწილში გჭირდებათ რჩევის მიღება?
- თქვენი რომელი ჟურნალისტური უნარი გაუმჯობესდა ყველაზე მეტად ამ პროექტის წერისას?

ნაწილი მეორე: კოლეგის შეფასება

1-დან 5 ქულამდე შეფასების სკალა გამოიყენეთ ავტორის დამარწმუნებლობის, შინაარსის, სტილის და ლექსიკური მარაგის შესაფასებლად:

5 აღნიშნავს შესანიშნავ შესრულებას. ავტორი ხვდება პიროვნების პორტრეტის მიზანს. პორტრეტში ლიდიდან ბოლო აბზაცამდე ნაჩვენებია ცოცხალი ადამიანი და ავტორი ამას აღწევს აღწერით, ციტატებით და ინფორმაციით. პორტრეტი ბუნებრივად ვითარდება და მკითხველს დასკვნამდე ჩაკითხვას ანდომებს.

4 გამოხატავს, რომ პიროვნების პორტრეტს აქვს 5-ზე შესრულებული ნაწერის ყველა თვისება, მაგრამ არაა ისე კარგად ორგანიზებული, აკლია საინტერესო ციტატები, ან აქვს რამდენიმე შეცდომა.

3 იწერება, როცა შესრულება საშუალოა; კომპონენტები არის, მაგრამ მთლიანად პორტრეტი არაა ორგანიზებული, აკლია ერთიანობა ან მასში არის შეცდომები გრამატიკაში, პუნქტუაციაში, ან ლექსიკაში.

2 ნიშნავს, რომ ავტორს ესმის, რა მოეთხოვება, მაგრამ ცუდად ასრულებს და აქვს მნიშვნელოვანი შეცდომები გრამატიკაში, პუნქტუაციაში და ლექსიკაში.

1 ნიშნავს, რომ არ შეესაბამება კრიტერიუმებს, აკლია საჭირო ელემენტები. ავტორი ვერ ხვდება პორტრეტის დაწერის მიზანს და წერის პროცესს. სტატიაში ბევრი შეცდომაა სტილში, გრამატიკასა და პუნქტუაციაში.

სტატია ისეა დაწერილი, რომ ლიდიდან ბოლო აბზაცამდე ინტერესით იკითხება.

1 2 3 4 5 ლიდი იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ის კარგად შეესაბამება პორტრეტის მთლიან ტექსტს.

1 2 3 4 5 ლიდის ტონი შეესაბამება პიროვნებას და პორტრეტს.

1 2 3 4 5 დასკვნა პორტრეტის თემის შესაბამისია, ის ხაზს უსვამს პიროვნების ძირითად თვისებებს და/ან ინტერესს აჩენს, რის გაკეთებას აპირებს ეს პიროვნება უახლოეს მომავალში.

პორტრეტი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის შესახებ შეგროვილი ინფორმაციის ნაკრები.

1 2 3 4 5 ავტორმა იპოვა ის ძირითადი ელემენტი, რომელიც მთელ პორტრეტს აერთიანებს და კრავს.

1 2 3 4 5 მოცემული ინფორმაცია შეესაბამება პორტრეტის მთავარ თემას.

პორტრეტში კარგადაა გამოყენებული აღწერა და დეტალები.

1 2 3 4 5 ავტორი კარგად იყენებს ხუთივე შეგრძნებას, რომ გვაჩვენოს ადამიანის, მისი პროექტების და აქტივობების სრული სურათი. მკითხველები თითქოს „ხედავენ“ პორტრეტის ობიექტს.

1 2 3 4 5 ავტორს მოჰყავს საკმარისი რაოდენობის დეტალები იმისთვის, რომ მკითხველს გააგებინოს პორტრეტის თემა და საკუთარი ხედვის კუთხე.

ციტატების საშუალებით დასახასიათებელი ადამიანი თავად ესაუბრება მკითხველს.

1 2 3 4 5 ავტორი კარგად ირჩევს ციტატებს, რომლებიც გვაჩვენებს, რითია მოტივირებული, რა შთააგონებს და რა ახდენს გავლენას პორტრეტის ობიექტზე.

1 2 3 4 5 ციტატები ამჟღავნებს, რა საინტერესო და სავსეა ამ ადამიანის ცხოვრება.

პორტრეტს კორექტურა სჭირდება.

1 2 3 4 5 პორტრეტში არაა ან ძალიან ცოტაა მექანიკური შეცდომები.

1 2 3 4 5 პორტრეტში არაა არასწორად დაწერილი სიტყვები.

პორტრეტი დაწერილია შესაბამისი ფორმატით.

1 2 3 4 5 ნამუშევარს მითითებული აქვს სათაური და ავტორი.

1 2 3 4 5 ნაშრომში დაცულია ფორმატი.

გაკვეთილი 22

ფოტოგრაფია: მოქმედება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: ფოტოაპარატები, პროექტორი, ეკრანი, ლეპტოპი

დასარიგებელი მასალა: პეუერპოინტი კომენტარებით: მოქმედების ფოტოგრაფია: დაიჭირე კადრი, ფოტოაპარატის მოხმარების ინსტრუქცია – ჩამკეტის თვისებები (სკოლის მიერაა მოწოდებული)

ცნობები მასწავლებლისთვის

მოსწავლეთა გაზეთების უმეტესობაში მოქმედების ფოტოების ნაკლებობაა. ახლო წარსულში არცერთ სამოყვარულო ციფრულ ფოტოაპარატს არ ჰქონდა საკმარისი ოპტიკური გადიდება ანუ ზუმი. მოსწავლეები ხშირად ფიქრობენ, რომ ვერ გადაიღებენ მოქმედების ფოტოებს კარგად, თუ ფოტოაპარატზე გრძელ ობიექტივს არ დაამაგრებენ. თუმცა, თუ ფოტოგრაფი „საკუთარი ფეხებით აკეთებს ზუმს“ და უახლოვდება გადასაღებ ობიექტს, მაინც შეუძლია, კარგად გადაიღოს მოქმედების ფოტოები.

ფოტოაპარატის ყიდვისას, ძირითადი, რაც უნდა გაითვალისწინოთ, განსხვავებაა „ოპტიკურ ზუმსა“ და „ციფრულ ზუმს“ შორის. ოპტიკური ზუმი ნიშნავს, რომ ფოტოაპარატი გაადიდებს ობიექტს და შეცვლის ფოკუსს ისე, როგორც თქვენს თვალს შეუძლია შეცვალოს ფოკუსი შორს მდებარე ობიექტიდან ახლოს მყოფზე, ან პირიქით.ციფრული ზუმი კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფოტოაპარატი ადიდებს მეგაპიქსელებს, მაგრამ ობიექტს სულაც არ აახლოებს. მეგაპიქსელების – ესაა პაწაწინა კვადრატები, რომლებისგანაც შედგება სურათი – გადიდება მხოლოდ ამახინჯებს ფოტოს და აზიანებს მის ხარისხს.

სულ უფრო მეტ სამოყვარულო ფოტოაპარატს აქვს ძალიან ძლიერი ოპტიკური ზუმი, მალე ციფრულ ზუმს აღარავინ გამოიყენებს.

გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ისეთი ფოტოაპარატი, რომელსაც ჩამკეტის მაღალი სიჩქარე აქვს, რაც საშუალებას მისცემთ, სწრაფად მოძრავი ობიექტების გადაღება შეძლონ. სკოლის გაზეთისთვის გადაღებული ფოტოების უმეტესობას არ სჭირდება ძვირი

ფოტოაპარატი გრძელი ობიექტივით. მოსწავლეებს ისედაც შეუძლიათ მოქმედების ფოტოების უკეთესად გადაღება, თუ ისწავლიან, როგორ მოქმედებს ეს ელემენტები ერთად.

მიზნები

- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ გაარჩიონ მოქმედების ფოტოგრაფია უბრალოდ ბუნებრივი ფოტოგრაფიისგან.
- მოსწავლეები ისწავლიან მოქმედების ფოტოგრაფიის გადაღების ძირითად პრინციპებს და ტექნიკას.
- მოსწავლეები ივარჯიშებენ მოქმედების ფოტოების გადაღებაში და შეისწავლიან ჩამკეტის სიჩქარის თვისებების საფუძვლებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 20 წუთი

აჩვენეთ მოსწავლეებს პეუერპოინტის პრეზენტაცია სათაურით „მოქმედების ფოტოგრაფია: დაიჭირე კადრი“ და განიხილეთ კომენტარებში მოცემული რჩევები და წესები. ინსტრუქტორისთვის პრეზენტაციის მთლიანი ტექსტია მოცემული. პრეზენტაციის ჩვენებისას დროდადრო შეყოვნდით და უპასუხეთ მოსწავლეთ შეკითხვებს, თუ კითხვები გაუჩნდებათ.

ჩვენებასთან ერთად დაურიგეთ მოსწავლეებს ამობეჭდილი პრეზენტაცია კომენტარებითურთ. ბოლო სლაიდზე მოცემულია ინსტრუქცია აქტივობისთვის.

მეორე ეტაპი

დრო: 13 წუთი

წაუკითხეთ მოსწავლეებს ინსტრუქციები პეუერპოინტის პრეზენტაციის ბოლო სლაიდიდან. იქ ნათქვამია, რომ მოსწავლეებმა უნდა გადაიღონ, სლაიდის მარცხენა მხარეს რომ ფოტოა, მისი მსგავსი სურათი.

დაურიგეთ მათ ფოტოაპარატის მოხმარების ინსტრუქციის ასლები, სადაც აღწერილია, როგორ უნდა დავაყენოთ ფოტოაპარატზე ჩამკეტის მაღალი სიჩქარე. კლასთან ერთად

ეტაპობრივად გაარჩიეთ ამის გაკეთება, რომ დარწმუნდეთ, ყველას სწორად აქვს ფოტოაპარატი დაყენებული.

მოსწავლეები ორ ან სამკაციან ჯგუფებად დაიყოფიან, გავლენ გარეთ და ერთმანეთს ნახტომის დროს გადაუღებენ სურათებს, როგორც აქვთ მიღებული მითითება, რათა ისწავლონ, როგორ უნდა დაიჭირონ კადრი. მოსწავლეებმა შეიძლება დაიჭირონ მომენტი და მიიღონ სასურველი კადრი რაიმე სხვა მოქმედების გადაღებით, რაც სკოლის პირობებზეა დამოკიდებული.

მასწავლებლებმა უნდა ურჩიონ მოსწავლეებს, რომ ოთხი-ხუთი კადრის გადაღების შემდეგ შეჩერდნენ და ნახონ, წარმატებით გადაიღეს თუ არა მოქმედება. მათ შეიძლება ჩაიწერონ, რა პირობებში გადაღებისას გამოვიდა კარგი შედეგი. პრაქტიკასთან ერთად, მოსწავლეები ისწავლიან, ფოტოაპარატი როგორ უნდა გაასწორონ მოცემული მოქმედებებისა და განათებისთვის.

დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აჩვენონ ერთმანეთს საკუთარი ფოტოები.

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეები ბრუნდებიან კლასში და ერთმანეთს გადასცემენ ფოტოაპარატებს, რომ დაათვალიერებინონ გადაღებული ფოტოები. შემდეგ მოსწავლეები ინსტრუქტორს უბრუნებენ ფოტოაპარატებს. შეიძლება, მასწავლებელმა დაბეჭდოს მოქმედების ფოტოები და გაზეთის რედაქციის ოთახში გამოაკრას.

შეჯამება

მეოთხე ეტაპი

დრო: 2 წუთი

მოქმედების ფოტოგრაფია ძალიან მნიშვნელოვანია გაზეთის ფურცლებისა და ვებგვერდებისთვის სიცოცხლის შესამატებლად. ბუნებრივი ფოტოები და მოქმედების ფოტოები იჭერენ მოძრაობას და სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებას.

მოსწავლეებმა თავისუფლად უნდა ჩაატარონ ექსპერიმენტები ფოტოაპარატით, ისე, რომ არ შეეშინდეთ დაბალი ნიშნის ან დამამცირებელი შენიშვნების. შეაქეთ ყველაფერი, რაც

კარგადაა გაკეთებული. მიეცით მოსწავლეებს თავისუფლება, მიიღონ პრაქტიკა და ისწავლონ მის საფუძველზე.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებმა მოქმედების ფოტოები შეიძლება გადაუღონ მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. მათ მიერ გადაღებული მოქმედება შეიძლება იყოს რამე ისეთი უბრალო, როგორიცაა საჭმლის კეთება, დასუფთავება ან პარკში თამაში. მორბენალი და ფეხბურთის მოთამაშე ბავშვები კარგ ობიექტს წარმოადგენს მოქმედების ფოტოგრაფიისთვის. მოსწავლეებმა შემდეგ გაკვეთილზე უნდა მოიტანონ სურათები და დაათვალიერებინონ ერთმანეთს.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები გამოყენებულია შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- ფოტოები მოგვაწოდა ალენ ვაინტრაუტმა და აღებულია Stock Xchng ფოტო ვებგვერდიდან: http://www.sxc.hu/. პეუერპოინტში ფოტოებს ინდივიდუალურად აწერია წყაროები.

გაკვეთილი 23

სპორტზე წერა და ამ სფეროს გაშუქება

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „რჩევები სპორტული მიმოხილვის და ფოტოების შესახებ“, „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: გრეისი ქეინი“ (სპორტსმენის პორტრეტის ნიმუში), „გოგონების საფეხბურთო გუნდი ყაიმით ამთავრებს სენთერვილთან 0:0“ (თამაშის მომოხილვის ნიმუში), „პინგ-პონგის კლუბი სახელს იხვეჭს“ (ძირითად თემებზე დაწერილი სტატიის ნიმუში), „მა ლინის ფაქტების ჩამონათვალი“

ცნობები მასწავლებლისთვის

სპორტული მიმოხილვა გაზეთების და ვებგვერდების –როგორც პროფესიონალური, ისე მოსწავლეთა – ის ნაწილია, რომელსაც ყველაზე ხშირად კითხულობენ.

The New York Times-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული განყოფილებაა Yankees ბეისბოლის გუნდის ყოველკვირეული სპორტული მიმოხილვა. *The Los Angeles Times* წერს მსოფლიოს ჩემპიონ „ლეიკერსის“ კალათბურთის გუნდზე, რომელსაც მილიონობით ფანი ჰყავს. ვაშინგტონში Redskins-ის, ამერიკული ფეხბურთის ადგილობრივი გუნდის შესახებ რეპორტაჟებს *Washington Post*-ის ვებგვერდზე ყველაზე მეტი მნახველი ჰყავს. *Milwaukee Journal Sentinel*-ის ვებგვერდის მკითხველებისთვის გადასახადია დაწესებული ახალი ამბების იმ განყოფილებაში შესასვლელად, სადაც იწერება Green Bay Packers-ის, ამერიკული ფეხბურთის ადგილობრივი გუნდის შესახებ.

სპორტის ფანები ითხოვენ ახალ სტატიებს, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ანგარიშითა და წაგებულ-მოგებულის დასახელებით. სპორტის ფანები თითქმის არასოდეს ყიდულობენ გაზეთს ანგარიშის გასაგებად. მკითხველებს გაზეთისგან და ვებგვერდებისგან უფრო მეტი სიღრმე და დეტალები სჭირდებათ, რისი ტელევიზიით და რადიოთი გადაცემაც შეუძლებელია. მათ მეტი ფოტოების ნახვა სურთ, ვიდეოჩანაწერების და სტატისტიკური მონაცემების. ზოგიერთ მკითხველს სპორტული მიმოხილვების კითხვა მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული.

როგორც პროფესიონალური, ისე მოსწავლეთა პრესისთვის, სპორტული მიმოხილვა უნდა დაემყაროს ფაქტების რეპორტაჟს და არა უბრალოდ მოსაზრებას. ტელევიზია და რადიო სპორტული კომენტარებითაა სავსე, მაგრამ ფანებს არ სურთ არაინფორმირებული მოსაზრებები. მოსწავლეებს უნდა ახსოვდეთ, რომ სპორტის შესახებ წერას სჭირდება თამაშის წესების, მოთამაშეების და მწვრთნელების კარგად ცოდნა.

სკოლაში მიმდინარე არაოფიციალურ სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებსაც სჭირდება მიმოხილვა. ბევრი მოსწავლე იმდენად დაკავებულია, რომ ორგანიზებულ სპორტულ თამაშებში ვერ მონაწილეობს, ამიტომ საჭიროა სტატიები მოსწავლეებზე, რომლებიც სპორტით, როგორც ჰობით, არიან დაკავებული. მაგალითად, ზოგიერთ სკოლას აქვს კლუბები, რომლებიც სპორტულ შეჯიბრებებს მართავენ პინგ-პონგსა და ფეხბურთში. ამ კლუბების საქმიანობის მიმოხილვა ბევრი მკითხველისთვის იქნებოდა საინტერესო.

მიზნები

- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ უნდა გააკეთონ მიმოხილვა და წერონ სპორტზე.
- მოსწავლეები გაეცნობიან სპორტული სტატიების სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც სკოლის გაზეთში უნდა იყოს ჩართული.
- მოსწავლეები შეიმუშავებენ სპორტის მიუკერძოებელი მიმოხილვის პროცედურას.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 5 წუთი

სთხოვეთ მოსწავლეებს, მოამზადონ ქაღალდის ფურცლები და ჩამოწერონ სკოლის სპორტული აქტივობები მათი მწვრთნელებითურთ. მათ უნდა მოიფიქრონ ყველა სპორტი, გოგონების თუ ბიჭების. ზეპირად ჩამოთვალონ. ჰკითხეთ, გაუჭირდათ თუ არა ყველა სპორტული გუნდის და სპორტთან დაკავშირებული აქტივობის ჩამოთვლა, რომლებიც სკოლაში არაოფიციალურად არსებობს. არის გაზეთის რედაქციაში ვინმე, ვინც კარგად იცნობს სკოლაში არსებულ ყველა სპორტს?

მეორე ეტაპი

დრო: 15 წუთი

წაიკითხეთ და განიხილეთ „რჩევები სპორტული მიმოხილვის და ფოტოების შესახებ“. მოსწავლეებს სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხონ თითო აბზაცი, რომ მთელმა კლასმა მიიღოს ინფორმაცია. შეამოწმეთ, ესმით თუ არა იმ ძირითადი ცნებების შინაარსი, რომლებიც მუქი შრიფტითაა დაბეჭდილი.

განიხილეთ სპორტული სტატიების სხვადასხვა ტიპები, რომელთა შესახებაც ამ მასალის ბოლოში წერია.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

სასკოლო გაზეთის სპორტულ გვერდებზე იქნება სტატიები თამაშების მიმოხილვით, სტატიები მომავალი თამაშების შესახებ და სხვა სტატიები, მათ შორის სპორტსმენების და მწვრთნელების პორტრეტები.

აქ იქნება, აგრეთვე, ჩანაწერები მოგება-წაგების შესახებ, ქულების ცხრილი და სტატისტიკური მონაცემები. ამ ჩანაწერების არსებობა დამოკიდებულია პუბლიკაციის სიხშირეზე. ხშირად, ეს მონაცემები არის ხოლმე მოსწავლეთა ვებგვერდზე, რომელიც ყოველკვირეულად შეიძლება განახლდეს.

დაურიგეთ მოსწავლეთა მიერ დაწერილი სტატიების ნიმუშები:

1. სტატია-პორტრეტის ნიმუში: „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: გრეისი ქეინი“
2. თამაშის მომოხილვის ნიმუში: „გოგონების საფეხბურთო გუნდი ყაიმით ამთავრებს სენთერვილთან 0:0“
3. ძირითად თემებზე დაწერილი სტატიის ნიმუში: „პინგ-პონგის კლუბი სახელს იხვეჭს“

წააკითხეთ მოსწავლეებს ეს სტატიები, რომ ნახონ, როგორაა დაწერილი ისინი და დაინახონ განსხვავებები სტატიის თითოეულ ტიპს შორის. თამაშის მომოხილვის ნიმუში ვებგვერდიდანაა აღებული. ხაზგასმული სიტყვები აღნიშნავს, რომ აქ ლინკებია სხვა სტატიაზე ან ინფორმაციაზე გადასასვლელად.

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

დაარიგეთ და განიხილეთ „მა ლინის ფაქტების ჩამონათვალი. აქ წარმოდგენილია მოკლე შეჯამება, ოლიმპიური თამაშების მიმოხილვის სტატია China Daily-დან და მა ლინის ციტატები. სთხოვეთ მოსწავლეებს, ხმამაღლა წაიკითხონ ეს სტატია. ციფრები და ფაქტები მხოლოდ სტატიის „ხიბლი“ კი არაა – მათშია მთელი სტატიის არსი და დედააზრი.

სტატია წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და რეპორტიორის სიტყვებს დააკვირდით. სფეროები, რის შესახებაც უნდა იმსჯელოთ, არის:

- დააკვირდით, როგორ ურთავს ჟურნალისტი სტატისტიკას და რიცხვებს სტატიაში.
- რამდენიმე აბზაცში სპორტული რეპორტიორი გვაწვდის ახალ ამბებს და მოსალოდნელი მოვლენების შესახებ გვატყობინებს. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა ადგილას აკეთებს ამას ავტორი.
- როგორ წარმოგვიდგენს ვან ხაოს სულ რამდენიმე დეტალით.
- მკითხველთა რომელ შეკითხვას პასუხობს ბოლო აბზაცი?
- თუ მეტი დრო ექნებათ, მასწავლებლებმა შეიძლება დაავალონ მოსწავლეებს, გამოიყენონ დასაწყისში მოყვანილი ფაქტები, სტატიის ინფორმაცია, მა ლინის შესახებ საკუთარი ცოდნა და დაწერონ სტატია განსხვავებული ხედვის კუთხით.

შეჯამება

მეხუთე ეტაპი

დრო: 2 წუთი

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ სპორტის შესახებ წერას სჭირდება თამაშის წესების, მოთამაშეების და მწვრთნელების კარგად ცოდნა. სპორტული რეპორტიორი არ უნდა იყოს გუნდის ფან კლუბის პრეზიდენტი, მან უნდა სცადოს რეპორტაჟში ბალანსის დაცვა. როგორც ვთქვით, რეპორტიორები წერენ სკოლის გუნდზე, ანუ სკოლის გაზეთის სპორტული მიმოხილვა უმეტესად სკოლის გუნდს შეეხება.

სპორტული მიმოხილვა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ჩაურთეთ სტატიები, რომლებიც მოახლოებული მოვლენების შესახებ ატყობინებენ მოსწავლეებს. ჩაურთეთ თამაშის მიმოხილვები გამორჩეულ თამაშებზე განსაკუთრებული აქცენტებით და სეზონის წინა თამაშებთან შედარებებით. აჩვენეთ მკითხველს საინტერესო ადამიანები კითხვა-პასუხებისა და პიროვნების პორტრეტების მეშვეობით.

შესაძლო საშინაო დავალება

შეიძლება, მოსწავლეებს დაევალოთ სპორტზე დაწერილი სტატიის მონახვა ადგილობრივ გაზეთში და კლასში მოტანა ზეპირად გასარჩევად. კონკრეტული ასპექტები, რასაც მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ: სტატისტიკის და ფაქტების გამოყენება იმის საჩვენებლად, ვინ მოიგო თუ წააგო თამაში. ეს სავარჯიშო დაეხმარება მოსწავლეებს, უფრო ახლოს გაეცნონ სპორტულ მიმოხილვებს ადგილობრივ მედიაში.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: გრეისი ქეინი“, მერაია ფილიპსი, პალო-ალტოს საშუალო სკოლა, პალო-ალტო, კალიფორნია.
- „გოგონების საფეხბურთო გუნდი ყაიმით ამთავრებს სენთერვილთან 0:0“, კრისტენ ჰენესი, ანანდეილის საშუალო სკოლა, ანანდეილი, ვირჯინია.
- „პინგ-პონგის კლუბი სახელს იხვეჭს“, ქეითი მასტერსი, ანანდეილის საშუალო სკოლა, ანანდეილი, ვირჯინია.
- „მა ლინის ფაქტების ჩამონათვალი“, პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებგვერდი, ვიკიპედია (მა ლინი (მაგიდის ჩოგბურთი), *China Daily*-ის ვებგვერდი და ციტატები megaspin.net-იდან.

დასარიგებელი მასალა

რჩევები სპორტული მიმოხილვის და ფოტოების შესახებ

დაესწარით თამაშებს

იმისათვის, რომ დაწეროთ სტატია თამაშის შესახებ და ხელი მოაწეროთ მას, თქვენ უნდა ესწრებოდეთ ამ თამაშს.

მოემზადეთ

ჟურნალისტები ყოველთვის წინასწარ წერენ შეკითხვებს. ფოტოგრაფები გადასაღები სურათების სიას. უნდა იცოდეთ, ვინ არიან ძირითადი მოთამაშეები, მოწინააღმდეგე გუნდიდანაც კი. მცოდნე მეგობრებს ჰკითხეთ, ვინ თამაშობს ყველაზე უკეთესად ორივე გუნდში. მოიპოვეთ სიები, რომ მოთამაშეთა გარჩევა შეძლოთ მაისურზე გამოსახული ნომრებით. სპორტულ ჟურნალისტიკაში არსებობს ტრადიციული გამონათქვამი, „იყავით თქვენს მკითხველებზე უფორ ჭკვიანი და თქვენს წყაროებზე უფრო სულელი“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სპორტული კლუბი არაოფიციალურია, უნდა გაიგოთ, ვინ აკეთებს შეჯიბრებების ორგანიზებას და სად ტარდება ისინი. ზოგიერთ სკოლაში თამაშების მიმოხილვის დასაწერად მასწავლებლის ნებართვაა აუცილებელი.

მიუახლოვდით გვერდით ხაზს, იყავით მოქმედებასთან ახლოს

უკეთ გაიგონებთ მოთამაშეების და მწვრთნელის ხმას. შეძლებთ გუნდის განწყობის გაგებას და არა ფანების.დაიმახსოვრეთ, გადასაღებად ყველაზე ადვილია *რეაქციის კადრები* ძირითად თამაშებზე. მოქმედების საუკეთესო ფოტოებზე ჩანს ადამიანი, *ბურთის* დარტყმის ამ მასზე კონტროლის მომენტში. საუკეთესო სახასიათო ფოტოები მოედნის *გარეთაა* გადაღებული. თამაშის შემდგომი ინტერვიუები ვებგვერდზე დაუყოვნებლივ უნდა ატვირთოთ, ვიდრე თამაში ყველას კარგად ახსოვს.

წადით ვარჯიშზე

სპორტსმენები დროის 80 პროცენტს გაწელვებში, ვარჯიშებში, სატამაშო მოედანთან საუბარში, ხუმრობასა და მწვრთნელის თანაშემწეებთან მუშაობაში ატარებენ, მაგრამ ამის

შესახებ იშვიათად იწერება. მწვრთნელები უფრო ნაკლებ დაძაბულები არიან, მოედანზე უკეთესი ფოტოების გადაღება შეიძლება, განათება უკეთესია.

იკითხეთ პროფესიონალების ნაწერი

წაიკითხეთ, როგორ მუშაობენ პროფესიონალი სპორტული ჟურნალისტები. მათგან ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, რადგან თამაშებისა და სპორტის ფორმატები მსგავსია მოსწავლე და პროფესიონალი სპორტსმენების შემთხვევაში. როგორც სპორტული ჟურნალისტი, თქვენ სპორტის მოყვარული უნდა იყოთ. თუ ყველა სპორტი არ გიყვართ, ინფორმაცია მაინც უნდა გქონდეთ სპორტის იმ სახეობებზე, რომლებსაც არ გულშემატკივრობთ.

აღწერეთ თემები და არა მხოლოდ მოვლენები

თამაშებზე სხვაც ბევრი რამ ხდება გარდა იმისა, რასაც მოქმედების სახით ვხედავთ მოედნებზე. თუ თქვენს გუნდს ცუდი სათამაშო სეზონი აქვს და ხშირად აგებს, სცადეთ, თემატურად გააშუქოთ ეს. დაწერეთ გულშემატკივართა რეაქციაზე, მომავალი სეზონის გეგმებზე, ადამიანებზე, ვინც ეხმარება გუნდს და ა. შ.

ურთიერთობები

მწვრთნელები და გუნდის კაპიტნები თქვენი სტატიის მთავარი ნაწილია – თქვენ უნდა გაიცნოთ ისინი და ზუსტი რეპორტაჟი გააკეთოთ. ბევრ გუნდს ჰყავს საკუთარი ფანები, რომლებიც წლების განმავლობაში მასთან არიან. იპოვეთ ისინი დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ეთიკა და ობიექტურობა

ეჭვი არაა, რომ პროფესიული პრესა მხარს უჭერს საკუთარ გუნდს. სპორტულ მიმოხილვას გაცილებით ნაკლებად ახასიათებს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ვიდრე ახალი ამბების სტანდარტულ რეპორტაჟებს. მაგალითად, როცა ლოს ანჯელეს ლეიკერსი კალათბურთის თამაშს იგებს, *L.A. Times* წერს მათი წარმატების შესახებ და სტატიას გაზეთის დასაწყისში ათავსებს. თუ ისინი აგებენ, გაზეთი მაინც აფასებს თამაშს კრიტიკულად და გამოყოფს ძირითად მომენტებს, რის გამოც წააგეს. თუმცა, სკოლის გაზეთში შეიძლება, არ აღინიშნოს, რომელი მოთამაშის შეცდომების გამო წააგეს. უმეტეს შემთხვევებში, წერენ ხოლმე „თამაშის დასასრულისკენ რამდენიმე თავისუფალი დარტყმა უშედეგო აღმოჩნდა,

რამაც მოწინააღმდეგე გუნდს გამარჯვება მოუტანა“ და არ ასახელებენ იმ მოსწავლეს, ვინც ვერ ჩააგდო თავისუფალი დარტყმები.

წერა

გახსოვდეთ, რომ თქვენი მკითხველები სპორტის მოყვარულები არიან. ნუ დაიწყებთ მათთვის თამაშის მარტივი წესების ახსნას, თუნდაც თქვენ თვითონ სულ ახალი ნასწავლი გქონდეთ ეს წესები. თუ არ ხართ დარწმუნებული იმაში, რასაც წერთ, მოთამაშეთა ციტატებს უფრო ხშირად დაეყრდენით. თითოეული სტატიისთვის უნდა აიღოთ მწვრთნელთან ინტერვიუ და ჩაურთოთ მისი ციტატები. ყოველთვის დაუსვით „რატომ“ შეკითხვები, თუ გსურთ, გასცდეთ ბანალურ პასუხებს „ამ საღამოს მართლა კარგად ვითამაშეთ“. ამის ნაცვლად, თქვენ შეიძლება მიიღოთ უკეთესი პასუხი: „ჩვენი 3-ქულიანი ტყორცნების დამსახურებაა, ამ საღამოს რომ გავიმარჯვეთ. მთელი დღე ამ ტყორცნებში ვვარჯიშობდით“, თქვა კალათბურთის გუნდის კაპიტანმა. გამოიყენეთ ქულები და სტატისტიკა, როგორც ფაქტობრივი საფუძველი სტატიისთვის.გამოიყენეთ შესაფერისი ზმნები, რომლებიც კარგად გამოხატავს მოქმედებას და თამაშის განწყობას.

სტატიის ტიპები

1. **თამაშის მიმოხილვა:** ეს სპორტული სტატიის ყველაზე პოპულარული ტიპია. მას წერენ თამაშის დამთავრებისთანავე და ტვირთავენ ვებგვერდზე ან უშვებენ დასაბეჭდად. შესავალში მოცემულია მთელი თამაშის შეჯამება, ვინ მოიგო და ვინ წააგო, ან რაიმე დასამახსოვრებელი სცენა თამაშიდან. ისეთი გაზეთებისთვის, რომლებიც წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე გამოდის, ასეთი სტატიები ძალიან მალე ძველდება. სტატია, ჩვეულებრივ, მთავრდება ძირითადი მომენტების ჩამოთვლით და მათშ მონაწილე მოთამაშეთა დასახელებით. მოსწავლე სპორტსმენებს უყვართ, როცა მათი სახელი გაზეთში ჩნდება.
2. **სტატია ძირითად თემებზე:** ასეთი სტატიები ინტერესს იწვევს. სტატიაში შეიძლება აღწერილი იყოს სპორტთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა ტრავმები, ახალი ინვენტარი, თამაშის წესები, ახალი მოთამაშეები, მოსწავლეთა რეაქციები პროფესიონალურ სპორტთან ან ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით. ასეთი სტატიები უფრო დამახასიათებელია ისეთი გაზეთებისთვის, რომლებიც იშვიათად იბეჭდება.

3. **სპორტსმენის/მწვრთნელის** პორტრეტი**:** ეს სტატიები სცილდება სპორტსმენის თამაშის აღწერას და აჩვენებს მას, როგორც მთლიან პიროვნებას. დახასაიათებები ხშირად შეიცავს იმ ადამიანების ინტერვიუებს, ვინც იცნობენ მოთამაშეს სპორტის გარეშეც, მაგალითად, მშობლები, მასწავლებელი ან მეგობარი. სპორტის ფანებს სურთ, მეტი იცოდნენ მოთამაშის ცხოვრების შესახებ. მოძებნეთ გუნდის კაპიტანი, რომელსაც შესანიშნავი ნიშნები ჰყავს, ან გუნდის წევრი, რომელსაც ექიმობა სურს.
4. **წინასწარი სტატია:** ეს სტატია იწერება დიდ თამაშამდე, მასში აღწერილია, მწვრთელი როგორ აფასებს თამაშის მოგების შესაძლებლობას. ამ ტიპის სტატია უჩვეულოა სკოლის გაზეთისთვის, თუმცა მომავალი თამაშის შესახებ ერთი ან ორი აბზაცი ხანდახან ჩართულია ხოლმე თამაშის მიმოხილვის სტატიებში.

მა ლინის ფაქტების ჩამონათვალი

დაიბადა: 19 თებერვალი, 1980

პოზიცია: #3 მსოფლიოში, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის 2010 წლის ივნისის შეფასებით

მაგიდის ჩოგბურთში მოსვლა: მაგიდის ჩოგბურთის თამაში ხუთი წლისამ ისწავლა

გუნდი: პროვინციის ნაკრები 1990, ეროვნული ნაკრები 1994

რეკორდი: მესამე ჩინელი მამაკაცი სპორტსმენი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე ინდივიდუალური და გუნდური ოქროს მედლები მოიპოვა მაგიდის ჩოგბურთში

სტილი: ჩოგნის კალამივით ჭერის სტილი, სწრაფად გადაადგილება, აგრესიული თამაში

რეპუტაცია: მა ლინი ცნობილია დაუსრულებელი ვარჯიშით; ადრეულ ასაკში ის ცნობილი იყო იმით, რომ ფეხსაცმლის ძირებს სულ რაღაც სამ დღეში ცვეთდა.

პრესა, 23 აგვისტო: ჩინეთმა მოიგი ყველა ოლიმპიური მედალი შაბათს პეკინის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში მამაკაცთა შორის მაგიდის ჩოგბურთში გამართულ შეჯიბრზე. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ერთი ქვეყანა იგებს ყველა მედალს მამაკაცთა წყვილებში შეჯიბრზე.

მა ლინმა მოიგო ოქროს მედალი, ვან ხაომ ვერცხლი, ხოლო ვან ლიჩინმა ბრინჯაოს მედალი. სამმა ჩინელმა მამაკაცმა გაიმეორა მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშე მათ თანამემამულე ქალთა მიღწევა, რომლებმაც 24 საათით ადრე ყველა საპრიზო ადგილი დაიკავეს ქალთა შორის შეჯიბრზე.

CHINA DAILY-ის სტატია ოლიმპიური გამარჯვების შესახებ

www.chinadaily.com.cn/olympics/2008-08/23/content_6964960.htm

პეკინი – მსოფლიოს #2 მოთამაშე მა ლინმა ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, მან დაამარცხა ვან ხაო 4:1 მაგიდის ჩოგბურთში ოლიმპიური თამაშების ფინალურ მატჩში, რომელიც შაბათ საღამოს გაიმართა.

მამ გაიმარჯვა ანგარიშით 11:9, 11:9, 6:11, 11:7, 11:9, იგი მესამე ჩინელი სპორტსმენია, რომელიც იგებს ოლიმპიურ ოქროს მედალს მამაკაცთა ინდივიდუალურ თამაშებში, პირველი იყო ლიუ გულიანი 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე და მეორე კონ ლინხუი 200 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე.

ეს მე-20 ოლიმპიური ოქროს მედალია, რაც ჩინეთმა აიღო, მას შემდეგ, რაც 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე მაგიდის ჩოგბურთის თამაში დაიწყეს.

2000, 2003, 2004 და 2006 წლის მსოფლიოს თასის მფლობელმა მამ მე-7 პოზიციაზე მყოფ ჩენ შისთან ერთად მოიგო ოქროს მედალი მამაკაცთა წყვილებში ათენში, იგივე მან პეკინშიც გაიმეორა.

ვან ხაო კრიზისს განიცდიდა მას შემდეგ, რაც ოთხი წლის წინ ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა სამხრეთ კორეელ იუ სონ-მინთან.

მეოთხე პოზიციაზე მყოფმა ვან ლიჩინმა დაამარცხა შვედი ვეტერანი იურგენ პერსონი 4:0 და ჩინეთს მესამე ოქროს მედალი მოუტანა მამაკაცთა ინდივიდუალურ შეჯიბრში.

ვეტერანი ვან ლიჩინი ფინალამდე ვერ მივიდა, რადგან ის ნახევარფინალში მა ლინთან 4:2 დამარცხდა.

მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენებისგან ხშირად იღებენ ინტერვიუს, ერთი შეხვედრის შემდეგ მათ ოთხი-ხუთი ინტერვიუს მიცემა უხდებათ. ადვილად შესაძლებელია, მათ „ტექსტი“ დაამახსოვრდეთ, ანუ ხშირად გამეორებულ კითხვებზე დაზეპირებული პასუხები გასცენ.

მა ლინის ციტატები

- „ჩემი ცრემლები ბევრი რამის გამოა; ძირითადად მადლიერების გამო. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემი მწვრთნელის და მენეჯერებისგან უზარმაზარ მხარდაჭერას ვგრძნობდი. ვერ მივიღე მონაწილეობა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში;

შემდეგ მეორე ტურში დავმარცხდი ათენის ოლიმპიადაზე, მას შემდეგ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი ძალიან რთული იყო ჩემთვის."

- „ძალიან ვწუხდი იმის გამო, რომ შარშან ზაგრებში ვერ ავიღე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ცაი შინხუა (CHN) (ჩინეთის სპორტის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილე) და ლიუ გულიანი (CHN, მწვრთნელი) ჩემს დამშვიდებას დღევანდელ დილამდე განაგრძობდნენ. მათ უნდოდათ, რომ დარდს გავმკლავებოდი და 2008 წლის ჩემპიონი გავმხდარიყავი. დღეს მე ეს შევძელი."
- იმის შესახებ, როგორ შეიცვალა მისი აზროვნება 2004 წლის ათენის ოლიმპიადის შემდეგ: „მე განვაგრძობ ცვლილებას. ნაკლებად მომთხოვნი ვიყავი. მაგრამ ჩემი გუნდის მენეჯერების დარიგებების მოსმენით გავიზარდე. ისინი მირჩევდნენ, უფრო ძლიერი პიროვნება ვყოფილიყავი, დამევიწყებინა შიში და სიამოვნება მიმეღო თამაშით."

წყაროები: პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ვებგვერდი, ვიკიპედია (მა ლინი (მაგიდის ჩოგბურთი), China Daily-ის ვებგვერდი, ციტატები megaspin.net-იდან.

დასარიგებელი მასალა

სპორტსმენის პორტრეტის სტატიის ნიმუში

წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: გრეისი ქეინი

გამოქვეყნდა 10 ივნისს, 2010

მერაია ფილიპსი, *Viking*

ყველა გუნდს ჰყავს თავისი წამყვანი მოთამაშე, სპორტსმენი, რომელიც იღებს სახელს და დიდებას თამაშის მოგებისას ან საუკეთესო სტატისტიკური მაჩვენებლის მიღწევისას. მაგრამ იმისთვის, რომ თამაშში წარმატებას მიაღწიონ, გუნდში ამ მოთამაშის გარდა უნდა იყოს მეორე, ანალოგიურად ნიჭიერი სპორტსმენი, რომელსაც ნაკლებად აფასებენ, მაგრამ ხშირად სწორედ იგი ქმნის თამაშის დროს საუკეთესო მომენტებს, რომლებიც მერე ავიწყდებათ. მოთამაშე, რომელიც აკეთებს მცირედს, რაც თამაშის შედეგში დიდი განსხვავების მომტანი იქნება. ეს მოთამაშე უსახელო გმირია, ვინც კარგად თამაშობს ყველა თამაშს და მყარ საფუძველს ქმნის წარმატებული გუნდისთვის.

ჩვეულებრივ,Viking აჯილდოებს წამყვან მოთამაშეებს, სტატისტიკური მაჩვენებლებით გამორჩეულებს, თამაშის გამარჯვებულებს, თუმცა წელს Viking-მა პალო-ალტოს საშუალო სკოლის წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად გრეისი ქეინი (’11) დაასახელა ბრწყინვალე თამაშისთვის სპორტის სამ სხვადასხვა სახეობაში. ქეინის მოუდუნებელი ყურადღება თვისებაა, რომელიც მას სპორტსმენთა უმეტესობისგან გამოარჩევს. მისი გაწონასწორებულობა შესამჩნევია ყველა იმ სპორტულ გუნდში, რომლის წევრიცაა გრეისი, კერძოდ, მოთხილამურეთა, ფეხბურთის და ლაკროსის გუნდებში.

„ჩემი აზრით, მოედანზე გრეისის გაწონასწორებულობა და სიმშვიდე ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას,“ ამბობს პეილის ლაკროსის გუნდის წევრი, ნახევარმცველი ლორენ მა (’10). „მე ზოგჯერ ვბრაზდები ხოლმე თანაგუნდელებზე, რომლებიც ვერ თამაშობენ კარგად, მაგრამ გრეისი ყოველთვის კონცენტრირებულია საკუთარ თამაშზე და აკეთებს ყველაფერს, რაც მას შეუძლია.“

გარდა იმისა, რომ არ ბრაზობს თანაგუნდელებზე, ქეინი გაწონასწორებული რჩება ყველანაირ სიტუაციაში მთელი თამაშის განმავლობაში. ქეინი ყველა თამაშში საიმედო მოთამაშეა, ამიტომ შეუძლია გუნდისთვის წარმატების მოტანა და შენარჩუნება.

„[ქეინი] ნამდვილად ბეჯითად შრომობს გუნდისთვის ნებისმიერ პირობებში, მას დადებითი გავლენა აქვს ყველაზე," ამბობს პეილის ფეხბურთის გუნდის წევრი, ნახევარმცველი მეისენ ლაბიდი ('12). „ის გუნდის მომავალს ნათელ ფერებში გვაჩვენებს."

ქეინის პოზიტიური დამოკიდებულება გუნდისადმი და მისი სამუშაო ეთიკა თანაგუნდელებს აღაფრთოვანებს და ამის გამო ის ფიქრობს, რომ შეუძლია, თავისი გუნდებისთვის სერიოზული ძალა იყოს.

„წელს მე უფრო მეტი ყურადღება გამოვიჩინე სპორტის მიმართ", ამბობს ქეინი. „ალტერნატიული სპორტის სახეობებით დავკავდი."

ქეინის ერთ-ერთი სპორტი თხილამურებით რბოლაა. პეილის თხილამურებით მრბოლელ გოგონათა გუნდში ქეინი ნომერ პირველია, მისი თანაგუნდელის, ერინ ქიქეიფერის ('11) თქმით, მას ხშირად მოუტანია შეჯიბრებებში გამარჯვება პეილის გოგონათა გუნდისთვის.

გარდა თხილამურებით რბოლაში მიღწეული წარმატებებისა, ქეინის სპორტული მიღწევები წელს სხვა სპორტშიც შეამჩნიეს მისმა თანაგუნდელებმა. მისი ოპტიმიზმი და ინსტრუქციების შესრულებისადმი მზადყოფნა გამორჩეული თვისებებია, რომლებიც საშუალო სპორტსმენისგან განასხვავებს ქეინს.

„ის არასოდეს წუწუნებს, აკეთებს, რასაც ეუბნებიან, ასრულებს, როცა რაიმე დავალების შესრულებას სთხოვენ [ლაკროსის] მოედანზე, და ყველაფერ ამას პოზიტიურად უყურებს," ამბობს მა. „ის საკუთარ მაგალითზე გვაჩვენებს, რას ნიშნავს, იყო სპორტსმენი."

მას თანახმად, იყო სპორტსმენი, ყოველთვის არ ნიშნავს, იყო უძლიერესი, უსწრაფესი ან უნიჭიერესი პიროვნება; სპორტსმენი, ესაა მოთამაშე, რომელიც ძლიერი და გაწონასწორებულია, შეუძლია თამაშის დაძაბულობას გაუძლოს, შეინარჩუნოს სიყვარული და თამაშის ერთგულება. ქეინი ამგვარ ძალას წარმოადგენს ფიზიკურადაც და სულიერადაც, ამიტომ მას შეუძლია, წარმატებას მიაღწიოს და გუნდს დაეხმაროს.

ყველაზე რთულ პირობებშიც კი გაწონასწორებულობის შენარჩუნება ის თვისებაა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, მან ქეინს ლიდერობის საშუალება მისცა, ისე, რომ თავად ხმის ამოღებაც კი არ დასჭირვებია. ხშირად ამ სპორტსმენს „ჩუმ ლიდერადაც"

მოიხსენიებენ. თუმცა წყნარია, მისი უნარი, სამუშაო ეთიკა და მისწრაფება კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, ვიდრე ხმის ამოღება გამოჩნდებოდა, ის წაახალისებს და იწვევს თანაგუნდელებს, მიბაძონ მის მაგალითს.

„ის, რომ [ქეინი] ბევრს არ ლაპარაკობს, ლიდერობის მისეული ფორმაა, ის უფრო საკუთარ მაგალითზე გვიჩვენებს, რა უნდა გაკეთდეს და არასდროს არავის უყვირის," ამბობს მა. „თანაგუნდელები მინდორზე რომ ხედავენ მას, მისი თამაშის სტილის მიბაძვა უნდებათ."

ქეინი არასოდეს უკეთებს საკუთარ საქციელს აფიშირებას, ეს კიდევ უფრო გასაოცარია, თუ მის ტალანტს გავითვალისწინებთ. ქეინის დედა და მისი შთაგონების ყველაზე დიდი წყარო, მარჯი ქეინიც კი შეშფოთებულია ქალიშვილის მორცხვობით.

„მე არ ვიტყოდი, რომ ის წყნარია, რადგან, ჩემი აზრით, მოედანზე ის შესანიშნავად ასრულებს თანაგუნდელებს შორის კომუნიკატორის როლს, შეუძლია იყოს ხმამაღალი და გამამხნევებელი," ამბობს მარჯი. „მაგრამ ის არ არის ისეთი სპორტსმენი, მოედნის გარეთ რომ რამე გააკეთოს თვითრეკლამისთვის."

მანამდე, ვიდრე ქეინი პეილის სპორტულ მოედანზე გამოვიდოდა და რომელიმე გუნდს ჩაუდგებოდა სათავეში, ის ჩვეულებრივი გოგო იყო, რომელსაც სპორტული მონაცემები ჰქონდა. ვიდრე ლაკროსის ჯოხის დაჭერას ისწავლიდა, ის ტანვარჯიშზე დადიოდა და ფორმაში ყოფნაზე ზრუნავდა. თუმცა, სულ მოკლე ხანში მან აღმოაჩინა, რომ აერობიკა უფრო იტაცებდა.

„როცა გრეისი დაწყებით სკოლაში დადიოდა, მე ვფიქრობდი, რომ ის ტანმოვარჯიშე გახდებოდა," ამბობს მარჯი. „მე შევიყვანე ის ტანვარჯიშზე, მაგრამ სულ იმას ჩიოდა, რომ მწვრთნელი აკრიტიკებდა, ხან მისი ნახტომი არ მოეწონა, ხანაც თითის წვერები არ ჰქონდა კარგად გამართული."

ქეინს უფრო აქტიური სპორტი სჭირდებოდა, სადაც არ იქნებოდა ტანვარჯიშივით წვრილი დეტალები, ამიტომ ის ძიებას განაგრძობდა.

„მან მითხრა, რომ უბრალოდ სირბილი უნდოდა და თამაში," ამბობს მარჯი. „აშკარა გახდა, რომ მას ისეთი სპორტი უნდოდა, სადაც ბევრს ირბენდა."

ტანვარჯიში წარსულში დარჩა, მას შემდეგ ქეინმა კიდევ ხუთი სპორტი სცადა: ფეხბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, სოფთბოლი და კარატე, რომელშიც ყავისფერ ქამრამდე მიაღწია. მისი სპორტული მონაცემები უეჭველი იყო, მაგრამ ქეინს გადაწყვეტილება მიანც მისაღები ჰქონდა: რომელი სპორტი აერჩია.

ამერიკელ ახალგაზრდათა ფეხბურთის ასოციაციის (AYSO) წევრი პირველი კლასიდანვე გახდა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ქეინმა გააგრძელა ფეხბურთელობა, მითუმეტეს, მისი მწვრთნელი მამამისი, ტიმ ქეინია.

ქეინის უფროსი და და თანაგუნდელი, სოფი ქეინი ('10), ხშირად ვარჯიშობს დასთან ერთად, რაც მასაც ძალიან ეხმარება წარმატების მიღწევაში.

„გრეისი [ქეინი] გაცილებით სწრაფია ჩემზე, მაგრამ მე უფრო საძაგელი ვარ და სულ ვურტყამ ხოლმე, ამიტომ ჩვენი ერთი ერთზე ვარჯიში ძალიან საინტერესო გამოდის," ამბობს სოფი. „მამამ წინა ეზოში ბადე გაგვიჭიმა და ზედ საღებავითაა მიხატული გოლის ადგილი, ასე, რომ ჩვენ ზოგჯერ ერთად ვვარჯიშობთ დარტყმაში. ჩვენ ერთსა და იმავე გუნდში ვთამაშობთ და ერთმანეთს კარგად ვეწყობით."

ფეხბურთი ქეინის საყვარელი სპორტი იყო პირველი კლასიდანვე, ლაკროსი კი სულ სხვაა. ქეინი დაინტერესდა აუთვისებელი სფეროს აღმოჩენით და ხელიდან არ გაუშვა ახალი სპორტის ათვისების შესაძლებლობა.

„როცა გავიგეთ, რომ პეილი ლაკროსის გუნდს აყალიბებდა, [მწვრთნელის თანაშემწე] მარკ დემს ვთხოვე, გრეისისთვის ეჩვენებინა, როგორ უნდა ჯოხის დაჭერა და ბურთის დარტყმა," ამბობს მარჯი. „ის მალევე გაიტაცა ახალმა სპორტმა."

ახლა კი დღევანდელობას დავუბრუნდეთ. ქეინი მინდორზეა, ის გუნდის ლიდერია, გუნდის შემაკავშირებელი რგოლია. ის გუნდის შეკავშირების სიმძიმეს საკუთარი მხრებით ზიდავს, წაახალისებს თანაგუნდელებს, რომ იყვნენ საუკეთესოები.

ქეინის შემთხვევაში ფიზიკურ სიძლიერეს სულიერიც ახლავს, ამიტომ გასაგებია, როგორ გახდა ის მისაბაძი მაგალითი და ლიდერი, რომელიც თანაგუნდელებს რამდენიმე სეზონის განმავლობაში მიუძღვის. თუმცა ძნელი თამაშის წაგება ქეინს მუდამ აწუხებს, მას შეუძლია იმედგაცრუება მოტივაციად აქციოს, ეს უნარი კი ბევრ სულიერად ძლიერ ადამიანსაც არ გააჩნია.

„ის არასოდეს არავის აბრალებს [რთული თამაშის წაგებას], დამარცხებას ძალიან ძნელად ეგუება," ამბობს სოფი. „არავის უყვარს წაგება, მაგრამ გრეისი მას საბაბად იყენებს, რომ უკეთესად და უკეთესად ითამაშოს მომავალში."

წაგების ტვირთი ნებისმიერ სპორტსმენს აშფოთებს, მაგრამ ქეინმა იცის, როგორ დააბალანსოს შეჯიბრი და სპორტით მიღებული სიამოვნება.

„გრეისი [ქეინი] ნამდვილად მონდომებული სპორტსმენია, მაგრამ მან ისიც იცის, როგორ გაერთოს,“ ამბობს სოფი. „თამაშში ის მთლიანად ერთვება და არასოდეს ზარმაცობს.“

სულიერი სიძლიერის, ლიდერის თვისებებისა და ენთუზიაზმის გარდა, ქეინი ისიც ახასიათებს, რომ შეუძლია გუნდის ინტერესების ყველაფერზე წინ დაყენება, საკუთარ ინტერესებზე წინაც კი. ის აცნობიერებს, რომ თამაშის მოგება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვინმეს პირადი ინტერესები, მათ შორის, საკუთარიც.

„როგორც წესი, თქვენ იმ სპორტსმენებს იცნობთ, ვისაც გოლები გააქვს,“ ამბობს ქეინი. „ეს გუნდური თამაშია და ერთადერთი შედეგი, რაც ითვლება, არის მოგება ან წაგება.“

ქეინისთვის გუნდთან ერთად ყოფნა მუდამ პრიორიტეტული იყო. მსხვერპლი აუცილებელია, ყველა თამაშს მაქსიმალური ძალისხმევა სჭირდება. უსახელო გმირი, ქეინი მუდმივად აკონტროლებს თამაშს და საკუთარ დამოკიდებულებებს, დაუღალავად ექაჩება თავის გუნდს.

„მას, პირველ რიგში, უნდა, რომ გუნდის წევრი იყოს.“ ამბობს მარჯი. „ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაა ეს ჯილდო ასეთი განსაკუთრებულად ძვირფასი მისთვის.“

დასარიგებელი მასალა

თამაშის მომოხილვის ნიმუში

გოგონების საფეხბურთო გუნდი ყაიმით ამთავრებს სენთერვილთან 0:0

გაისმა საფინალო სასტვენის ხმა, Atoms-ის გუნდის წევრებმა ზემოთ აიხედეს და ტაბლოზე საკუთარ ანგარიშს შეხედეს, 0:0 რეგიონის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან.

სკოლის გოგონათა საფეხბურთო გუნდმა კინაღამ დაამარცხა სენთერვილის Wildcats სენთერვილის საშუალო სკოლაში პარასკევს. Atoms-ის გუნდმა ტამში რომ დაიწყო, მხოლოდ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ისე სამარცხვინო ანგარიშით არ წააგებდნენ, როგორც Wildcats-თან ბოლო შეხვედრისას დამარცხდნენ, 8:0.

„ვიცოდით, რომ თავები არ უნდა დაგვეზოგა, უნდა დაგვესწრო ბურთის აღება, თავისუფალი დარტყმის და გრძელი პასების ჩაწოდების საშუალება არ უნდა მიგვეცა," ამბობს ჯენა ბალიქი.

პირველი რამდენიმე წუთის განმავლობაში Atoms თავდაცვით თამაშს თამაშობდა, მაგრამ მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში გუნდები თანაბარი ძალით იბრძოდნენ.

თავდაცვის ხაზის ძლიერი თამაში გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა.

„მცველები განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ, ხოლო [მეკარე] ჯეინ ამენმა 18-ზე მეტჯერ იხსნა კარი," ამბობს მთავარი მწვრთნელი ჯეინინ უესტფელი. „თავი გამოიჩინეს ელი ედკოკმა და ამანდა ფუშემ, რომლებმაც მოწინააღმდეგის ორი აგრესიული მოთამაშე ჯარიმამდე მიიყვანეს."

Atoms-ს იმედი ჰქონდა, რომ დამატებით დროში მიაღწევდა გამარჯვებას. „ჩვენ მხოლოდ თამაშის გაგრძელება გვინდოდა, რომ გოლის გატანა მოგვეხერხებინა," ამბობს ები დიოპი.

თუმცა, ორი დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმის განმავლობაში მათ ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს და თამაში საბოლოო ანგარიშით 0:0 დასრულდა.

მართალია, მათ გამარჯვება ვერ მოახერხეს, მაგრამ Atoms-ს უკეთესი შედეგის მიღწევაც შეუძლია.

სენთერვილის გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში, ამიტომ ჩვენი მხრიდან მათი თანაბარი თამაში და მათ დონეზე ყოფნა ადასტურებს, რომ შევძლებთ, ნებისმიერ გუნდს გავუწიოთ მეტოქეობა," ამბობს გუნდის კაპიტანი სტეფანი ბერნსი.

გუნდს შემდეგი თამაში სამშაბათს საკუთარ მოედანზე აქვს, ისინი Stuart-ს შეხვდებიან.

დასარიგებელი მასალა

სპორტულ თემებზე დაწერილი სტატიის ნიმუში

პინგ-პონგის კლუბი სახელს იხვეჭს

ქეითი მასტერსი

ანანდეილის საშუალო სკოლის პინგ-პონგის კლუბის წევრები, 25-დან 30 მოსწავლემდე, ყოველ ოთხშაბათს გაკვეთილების შემდეგ იკრიბებიან ქიმიის 107-ე ლაბორატორიასთან. კლუბს ბუნებისმეტყველების მასწავლებელი ელენ ზაგურსკი ხელმძღვანელობს, ხოლო კლუბის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი მოსწავლეები არიან, ჯეიმს იუ და დიფუ ნეარი.

თუმცა, ამ კლუბის არსებობა ძირითადად სტრესების მოხსნას ემსახურება, შარშან მათ ორ ჩემპიონატს უმასპინძლეს ანანდეილის სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებისთვის. წელსაც გეგმავენ ჩემპიონატების გამართვას. თუმცა, წევრების უმეტესობა კლუბში ჯერ კიდევ სტრესის მოსახსნელად შედის და სკოლის შემდეგ ან შესვენებების დროს თამაშით გაკვეთილებზე გავლილი ზღვა მასალისა და უამრავი საშინაო დავალებისგან ისვენებენ.

„როცა მეტი არაფერი გაქვს საკეთებელი, აქ უნდა დაისვენო," ამბობს კლუბის წევრი ელიად გებრეჰაივო. „ადამიანებს საქმე უჩნდებათ, როცა გაკვეთილების შემდეგ რამეს ელოდებიან."

„კლუბში ყოფნა ძალიან სასიამოვნოა და სახალისოა, როცა უსაქმოდ ვარ," უმატებს ალეი თედლა.

ანანდეილი პირველი და ერთადერთი საშუალო სკოლაა ფეარფაქსის ოლქში, სადაც პინგ-პონგის კლუბი არსებობს. თუმცა ეს სპორტი ფიზიკურად ნაკლებად მომთხოვნია, ვიდრე ლაკროსი ან ფეხბურთი, მას სჭირდება ჩართულობა, რაც სპორტსმენთა უმრავლესობას არ ახასიათებს.

„ჩვენ ყველას ვაძლევთ თამაშის საშუალებას," ამბობს უფროსკლასელი ანდრეს ჰურტადო. „სულაც არაა საჭირო, კარგად თამაშობდე, მთავარია, გაერთო."

გებრეჰაივო ეთანხმება. „არაა საჭირო განსაკუთრებული ძალა ან სისწრაფე იმისათვის, რომ ითამაშო. ყველას თანაბრად აქვს შანსი," ამბობს ის.

კლუბის განსაკუთრებულობა და დასწრების მოთხოვნის არარსებობა ძალიან მიმზიდველია წევრებისთვის, რომლებსაც ევალებათ მხოლოდ $5-ის გადახდა მაგიდების,

ბურთების და ჩოგნების გამოყენების სანაცვლოდ. 107-ე ოთახში შეკრებილთა რაოდენობა ხშირად იცვლება, ხან მატულობს და ხან მცირდება, როცა კლუბის წევრები სხვა აქტივობებზე დასაწრებად მიდიან, მათ ადგილს კი სხვები იკავებენ.

„ძალიან კარგად ხსნის სტრესს, თანაც ახალ ადამიანებს ეცნობი. სკოლის და საშინაო დავალებების სტრესი ქრება და ადამიანებს თავისუფლად გართობა შეუძლიათ," ამბობს იუ.

კლუბის წევრმა ჯონათან ჩოიმ კლუბის მიმართ თავისი დამოკიდებულება ღიმილით და ერთადერთი წინადადებით გამოხატა.

„ეს უბრალოდ... სახალისოა," ჩაიღიმა მან.

გაკვეთილი 24

რიცხვების დამატება უკეთესი რეპორტაჟისთვის

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „დააწყვილეთ რიცხობრივი მონაცემები“, „გამოიყენეთ რიცხვები“, „გააცოცხლეთ რიცხვები თქვენი მკითხველისთვის“

ცნობები

რიცხვები ობიექტურობას სძენენ რეპორტაჟს. რიცხვებით მოცემულია წყაროს ასაკი, მოვლენების მოხდენის დრო და მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა. რიცხვებით გადმოიცემა ანგარიში, სტატისტიკა, მოგება-წაგებები და სატურნირო ცხრილში მდებარეობა. რიცხვებით აღიწერება მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიკა და მანამდე-შემდეგ შედარებები. რიცხვები ეხმარება მკითხველებს, გაიგონ მოვლენათა მნიშვნელობა, ინტენსივობა და ჩართულ ადამიანთა რაოდენობა.

ზოგიერთ სტატიაში მთლიან ისტორიას რიცხვები ქმნიან.

რიცხვები გვაძლევენ სიზუსტეს. ფაქტები კარგი რეპორტაჟის საფუძველია.

მიზნები

- მოსწავლეები გამოიყენებენ რიცხვებს ზუსტი რეპორტაჟისთვის.
- მოსწავლეები გაითვალისწინებენ რეპორტაჟებს, კვლევებს და ინფორმაციის სხვა წყაროებს სტატიების დასაკონკრეტებლად.
- მოსწავლეები გამოიყენებენ რიცხვებს საინფორმაციო გრაფიკების ასაგებად, რომ მონაცემები მკითხველისთვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გახადონ.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილის დაწყებამდე

დაამზადეთ „დააწყვილეთ რიცხობრივი მონაცემები“ მასალის ასლები. დაჭერით ზოლებად და აურიეთ.

მასწავლებლებს დასჭირდებათ დამატებითი წყვილების დამზადება, თუ კლასში 16 მოსწავლეზე მეტია.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

საწყისი აქტივობისთვის მოსწავლეებს თითო ზოლი დაურიგეთ კლასში შემოსვლისას. როცა ყველა მოსწავლე შემოვა, სთხოვეთ მათ, მოძებნონ საკუთარი აზრობრივი მეწყვილე. თუ ურთიერთობის დადგენა უჭირთ, უთხარით, რომ რაოდენობრივი კავშირი უნდა იპოვონ.

როცა მოსწავლეები მეწყვილეს იპოვიან, სთხოვეთ, აგიხსნან, რატომაა მათ შორის „აზრობრივი ბმა“. მოსწავლეები, რომლებსაც ჩინეთის მოსახლეობის რაოდენობა შეხვდათ, აღმოაჩენენ, რომ სინამდვილეში 5 ადამიანი არსებობს მათი „მსგავსი“. საინტერესოა იმის გაგება, როგორ დაადგინეს ეს კავშირი.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ქვეყანაში, სადაც 1,3 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მოსწავლე ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ რიცხვები. ამ რაოდენობის მოსახლეობის გავლენა მსოფლიოს სიდიდით მეოთხე ქვეყნისთვისაც კი ყურადღებას მოითხოვს. რეპორტიორებისთვის ეს ერთგვარი გამოწვევაცაა, რიცხვების დაკავშირება, შედარებების გაკეთება და რაოდენობების კონტექსტში ჩასმა.

რიცხვების გამოყენება დღევანდელი გაკვეთილის თემაა.

მესამე ეტაპი

დრო: 8

ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ვიტყვით, რომ ლანჟოუში მილიონობით კილოგრამ მაკარონს მოიხმარენ ყოველწლიურად. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ლანჟოუში თითოეულ ადამიანზე, ვთქვათ, 30 კილო მაკარონი მოდის, ეს სტატისტიკას გასაგებს ხდის ადამიანური მასშტაბით. მკითხველები იწყებენ იმაზე ფიქრს, მართლა ჭამენ თუ არა, ან როდის ჭამენ მაკარონის საკუთარ წილს.

დაურიგეთ მოსწავლეებს „გამოიყენეთ რიცხვები“. წაიკითხეთ და იმსჯელეთ კლასში. ამ მასალაში მოცემულია ზოგადი მიმოხილვა, რაც უნდა გავითვალისწინოთ რიცხვების გამოყენებისას.

მეოთხე ეტაპი

დრო: 15 წუთი

ისე მოაწყვეთ, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ ცნებები, რომლებიც მოცემულია მასალაში „გამოიყენეთ რიცხვები“. დაურიგეთ მოსწავლეებს „გააცოცხლეთ რიცხვები თქვენი მოსწავლეებისთვის“. ამ აქტივობაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, როგორ უნდა გავიგოთ ამბავი რიცხვებიდან. მოსწავლეებს ეძლევათ ხუთი „ფაქტი“. მათ უნდა იპოვონ ამბავი დეტალებს შორის და მოიფიქრონ იდეები ისტორიის ასაგებად, დაუკავშირონ რიცხვები სკოლის ცხოვრებას.

იდეების მოსაფიქრებლად მოსწავლეები ოთხკაციან ჯგუფებში იმუშავებენ. ხუთი წუთის შემდეგ სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, გაგიზიარონ საუკეთესო იდეა, რაც მათ დაებადათ. ჩამოწერეთ ეს იდეები დაფაზე. თუ რომელიმე ჯგუფმა საკუთარი იდეა უკვე თქვა, მოსწავლეებმა სხვა იდეა უნდა შემოგთავაზონ. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი იტყვის თავის იდეას, თუ რომელიმე ჯგუფს კიდევ ექნება სხვა კარგი აზრი, მათაც ათქმევინეთ.

მეხუთე ეტაპი

დრო: 10 წუთი

ივარჯიშეთ „სტატიის გეგმის” გამოყენებაში სტატიის იდეების მოსაფიქრებლად. საწყისი უნდა იყოს რიცხვი ან რაოდენობა. სტატიის გეგმის შედგენა დაიწყეთ იდეით ან ფრაზით. საილუსტრაციო მიზნებისთვის გამოიყენეთ „რიცხვებით“.

შემდეგი ეტაპი იქნება სიტყვების, იდეების ან ფრაზების დაკავშირების გზების მოფიქრება საგაზეთო სტატიის შესადგენად. მოსწავლეების მოფიქრებული იდეები დაწერეთ დაფაზე. ეს ფრაზა შეიძლება იყოს:

- მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში,
- შედარება ჩვენ სკოლადამთავრებულთა რაოდენობებისა, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს ლანჟოუს, განსუს პროვინციის, ჩინეთის, სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში,

- მე-2 გვერდზე გვქონდეს სვეტი, რომელიც მკითხველებს სტატიის წაკითხვას მოუწოდებს მასში მითითებული რიცხვის გამო.

ბოლო შემოთავაზებას ახსნაც შეიძლება დასჭირდეს, როგორ იმოქმედებს ეს. მოსწავლე, რომელმაც გააკეთა მსგავსი შემოთავაზება, ან სხვა მოსწავლე უპასუხებს: „*368* დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობა და მცირე შრიფტი, გვერდი 1; *4* ; დღეების რაოდენობა ამა და ამ ფილმის გამოსვლამდე, გვერდი 10.“ მხოლოდ იმდენი ინფორმაცია უნდა იყოს მოცემული, რაც საკმარისი იქნება მკითხველთა დასაინტერესებლად, რომ მოძებნონ სტატია.

რედაქტორებმაც უნდა ჩაიწერონ ეს ინფორმაცია თავის რვეულებში. მასწავლებლებმა რედაქტორებს უნდა მიანდონ ამ იდეების გამოყენება სტატიის დავალებების მისაცემად, ან კიდევ ერთი გაკვეთილი უნდა დაუთმოთ საუკეთესო იდეებზე მუშაობას. თუ ამის გაკეთებას გადაწყვეტთ, რომ შემდეგი გაკვეთილიც ამ თემას დაუთმოთ, შემდეგი ეტაპი სკოლის კომპიუტერების ოთახში ჩაატარეთ.

დააწყვილეთ მოსწავლეები და თითოეულ მათგანს სხვადასხვა ფრაზა მიეცით, ან რამდენიმე წყვილს მიეცით ერთი და იგივე ფრაზები. უზრუნველყავით, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო ფაქტების მოსაპოვებლად, რომლებიც სტატიის ძირითად იდეას ხორცს შეასხამს. მასწავლებლები შენიშნავენ, რომ ზოგიერთი მოსწავლე ინარჩუნებს ფრაზას, ან სტატიის იდეას, რითიც უნდა დაიწყოს. დანარჩენი მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ფაქტების ძიება და იდეის ხორცშესასხმელად საჭირო მონაცემეი სულ სხვა კუთხით აჩვენებენ ამბავს, რაც უფრო მეტად დააინტერესებს თქვენს მოსწავლე მკითხველებს.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

სიზუსტე ჟურნალისტების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. რიცხვების გამოყენება სტატიის საფუძვლად, ან სტატიაში მოყვანილი ამბის დასასაბუთებლად, ამ რიცხვებს გამორჩეულ როლს ანიჭებს. მოსწავლე რეპორტიორები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სწორად წერენ რიცხვებს და საჭირო რიცხვებს ირჩევენ სტატიის შინაარსის გადმოსაცემად.

მასწავლებლებმა უნდა შენიშნონ, რომ სტილის სახელმძღვანელო არ მოჰყვება ამ გაკვეთილს. მასწავლებლებმა უნდა იმუშაონ გაზეთის რედაქციის თანამშრომლებთან ერთად, რომ შეიმუშაონ „რიცხვების გამოყენება ჟურნალისტისთვის“ გვერდი გაზეთის რედაქციის სახელმძღვანელოსთვის. აქ შევა ისეთი საკითხები, როგორიცაა სტატიაში მოხსენიებული ადამიანის ასაკის მითითების ხერხები და პროცენტების ან სხვა რიცხვების წერა.

დავალება

დააწყვილეთ რიცხვის შემცველი ფრაზები

საანგარიშო

გამომთვლელი მანქანა

ჩინეთი მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზეა, აქ 1,3 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს.

ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ჩინეთში.

მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ცხოვრობს.

მსოფლიოს მოსახლეობა დაახლოებით 6,7 მილიარდია.

დედამიწის მოსახლეობიდან ყოველი მეხუთე ადამიანი ჩინეთის მცხოვრებია.

უიღბლო რიცხვები

5, 7

ოთხი ან 4

სიკვდილის მომასწავებელი

ბედნიერი რიცხვები

3, 7, 8

ორი ან 2

კარგი რამ წყვილად ხდება

ლანჟოუს სამი მეგობარი ქალაქი ჰყავს.

ალბუკერკი, ნიუ მექსიკო; აკიტა, იაპონია; კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია

დასარიგებელი მასალა

გამოიყენეთ რიცხვები

რიცხვებს მრავალი დანიშნულება აქვს.

რიცხვები სანდოობას ანიჭებს რეპორტაჟს. ისინი მიუთითებენ წყაროს ასაკს, მოვლენები მოხდენის დროს და მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობას. რიცხვებით გადმოიცემა ანგარიში, სტატისტიკა, მოგება-წაგებები და სატურნირო ცხრილში მდებარეობა. რიცხვებით აღიწერება მოსახლეობის რაოდენობა, ეკონომიკური მდგომარეობა და მანამდე-შემდეგ შედარებები. რიცხვები ეხმარება მკითხველებს, გაიგონ მოვლენათა მნიშვნელობა, ინტენსივობა და ჩართულ ადამიანთა რაოდენობა. ზოგიერთ სტატიაში მთლიან ისტორიას რიცხვები ქმნიან.

ნუ გადატვირთავთ მკითხველებს რიცხვებით.

რეპორტიორმა შეიძლება ისე კარგად ჩაატაროს კვლევა, რომ უამრავი სტატისტიკური მონაცემი მიიღოს. თუ ეს რიცხვები აავსებს სტატიის ყველა აბზაცს, ისინი მხოლოდ თვალებს აუჭრელებს მკითხველს, ვებგვერდიდან კი მომხმარებელი აუცილებლად გავა. ავტორმა უნდა იპოვოს საჭირო ბალანსი აუცილებლად მისაწოდებელ ინფორმაციასა და არასაჭირო რიცხვებით გადატვირთვას შორის.

რიცხვები უზრუნველყოფს სიზუსტეს.

გამოიყენეთ რიცხვები სიზუსტის დაცვით. ავტორი კარგავს ნდობას, თუ მარტივ არითმეტიკულ შეცდომებს უშვებს – ან უარესი, თუ რიცხვებით იტყუება.

გამოიყენეთ სტილის სახელმძღვანელო ფორმატისათვის.

სტილის სახელმძღვანელოში წერია, როგორ უნდა გამოვიყენოთ რიცხვები სხვადასხვა შემთხვევებში, წინადადების დასაწყისში, ჩვეულებრივ შემთხვევებში, რიცხვების სერიები, წილადები და რიგობითი რიცხვითი სახელები.

შეამოწმეთ მათემატიკის ცოდნა.

შესაძლებელია ინფორმაციის მიღება სამი სხვადასხვა წყაროდან? გადაამოწმეთ მტკიცებები და დაადასტურეთ ისინი. შეადარეთ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული რიცხვები, რომ

დარწმუნდეთ მათ სწორად დაწერილობაში, იმაში, რომ რიცხვები რეალობას შეესაბამება და რომ თქვენი წყაროები სანდონი არიან.

დაამოწმეთ, თუ შესაძლებელია.

როცა ეს შესაძლებელია, გაარკვიეთ, როგორ მივიდნენ ამა თუ იმ რიცხვამდე ორგანიზაციები და ცხრილების შემდგენლები. სარწმუნოა მათი მეთოდები? თუ შესაძლებელია, რომ რიცხვები იმდენივეს მალავს, რამდენსაც ამჟღავნებს?

მოიყვანეთ ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემები.

თქვენ, ალბათ, იმაზე მეტი ფაქტები და რიცხვები გაქვთ, ვიდრე თქვენს მკითხველებს სჭირდებათ. ციფრების მოზღვავებისას შეიძლება მთავარი აზრი დაიკარგოს. მკითხველს არ ეცოდინება, რა არის მნიშვნელოვანი და რას ემსახურება ყველა ეს რიცხვითი სახელი. მხოლოდ ის რიცხვები შეარჩიეთ, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თქვენი სტატიის გასაგებად და რომლებიც თქვენს სტატიაში მოცემულ ძირითად ახალ ამბებს ადასტურებენ. მკითხველი უფრო ადამიანებს დაეყრდნობა, ვიდრე რიცხვებს.

შეადგინეთ საინფორმაციო გრაფიკები.

თუ ერთ აბზაცში რამდენიმე რიცხვის გამოყენება გჭირდებათ, ან რამდენიმე აბზაცში რიცხვებზე დამყარებული ინფორმაციის გარდა ბევრს არაფერს წერთ, მოიფიქრეთ, ხომ არ შეიძლება ამ რიცხვების ცხრილში ან საინფორმაციო გრაფიკში გადატანა.

გააცოცხლეთ რიცხვები თქვენი მკითხველისთვის

რეპორტაჟები, რომლებშიც გამოკითხვებისა და კვლევების შედეგებზე წერენ, შეგიძლიათ, მოსწავლეთა გაზეთში თქვენი სტატიების ამოსავალ წერტილად გამოიყენოთ. ის რიცხვებიც კი, რომლებიც თქვენი პროვინციის შესახებ ფაქტებს აასახავს, საჭიროებს დაკონკრეტებას. რიცხვებიდან სტატიის აგებას დაფიქრება სჭირდება, მაგრამ ფაქტების მოსაპოვებლად კარგი გზაა – თანაც ზრდის თქვენი მკითხველების რაოდენობას.

იაზროვნეთ ადგილობრივი მასშტაბით

ფაქტი: მას შემდეგ, რაც 1909 წელს ნორდუესტ ნორმალის უნივერსიტეტი დაარსდა, მან 100000-ზე მეტი მასწავლებელი მოამზადა.

ადგილობრივი ხედვა:

1. ამ მასწავლებელთაგან რამდენი ასწავლის თქვენს სკოლაში?

2.

3.

4.

იპოვეთ ამბავი ტრადიციებში

ფაქტი: ლანჟოუს სამზარეულო ცნობილია თავისი ლა მიანით, ანუ ხელით დამზადებული მაკარონით. ლანჟოუს მაკარონს ბევრი მიჩნევს მთელ ჩინეთში საუკეთესოდ.

ადგილობრივი ხედვა:

1. თქვენი სკოლის ადმინისტრატორს ან მასწავლებელს ხომ არ დაუმზადებია ამ ტრადიციული საკვების სახესხვაობა?

2. რომელიმე მშობელს ან მასწავლებელს ხომ არ ახსოვს დრო, როცა რაიმე სხვა საკვები იყო მიჩნეული „ტრადიციულ“ საჭმლად?

3.

4.

5.

იპოვეთ თქვენი სტატია რეპორტაჟებში

ფაქტები: პროვინციის ჯანდაცვის სამსახურის თანახმად, განსუში ყოველწლიურად 42000 ადამიანზე მეტი იღუპება კიბოთი. პროვინციის საერთო სიკვდილიანობის 25 პროცენტი კიბოზე მოდის. ყოველწლიურად 1 მილიარდ იუანზე მეტი (146 მილიონი დოლარი) იხარჯება კიბოს მკურნალობაზე პროვინციაში.

ადგილობრივი ხედვა:

1. განსუში კიბოს გამო სიკვდილიანობა იზრდება თუ მცირდება?

2. მოსწავლეებს ან მათ ოჯახებს როგორ ეხება ეს ფაქტი?

3.

4.

ფაქტები: 2008 წელს ჩინეთი მსოფლიოში მეხუთე ადგილზე გავიდა ქარის ელექტროსადგურების რაოდენობით. 2009 წელს ჩინეთი მსოფლიოში მესამე ადგილზე იყო

(22000-დან 24000 მგვტ-მდე). 2010 წლის ბოლოსთვის ჩინეთი გაუსწრებს გერმანიას და ქარის ენერგიის წარმოებით მსოფლიოში მეორე ადგილზე გავა. ჩინეთში ქარის ელექტროსადგურებს ყველაზე დიდი გამოყენება განსუს პროვინციაში აქვს.

ადგილობრივი ხედვა:

1. რას ფიქრობენ მოსწავლეები ქარის ენერგიაზე, როგორც ელექტროენერგიის პოტენციურ წყაროზე?

2.

3.

4.

შეაჯერეთ ისტორია რამდენიმე წყაროდან

ფაქტები: პანდის ბელი დედის ზომის 1/900-ია. გარეული პანდები ცხოვრობენ ქინლინისა და მინშანის მთებს შორის. ერთი პანდა დღეში საშუალოდ 40 ფუნტ ბამბუკს ჭამს. პროვინციის მთავრობები ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან ერთად ქმნიან ახალ რეზერვებს და იცავენ ძველს. ეს პროვინციებია სიჩუანი, შანსი და განსუ. დიდი პანდა წითელ წიგნშია შეტანილი. 2004 წლის მონაცემებით ბუნებაში 1600 დიდი პანდა იყო.

ადგილობრივი ხედვა:

1. რა ახალი რესურსები იქმნება განსუში, რომლებიც ხელს შეუწყობს დედა და შვილი პანდების უსაფრთხოებას?

2.

3.

4.

გაკვეთილი 25

სარედაქციო კარიკატურის დახატვა

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, სარედაქციო კარიკატურები ჩინური მედიიდან, პროექტორი

დასარიგებელი მასალა: Hot Wheels (მოსწავლეების დახატული სარედაქციო კარიკატურა), Text Drive (მოსწავლეების დახატული სარედაქციო კარიკატურა)

ცნობები მასწავლებლისთვის

სარედაქციო კარიკატურა არის გაზეთის ვიზუალური კომენტარი. კარიკატურები იუმორისტულ ელემენტს შეიცავს, მაგრამ ხშირად მათში სერიოზული კომენტარებია მსოფლიო ან ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე, რთულ პრობლემებზე და ადგილობრივ საწუხარზე.

კარიკატურების შესწავლა გაართობს მოსწავლეებს და განუვითარებს დაკვირვების უნარს. კარიკატურისტები იყენებენ ნიშნებს, სიმბოლოებს და დეტალებს, რომლებიც მნიშვნელობას სძენს ნახატს და აზრის გადმოცემაში ეხმარებათ. კარიკატურის გასაგებად აუცილებელია თანამედროვე მოვლენების თვალის დევნება, დამოკიდებულებების და მოქმედებათა მოტივების გაგება, ზოგჯერ კი ისტორიის ცოდნაც.

მოსწავლეთა გაზეთის რედაქციას შეიძლება ჰყავდეს კარიკატურისტი, ან მიიღოს კარიკატურები სკოლის მოსწავლეებისგან.

ამ გაკვეთილის თემა იქნება სარედაქციო კარიკატურის მიზნები და ფუნქციები.

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან სარედაქციო კარიკატურის მიზნებსა და ფუნქციებს.
- მოსწავლეები მიხვდებიან, რომ სარედაქციო კარიკატურები რედაქციის მკითხველთან დიალოგის ნაწილია.
- მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე კარიკატურისტებს.

- მოსწავლეები შეისწავლიან იდეებს, რწმენებსა და თემებს, რომლებსაც ეხება სარედაქციო კარიკატურები.
- მოსწავლეები შეძლებენ, ახსნან, როგორ ასახავს სარედაქციო კარიკატურა საზოგადოების რწმენასა და ღირებულებებს და რა გავლენას ახდენს მათზე.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილამდე რამდენიმე კვირით ადრე

მასწავლებლებმა უნდა შეაგროვონ სარედაქციო კარიკატურების ნიმუშები ჩინური მედიიდან. ამას ამ გაკვეთილშიც გამოიყენებენ და 26-ე გაკვეთილშიც. შეეცადეთ, ისეთი კარიკატურებიც იპოვოთ, რომლებსაც სიტყვები აწერია, ან წარწერები აქვს გაკეთებული, და ისეთებიც, რომლებშიც მხოლოდ ნახატებია. 26-ე გაკვეთილისთვის, შეეცადეთ, სხვადასხვა სტილის კარიკატურების მაგალითები იპოვოთ: მარტივი ხაზებით დახატული, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით გაფერადებული, კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შესრულებული.

მესამე ეტაპისთვის მასწავლებლებს დასჭირდებათ ერთი და იგივე კარიკატურისტის სამი ან მეტი ნახატი. თუ ასეთის მოძებნა შეუძლებელია, მოცემული გაქვთ ვებგვერდის მისამართი, სადაც ავტორების მიხედვითაა დაჯგუფებული კარიკატურები.

იხილეთ მეხუთე ეტაპი, სადაც კარიკატურის მომზადებაა აღწერილი სიტყვების ან წარწერების გამოყენებით.

თუ მასწავლებელს პროექტორის გამოყენების შესაძლებლობა არა აქვს, შეუძლია, უბრალოდ ასლები გადაიღოს კარიკატურების და ისე დაურიგოს მოსწავლეებს.

მეორე ეტაპი

დრო: 8 წუთი

აჩვენეთ სარედაქციო კარიკატურა, რომელიც ახლახანს გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთში. პირველ რიგში, მოსწავლეებს სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ კარიკატურის სათქმელს. შეგიძლიათ, შემდეგი შეკითხვები დაუსვათ:

- რა საკითხის ან რა მოვლენის შესახებ აკეთებს კომენტარს კარიკატურისტი?

- საიდან იცით, რომ ეს საკითხი ან მოვლენაა?
- როგორია კარიკატურისტის აზრი?

მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ეს სურათი არის სარედაქციო კარიკატურის მაგალითი. იმსჯელეთ სარედაქციო კარიკატურის მიზანზე.

სარედაქციო კარიკატურა არის ნახატი, რომელიც ადამიანებს დააფიქრებს და რეაგირებას მოახდენინებს მიმდინარე მოვლენებზე. გაზეთებში ხშირად გვხვდება სარედაქციო სტატიის საპირისპირო გვერდზე.

ახლა ყურადღება მიაქციეთ კომენტარის ვიზუალურ ასპექტს. რა ნიშნებს და დეტალებს იყენებს კარიკატურისტი საკუთარი აზრის გადმოსაცემად?

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

არტურ კონან-დოილის ნაწარმოების პერსონაჟი, დეტექტივი შერლოკ ჰოლმსი აკვირდებოდა უმცირეს ფაქტებს და მათზე დაყრდნობით დიდ დასკვნებს აკეთებდა. დაავალეთ ტქვენს მოსწავლეებს, გახდნენ სოციალური და პოლიტიკური დეტექტივები. შეისწავლონ ერთი და იმავე კარიკატურისტის სამი ან მეტი ნამუშევარი. რა შეიძლება ითქვას ამ მხატვრის სტილზე? როგორ არის კარიკატურა დახატული, ეს თუ განსაზღვრავს ნახატისა და სიტყვების გავლენას?

დერილ ქეიგლის პოლიტიკური კარიკატურების საძიებელი (*www.cagle.com/*) შესანიშნავი ვებგვერდია კარიკატურისტთა ტექნიკის შესასწავლად და ერთი და იმავე თემის შესახებ მათი აზრების გასაცნობად. საიტზე შეკრებილია კარიკატურისტთა ნამუშევრები და შერჩევა კეთდება ამერიკელი, კანადელი და საერთაშორისო კარიკატურისტების ყოველდღიური ნამუშევრებიდან. აქ ასევე არის გაკვეთილის გეგმები დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლებისთვის, თუ მასწავლებლებს სურთ, კარიკატურები უფრო დაწვრილებით გააცნონ მოსწავლეებს.

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

ორი სარედაქციო კარიკატურა, რომლებიც ქეროლაინ ჩანის, *Rampage*-ის, როკვილის (მერილენდი) საშუალო სკოლის მოსწავლეთა გაზეთის რედაქციის კარიკატურისტის მიერაა შესრულებული, ჩართულია ამ წიგნში ამ გაკვეთილთან და „გაკვეთილი 26: როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა“-სთან ერთად გამოსაყენებლად. შეარჩიეთ ერთ-ერთი კარიკატურა ამ გაკვეთილისთვის.

ახალი ამბავი, რომელიც კარიკატურა Hot Wheels-ს უდევს საფუძვლად, არის ტოიოტას ავტომობილების სამუხრუჭე სისტემის გაუმართაობა. სათაურში სიტყვების თამაშია. Hot Wheels ბავშვების სათამაშოცაა და დიდი აჩქარებაც. Text Drive-ს რაც შეეხება, მას საფუძვლად უდევს კვლევები მანქანის მართვის დროს მესიჯების წერის საფრთხის შესახებ და ახალი კანონი, რომელიც ამას კრძალავს. კარიკატურისტის მოწოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზეთის მკითხველების: თინეიჯერი მძღოლებისათვის.

მეხუთე ეტაპი

დრო: 10 წუთი

გამოიყენეთ ჩინურ მედიაში გამოქვეყნებული სამი ან ოთხი სარედაქციო კარიკატურა და ამდენივე მთელი მსოფლიოდან შეგროვილი. მასწავლებლებმა უნდა მოამზადონ თითოეული ამ კარიკატურის ასლები.

თანმიმდევრობით უჩვენეთ მოსწავლეებს ეს კარიკატურები სიტყვების გარეშე. თითოეული კარიკატურის ჩვენებისას ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა წარწერას გაუკეთებდნენ მას. იმსჯელეთ მოსწავლეთა განსხვავებულ შეხედულებებზე.

ბოლო ეტაპია მოსწავლეთა იდეების შედარება კარიკატურისტის აზრებთან, ამისთვის კარიკატურის ორიგინალები აჩვენეთ კლასს. იმსჯელეთ მსგავსებებსა და განსხვავებებზე კარიკატურისტის სიტყვებსა და მოსწავლეების შემოთავაზებულ ვარიანტებს შორის.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

სარედაქციო სტატია წარმოდგენს რედაქციის პოზიციას გარკვეულ თემაზე, სარედაქციო კარიკატურა კი კარიკატურისტის პირად აზრს გამოხატავს. ვიზუალური კომენტარის ძალა იმაშია, რომ მას შეუძლია დაუყოვნებლივ გადასცეს სათქმელი.

სარედაქციო კარიკატურებს საკუთარი ადგილი უჭირავთ ქვეყნის ისტორიაშიც და თანამედროვე მოვლენებშიც. ისინი ასახავენ საკითხებს, მოვლენებს და გაზეთის მკითხველების საწუხარს – ერთი ადამიანის პოზიციიდან. ისტორიკოსები სარედაქციო კარიკატურებს იყენებენ, როგორც საზოგადოების შესახებ ჩანაწერებს.

საშუალო სკოლის გაზეთისთვის დახატული კარგი კარიკატურა შეიძლება გამოვიყენოთ სარედაქციო სტატიის ან ახალი ამბის ამსახველი სტატიის საილუსტრაციოდ. ის უნდა ასახავდეს იმ დღის აქტუალურ სასაუბრო თემებს.

შესაძლო საშინაო დავალება

დაავალეთ მოსწავლეებს ჩინური პუბლიკაციების კითხვა და სარედაქციო კარიკატურების მაგალითების მონახვა. ისინი უნდა განვასხვაოთ ცალკეული კომიქსის ან კომიქსების სერიისაგან. გააკეთეთ კომენტარი სარედაქციო კარიკატურისტის სათქმელზე ერთ-ერთ კარიკატურაში.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- მოსწავლის მაგალითი: Hot Wheels, ქეროლაინ ჩანი, *Rampage*-ს რედაქციის კარიკატურისტი, პიტერ დადოუნი, მრჩეველი, როკვილის საშუალო სკოლა, როკვილი, მერილენდი.
- მოსწავლის მაგალითი: Text Drive, ქეროლაინ ჩანი, *Rampage*-ის რედაქციის კარიკატურისტი, პიტერ დადოუნი, მრჩეველი, როკვილის საშუალო სკოლა, როკვილი, მერილენდი.

muahahahaha
MY BRAKES !!
WHAT HAPPENED
TO THEM??
- akio toyoda
HOT WHEELS

bro
cops got me.

გაკვეთილი 26

როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები, პროექტორი, ქაღალდი სარედაქციო კარიკატურების დასახატად, კალმები, ფანქრები და ნახშირი.

დასარიგებელი მასალა: „რჩევები რედაქციის კარიკატურისტს“, „სარედაქციო კარიკატურების ლექსიკონი“, „Hot Wheels“ (მოსწავლეების დახატული სარედაქციო კარიკატურა), „Text Drive“ (მოსწავლეების დახატული სარედაქციო კარიკატურა)

ცნობები მასწავლებლისთვის

სარედაქციო კარიკატურა იბეჭდება სარედაქციო გვერდზე ან იმ გვერდზე, სადაც პუბლიცისტური წერილებია. ის ვიზუალურ კომენტარებს წარმოადგენს, მას ხატავს მხატვრის ნიჭით დაჯილდოებული ერთი ან მეტი ადამიანი.

მოსწავლეთა გაზეთებს ჰყავს რედაქციის კარიკატურისტი ან სკოლის მოსწავლეები ამარაგებენ კარიკატურებით.

ამ გაკვეთილში ყურადღება მიექცევა მხატვრობას და სარედაქციო კარიკატურის შექმნის ტექნიკებს.

მიზნები

- მოსწავლეები გაარჩევენ სარედაქციო კარიკატურისტის სტილის კომპონენტებს, მათ შორის მასალას, დიზაინს, ტექნიკას და კარიკატურის თემას.
- მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე კარიკატურისტ მხატვრებს.
- მოსწავლეები თავად სცდიან კარიკატურის სხვადასხვა ტექნიკებს.
- მოსწავლეები შექმნიან სარედაქციო კარიკატურებს.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილამდე რამდენიმე კვირით ადრე

მოიმარაგეთ ქაღალდი და სახატავი მასალები, რომლებსაც სარედაქციო კარიკატურების ხატვისას გამოიყენებთ. მასწავლებლებმა შეიძლება წინასწარ გააფრთხილონ მოსწავლეები

გაკვეთილის თემის შესახებ და სთხოვონ მათ სახატავების მოტანა: ფანქრების, შავი კალმების, ნახშირის და სახატავი ქაღალდების.

მასწავლებლებმა უნდა შეაგროვონ სულ მცირე, ხუთი სარედაქციო კარიკატურა ადგილობრივი და ნაციონალური გაზეთებიდან, რომლებიც მოსწავლეებთან ერთად კლასში განსახილველად გამოადგებათ. თუ შესაძლებელია, იპოვეთ სხვადასხვა სტილით შესრულებული კარიკატურების ნიმუშები: კონტურებით ნახატი, სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით გაფერადებული და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შესრულებული.

მეორე ეტაპი

დრო: 7 წუთი

გაკვეთილის დაწყებამდე დაარიგეთ ოთახში სარედაქციო კარიკატურის ნიმუშები. ისეთები შეარჩიეთ, რომლებშიც სხვადასხვა ტექნიკა, სტილი და თვალსაზრისი ჩანს. მასწავლებლებს შეუძლიათ, თანამედროვე კარიკატურებთან ერთად ძველებიც გამოიყენონ.

გაკვეთილის დაწყებისას მოსწავლეებს მიეცით დრო, რომ დაათვალიერონ ისინი. მიეცით მათ საშუალება, ისაუბრონ კარიკატურაზე, რომელიც საინტერესოდ მიაჩნიათ – თვალსაზრისის, ნახატის შინაარსის თუ ტექნიკის გამო.

მესამე ეტაპი

დრო: 10 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „რჩევები რედაქციის კარიკატურისტს“. განიხილეთ სარედაქციო კარიკატურის იდეები და შექმნის ეტაპები. ხაზი გაუსვით იმის აუცილებლობას, რომ კარიკატურისტი კარგად იცნობდეს თანამედროვე პრობლემებს და იცოდეს, რა პოზიციას ირჩევს. მას შემდეგ, რაც კარიკატურისტი ამას გადაწყვეტს, იწყებს მუშაობას გრაფიკულ გამოსახულებაზე, რომელმაც მისი პოზიცია უნდა გამოხატოს.

გაფერადება, ტექსტურა და სხვა ტექნიკები

მეოთხე ეტაპი

დრო: 10 წუთი

„სარედაქციო კარიკატურის ლექსიკონი“ მოსწავლეებს აძლევს განმარტებებს იმ ტექნიკისა და ხელსაწყოების შესახებ, რომლებსაც რედაქციის კარიკატურისტი იყენებს. განიხილეთ

ტერმინები მოსწავლეებთან ერთად. მასწავლებლებს, შეიძლება, შეგროვილი ჰქონდეთ სხვადასხვა კარიკატურები თითოეული ტერმინის საილუსტრაციოდ.

ქეროლაინ ჩანმა, *Rampage*-ს, როკვილის, მერილენდი, საშუალო სკოლის მოსწავლეთა გაზეთის კარიკატურისტმა, საკუთარი კარიკატურების ორი ნიმუში შემოგვთავაზა. მისი კარიკატურები ჯერ ხელით იხატება, შემდეგ კი Adobe Photoshop-ში იხვეწება. Photoshop-ით ის ასუფთავებს ხაზებს, უმატებს ტექსტს, აკეთებს წარწერების ჩასასმელ შავ არეებს. განიხილეთ ახალი ამბები, სათქმელი ან აზრი, ციტატები და წარწერები, ტექნიკა, რასაც ის იყენებს.

საკუთარი კარიკატურების გაზიარების გარდა, ქეროლაინმა ვიდეოც მოამზადა, რომ მოსწავლეებისთვის ეჩვენებინა, რა ტექნიკას იყენებს. აჩვენეთ მოსწავლეებს „როგორ ვხატავ სარედაქციო კარიკატურებს“.

თუ მასწავლებლებს დამატებითი გაკვეთილის ჩასმა შეუძლიათ სარედაქციო კარიკატურების ხატვის გაკვეთილის მეხუთე ეტაპისთვის, მათ უნდა მისცენ მოსწავლეებს საშუალება, მოსინჯონ სხვადასხვა ტექნიკა.

დახატეთ სარედაქციო კარიკატურა

მეხუთე ეტაპი

დრო: 11 წუთი

სთხოვეთ მოსწავლეებს, დახატონ სარედაქციო კარიკატურა იმ ეტაპების გამოყენებით, რომლებიც მოცემულია ქვეთავში „რჩევები რედაქციის კარიკატურისტს“. კლასში ამისთვის გამოყოფილი დრო საკმარისი იქნება, რომ კარიკატურის მონახაზი გააკეთონ. მოსწავლეები ამ კარიკატურას შემდეგ სახლში დაასრულებენ და კლასში მოიტანენ, როგორც მასწავლებელი დაავალებს.

თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ მოსწავლეებს დამატებითი ვარჯიში ესაჭიროებათ ხატვაში, სკოლის ხატვის მასწავლებელს შეიძლება სთხოვოს გაკვეთილის ჩატარება და ხატვის იმ ტექნიკების ახსნა, რომლებიც „სარედაქციო კარიკატურის ლექსიკონშია“ მოცემული. ამას კიდევ ერთი გაკვეთილის დამატება დასჭირდება.

მასწავლებლებს ინტერნეტრესურსების გამოყენებაც შეუძლიათ. გამოიყენეთ გაკვეთილები, რომლებიც დერილ ქეიგლის პოლიტიკური კარიკატურების საძიებელში (*www.cagle.com/*) ან როგორ დავხატოთ კარიკატურაშია (*www.how-to-draw-cartoons-online.com/index.html*) მოცემული, ეს მასალები მოსწავლეებისთვის დამატებით სახელმძღვანელოდ ან კარიკატურის ხატვის გაკვეთილებად შეგიძლიათ გამოიყენოთ. უკანასკნელი ვებგვერდი, რომელიც კომერციულია, უფასოდ გვთავაზობს იოლად შესასრულებელ ეტაპებად დაყოფილ გაკვეთილებს „დამწყებთათვის", „საშუალო დონეზე" და „რთულს", დასახატი საგნები იცვლება ცხოველებიდან კარიკატურის ელემენტებამდე, მანგას პერსონაჟებამდე და ხეებამდე.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

სარედაქციო კარიკატურა საშუალებას აძლევს მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს, გაწევრიანდნენ გაზეთის რედაქციაში. მათ უნდა იცოდნენ ახალი ამბები და კვლევებს უნდა ატარებდნენ რეპორტიორების და სარედაქციო სტატიის ავტორების მსგავსად. ისინი გაზეთებს ახალ განზომილებას მატებენ, ვიზუალური საშუალებებით აზრის გადაცემის განზომილებას.

სხვადასხვა ტექნიკისა და სტილის მრავალფეროვნების გაცნობა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, დაინახონ ვიზუალური გამოსახულების სხვადასხვა ასპექტები და სარედაქციო კარიკატურებში წარმოდგენილი სხვადასხვა თვალსაზრისები. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლე მხატვრებსაც, განავითარონ საკუთარი ტექნიკა და ექსპერიმენტები სცადონ კომპიუტერულ გრაფიკაშიც.

საშინაო დავალება

მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ საკუთარი კარიკატურები და კლასში მოიტანონ, როგორც ეს მასწავლებელმა დაავალა. თუ მოსწავლეებს სხვა კარიკატურის დახატვის იდეაც გაუჩნდათ, წაახალისეთ ისინი მასზე სამუშაოდ. ამასთანავე, მოსწავლეები წაახალისეთ, რომ მეოთხე ეტაპზე აღწერილი სხვადასხვა ტექნიკა გამოიყენონ.

შეიძლება, საუკეთესო კარიკატურები დაიბეჭდოს მოსწავლეთა გაზეთში ან გამოქვეყნდეს ვებგვერდზე. ამ გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მასწავლებლები შეიძლება გაოცებულები დარჩნენ, თუ ზოგიერთ მოსწავლეში ფარულ ტალანტს აღმოაჩენენ.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- მოსწავლის მაგალითი: "Hot Wheels," ქეროლაინ ჩანი, *Rampage*-ს რედაქციის კარიკატურისტი, პიტერ დადოუნი, მრჩეველი, როკვილის საშუალო სკოლა, როკვილი, მერილენდი.
- მოსწავლის მაგალითი: "Text Drive," ქეროლაინ ჩანი, *Rampage*-ს რედაქციის კარიკატურისტი, პიტერ დადოუნი, მრჩეველი, როკვილის საშუალო სკოლა, როკვილი, მერილენდი.

დასარიგებელი მასალა

რჩევები რედაქციის კარიკატურისტს

1. იცოდეთ, რა ხდება

გაარკვიეთ, რა აწუხებთ თქვენი სკოლის მოსწავლეებს. უნდა იცოდეთ, რა გადაწყვეტილებებს იღებს სკოლის ადმინისტრაცია თქვენი სკოლის ფიზიკურ და სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით. წაიკითხეთ გაზეთები და მოუსმინეთ ახალი ამბების გადაცემებს. ახდენს თუ არა ადგილობრივი, ეროვნული და მსოფლიო ახალი ამბები გავლენას თქვენს მოსწავლეებზე?

2. შეარჩიეთ თემა

რადგან თქვენი გაზეთი ყოველდღიურად არ გამოდის, შეარჩიეთ თემა, რომელიც დროული იქნება გამოცემის დროისთვის და თქვენი სკოლის საზოგადოების გასარჩევ და სასაუბრო თემად იქცევა.

ყოველთვის ნუ გააკრიტიკებთ. ზოგჯერ შეაქეთ და დააფასეთ შესრულებული მოქმედებები.

3. გადაწყვიტეთ, რის თქმა გსურთ

თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ სარედაქციო კარიკატურას. ის თქვენი თვალსაზრისის გამომხატველია. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ თავად გქონდეთ კარგად გარკვეული, რის თქმა გსურთ მკითხველისთვის. თქვენი აზრი ერთ წინადადებაში ჩამოაყალიბეთ.

შემდეგ მოიფიქრეთ, როგორ გამოიხატება ეს აზრი ვიზუალური ფორმით ყველაზე უკეთესად.

4. ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება გრაფიკული ფორმით

სარედაქციო სტატიის ავტორისთვის მნიშვნელოვანია საჭირო სიტყვების პოვნა, საუკეთესო არგუმენტების შერჩევა და იმ ადამიანებთან ურთიერთობის ფორმის გამოძებნა, ვისაც სხვადასხვა შეხედულებები აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის,

რადიკალურად საპირისპირო დამოკიდებულებაც. რედაქციის კარიკატურისტი იგივეს აკეთებს, მაგრამ ნახატებითა და ვიზუალური სიმბოლოებით.

რედაქციის კარიკატურისტები ნიშნებსა და ნახატებს იყენებენ და საკუთარ სიმბოლოებს ქმნიან. ამერიკაში არწივი, თეთრი სახლი და დროშა სიმბოლოებია, რომლებსაც მაშინვე ხვდება ყველა. ჩინეთში ასეთი ყველასათვის გასაგები სიმბოლოებია დიდი კედელი, აკრძალული ქალაქი და ეროვნული დროშა.

5. კვლევა დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად

რედაქციის კარიკატურისტი ზუსტად ისევე აკეთებს კვლევას, როგორც რეპორტიორი და სარედაქციო სტატიის ავტორი. თქვენი მკითხველები მოელიან, რომ თქვენი თვალსაზრისი ცოდნის შედეგია.

6. გააკეთეთ მონახაზები

ბევრი პროფესიონალი კარიკატურისტი სარედაქციო კარიკატურის რამდენიმე ვერსიას ხატავს ხოლმე. შემდეგ გაზეთის რედაქციის თანამშრომლებს აჩვენებენ და მათ რეაქციას აკვირდებიან. ეს არაა ნებართვის მიღება თქვენი აზრების გამოსახატავად, ეს უფრო რჩევის მიღებაა, როგორ უნდა გამოხატო სათქმელი უფრო გასაგებად.

7. დახატეთ კარიკატურა

იფიქრეთ გამოხატვის ორივე საშუალებაზე, რომელია თქვენთვის უფრო მისაღები. ადრე რედაქციის კარიკატურისტები იყენებდნენ შავ მელანს და კალამს ან ნახშირს. ეს აძლევდა მათ მკვეთრ შავ-თეთრ კონტრასტს და ჩრდილების გაფერადების საშუალებას აძლევდა.

თანამედროვე კარიკატურისტები სულ უფრო მეტად იყენებენ ნახატების კომპიუტერულ დამუშავებას.

თქვენ საკუთარი სტილი უნდა ჩამოაყალიბოთ. ზოგიერთი კარიკატურისტი ძალიან დეტალურად ხატავს, ზოგი კი არა. ყურადღებით მოეკიდეთ სიტყვების შერჩევას, რასაც სარედაქციო კარიკატურაში ჩაურთავთ. შეძლება წარწერა გაუკეთოთ ნახატს, პერსონაჟის სიტყვები ჩასვათ ღრუბელში, ან დაასათაუროთ ნახატი.

8. გაუზიარეთ იგი

თქვენი ნამუშევარი ჯერ მეგობრებს და თანაკლასელებს აჩვენეთ. თქვენს ოჯახსაც დააინტერესებს თქვენი აზრები. ჩააბარეთ სარედაქციო კარიკატურა დასაბეჭდად, მას ჯერ რედაქციის თანამშრომლები განიხილავენ.

დასარიგებელი მასალა

სარედაქციო კარიკატურის ლექსიკონი

ბენდეი

დაბეჭდილი სურათისთვის ტონის ან ტექსტურის დამატება გამჭვირვალე გადასატანი ფურცლის დადებით, რომელზეც ერთგვაროვანი წერტილები ან სხვა ფორმები ხატია, მას ფოტორეპროდუქციის ერთ-ერთ ეტაპზე აკეთებენ. (სხვაგვარად ამას ბენდეის წერტილებსაც უწოდებენ.)

წარწერა

ნახატის ამხსნელი მოკლე ტექსტი

შარჟი

ნახატი, რომელშიც ადამიანის გამორჩეული თვისებები ან ნაკვთები განგებ გადაჭარბებულადაა ნაჩვენები კომიკური ან გროტესკული ეფექტის მისაღებად

ჯვარედინად დაშტრიხვა

ხატვა ან გაფერადება ორი ან მეტი ურთიერთგადამკვეთი მიმართულებით გავლებული პარალელური ხაზებით

სარედაქციო კარიკატურა

ნახატი, რომელიც იქმნება ადამიანების დასაფიქრებლად და მიმდინარე მოვლენებზე მათი რეაქციის მისაღებად. მასში მოთხრობილია ამბავი ან მოცემულია კომენტარი, ის ერთი ან რამდენიმე სურათის სერიისგან შედგება.

დაშტრიხვა

გაფერადება წვრილი პარალელური ხაზების გავლებით

ხაზი

უწყვეტი ზოლი, გავლებული ქაღალდის ზედაპირზე კალმით, ფანქრით ან ფუნჯით

მოძრაობა

მოძრაობის მიმართულების ჩვენება ხაზით

არაფოტოგრაფირებადი ლურჯი

ფერი, რომელიც ფოტოზე არ ჩანს, ამიტომ დაბეჭდილ ნახატზე აღარ გამოჩნდება

პანელი

კარიკატურისტის მიერ დახატული სერია; ერთი ისტორიის გაგრძელება, ცალკეული ეპიზოდი ან ერთი დამოუკიდებელი ნახატი

გაფერადება

სურათის ნაწილის გამუქება ან ჩრდილის დახატვა

ტექსტურა

ზედაპირის ისე დამუშავება, რომ „იგრძნობოდეს“ საგანი: გლუვი, უხეში, ბრტყელი, ხაოიანი

გაკვეთილი 27

დაწერეთ მიმოხილვა

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „მიმოხილვის რაობა“, „გამოვიდა iPhone 4“ (მოსწავლის დაწერილი ტექნიკური მიმოხილვის ნიმუში), „დაბრუნება ინდოეთში“ (მოსწავლის დაწერილი მოგზაურობის მიმოხილვის ნიმუში)

მიზნები

- მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვაგვარ მიმოხილვას.
- მოსწავლეები მიიღებენ მიმოხილვის წერის გამოცდილებას.
- მოსწავლეები გამოიყენებენ არსებულ ცოდნას, დაკვირვებას, ინტერვიუს, კვლევას და დაწერენ ახალ ჟანრში.
- მოსწავლეები კონსტრუქციულად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებსა და შეფასებებს.

ცნობები მასწავლებლისთვის

განხილვა აზრის გამოხატვის და პუბლიცისტური სტატიის ნიმუშია. მათში ასახულია ავტორის შეფასება და გამოცდილება. ისინი გამიზნულია მკითხველის ინფორმირებისთვის, განხილვები ეხმარება ადამიანებს, გადაწყვიტონ, როგორ დახარჯავენ დროსა და ფულს.

უამრავი პროდუქტის მიმოხილვა იწერება. მომხმარებლისთვის განკუთვნილი მიმოყველაზე გავრცელებული თემებია წიგნების, ფილმების და მუსიკის მიმოხილვები. სოციალური მოვლენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება რესტორნების და კონცერტების განხილვები. მედიაში გამოქვეყნებულ მიმოხილვებს შორის ყველაზე ახალია ტექნიკის მომოხილვა.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: გაკვეთილის დაწყებამდე

შეარჩიეთ ფილმის ან CD-ის მიმოხილვა თანამედროვე ჩინური მედიიდან და აჩვენეთ მოსწავლეებს. იზრუნეთ, რომ მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესო თემას შეეხებოდეს და მათში რეაქცია გამოიწვიოს.

მეორე ეტაპი

დრო: 8 წუთი

შერჩეული მიმოხილვა მოსწავლეებთან ერთად წაიკითხეთ. ეთანხმებიან ისინი მიმოხილვის ავტორს თუ არა? სთხოვეთ მოსწავლეებს, აგიხსნან საკუთარი მოსაზრება განხილვიდან შესაბამისი ადგილების დამოწმებით. თუ მიმოხილვის ავტორი გასაგებად გადმოგვცემს თავის მოსაზრებებს, მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ კონკრეტული წინადადებების და აზრების დამოწმება.

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

კითხულობენ მოსწავლეები მიმოხილვებს? რა ტიპის მიმოხილვებს კითხულობენ ისინი ყველაზე ხშირად? დაფაზე დაწერეთ მათი პასუხები. ალბათ, ასეთ სიას მიიღებთ:

- წიგნები
- CD-ები
- კონცერტები
- ფილმები
- კომპიუტერული თამაშები
- ტექნიკის მიღწევები (მობილური ტელეფონები, ფოტოაპარატები, კომპიუტერები)
- სტატიები მოგზაურობაზე
- სხვა მიმოხილვები?

მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ მიზეზებზე, რის გამო კითხულობენ განხილვებს.

მეოთხე ეტაპი

დრო: 15 წუთი

დაურიგეთ მოსწავლეებს „მიმოხილვის რაობა“. იმსჯელეთ მითითებების შესახებ.

აჩვენეთ მოსწავლეებს ნიმუში თანამედროვე ჩინური პრესიდან ან გამოიყენეთ მოსწავლის დაწერილი ტექნიკური მიმოხილვის ნიმუში „გამოვიდა iPhone 4“, რომლის ავტორია ჯეკ ბურდენი ჰარისონბერგის საშუალო სკოლიდან, ან მოსწავლის დაწერილი მოგზაურობის მიმოხილვის ნიმუში „დაბრუნება ინდოეთში“, რომლის ავტორია კავია ბეჰერაზი ჰარისონბერგის საშუალო სკოლიდან.

თქვენს მიერ შერჩეული მიმოხილვის, ან აქ მოცემული მიმოხილვების შესახებ მსჯელობისთვის შემდეგი საკითხები შეიძლება შეირჩეს:

- რა საწყისი ცოდნა ესაჭიროება მკითხველს, რომ ამ მიმოხილვის გაგება შეძლოს?
- იძლევა თუ არა მიმოხილვის ავტორი საკმარის ინფორმაციას, რომ საკითხი გასაგები გახდეს იმ მკითხველებისთვის, რომლებიც არ იცნობენ განხილულ ჟანრს ან შემსრულებელს?
- მიმოხილვის ავტორი გასაგებად წარმოადგენს საკუთარ შეხედულებას?
- ეს შეხედულება წარმოდგენილია თუ არა მიმოხილვის პირველ ორ აბზაცში?
- რის მიმოხილვაა ეს, ახალი ნაშრომის, შემსრულებლ(ებ)ის თუ ჟანრის?
- შეიძლება თუ არა, მოგზაურობის აღწერა იყოს ნაკლებად შთაბეჭდილებების გაზიარება და უფრო მეტად იმაზე საუბარი, რის ნახვა და დათვალიერება შეიძლება აღწერილ ადგილას?
- სტილი კარგადაა არჩეული? არის თუ არა ისეთი სიტყვები, რომლებიც იქცევენ მკითხველის ყურადღებას?
- არის თუ არა ნაშრომში ციტატები, რომლებიც დაადასტურებდა მიმოხილვის ავტორის მოსაზრებებს?
- დასკვნა მხარს უჭერს ავტორის მოსაზრებას თუ ცვლის მას?

დაწერეთ მიმოხილვა

მეხუთე ეტაპი

დრო: 10 წუთი

მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ, რა ტიპის მიმოხილვა, სურთ, რომ დაწერონ. იმსჯელეთ, რატომ წაიკითხავს ამ ტიპის მიმოხილვას მათი მკითხველი (მათი სკოლის მოსწავლეები) და რა მიზანი აქვს ამ პროდუქტზე, მოვლენაზე ან ნაშრომზე წერას.

მასწავლებლებმა, შეიძლება, დაფაზე დაწერონ კითხვები, რაც მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ:

- მოსწავლეთა ნაშრომის მიმოხილვას დაწერენ თუ პროფესიონალური ნამუშევრის?
- ეს იქნება წინასწარი მიმოხილვა თუ პროდუქტის/შესრულების შემდეგ?
- რას განიხილავენ, წიგნს, CD-ს, კონცერტს, ფილმს, ვიდეოს თუ სხვა პროდუქტს?
- რა ცოდნა აქვთ ამ ჟანრის შესახებ? რატომ ჰგონიათ, რომ შეძლებენ, დაწერონ ამ ავტორის/ხელოვანის, ჟანრის ან პროდუქტის შესახებ?

აუხსენით მოსწავლეებს ფორმატის მოთხოვნები, რომლებიც თქვენი რედაქციის სახელმძღვანელოშია დადგენილი. ეს იქნება სათაურის და ავტორის მითითების წესები, საჭირო მონაცემები და შინაარსის თანმიმდევრობა. ცალკე ხომ არ იქნება გამოყოფილი ცალკეული მასალა სწრაფად მოსაძებნად? მიმოხილვის ტიპის მიხედვით, მოთხოვნილი მონაცემები შეიძლება იყოს ფასი, შესრულების თარიღები, მისამართი და სამუშაო საათები.

მოსწავლეებს დაავალეთ, წერილობით ჩამოაყალიბონ, რა ტიპის მიმოხილვის დაწერას გეგმავენ. რა ცოდნა ან გამოცდილება აქვთ, რაც წერაში დაეხმარებათ. როგორრ გეგმავენ მიმოხილვის დასრულებას.

განსაზღვრეთ მიმოხილვის ჩაბარების ვადა.

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

მიმოხილვა პუბლიცისტური სტატიის მაგალითია. ესაა მკითხველისთვის იმ ადამიანის მოსაზრების ჩვენება, ვისაც გააჩნია გარკვეული ცოდნა ლიტერატურაში, ვიდეოსა და თამაშებში, მუსიკასა და მხატვრობაში. წიგნების მიმოხილვის შემთხვევაში გამოცდილების სფერო ფართოვდება იმის მიხედვით, რა ტიპის წიგნის მიმოხილვას ვწერთ, მხატვრული თუ დოკუმენტური.

მკითხველები, ვისაც სურს, მეტი იცოდეს კონკრეტული ჟანრის ან სიახლეების შესახებ, კითხულობენ მიმოხილვებს. მკითხველებს სურთ, იცოდნენ, ესა თუ ის წიგნი, წარმოდგენა თუ რაიმე პროდუქტი მათი ფულის და დროის დახარჯვად ღირს თუ არა.

დაბეჭდეთ მიმოხილვა

მეშვიდე ეტაპი

დრო: გაკვეთილის შემდეგ

საუკეთესო მიმოხილვები მოამზადეთ მოსწავლეთა გაზეთში დასაბეჭდად. მიმოხილვები, როგორც წესი, ხელოვნებისა და გართობის გვერდებზე იბეჭდება სკოლის გაზეთებში. დანარჩენი კარგად დაწერილი მიმოხილვები სკოლის ახალი ამბების ვებგვერდზე შეიძლება გამოქვეყნდეს.

მიმოხილვები დაიბეჭდება თუ ვებგვერდზე გამოქვეყნდება, ორივე შემთხვევაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ ისინი ავტორის მოსაზრებებს წარმოადგენს.

შეეცადეთ მიმოხილვების გამოქვეყნებისას დაიცვათ ბალანსი – ფილმის, CD-ის, წიგნების და ტექნიკის მიმოხილვებს შორის. მოძველებული მიმოხილვები არქივში უნდა გადავიდეს.

CD-ის, ფილმების, კომპიუტერული თამაშების და ლიტერატურის მიმოხილვა კარგ შესაძლებლობას იძლევა ამერიკელ და ჩინელ მოსწავლე ჟურნალისტებს შორის ინფორმაციის გაცვლისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირება ერთმანეთის ნაშრომების განსახილველად. დასრულებული მიმოხილვები შეიძლება დავაწყვილოთ და გამოვაქვეყნოთ ორივე სკოის ვებგვერდებზე, ან დავბეჭდოთ ორივე სკოლის გაზეთში.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებმა უნდა დაწერონ მიმოხილვა, რომელიც მეხუთე ეტაპზე დაგეგმეს.

ამ მიმოხილვებს შორის საუკეთესოები დაიბეჭდება მოსწავლეთა გაზეთში და/ან გამოქვეყნდება ვებგვერდზე.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- მოსწავლის მაგალითი: „გამოვიდა iPhone 4“, ჯეკ ბურდენი, *Newsstreak*, ვალერია კიბლერი, მრჩეველი, ჰარისონბერგის საშუალო სკოლა, ჰარისონბერგი, ვირჯინია.
- მოსწავლის მაგალითი: „დაბრუნება ინდოეთში“, კავია ბეჰერაზი, *Newsstreak*, ვალერია კიბლერი, მრჩეველი, ჰარისონბერგის საშუალო სკოლა, ჰარისონბერგი, ვირჯინია.

დასარიგებელი მასალა

მიმოხილვის რაობა

არსებობს წესები, რომლებიც უნდა დავიცვათ CD-ის, ფილმის, შოუს თუ ლიტერატურული ნაწარმოების მიმოხილვისას.

მიმოხილვა ავტორის მოსაზრებაა.

მიმოხილვის ავტორი უნდა იცნობდეს თემას, რაზეც წერს. მიმოხილვის ავტორი უნდა სწავლობდეს მუსიკას და მხატვრობას. მას უნდა ჰქონდეს დაგროვილი ამ ჟანრის შესახებ ცოდნა დაკვირვებით, გამოცდილებით, კითხვით და კვლევით. მას უნდა შეეძლოს სხვათა ნამუშევრების ღირსებებისა და ნაკლის შემჩნევა – იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ეხება მის საყვარელ მწერალს, ჯგუფს ან მსახიობს.

გააცნობიერეთ მიმოხილვის მიზანი.

მიმოხილვის მკითხველებს სურთ, იცოდნენ, ეს კონცერტი, შოუ, CD ან წიგნი მათი ფულის და დროის ხარჯვად ღირს თუ არა. მკითხველი ელის, რომ მიმოხილვის ავტორს აქვს შესაბამისი ცოდნა და ავტორიტეტი ამ თემაზე საწერად. ეს მკითხველისთვის მიზეზია, დაეთანხმოს გამოთქმულ მოსაზრებას. მიმოხილვა იმის საშუალებასაც იძლევა, გაიგოთ ახალი ჟანრის, ავტორის ან გამოხატვის საშუალების შესახებ.

ნუ მიმოიხილავთ განცალკევებულად.

შეადარეთ ეს ფილმი, CD თუ ლიტერატურული ნაწარმოები იმავე ავტორის, მხატვრის თუ ჯგუფის სხვა ნაწარმოებებს. ჰგავს თუ განსხვავდება მათგან? იმავე ჟანრის, მაგრამ სხვა ავტორების ნაწარმოებებისგან?

დაიცავით ბალანსი მოსწავლეთა და პროფესიონალთა ნამუშევრების მიმოხილვისას.

გაზეთის მკითხველებს უნდა გააცნოთ ახალი CD, ფილმები და პროფესიონალთა სხვა ნამუშევრები. სანამ მათ შესახებ დაწერდნენ, მოსწავლეებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ:

- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ამ შემსრულებლის, მხატვრის თუ მწერლის შესახებ მიმოხილვის წაკითხვა სხვა პუბლიკაციებშიც?
- რა შემიძლია, შევმატო ჩემი მკითხველების მიერ ამ ნამუშევრის გაგებას?

- მაქვს თუ არა საკმარისი ცოდნა, რომ ამ შემსრულებლის ან პროდუქტის შესახებ დავწერო სხვათა მიმოხილვების წაკითხვისა და მათი აზრების პლაგიარიზმის გარეშე?

გამოაქვეყნეთ მოსწავლეთა თეატრალური წარმოდგენების, ნახატების და შოუების მიმოხილვები.. თქვენი გაზეთი ინფორმაციის ერთადერთი წყარო იქნება მოსწავლეთა კონცერტების, შოუების და თეატრალური წარმოდგენების შესახებ. ვიდრე მათ შესახებ დაწერდეს, მოსწავლემ საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს:

- ეს წინასწარი მიმოხილვა იქნება? შემიძლია, მკითხველებს ზუსტი ინფორმაცია მივაწოდო, რას უნდა ელოდონ? მიმოხილვის ავტორი უნდა ესწრებოსდეს რეპეტიციებს. მან უნდა აიღოს ინტერვიუები მსახიობების, რეჟისორის და კულისებსმიღმა სამუშაოში მონაწილე ადამიანებისგან. ციტატები ღირსებებს შემატებს ამ ტიპის მიმოხილვას.
- რის გაგება სურთ ადამიანებს მოსწავლეთა მიერ დადგმული მოვლენის შესახებ, რომელიც უკვე ჩატარდა? მიმოხილვის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის რეაქცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს რეაქცია განსხვავებულია, ან შესრულება იყო სხვადასხვაგვარი.

ნუ დატოვებთ საკუთარ მოსაზრებას საეჭვოდ.

მიმოხილვის ავტორს არ ეშინია საკუთარი აზრის გამოხატვის. ის ნათლად საუბრობს ნამუშევრის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და მის ღირებულებაზე მკითხველისა თუ მაყურებლისათვის. როცა მიმოხილვა მოსწავლეთა ნამუშევრების შესახებ იწერება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძლიერი მხარეების წარმოჩენას და დახარჯული ძალისხმევის აღნიშვნას.

დასარიგებელი მასალა

ტექნიკის მიმოხილვა

გამოვიდა iPhone 4

ჯეკ ბურდენი

„დაღლილი ვიყავი, არც ისე ვღელავდი; მხოლოდ ძილი მინდოდა," თქვა 14 წლის ტაილერ სტაკერმა ჰანთინგტონიდან, ვესტ ვირჯინია, რიგში ოთხსაათიანი ლოდინის შემდეგ, როცა 24 ივნისს გამოსული, უახლესი iPhone 4 შეიძინა.

სტაკერი არ ყოფილა ერთადერთი, ვინც ამდენ ხანს იდგა რიგში iPhone 4-ის შესაძენად. ზოგი მყიდველი AT&T-ის ადგილობრივ მაღაზიასთან ღამის 12:30-იდან იყო დაბანაკებული, რომ 40 არსებული ტელეფონიდან ერთ-ერთი შეეძინა. მთელ ქვეყანაში ანალოგიური სიტუაცია იყო; როცა iPhone-ის გამოსვლის ოფიციალური ვადა დადგა, ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში იდგნენ მაღაზიასთან რიგში, რომ მოეხერხებინათ პირველი ტელეფონის ყიდვა.

„ორი თვის განმავლობაში მინდოდა ეს ტელეფონი. იმიტომ მინდოდა, რომ მეტი ფუნქციები აქვს და გარეგნულადაც მაგარია [ჩემს ძველ ტელეფონთან, iPhone 3G-სთან შედარებით]," ამბობს სტაკერი.

ზოგი მომხმარებელი ამბობს, რომ როცა დარეკვის დროს ტელეფონის ქვედა მარცხენა კუთხეს ეხები, ზარი წყდება (იმიტომ რომ ამ ადგილას ტელეფონს შიდა ანტენა აქვს). ამის მიუხედავად, გამოხმაურებები ძირითადად დადებითია.

„უფრო მეტად მომეწონა, ვიდრე ველოდი. სურათები ნანახი მქონდა და ვიცოდი, რომ კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ როცა ვიყიდე, დავინახე, რა თხელია, რა ლამაზი ეკრანი აქვს, იმდენად მომეწონა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი," თქვა ნიკ პულქრანომ, აგრეთვე ჰანთინგტონიდან.

iPhone 3GS-თან შედარებით გაუმჯობესებულია Facetime (როცა კამერა ტელეფონის წინა მხარესაა და უკანაც, რაც უფრო მოხერხებულს ხდის ვიდეოზარებს), HD ვიდეო გადაღება, რამდენიმე ამოცანის ერთდროულად შესრულება, 5-მეგაპიქსელიანი ფოტოაპარატი ფლეშით.

სტაკერი აღფრთოვანებულია საკუთარი ტელეფონით პლექსიგლასის ეკრანის გამოც, რაც მინაზე უფრო გამძლეა, ფოლდერებითაც, რომლებშიც ბევრი პროგრამის ერთად შენახვაა შესაძლებელი.

ჯერჯერობით არც სტაკერსა და არც პულქრანოს არ ჩაუტვირთავთ ტელეფონში ბევრი პროგრამა და სიმღერა, მაგრამ ორივე გეგმავს, ბოლომდე შეავსოს ტელეფონის 16 გიგაბაიტიანი მეხსიერება.

„პროგრამებისა და მუსიკის კომპიუტერიდან ტელეფონში გადატანაღა დამრჩა, მერე ყველაფერი რიგზე იქნება," თქვა სტაკერმა.

ვიდრე Apple „ახალი და გაუმჯობესებული" პროდუქტების გამოშვებას აგრძელებს, იქნება ეს iPhone თუ iPad, iPhone-ის ფანებს მთელ მსოფლიოში დროდადრო ახალი გასართობი გამოუჩნდებათ ხოლმე. ხოლო, თუ ის ისტერია, რომელიც iPhone 4-ის გამოშვებას უსწრებდა წინ, რამეზე მიანიშნებს, მისი ქება და კრიტიკა არ შეწყდება ტექნიკის რამე ახალი ბრჭყვიალა სიახლის გამოშვებამდე.

– Newsstreak, ჰარისონბერგის საშუალო სკოლა, ჰარისონბერგი, ვირჯინია

დასარიგებელი მასალა

მოგზაურობის მიმოხილვა

დაბრუნება ინდოეთში

კავია ბეჰერაჯი

აქ ჩამოსვლას დიდი დრო დასჭირდა – შვიდი საათი თვითმფრინავით ლონდონამდე (სადაც სამი დღე დავრჩი, ბიძაშვილს ვესტუმრე უელსში), შემდეგ კიდევ ათი საათი ბანგალორამდე (ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და კარნატაკას შტატის დედაქალაქია) და კიდევ ერთი საათი ტაქსით ჩემი ბებიას და პაპას ბინამდე. ეს ბინა საკმაოდ პატარაა, სამი საძინებელი ხუთი ადამიანისთვის, სამი სააბაზანო, სამზარეულო, მისაღები და პატარა სამლოცველო ოთახი. მისაღებში ზოგჯერ იმაზე მეტი ხალხია, ვიდრე სკამები, განსაკუთრებით, როცა ყველანი ტელევიზორთან ვიკრიბებით მსოფლიო ჩემპიონატის საყურებლად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ადგილი ყველასთვის საკმარისია.

მას შემდეგ, რაც ფეხი ჩამოვდგი თვითმფრინავიდან წინა ოთხშაბათს და ინდოეთის სურნელი შევიყნოსე, სინესტის, მცენარეების და მანქანების სუნი ვიგრძენი, გაოცებული ვარ, რამდენად დამვიწყნია აქაურობა, ჩემი ოჯახის ყოველწლიური საზაფხულო დასვენების ადგილი, ვიდრე რვა წლის გავხდებოდი. საინტერესოა, როგორ გატყდებიან თავს ამდენი მოგონებები, როცა ხანგრძლივი განშორების შემდეგ დაუბრუნდები ბავშვობისდროინდელ ადგილს. ხედები, სუნი, მტვერი და დაღლილობა, რომელიც ქუჩაში სიარულისას მომეძალა – ისეთი ნაცნობი იყო ჩემთვის და მაინც, თითქოს პირველად ვნახე.

მომწონს ავტორიქშების, ანუ სამბორბლიანი უკარო ინდური ტაქსების, მონოტონური ხმა, რომლებიც მგზავრებს ეძებენ ქუჩაში. შენობები – ძველი, პატარა სახლები ლითონის დატალღული სახურავებით და შეთეთრებული კედლებით თანამედროვე ოფისების შენობების გვერდიგვერდ, და უცნაურ ფერებში შეღებილი მრავალსართულიანი ბინები, მაგალითად, ლიმნისფერი მწვანე ან ვარდისფერი. ქოქოსის პალმები, რომლებიც ყველგან იზრდება და გარემოს ტროპიკულ სამოთხეს ამსგავსებს.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ დამვიწყებია, როგორ მიყვარს ეს ყველაფერი. მიყვარს კულტურა, ტაძრები, სადაც გირლიანდებით და ორნამენტებით მორთული უამრავი

ღმერთია. მიყვარს ადამიანები, თუმცა ზოგჯერ ქუჩაში უცნაურად მიყურებენ ჩემი (ამერიკული) ჯინსისა და მაისურის გამო. მიყვარს ბანგალორი, ხმაურიანი, ხალხმრავალი ქალაქი, თუმცა კანადას ენაზე თითქმის ვერ ვლაპარაკობ.

ზაფხული, თითქოს, უსასრულოდ აპირებს გაგრძელებას. აქედან ჯერ ძალიან შორსაა ზაფხულის დასასრული, ჯერ ხომ ივნისის ბოლოა, მაგრამ ვიცი, რომ აქედან გამგზავრების დროც მალე მოვა. და მე მჯერა, რომ ინდოეთის მოგონებები თან გამყვება, როცა აქედან წავალ.

– Newsstreak, ჰარისონბერგის საშუალო სკოლა, ჰარისონბერგი, ვირჯინია

შენიშვნა მოსწავლე ჟურნალისტებისთვის:

მოგზაურობის აღწერაში უნდა შედიოდეს ჩამონათვალი მოკლე აღწერილობით იმ ადგილებისა, სადაც ღირს საჭმელად შესვლა (Barbecue Nation, Kabob Studio, Samarkhand), სანახაობების ჩამონათვალი (ლალ ბაგის ბოტანიკური ბაღი, შივ მანდირის ტაძარი, შივასამუდრამის ჩანჩქერი), სასტუმროები (ლილა პალას კემპინსკი ბანგალორი, ფერფლ ლოტუსი, ალრავატამის საოჯახო სასტუმრო).

გაკვეთილი 28

რეკლამა და ბიზნესი

რეკომენდებული დრო: 40 წუთი

მასალა: დაფა და მარკერები

დასარიგებელი მასალა: „როგორ ვაწარმოოთ სარეკლამო კამპანია და გაყიდვები ადგილობრივ ბიზნესში“, „The A-Blast-ში რეკლამის განთავსების უპირატესობები“ (მარკეტინგისთვის გამიზნული რეკლამის ნიმუშების კრებული), „რეკლამების ფასების ცხრილი“, „გამოწერის ფორმა“

ცნობები მასწავლებლისთვის

ამერიკაში საშუალო სკოლის გაზეთების გამოცემის პროგრამების უმეტესობა თვითდაფინანსებით ფუნქციონირებს, ანუ ისინი სკოლისგან ფინანსურ დახმარებას არ იღებენ. ისინი თავად იხდიან დაბეჭდვის ხარჯებს და ახალი აღჭურვილობის, მაგალითად, კომპიუტერების და ფოტოაპარატების, შესაძენ თანხასაც. ზოგიერთი გაზეთის რედაქციას მხოლოდ პროგრამის სამუშაო ხარჯებისთვის წელიწადში 15000$-ის შეგროვება უწევს. მაგალითად, თვეში გაზეთის 3500 ეგზემპლარის დასაბეჭდად, შეღავათიანი ფასებით, 1000$-ია საჭირო. თუ გაზეთი წელიწადში ცხრაჯერ გამოდის, ადვილი გამოსათვლელია, რამდენი დაემატება სამუშაო ხარჯებს, მარტო 9000$ დაბეჭდვის ღირებულება იქნება.

სკოლის გაზეთის გამოშვების მთლიანი ციკლის გავლისას მოსწავლეები პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ გაზეთის შექმნის ყველა ასპექტში. ბიზნესის მხარე ჟურნალისტიკის ნაწილია, რომლის გამოტოვება არ შეიძლება. მედიაგამოცემების უმეტესობაში ბიზნესის განყოფილებაში უფრო მეტი სამუშაო ადგილია, ვიდრე სარედაქციო, ან ახალი ამბების განყოფილებაში.

ადგილობრივი მეწარმეებისთვის რეკლამების მიყიდვით მოსწავლეები შეიძენენ გამოცდილებას, როგორ მუშაობს ბიზნესი. როცა მიმართავენ მაღაზიებს, რესტორნებსა და მცირე ბიზნესებს, ვისაც შეიძლება გამოადგეს რეკლამის განთავსება თინეიჯერების მედია საშუალებაში, ისინი საკუთარ სკოლას და გაზეთს წარმოადგენენ. თითოეულმა სკოლამ თავად უნდა გადაწყვიტოს, მისი გაზეთის რედაქციის თანამშრომლები როგორ გავლენ

საზოგადოებაში და გაყიდიან რეკლამებს – თუ გაყიდიან საერთოდ. ამ გაკვეთილში წარმოდგენილია ერთი მოდელი, რომელიც ნებისმიერმა სკოლამ შეიძლება შეცვალოს და საკუთარ საჭიროებებს შეუსაბამოს.

მიზნები

- მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ ცოდნა რეკლამის ფასების შედგენის, სარეკლამო კონტრაქტების და ანაზღაურების პროცედურების შესახებ.
- მოსწავლეები ისწავლიან და გამოიყენებენ გაყიდვებისა და სარეკლამო საქმიანობის ძირითად ბიზნესპრინციპებს.
- მოსწავლეები დაწერენ სარეკლამო განცხადებებს კლიენტებისთვის.
- მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ გაყიდვებში.

პროცედურა

პირველი ეტაპი

დრო: 18 წუთი

განიხილეთ „როგორ ვაწარმოოთ სარეკლამო კამპანია და გაყიდვები ადგილობრივ ბიზნესში“. ინფორმაცია სქემატურად და სრულადაა მოცემული.

სთხოვეთ ორ მოსწავლეს, გამოვიდნენ კლასის წინაშე და გაითამაშონ როლები 11-დან 18 პუნქტამდე. ერთი მოსწავლე შეასრულებს ბიზნესის მფლობელის როლს, მეორე კი მოსწავლისა, რომელიც რეკლამის გაყიდვას ცდილობს.

მეორე ეტაპი

დრო: 5 წუთი

განიხილეთ ფაქტების ფურცლის ნიმუში „The A-Blast-ში რეკლამის განთავსების უპირატესობები“. წაიკითხეთ ამ მასალიდან ძირითადი მომენტები. ეს ფაქტები გაზეთის მარკეტინგის ძირითადი ნაწილია.

მესამე ეტაპი

დრო: 5 წუთი

განიხილეთ „ფასების ცხრილის“ ნიმუში ანანდეილის საშუალო სკოლის გაზეთ The A-Blast-იდან. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბიზნესისთვის მუდმივი ფასი არსებობდეს.

ზოგიერთ სკოლას აქვს განსაკუთრებული შიდასასკოლო ფასები სკოლის კლუბებისა და ჯგუფებისთვის (თეატრი, ორკესტრი ან მომღერალთა ჯგუფები), რომლებიც აწყობენ ხოლმე სახალხო წარმოდგენებს. განცხადების გამოქვეყნება სკოლის გაზეთში ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას და დასწრების მსურველთა მოზიდვას.

მეოთხე ეტაპი

დრო: 5 წუთი

განიხილეთ „გამოწერის ფორმის“ ნიმუში გაზეთ The A-Blast-იდან. მიაქციეთ ყურადღება, რომ წლიური გამოწერის ფასია 15$, ფორმაში მოცემულია მომხმარებლის ელ. ფოსტის მისამართის გრაფა შემდეგი კონტაქტისთვის. გამოწერა საშუალებას აძლევს მოსწავლეთა ოჯახებს, ყოფილ მოსწავლეებს და საზოგადოების დაინტერესებულ წევრებს, იცოდნენ, რა ხდება სკოლაში.

მეხუთე ეტაპი

დრო: 5 წუთი

მოსწავლეები და მასწავლებლები თითოეული სკოლის გაზეთის რედაქციიდან უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და დასვან ეს შეკითხვები, ეს იქნება შემაჯამებელი აქტივობა:

- რამდენი ფული დაგვჭირდება წლიური ხარჯების დასაფარად?
- რამდენი მოსწავლე იქნება რედაქციაში?
- რა თანხა უნდა მოიზიდოს თითოეულმა მოსწავლემ?
- გავყიდით თუ არა რეკლამებს და განცხადებებს? თუ კი, რა იქნება გონივრული ფასი ჩვენი სკოლისთვის?
- გაზეთის სახლში გამოწერას და ფოსტით დაგზავნას თუ გავაკეთებთ?

შეჯამება

მეექვსე ეტაპი

დრო: 2 წუთი

რეკლამების დიზაინის გაკეთება და გაყიდვა მოსწავლეებს გაზეთის გამოცემის ბიზნესის მხარეზე მუშაობის გამოცდილებას სძენს. ამან შეიძლება მოსწავლეების კარიერის არჩევანზეც იმოქმედოს.

წარმატებული სარეკლამო კამპანიები განამტკიცებს სკოლის გაზეთის და ახალი ამბების ვებგვერდის სიცოცხლისუნარიანობას.

შესაძლო საშინაო დავალება

მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული რეკლამების და განცხადებების ტიპები. აღმოაჩენენ თუ ვერა რაიმე ისეთ ბიზნესს, რომელსაც მათი სკოლის გაზეთშიც მოუნდება რეკლამის განთავსება? განლაგებას და დიზაინთან დაკავშირებით რამე იდეა ხომ არ შეიძლება გადმოიღონ პროფესიულ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებებიდან? მოსწავლეებმა, შეიძლება, მოიტანონ საკუთარი მაგალითები და აჩვენონ კლასს.

პირველწყაროები

ამ გაკვეთილის დამატებითი მასალები იბეჭდება შემდეგი სკოლებისა და ინდივიდების ნებართვით:

- *ალენ ვაინტრაუტი, The A-Blast, მრჩეველი, ანანდეილის საშუალო სკოლა, ანანდეილი, ვირჯინია.*

დასარიგებელი მასალა

როგორ ვაწარმოოთ სარეკლამო კამპანია და გაყიდვები ადგილობრივ ბიზნესში

1. გაზეთის მთელი რედაქციისთვის გასაგები უნდა გახდეს, რომ გაზეთის დაბეჭდვის შესაძლებლობა მთლიანად დამოკიდებულია რეკლამებისა და ხელმოწერების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე.
2. რაკი შეიძლება, ყველას არ უნდოდეს გაყიდვებში მონაწილეობა, უნდა დავაფასოთ და წავახალისოთ ისინი, ვისაც უნდა გაყიდვების წარმოება.
3. რეკლამების გაყიდვა, სკოლის მიერ თანხების მოძიების სხვა ღონისძიებებისაგან განსხვავებით, არ არის ქველმოქმედების თხოვნა. თქვენ გყავთ ის, რაც სჭირდება ბიზნესს – თინეიჯერი მკითხველები, რომლებიც მზად არიან ფულის დასახარჯად.

- მართალია თინეიჯერები ბევრ ფულს არ შოულობენ. მაგრამ იოლად ხარჯავენ .
- მხოლოდ თქვენს გაზეთს ჰყავს ამდენი თინეიჯერი მკითხველი.
    - თინეიჯერები ახალგაზრდები არიან და თუ რომელიმე პროდუქტი ძალიან მოეწონათ, მრავალი წლის განმავლობაში მიჯაჭვულები იქნებიან მაზე.

4. სკოლის ახლომდებარე რაიონი გაყიდვების ზონებად დაყავით და მოსწავლეთა ჯგუფი მიუჩინეთ თითოეულს. მოსწავლეთა ერთ ჯგუფს ჩაბარდება ერთი მხარე გაყიდვების საწარმოებლად. უსაფრთხოებისთვის და დაძაბულობის მოსახსნელად კარგი იქნება, თუ მოსწავლეები ამ სამუშაოს ჯგუფებად შეასრულებენ.
5. შემდეგ მოსწავლეები წყვილებად დაყავით და თითოეულ წყვილს თავისი ბიზნესი მიუჩინეთ. ყველა წყვილში მოაქციეთ თითო ისეთი მოსწავლე, რომელსაც ძლიერი პიროვნული თვისებები აქვს და არ ეშინია ბიზნესის მფლობელებთან ურთიერთობის.
6. ჯგუფი უნდა გავიდეს ბიზნესის მფლობელებთან გაყიდვების შესახებ მოლაპარაკებების საწარმოებლად ერთსა და იმავე დღეს, ალბათ, აგვისტოში, სკოლაში დაბრუნების სეზონზე.
7. შეეცადეთ, ისეთ დროს აწარმოოთ მოლაპარაკებები, როცა ბიზნესი არაა ძალიან დატვირთული – მაგალითად, რესტორანი შუადღისას.
8. სავაჭრო ნიშნები, როგორიცაა მაკდონალდსი, ან დიდი კომპანიები, როგორც წესი, უარით გამოგისტუმრებენ და ცენტრალურ ოფისში გაგგზავნიან.

9. იმ დღეს, როცა გაყიდვებზე მოსალაპარაკებლად მიდიხართ, ჩაიცვით პროფესიონალურად. ნუ ჩაიცვამთ მაისურს, ძალიან შემოტმასნილ ტანსაცმელს ან გახუნებულ ჯინსებს. ჩაიცვით სასკოლო ფორმა, თუ თქვენს სკოლას ფორმა აქვს.
10. თან იქონიეთ იქონიეთ გაყიდვების პაკეტი, რომელშიც შედის:
    a. დაბეჭდილი გაზეთის ნიმუშები
    b. რეკლამის ნიმუშები – კლიენტმა უნდა ნახოს, რას ყიდულობს
    c. სავიზიტო ბარათები, რომლებსაც აწერია მხოლოდ სარეკლამო მენეჯერის სახელი, ელ. ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. როცა კლიენტს გაზეთთან ურთიერთობის გაგრძელება სურს, გაცილებით მოსახერხებელია მხოლოდ ერთი საკონტაქტო პირის მითითება.
    d. მონაცემების ცხრილი თქვენი სკოლის გაზეთის შესახებ. ეს საშუალებას მოგცემთ, რეკლამის გაყიდვისას სრული ინფორმაცია მიაწოდოთ.
11. ითხოვეთ მენეჯერთან შეხვედრა. მხოლოდ მას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება რეკლამის ყიდვასთან დაკავშირებით.
12. როცა მენეჯერს შეხვდებით, თავდაჯერებულად მოიქეცით: გაუღიმეთ, მაგრად და სწრაფად ჩამოართვით ხელი, შეხედეთ თვალებში, წარუდგინეთ საკუთარი თავი სახელით და რედაქციაში თქვენი პოზიციით.

„ჩემი სახელია ვან სიანლიანი, ვსწავლობ ნორდუესტ ნორმალში და დღეს გეწვიეთ, რომ დახმარება შემოგთავაზოთ თქვენს ბიზნესში. შეგიძლიათ 5 წუთი დამითმოთ, რომ აგიხსნათ?“

13. გახსოვდეთ, რომ საშუალოსტატისტიკური უფროსი:
    a. ძალიან დაკავებულია
    b. მაინცდამაინც დიდი წარმოდგენის არაა თინეიჯერებზე
14. უკვე წარმატებაა, თუ პირველი 30 წამის განმავლობაში დაარწმუნებთ, რომ:
    a. უმიზნოდ არ ფლანგავთ მის დროს
    b. სერიოზული ხართ და საქმეზე ლაპარაკობთ
15. აჩვენეთ მენეჯერს თქვენი გაზეთი. აუხსენით, რომ თქვენ შესანიშნავ გამოცემაში მუშაობთ, ამისთვის თქვენ სასწავლო კრედიტს იღებთ და თქვენს ნაშრომს ათასობით ადამიანი კითხულობს.

16. თუ ეს შესაძლებელია, დაამზადეთ რეკლამის ნიმუში იმ ბიზნესისთვის, რომლის რეკლამის მოპოვებაც გსურთ. მაგალითად, თუ ეს სალონია, გამოიყენეთ მისი ლოგო და შექმენით კუპონის დიზაინი, რომელიც მოსწავლეებს 10%-იან ფასდაკლებას ჰპირდება. თუ სავარაუდო კლიენტი წინასწარ ნახავს რეკლამას, ნაკლებადაა მოსალოდნელი, უარი თქვას შესყიდვაზე, როცა გადაწყვეტილების მიღების დრო დადგება.
17. თქვენი მიზანია, კლიენტის საჭიროებები შეუსაბამოთ თქვენს საკუთარს. მას სჭირდება მეტი მომხმარებელი, თქვენ გჭირდებათ რეკლამის გაყიდვა. იყავით პოზიტიური და შეეცადეთ, მისი ყურადღება შეაჩეროთ პროდუქტზე.
18. შეცვალეთ საუბრის მიმართულება, როცა კლიენტი ყოყმანს იწყებს. აქაა მოცემული რამდენიმე პასუხი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, თუ კლიენტი ჯიუტობს:

    ბიზნესი: „ახლა ამის საყიდელი ფული არ მაქვს.“

    პასუხი: „გასაგებია, მაგრამ ჩვენი ფასები ძალიან დაბალია. თუ თქვენ ამით ერთ ახალ მომხმარებელს მაინც შეიძენთ, რეკლამის ფასი სრულად აგინაზღაურდებათ.“

    ბიზნესი: „საიდან გავიგებ, როგორი იქნება მზა რეკლამა?“

    პასუხი: „ჩვენ გავაკეთებთ დიზაინს და მოგიტანთ ან ელ. ფოსტით გამოგიგზავნით საჩვენებლად. თქვენ შეგეძლებათ ცვლილებები შეიტანოთ თქვენს საჭიროებებზე უკეთ მოსარგებად.“

    ბიზნესი: „არ ვიცი, რა უნდა ვთქვა რეკლამაში.“

    პასუხი: „ჩვენ გთავაზობთ, შევქმნათ კუპონი, რითიც გაიზომება თქვენი რეკლამის ეფექტურობა. თქვენთვის კარგი იქნება, თუ თქვენი ბიზნესის სახელი მუდმივად გამოჩნდება გაზეთში, ეს თქვენს ბიზნესს მოსწავლეებისთვის ნაცნობს გახდის.“
19. აი, იმ ბიზნესების მაგალითები, რასაც შეიძლება მიმართონ მოსწავლეებმა:
    a. ყვავილების მაღაზია
    b. მანიკიურის სალონი
    c. სწრაფი კვების ობიექტი
    d. პატარა მაღაზია
    e. რესტორანი
    f. ბიზნესი, რომელსაც თქვენი სკოლადამთავრებულები უძღვებიან: ეს რეკლამის ტექსტშიც შეიძლება გამოჩნდეს

20. რჩევები რეკლამის დიზაინთან დაკავშირებით:

a. მუდამ გამოიყენეთ კომპანიის ლოგო

b. გამოიყენეთ მხოლოდ ერთი ან ორი ფონტი გასაგები დიზაინისთვის

c. დიდი ასოებით დაბეჭდეთ, რასაც ყიდით. მაგალითად: „5 პროცენტი ფასდაკლება ამ კუპონის წარმოდგენისას“ დიდი და მკვეთრი ასოებით უნდა იყოს დაბეჭდილი.

d. წვრილი შრიფტით დაბეჭდეთ ტელეფონის ნომრები, მისამართები, სამუშაო საათები და ვებგვერდები.

e. მკითხველის ყურადღების მისაპყრობად რეკლამაში გამოიყენეთ მოსწავლეთა ფოტოები. საჭიროა მოდელად გამოყენების ფორმები მშობლების ხელმოწერებით.

The A-Blast-ში რეკლამის განთავსების უპირატესობები

- ჩვენს გაზეთს სკოლის პერიოდში 3000-ზე მეტი მასწავლებელი და მოსწავლე იღებს. გაზეთი სამ კვირაში ერთხელ გამოდის და მოსწავლეებს გაზეთის კითხვის დრო ეძლევათ კლასში. თქვენი რეკლამისთვის თინეიჯერების სახით ერთგული მკითხველი გეყოლებათ.
- თუ თქვენს რეკლამას ჩვენი გამოცემის ვებგვერდზე ***www.thea-blast.org*** განათავსებთ, მას მთელი ქვეყანა ნახავს.
- გაზეთი გამოწერილი აქვთ მშობლებსაც – ესაა 500-ზე მეტი უფროსი, რომელიც კითხულობს ჩვენს გაზეთს ანანდეილის საშუალო სკოლის გარეთ. კონსერვატიული შეფასებით დადგინდა, რომ ერთ გაზეთს ოჯახში 3 წევრი მაინც ეცნობა, რაც ჩვენი სკოლის გარე მკითხველების რაოდენობას 1500-მდე ზრდის.
- ჩვენი გაზეთი იბეჭდება *The Washington Post*-ის სპრინგფილდის სტამბაში. თქვენი ფოტოები და ნახატები იქნება პროფესიონალურად და სუფთად შესრულებული, მეტწილად ფერადი.
- *The A-Blast* მიეწოდება დიდ აუდიტორიას, რომელიც მზადაა, ფული დახარჯოს. ფეარფაქსის ოლქი უმდიდრესია აშშ-ს ოლქებს შორის, რაც საოჯახო შემოსავლების დათვლითაა დადგენილი.
- *The A-Blast* სახელმწიფო მნიშვნელობის გაზეთია, რომელიც მუდმივად ხვდება სკოლის გაზეთების საუკეთესო ათეულში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აი, რის გაკეთება შეგვიძლია თქვენთვის:

- ✓ გამოვაქვეყნოთ თქვენი კომპანიის ლოგო.
- ✓ გამოვიყენოთ უამრავი განსხვავებული ფონტი.
- ✓ მივიტანოთ თქვენი სათქმელი მოსწავლეებსა და მშობლებამდე. ჩვენ შეგვიძლია ანანდეილის საშუალო სკოლის მოსწავლეების გამოყენება რეკლამაში, რომ მკითხველის ყურადღება მივიზიდოთ.
- ✓ მუდმივად ვაჩვენოთ თქვენი კომპანიის სახელი.
- ✓ გამოვიყენოთ უამრავი სპეციალური გრაფიკული ნამუშევარი.

✓ ვაჩვენოთ ფასდაკლებების კუპონები.

– ნაბეჭდი რეკლამის ფასი იცვლება $20-$200 ფარგლებში

– დაგვიკავშირდით, თუ გსურთ ჩვენი ვიდეო და ონლაინ რეკლამის შესახებ შეიტყოთ, რომელსაც ჩვენი ტექნიკით დაინტერესებული მოსწავლეები გაეცნობიან.

the A-BLAST

www.thea-blast.org

Inform the Atom since 1954

Annandale High School
4700 Medford Dr.
Annandale, VA 22003
(703) 642-4229
Fax (703) 642-4299
Emma Barker & Manal Elhak
(Advertising Mgrs.)
Alan Weintraut (Adviser)
AJWeintraut@gmail.com

CLIENT_____ DATE_____

CONTACT PERSON AND POSITION_____

WEBSITE URL (website advertisements only)_____

ADDRESS_____ PHONE_____

FAX_____ E-MAIL_____

The A-BLAST SALESPERSON_____

Sizing (for 12 x 21 broadsheet newspaper)

A. Full Page Ad	12" x 21"	$200
B. Half Page Ad	11.25" x 9.5"	$120
C. Quarter Page Ad	5.5" x 9.5"	$60
D. Eighth Page Ad	5.5" x 4.75"	$30
E. Business Card		$20
F. Inserts		$200*

*Pre-printed inserts are a standard $200 insertion fee. Printing by this newspaper involves an additional $150 fee (does not include design & color services).



Multiple Issue Discounts

3 or 4 issues	5% discount
5 – 7 issues	10% discount
8 or more	15% discount

15% discount for in-school clients rates not negotiable

COLOR AVAILABLE

Your custom-designed ad will effectively target your audience. Using these latest graphic arts & design computer software, we can build your ad to suit your tastes. Your ad can appear in full-color, grabbing the attention of our thousands of readers.

To get your product moving...please fill out completely

CIRCLE ISSUES: SEPT. 8, 30; OCT. 21; NOV. 10; DEC. 16; JAN.19; FEB. 10; MAR 3, 23; APRIL 28; MAY 18; JUNE 2

No. of Issues		Price for ad		Cost	multiple issue disc	discount amt.	TOTAL Subtract *discount amt.* from "cost"	Total for web and paper
	X		=					

FOR WEBSITE ADVERTISEMENTS

150x90 pixels w/ link to website of business

Prices:

A. $5 per day (1 day)
B. $60 for 2 weeks (14 days)
C. $100 per month (28 days)

Advertisements provided are preferred, but the A-Blast staff is able to make an advertisement if necessary. Jpeg only.

Cost		Number of Days		TOTAL
	X		=	

First day	Number of Days	Last Day

_____
Advertiser's signature

I hereby agree to the terms of this contract and the advertising policy of the A-Blast.

I also give permission to the A-Blast to use pictures from the website given above to make an online advertisement (only applicable for online advertisements bought).

BILLING:

Payment must accompany this form unless there is an established relationship with the client. Multiple ad customers will be billed in full after the publication of first ad. Whole newspapers will accompany all bills. The A-Blast appreciates your business!

გამოიწერეთ THE A-BLAST

გაეცანით ანანდეილის საშუალო სკოლის ახალ ამბებს, გამოიწერეთ *The A-Blast*, რომელიც ათ საუკეთესო მოსწავლეთა გაზეთს შორისაა.

The A-Blast შედგება 14 სექციისგან, ახალი ამბებით და სპორტით დაწყებული, საერთაშორისო და აკადემიური სიახლეებით დამთავრებული.

The Washington Post-თან საქმიანი პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში *The A-Blast*-ის ფერადი და ფართოფორმატიანი გამოცემა იბეჭდება Post-ის სპრინგფილდის სტამბაში.

The A-Blast ძალიან პოპულარულია სკოლადამთავრებულებსა და მოსწავლეთა ნათესავებს შორისაც.

გამოიწერეთ ახლა, რომ შეინარჩუნოთ კავშირი თქვენს თინეიჯერთან. გაზეთის 14 ნომრის სახლში მიტანა სულ 15$ ღირს.

Make the $15 check payable to AHS and send to:
The A-Blast
4700 Medford Dr., Annandale, VA 22003.
Your student can also give it to Mr. Weintraut in the Publications Lab, room 262.

გამოწერეთ 15$ ჩეკი ანანდეილის საშუალო სკოლის სახელზე და გამოგზავნეთ: The A-Blast, 4700 Medford Dr., Annandale VA 22003. თქვენმა მოსწავლემ შეიძლება პირადად გადასცეს ჩეკი მისტერ ვაინტრაუტს გამომცემლობის ოთახში, ოთახი 262.

სახელი _____

მისამართი _____

ქალაქი _____ შტატი _____ ინდექსი _____

ტელ. _____ დღევანდელი თარიღი _____

იმეილი _____

გაყიდულია _____ მიერ

დანართი 1

გაკვეთილების თანმიმდევრობა (პირველი ვარიანტი)

ახალი ამბები და რეპორტაჟის საფუძვლები (1-6 კვირა)

პირველი ექვსი კვირის განმავლობაში მასწავლებლებმა უნდა გააცნონ მოსწავლეებს კონცეფცია, რომ მოსწავლეთა გაზეთი უნდა აწვდიდეს მკითხველს ზუსტ, დამოუკიდებელ და სანდო ინფორმაციას. ინტერვიუს ნაწილში განხილულია სანდო წყაროები, შეკითხვის ფორმულირება, ინტერვიუს აღების დროს პროფესიული ქცევა. ფოტოგრაფიის ნაწილში კი ვეცნობით ძირითად პრინციპებს, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში პრაქტიკით და ფოტოგრაფიის დამატებითი გაკვეთილების ჩატარებით განვამტკიცებთ.

გაკვეთილები და პრაქტიკული დავალებები მოამზადებს მოსწავლეებს გაზეთის პირველი ნომრის გამოსაშვებად, რომელიც ძირითადად ახალი ამბის ამსახველი სტატიისა და ფოტოებისგან იქნება შედგენილი. აქ შემოთავაზებულ თანმიმდევრობაში გაკვეთილები რედაქციის ორგანიზებაზე, გაზეთის გვერდების დიზაინსა და გამოცემაზე მხოლოდ მას მერე მოდის, რაც მოსწავლეები გაზეთის შინაარსის შესახებ ისწავლიან. ეს საშუალებას მისცემს მათ, მანამდე იმუშაონ სტატიებზე, ვიდრე გაზეთის გამოცემას შეუდგებიან.

კვირა 1

გაკვეთილი 1	რა არის ახალი ამბები?
გაკვეთილი 2	სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე
გაკვეთილი 3	ინტერვიუ

კვირა 2

გაკვეთილი 4	კითხვა-პასუხი
გაკვეთილი 5	ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები

კვირა 3

გაკვეთილი 6	სტატიის ლიდი
გაკვეთილი 7	ფოტოსურათების შეფასება

კვირა 4

გაკვეთილი 8	თემატური რეპორტაჟი
გაკვეთილი 9	ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურა

კვირა 5

გაკვეთილი 10	ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება
გაკვეთილი 12	გაზეთის რედაქციის ორგანიზება

კვირა 6

გაკვეთილი 13	გვერდის დიზაინის ძირითადი საკითხები
გაკვეთილი 14	გაზეთზე მუშაობის პროცესი და მისი გამოშვება

გაზეთის პირველი ნომრის გამოცემა (კვირა 7)

კვირა 7

მოსწავლეთა გაზეთის პირველი ნომრის გამოცემის კვირა

სარედაქციო სტატია და პუბლიცისტიკა (კვირა 8-9)

სასწავლო გეგმის ეს ნაწილი, რომელიც ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავების დანახვას ეთმობა, განამტკიცებს თავისუფალი პრესის როლს – ინფორმაციის ზუსტი და დამოუკიდებელი წყაროსი, საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანის, ხალხისთვის აზრის გამოთქმის საშუალების მიმცემის. სარედაქციო სტატიის წერის ნაწილში მოცემულია სქემა, როგორ უნდა წერონ, რომ უნდა აღიარონ საპირისპირო მოსაზრების არსებობა, წერონ დამარწმუნებლად და ჰარმონიულობის მიღწევას ესწრაფონ.

კვირა 8

გაკვეთილი 15	სარედაქციო სტატია
გაკვეთილი 16	ლოგიკის მცდარობა

კვირა 9

გაკვეთილი 17	სარედაქციო სტატიის შეფასება
	სარედაქციო სტატია მზად უნდა იყოს

პიროვნების პორტრეტი**, სპორტი და ფოტოგრაფია (კვირა 9-12)**

გაკვეთილი პიროვნების პორტრეტის შესახებ ემყარება ახალი ამბის შეფასების შესახებ ნასწავლს, ინტერვიუსა და კითხვა-პასუხის წერის ცოდნას. მოსწავლეები იმუშავებენ და გააუმჯობესებენ ჩანაწერების კეთების და წყაროს ზუსტად ციტირების უნარებს. სპორტული მიმოხილვა ყოველთვის ძალიან უყვართ მკითხველებს. მოსწავლეებს უნდა შევახსენოთ, რომ საჭიროა სიზუსტე, მიუკერძოებლობა და სიცხადე, გავამეორებინოთ კურსის პირველი გაკვეთილებიდან მიღებული ცოდნა სპორტისა და რიცხვების შესახებ გაკვეთილების განმავლობაში. ფოტოგრაფიის გაკვეთილები ეძღვნება პორტრეტებს, ბუნებრივ ფოტოგრაფიასა და მოქმედების ფოტოგრაფიას. ისინი პორტრეტს და სპორტულ სტატიებს უკავშირდება და ავითარებს უნარებს უკეთესი ვიზუალური მიმოხილვის გასაკეთებლად მოსწავლეთა გაზეთისა და ვებგვერდისათვის.

ამ გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები გამოუშვებენ გაზეთს, რომელშიც იქნება ახალი ამბის ამსახველი სტატია, სარედაქციო სტატია, სარედაქციო კარიკატურა, კითხვა-პასუხები, პიროვნების პორტრეტები, სპორტული მიმოხილვა და ფოტოსურათები.

გაკვეთილი 18	ბუნებრივი ფოტოგრაფია და წარწერა ფოტოს ქვეშ

კვირა 10

გაკვეთილი 19	პიროვნების პორტრეტი
გაკვეთილი 20	სტატიის ლიდის სახესხვაობები

კვირა 11

გაკვეთილი 21	პიროვნების პორტრეტის შეფასება
გაკვეთილი 22	ფოტოგრაფია: მოქმედება

კვირა 12

გაკვეთილი 23	სპორტზე წერა და ამ სფეროს გაშუქება
გაკვეთილი 24	რიცხვების დამატება უკეთესი რეპორტაჟისთვის

სრული გაზეთის გამოცემა (კვირა 13-14)

ჟურნალისტიკის 14-კვირიანი შესავლის ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოსწავლეები გამოიყენებენ ყველა იმ უნარს, რომელიც მთლიანობაში შეიძინეს და გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეთა გაზეთის პირველ ნომერზე მუშაობისას მიიღეს. მოსწავლეებს

ჩამოუყალიბდებათ ლიდერობის ჩვევა გადაწყვეტილებების მიღებისას და დასაბეჭდი შინაარსის შერჩევისას, ისინი აჩვენებენ, რომ შეუძლიათ სამუშაოს დადგენილ ვადებში შესრულება და სტატიის მომზადება დასაბეჭდად, თანამშრომლობა რედაქციის სხვა წევრებთან და გაზეთის ერთობლივი ძალისხმევით გამოცემა.

კვირა 13

გაზეთზე მუშაობის კვირა

კვირა 14

გაზეთის მეორე ნომრის მომზადება გამოსაცემად და კორექტურის გაკეთება.

გაზეთის დაბეჭდვა და სკოლაში გავრცელება.

ეს დამატებითი გაკვეთილები მოცემულია კურსის ძირითადი 14 კვირის შემდეგ გასავლელად:

გაკვეთილი 11	გაზეთის ვებგვერდი
გაკვეთილი 25	სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 26	როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 27	მიმოხილვა
გაკვეთილი 28	რეკლამა და ბიზნესის მხარე

დანართი 2

გაკვეთილების თანმიმდევრობა (მეორე ვარიანტი)

რეპორტაჟის საფუძვლები

გაკვეთილი 1 რა არის ახალი ამბები?

დასარიგებელი მასალა: ახალი ამბავი არის...

აქტივობა: ახალი ამბის ღირებულება და ნიმუშები

აქტივობა: არის თუ არა ეს პირველი გვერდის მასალა?

გაკვეთილი 2 სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე

დასარიგებელი მასალა: საუკეთესო რეპორტაჟის ძირითადი თვისებები: სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე

დასარიგებელი მასალა: ახალი ამბების ლექსიკონი

კონცეფციის გამოყენება: რას გააკეთებდით?

გაკვეთილი 3 ინტერვიუ

დასარიგებელი მასალა: მოემზადეთ ინტერვიუსთვის

დასარიგებელი მასალა: რჩევები ინტერვიუს ასაღებად: აუდიოჩანაწერი და პასუხების ჩანიშვნა

დასარიგებელი მასალა: ინტერვიუს ლექსიკონი

კონცეფციის გამოყენება: ივარჯიშეთ ინტერვიუს აღებაში

გაკვეთილი 4 კითხვა-პასუხი

დასარიგებელი მასალა: ინტერვიუს აღების ხუთი აქტივობა

დასარიგებელი მასალა: მოკლე ბიოგრაფიული შეკითხვების ნიმუში

მოსწავლის მაგალითი: კითხვა-პასუხი – გაცვლითი პროგრამის მონაწილე მოსწავლეები

მოსწავლის მაგალითი: კითხვა-პასუხი – სპორტსმენი

მოსწავლის მაგალითი: მოკლე ბიოგრაფია

გაკვეთილი 5 ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები

პეუერპოინტის პრეზენტაცია შენიშვნებით: ფოტოგრაფია: ძირითადი პრინციპები და ლექსიკონი

დასარიგებელი მასალა: ფოტოსურათის შეფასების ლექსიკონი

კონცეფციის გამოყენება: გახდით ფოტოგრაფი

გაკვეთილი 6 სტატიის ლიდი

დასარიგებელი მასალა: ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლიდი

აქტივობა: გადააკეთეთ სტატიის ლიდი

პასუხები: პასუხის ნიმუშები: გადააკეთეთ სტატიის ლიდი

გაკვეთილი 7 ფოტოსურათების შეფასება

დასარიგებელი მასალა: ფოტოსურათის შეფასების ცხრილი

გაკვეთილი 8 თემატური რეპორტაჟი

დასარიგებელი მასალა: რჩევები თემატურ რეპორტიორებს

დასარიგებელი მასალა: თემატური რეპორტაჟი

დასარიგებელი მასალა: მუშაობა თემატურ რეპორტიორად

დასარიგებელი მასალა: წამოჭერით იდეები თქვენს თემასთან დაკავშირებით

ახალი ამბების სტრუქტურა

გაკვეთილი 9 ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურა

დასარიგებელი მასალა: ახალი ამბის ამსახველი სტატიის ორგანიზება

დასარიგებელი მასალა: ახალი ამბის ამსახველი სტატიის ლექსიკონი

დასარიგებელი მასალა: გამოიყენეთ ციტატები

მოსწავლის მაგალითი: „მართებული ნაბიჯი“

მოსწავლის მაგალითი: „ფსიქოლოგიის მასწავლებელი პეილის სკოლის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა“

გაკვეთილი 10 ახალი ამბების სტატიის შეფასება

აქტივობა: ახალი ამბების სტატიის შეფასება

გაკვეთილი 11 გაზეთის ვებგვერდი

პაუერპოინტი განმარტებებით: გაზეთის ვებგვერდები: 10 ნაბიჯი დასაწყისისთვის

დასარიგებელი მასალა: რა კითხვები უნდა გავითვალისწინოთ ინტერნეტში გამოქვეყნებამდე

დასარიგებელი მასალა: რა არის საჭირო სკოლის გაზეთის კარგი ვებგვერდის გასაკეთებლად?

რედაქცია და გაზეთის გამოცემა

გაკვეთილი 12 გაზეთის რედაქციის ორგანიზება

დასარიგებელი მასალა: რედაქციის ორგანიზების ნიმუში (სქემა)

დასარიგებელი მასალა: გაზეთის რედაქციის მენეჯმენტი და მოტივაცია

დასარიგებელი მასალა: გაზეთის რედაქციის სამუშაოს აღწერილობა

მოსწავლის მაგალითი: გაზეთ The A-Blast-ის რედაქციის ინსტრუქცია, სარედაქციო პოლიტიკა და პროცედურები

გაკვეთილი 13 გვერდის დიზაინის ძირითადი საკითხები

აქტივობა: გვერდის მაკეტის ბადე

აქტივობა: მაკეტი ტექსტით და ფოტოებით

აქტივობა: დავალება: შექმენით მაკეტი

დასარიგებელი მასალა: მაკეტის ნიმუში

გაკვეთილი 14 გაზეთზე მუშაობის პროცესი და მისი გამოშვება

დასარიგებელი მასალა: გაზეთის გამოშვების 4-კვირიანი ციკლის ნიმუში

დასარიგებელი მასალა: სტატიის წერის პროცესი

სარედაქციო სტატია

გაკვეთილი 15 სარედაქციო სტატია

დასარიგებელი მასალა: რას გააკეთებს სარედაქციო სტატია?

დასარიგებელი მასალა: სარედაქციო სტატიის ლექსიკონი

დასარიგებელი მასალა: როგორ დავწეროთ სარედაქციო სტატია

დასარიგებელი მასალა: მსჯელობის ჩამოყალიბება სარედაქციო სტატიაში

გაკვეთილი 16 ლოგიკის მცდარობა

დასარიგებელი მასალა: ლოგიკის მცდარობის დასადგენად საჭირო ტერმინები

გაკვეთილი 17 სარედაქციო სტატიის შეფასება

აქტივობა: სარედაქციო სტატიის შეფასება

პიროვნების პორტრეტი

გაკვეთილი 18 ბუნებრივი ფოტოგრაფია და წარწერა ფოტოს ქვეშ

პაუერპოინტი შენიშვნებით: ბუნებრივი ფოტოგრაფია: მომენტის დაჭერა

დასარიგებელი მასალა: რჩევები ბუნებრივი ფოტოგრაფიისთვის

აქტივობა: სავარჯიშო: დაწერეთ სურათის წარწერა

გაკვეთილი 19 პიროვნების პორტრეტი

დასარიგებელი მასალა: პიროვნების პორტრეტის დავალება

დასარიგებელი მასალა: პრესკონფერენცია

მოსწავლის მაგალითი: „პეილის მოსწავლე არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის ჰაიტიზე განათლების დასახმარებლად“

გაკვეთილი 20 სტატიის ლიდის სახესხვაობები

დასარიგებელი მასალა: ლიდის 5 გავრცელებული ტიპი

დასარიგებელი მასალა: ლიდის 5 სახესხვაობა პორტრეტისთვის

მოსწავლის მაგალითი: მოსწავლეთა მიერ დაწერილი ლიდის 5 ნიმუში

გაკვეთილი 21 პიროვნების პორტრეტის შეფასება

აქტივობა: პიროვნების პორტრეტის შეფასება

სპორტი

გაკვეთილი 22 ფოტოგრაფია: მოქმედება

პაუერპოინტის პრეზენტაცია კომენტარებით: მოქმედების ფოტოგრაფია: დაიჭირე კადრი

გაკვეთილი 23 სპორტზე წერა და ამ სფეროს გაშუქება

დასარიგებელი მასალა: რჩევები სპორტული მიმოხილვის და ფოტოების შესახებ

აქტივობა: მა ლინის ფაქტების ჩამონათვალი

მოსწავლის მაგალითი: „წლის საუკეთესო სპორტსმენი ქალი: გრეისი ქეინი“

მოსწავლის მაგალითი: „გოგონების საფეხბურთო გუნდი ყაიმით ამთავრებს სენთერვილთან 0:0“

მოსწავლის მაგალითი: „პინგ-პონგის კლუბი სახელს იხვეჭს“

გაკვეთილი 24 რიცხვების დამატება უკეთესი რეპორტაჟისთვის

აქტივობა: დააწყვილეთ რიცხობრივი მონაცემები

დასარიგებელი მასალა: გამოიყენეთ რიცხვები

აქტივობა: გააცოცხლეთ რიცხვები თქვენი მკითხველისთვის

სხვა ინსტრუმენტები

გაკვეთილი 25 სარედაქციო კარიკატურა

მოსწავლის მაგალითი: “Hot Wheels”

მოსწავლის მაგალითი: “Text Drive”

გაკვეთილი 26 როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა

დასარიგებელი მასალა: რჩევები რედაქციის კარიკატურისტს

დასარიგებელი მასალა: სარედაქციო კარიკატურის ლექსიკონი

გაკვეთილი 27 მიმოხილვა

დასარიგებელი მასალა: მიმოხილვის რაობა

მოსწავლის მაგალითი: „გამოვიდა iPhone 4“

მოსწავლის მაგალითი: „დაბრუნება ინდოეთში“

გაკვეთილი 28 რეკლამა და ბიზნესის მხარე

დასარიგებელი მასალა: როგორ ვაწარმოოთ სარეკლამო კამპანია და გაყიდვები ადგილობრივ ბიზნესში

მოსწავლის მაგალითი: გამოწერის ფორმა

მოსწავლის მაგალითი: რეკლამის ნიმუშების ნაკრები მარკეტინგისთვის

მოსწავლის მაგალითი: რეკლამების ფასების ჩამონათვალი

დანართი 3

გამოცემისთვის მზადება

გაკვეთილებში მოცემულია ინსტრუქციები, როგორ უნდა მოვამზადოთ მოსწავლეები, რომ გაზეთის გამოცემისთვის საჭირო შინაარსზე იმუშაონ. გაკვეთილები, აგრეთვე, შეიცავს მითითებებს გვერდზე მასალის განლაგებასა და დიზაინთან დაკავშირებით. მოცემულ განრიგში ყურადღება ექცევა გაკვეთილების დაკავშირებას გაზეთის გამოცემისთვის საჭირო მითითებებთან. თუმცა, მასწავლებლებს ისიც შეუძლიათ, გაკვეთილები „გაზეთის გამოშვების 4-კვირიანი ციკლის ნიმუშს“ დაუკავშირონ, რომელიც ამავე წიგნშია მოცემული.

კვირა 1

გაკვეთილი 1	რა არის ახალი ამბები?
გაკვეთილი 2	სიზუსტე, მიუკერძოებლობა, სიცხადე
გაკვეთილი 3	ინტერვიუ

მოსწავლეები ჩაუტარებენ ინტერვიუებს ერთმანეთს, რათა გაეცნონ ინტერვიუს ჩატარების და შეკითხვების ფორმულირების პროცესს.

კვირა 2

გაკვეთილი 4	კითხვა-პასუხი

ამერიკელი და ჩინელი მოსწავლეების გაცნობა ინტერნეტის საშუალებით

ამერიკელი და ჩინელი მოსწავლეები ინტერნეტით უკავშირდებიან ერთმანეთს და ამზადებენ ერთმანეთის პორტრეტებს კითხვა-პასუხის გამოყენებით.

ინტერვიუები გამოქვეყნდება ამერიკელი პარტნიორი სკოლების ვებგვერდებზე (და ჩინური სკოლების ვებგვერდებზეც, თუ შესაძლებელია)

გაკვეთილი 5	ფოტოგრაფიის ძირითადი პრინციპები

კვირა 3

გაკვეთილი 6	სტატიის ლიდი
გაკვეთილი 7	ფოტოსურათების შეფასება

ის სურათები, რომლებიც მოსწავლეებმა მე-5 გაკვეთილზე გადაიღეს და მე-7 გაკვეთილზე შეაფასეს, გაზეთში არ დაიბეჭდება, მაგრამ მათი გადაღებით მოსწავლეები უფრო მეტად დარწმუნდებიან საკუთარ უნარში, რომ შეუძლიათ ფოტოგრაფად მუშაობა. ფოტოგრაფია გაზეთის გამოცემის და ვიზუალური რეპორტაჟის დასაწყისია.

კვირა 4

გაკვეთილი 8 თემატური რეპორტაჟი

დაადგინეთ ჩაბარების ვადა თემატური რეპორტაჟებისთვის. ეს რეპორტაჟები გახდება საფუძველი თქვენი სკოლის შესახებ წერისა.

გაკვეთილი 9 ახალი ამბის ამსახველი სტატიის სტრუქტურა

კვირა 5

გაკვეთილი 10 ახალი ამბის ამსახველი სტატიის შეფასება

იმუშავეთ ჯგუფებში ერთმანეთის ნამუშევრების შესაფასებლად; გამოიყენეთ მითითებები, შეაფასეთ ახალი ამბის ამსახველი სტატიები, რომ შემდეგ შეასწოროთ.

იმსჯელეთ ახალი ამბის ამსახველი სტატიების შინაარსის შესახებ. ის ახალი ამბები, რომლებიც სამი კვირის შემდეგაც მნიშვნელოვანი იქნება, გაზეთში შეიძლება გამოაქვეყნოთ. გარდა ამისა, მოიფიქრეთ, რომელი ახალი ამბის განახლება შეიძლება, რომ დასაბეჭდად გამოდგეს.

გაკვეთილი 12 გაზეთის რედაქციის ორგანიზება

შეადგინეთ გაზეთის რედაქცია (რედაქტორი, ნომრის რედაქტორი, მაკეტის რედაქტორი, ფოტორედაქტორი, რედაქციის შტატი)

კვირა 6

გაკვეთილი 13 გვერდის დიზაინის ძირითადი საკითხები

გააცანით კომპიუტერული პროგრამა და გვერდის დიზაინის პრინციპები.

მოსწავლეები დაიწყებენ გაზეთის დიზაინზე მუშაობას და ცალკეული რუბრიკების შაბლონებს დაამზადებენ. მოსწავლეები განსაზღვრავენ, სად და რა თანმიმდევრობით განლაგდება ეს რუბრიკები გაზეთში.

გაკვეთილი 14 გაზეთზე მუშაობის პროცესი და მისი გამოშვება

მოამზადეთ გაზეთი დასაბეჭდად

კვირა 7

მოსწავლეთა გაზეთის პირველი ნომრის გამოცემის კვირა

გააკეთეთ პირველი გამოცემის კორექტურა

შეარჩიეთ დასაბეჭდი სტატიები და ფოტოები

შეადგინეთ ოთხგვერდიანი „გაზეთი“ ახალი ამბის ამსახველი სტატიებისა და პორტრეტებისგან

გაავრცელეთ დაბეჭდილი გაზეთი. ჯერჯერობით ძალიან ფართოდ არ გავრცელდება, ძირითადად მოსწავლეებს და მათ ოჯახებს უნდა დაურიგდეთ, რომ ვაჩვენოთ, როგორ იყენებენ მოსწავლეები ძირითად უნარებს და მივიღოთ პირველი უკუკავშირი.

პარტნიორი სკოლები ამერიკიდან გამოაქვეყნებენ სტატიებს საკუთარი გაზეთების ვებგვერდებზე და შეიძლება, გაზეთში სტატიაც დაწერონ, რომლის მეშვეობითაც დანარჩენ მოსწავლეებს შეატყობინებენ ამ პარტნიორობის შესახებ.

კვირა 8

გაკვეთილი 15	სარედაქციო სტატია
გაკვეთილი 16	ლოგიკის მცდარობა

კვირა 9

გაკვეთილი 17	სარედაქციო სტატიის შეფასება

შეარჩიეთ სარედაქციო სტატიებიდან საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რომელიც დაიბეჭდება.

მოიფიქრეთ თემები სარედაქციო სტატიებისთვის ერთიდან სამამდე.

შეარჩიეთ ჟურნალისტები, რომლებიც ჩაატარებენ კვლევას, ჩამოართმევენ ინტერვიუებს და მოამზადებენ სარედაქციო სტატიებს გამოსაქვეყნებლად.

გაკვეთილი 18	ბუნებრივი ფოტოგრაფია და წარწერა ფოტოს ქვეშ

კვირა 10

გაკვეთილი 19	პიროვნების პორტრეტი
გაკვეთილი 20	სტატიის ლიდის სახესხვაობები

კვირა 11

გაკვეთილი 21 პიროვნების პორტრეტის შეფასება

განიხილეთ პიროვნების პორტრეტები და შეარჩიეთ მათ შორის საუკეთესო, რომელიც შეიძლება დაბეჭდოთ.

გაკვეთილი 22 ფოტოგრაფია: მოქმედება

იმსჯელეთ, რა შეიძლება დაავალოთ ფოტოგრაფებს.

კვირა 12

გაკვეთილი 23 სპორტზე წერა და ამ სფეროს გაშუქება

მოსწავლეთა მიმოხილვა შეეხება არაფორმალურ სპორტულ აქტივობებსაც და სკოლის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსაც. ისინი ისწავლიან, როგორ გააკეთონ სპორტული რეპორტაჟი და როგორ გადაუღონ ფოტოები მოძრავ მოთამაშეებს, რათა მკითხველისთვის საინტერესო შინაარსი მიიღონ.

გაკვეთილი 24 რიცხვების დამატება რეპორტაჟის გაუმჯობესებისათვის

კვირა 13

გაზეთზე მუშაობის კვირა

შეადგინეთ გაზეთის რედაქცია (რედაქტორი, ტექსტის რედაქტორი, ახალი ამბების რედაქტორი, პუბლიცისტური გვერდის რედაქტორი, ხელოვნების და გართობის სექციის რედაქტორი, ფოტორედაქტორი, მაკეტის რედაქტორი, რედაქციის შტატი)

მოამზადეთ გაზეთი, რომელშიც იქნება ახალი ამბის ამსახველი სტატიები, სარედაქციო სტატიები, სარედაქციო კარიკატურა, წერილები რედაქციას (თუ არის) და გართობის სექცია (ახალი ამბები და მიმოხილვები).

კვირა 14

მომზადების დასრულება, კორექტურა

გაზეთის PDF ვერსია გაუგზავნეთ ამერიკელ პარტნიორებს, რომ მათაც გამოაქვეყნონ თავისი სკოლის გაზეთის ვებგვერდზე.

გაზეთის მეორე ნომრის, კურსის და რედაქციის თანამშრომლების თანამშრომლობის გაგრძელების შეფასება

მოსწავლეები აფასებენ საკუთარ გაზეთს და საუბრობენ მიღებული გამოცდილების შესახებ.

წამოიწყეთ დიალოგი მათ ამერიკელ პარტნიორ მოსწავლეებთან

მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად გეგმავენ შემდეგ ნომერს

ეს დამატებითი გაკვეთილები გამიზნულია კურსის ძირითადი 14 კვირის დასრულების შემდეგ გამოსაყენებლად:

გაკვეთილი 11	გაზეთის ვებგვერდი
გაკვეთილი 25	სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 26	როგორ დავხატოთ სარედაქციო კარიკატურა
გაკვეთილი 27	მიმოხილვა
გაკვეთილი 28	რეკლამა და ბიზნესის მხარე

დანართი 4

ამერიკული საშუალო სკოლის ჟურნალისტიკა

ამერიკის 50 შტატში 27000-ზე მეტი საჯარო საშუალო სკოლაა. საშუალო სკოლის ჟურნალისტიკის სასწავლო გეგმა ყველა შტატში განსხვავებულია. კურიკულუმი ადგილობრივად კონტროლდება სკოლის საბჭოს არჩეული წევრების მიერ. ზოგიერთ შტატში მოსწავლეებისთვის სავალდებულოა ჟურნალისტიკის კურსის გავლა. სხვა შტატებში ჟურნალისტიკა უბრალოდ დამატებითი კლუბია.

საუკეთესო სასკოლო პროგრამებში მოსწავლეები 100%-ით ასრულებენ ჟურნალისტური საქმიანობის ყველა ეტაპს. ისინი წერენ, ფოტოებს იღებენ, დიზაინს და რედაქტირებას აკეთებენ გამოცდილი მასწავლებლის მეთვალყურეობითა და რჩევებით.

აქ ჩამოთვლილია ამერიკული საშუალო სკოლის ჟურნალისტიკის პროდუქტები:

- <u>გაზეთი</u>: უმეტესობა გამოდის კვარტალში ერთხელ, სამ კვირაში ერთხელ ან ყოველთვიურად. შეიცავს ახალ ამბებს, სარედაქციო სტატიებს, სპორტის ამბებს და გასართობ რუბრიკებს. სკოლების უმეტესობაში გაზეთი უფასოა. სკოლა ფარავს ხარჯებს, რაც საჭიროა ამ აქტივობისთვის და/ან მოსწავლეები აწესებენ ფასიან ხელმოწერებს და რეკლამებს.
- <u>წლიური ალბომი</u> შეიცავს სპორტულ მიმოხილვას, აკადემიურ და მოსწავლეთა ცხოვრების მიმოხილვებს; სკოლის თითოეული მოსწავლის და მასწავლებლის ფოტოპორტრეტებს; წლის ყველაზე დიდი მოვლენების ფოტოსურათებს. თითქმის ყველა საშუალო სკოლას აქვს თავისი წლიური ალბომი, მოცულობით 32-დან 400 და მეტ გვერდამდეა. წლიური ჟურნალის ფასი 40$-დან 80$-მდეა.
- <u>წლიური ვიდეოჟურნალი DVD დისკზე</u>: ეს მცირე ფილმივითაა სკოლის ძირითადი აქტივობების შესახებ. სკოლების ძალიან მცირე რაოდენობას აქვს წლიური ჟურნალი DVD დისკზე.
- <u>ლიტერატურული ჟურნალი</u>: შეიცავს პოეზიას, მოკლე მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, მხატვრობას და ფოტოგრაფიას. ეს გამოცემა უფრო ხელოვნებას

უკავშირდება, მას ყიდულობენ მოსწავლეებიცა და სხვებიც. გამოდის წელიწადში ერთხელ.

- ვებგვერდი: საშუალო სკოლის ჟურნალისტიკის ეს სფერო სულ უფრო იზრდება. ჯერ კიდევ ბევრ სკოლას არა აქვს ახალი ამბების ვებგვერდი.

აქ მოცემულია რამდენიმე მიდგომა, როგორ ასწავლიან ჟურნალისტიკას ამერიკის შეერთებულ შტატებში:

კლუბი გაკვეთილების შემდეგ

ეს პროგრამა ითვალისწინებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეხვედრას, ან უფრო იშვიათადაც. მოსწავლეები, შეიძლება, აქვეყნებდნენ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებიდან ნებისმიერს.

გაკვეთილები ერთი სემესტრის ან ერთი წლის განმავლობაში

მოსწავლეები მისი გავლის შემდეგ იღებენ ნატიფი ხელოვნების არჩევითი კურსის კრედიტს ან კარიერის და ტექნიკური განათლების კრედიტს.

გაკვეთილები ორი ან ოთხი წლის განმავლობაში

საუკეთესო ამერიკულ პროგრამებში მოსწავლეები ჟურნალისტიკას საშუალო სკოლაში სწავლის მთელი დროის განმავლობაში გადიან. მოსწავლეებს თანდათან უყალიბდებათ უნარები და თავადაც ასწავლიან ახალშემოერთებულ მოსწავლეებს გაზეთის, ვიდეოს და ვებგვერდის დამზადებას.

დანართი 5

ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი

პროფესიული ორგანიზაციები ქმნიან საკუთარ ეთიკის კოდექსს, რათა დაადგინონ მათი წევრებისთვის მისაღები ქცევები და ქცევები, რასაც საზოგადოება ელოდება ორგანიზაციის წევრებისგან. ეს სტანდარტები ეხმარება იმ თანამშრომლებს, რომელთაც ვერ გაურკვევიათ, როგორ უნდა იმოქმედონ, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ისინი საზოგადოებას უფრო მეტად არწმუნებს ამ კომპანიის თანამშრომლების სანდოობასა და პასუხისმგებლობაში.

პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოება დაფუძნდა 1909 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის ეთიკური ქცევის უმაღლეს სტანდარტებს მოითხოვს.

პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების ეთიკის კოდექსი

მოიძიეთ სიმართლე და მიიტანეთ საზოგადოებამდე

ჟურნალისტი უნდა იყოს პატიოსანი, მიუკერძოებელი და გაბედული ინფორმაციის შეგროვების, რეპორტაჟის კეთების და ინფორმაციის ინტერპრეტაციის დროს.

ჟურნალისტმა უნდა:

- შეამოწმოს ინფორმაციის სიზუსტე ყველა წყაროსთან და იფრთხილოს, რომ არ დაუშვას გაუთვალისწინებელი შეცდომა. ფაქტების განზრახ დამახინჯება დაუშვებელია.
- გულმოდგინედ მოძებნოს ახალი ამბის ყველა მონაწილე, რომ მისცეს ადამიანებს საშუალება, უპასუხონ მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს.
- დაასახელოს წყაროები, როცა ეს შესაძლებელია. საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია წყაროს სანდოობის შესახებ.

- ყოველთვის შეამოწმოს წყაროს მოტივები, ვიდრე ანონიმურობას დაჰპირდება მას. გაარკვიეთ ყველაფერი, ვიდრე რამეს დაჰპირდებით ინფორმაციის სანაცვლოდ. დაპირებები შეასრულეთ.
- უზრუნველყოს, რომ სათაურები, ახალი ამბების ანონსები და სარეკლამო მასალა, ფოტოები, ვიდეო, აუდიო, გრაფიკები, ხმოვანი ფაილები და ციტატები არ ამახინჯებდეს რეალობას. ისინი არ უნდა უგულებელყოფდეს ან აზვიადებდეს ცალკეულ ინციდენტებს კონტექსტიდან ამოვარდნილად.
- არასოდეს დაამახინჯოს ახალი ამბის ამსახველი ფოტოს ან ვიდეოს შინაარსი. სურათის ტექნიკური დამუშავება მუდამ დასაშვებია. აღნიშნოს მონტაჟი და ფოტოილუსტრაციები.
- თავი აარიდოს შეცდომაში შემყვან მოდელირებულ სიუჟეტებსა და ახალი ამბების დადგმულ სცენებს. თუ მოდელირება აუცილებელია ამბის გადმოსაცემად, აუცილებლად უნდა აღნიშნოს.
- თავი აარიდოს ინფორმაციის შეგროვების იატაკქვეშა ან სხვა საიდუმლო მეთოდებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება შეუძლებელია ტრადიციული ღია მეთოდებით. ამ მეთოდების გამოყენების საჭიროება განმარტებული უნდა იყოს სტატიაში.
- არ იყოს პლაგიატორი.
- გაბედულად წეროს ადამიანური გამოცდილების მრავალფეროვნებისა და მასშტაბების შესახებ, მაშინაც კი, როცა ამის კეთება არამომგებიანია.
- გააანალიზოს საკუთარი კულტურული ღირებულებები და თავს არ მოახვიოს ეს ღირებულებები სხვებს.
- თავი აარიდოს ადამიანთა სტერეოტიპიზაციას რასის, სქესის, ასაკის, რელიგიის, ეთნიკურობის, გეოგრაფიული მდებარეობის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, ფიზიკური გარეგნობის ან სოციალური სტატუსის მიხედვით.
- ხელი შეუწყოს აზრთა ღიად გაცვლა-გამოცვლას, მაშინაც კი, თუ თავად მას შეუწყნარებლად მიაჩნია ეს აზრები.
- მისცეს აზრის გამოთქმის საშუალება ყველას; ინფორმაციის ოფიციალური და არაოფიციალური წყაროები თანაბრად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.

- განასხვავოს პოზიციის დაცვა და ახალი ამბების გადმოცემა. ანალიზი და კომენტარები უნდა აღინიშნოს და არ უნდა შეერიოს ფაქტების გადმოცემას, არ უნდა დაამახინჯოს კონტექსტი.
- განასხვავოს ახალი ამბავი რეკლამისაგან და ერიდოს ამ ორის ნაჯვარს, რომელიც ახალ ამბავსა და რეკლამას შორის საზღვარს შლის.
- გააცნობიეროს განსაკუთრებული ვალდებულება, დარწმუნდეს, რომ ბიზნესი ღიად ფუნქციონირებს და სამთავრობო ჩანაწერები ღიაა შემოწმებისთვის.

მინიმუმამდე დაიყვანეთ ზიანი

ეთიკური ჟურნალისტები საკუთარ წყაროებს, რეპორტაჟის ობიექტებს და კოლეგებს პატივისცემით ეპყრობიან.

ჟურნალისტი უნდა:

- ამჟღავნებდეს თანაგრძნობას მათ მიმართ, ვისაც ზიანი შეიძლება მიაყენოს ახალი ამბების გაშუქებამ. გამოიჩინეთ განსაკუთრებული მგრძნობიარობა, როცა საქმე ბავშვებს ან გამოუცდელ წყაროებს და რეპორტაჟის ობიექტებს ეხება.
- იჩენდეს გულისხმიერებას, როცა იღებს და იყენებს ინტერვიუებს და ფოტოსურათებს იმ ადამიანებისა, რომლებსაც ტრაგედია დაატყდათ ან მგლოვიარენი არიან.
- აცნობიერებდეს, რომ ინფორმაციის შეგროვება და რეპორტაჟი შეიძლება გახდეს ზიანის ან დისკომფორტის მიზეზი. ახალი ამბების მოძიება არ აძლევს მას ქედმაღლობის უფლებას.
- აცნობიერებდეს, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს უფრო მეტი უფლება აქვთ, თავად აკონტროლონ ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ, ვიდრე საჯარო მოხელეებსა და მათ, ვინც ისწრაფის ძალაუფლების, გავლენისა და ყურადღების მოსაპოვებლად. მხოლოდ საზოგადოების პირველხარისხოვან საჭიროებას შეუძლია, გაამართლოს ვინმეს პირად ცხოვრებაში ჩარევა.
- ამჟღავნებდეს კარგ გემოვნებას. არ უნდა აჰყვეს სენსაციების მიმართ ცნობისმოყვარეობას.
- თავს არიდებდეს მცირეწლოვანი ეჭვმიტანილების ან სექსუალური დანაშაულის მსხვერპლთა დასახელებას.

- თავს იკავებდეს დანაშაულში ეჭვმიტანილთა დასახელებისგან ბრალდების ოფიციალურად წაყენებამდე.
- აბალანსებდეს დანაშაულში ეჭვმიტანილის საქმის სამართლიანად განსჯის უფლებას და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია.

იმოქმედეთ დამოუკიდებლად

ჟურნალისტები არ არიან ვალდებულნი, ემსახურონ ვინმეს ინტერესებს, გარდა საზოგადოების უფლებისა, იყოს ინფორმირებული.

ჟურნალისტმა უნდა:

- აიცილოს თავიდან ინტერესთა კონფლიქტი, არსებული თუ მოსალოდნელი.
- არ გამოიყენოს ასოციაციები და ქმედებები, რამაც შეიძლება დააზარალოს მისი რეპუტაცია ან შეარყიოს მისდამი ნდობა.
- უარი თქვას საჩუქრებზე, პატივისცემაზე, ანაზღაურებაზე, უფასო მგზავრობასა და განსაკუთრებულ მოპყრობაზე, არ ჰქონდეს მეორე სამსახური, არ მონაწილეობდეს პოლიტიკაში, საჯარო სამსახურში ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, თუ ისინი ჟურნალისტის რეპუტაციას აზარალებენ
- გაამჟღავნოს კონფლიქტები, რომელთა თავიდან აცილებაც არ ხერხდება.
- არ მოადუნოს ყურადღება და იყოს გაბედული, როცა საჭიროა, ძლიერთა ამა ქვეყნისა პასუხი უნდა მოსთხოვოს მათ ქმედებებზე.
- უარი თქვას განსაკუთრებულ მოპყრობაზე რეკლამის მომწოდებელთა და განსაკუთრებული ინტერესების მქონე პიროვნებების მხრიდან, რათა არ დაუშვას მათი ჩარევა ახალი ამბების გაშუქებაში.
- გამოიჩინოს სიფრთხილე ისეთი წყაროების მიმართ, რომლებიც ინფორმაციას რაიმე სამსახურის ან ფულის სანაცვლოდ სთავაზობენ; თავი აარიდოს ვაჭრობას ახალი ამბის ხელში ჩასაგდებად.

აიღეთ პასუხისმგებლობა

ჟურნალისტებს პასუხისმგებლობა აკისრიათ მკითხველების, მსმენელების, მაყურებლების და ერთმანეთის წინაშე.

ჟურნალისტმა უნდა:

- განმარტოს და აუხსნას ახალი ამბები საზოგადოებას და გამართოს დიალოგი მასთან.
- წაახალისოს საზოგადოება, თუ ეს საჭიროა, ღიად გამოთქვან უკმაყოფილება მედიით.
- აღიაროს შეცდომები და გამოასწოროს ისინი.
- გამოააშკარაოს ჟურნალისტების და მედიის არაეთიკური ქცევები.
- დაიცვას იგივე სტანდარტები, რომელთა დაცვასაც სხვებს სთხოვს.

სიგმა დელტა ჩის ეთიკის პირველი კოდექსი გადმოიღეს „გაზეთის რედაქტორთა ამერიკული საზოგადოებისგან“ 1926 წელს. 1973 წელს სიგმა დელტა ჩიმ საკუთარი კოდექსი დაწერა, რომელიც შემდეგ გადამუშავდა 1984 და 1987 წლებში. „პროფესიონალ ჟურნალისტთა საზოგადოების“ ეთიკის კოდექსის თანამედროვე ვერსია 1996 წლის სექტემბერშია მიღებული.

დანართი 6

გვერდის მაკეტის ბადე, ფოტოები და ტექსტი

(გაკვეთილი 13)

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design.

Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text. This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text. This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts.

Later, they substitute the dummy text for the real text. This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text. This is a paragraph of sample text to be used in lesson 13: Fundamental Page Design. Graphic designers often use dummy text to manipulate their pratice layouts. Later, they substitute the dummy text for the real text.

ეს არის ტექსტის ნიმუში, რომელიც გამოიყენება 13 გაკვეთილისთვის: გვერდის დიზაინის საფუძვლები. გრაფიკული დიზაინერები ხშირად იყენებენ ტექსტის მოდელს გვერდზე მასალის განლაგების საცდელი ვერსიებისთვის. შემდეგ ისინი ტექსტის მოდელს ნამდვილი ტექსტით ანაცვლებენ.

Score Box

AHS vs.

Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56



Score Box

AHS vs.

Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65
Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65
Jones	54-65
Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65
Stuart	44-33
Robinson	33-56

Score Box

AHS vs.

Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65
Lee	33-32
Stuart	44-33
Robinson	33-56
Jones	54-65









1 2 3

1 2 3

1 2 3






13
12
11
10
9
8
7
6
5
4
3
2
1

დანართი 7

დასაწყვილებელი სურათები